

ოთხ მეუნარები

ქართველი  
მნერლები

1

20

საბლიუზგამი

თბილისის გეოგრაფიული

# ეკონომიკი გეოგრაფია

I

სოლომო ვაიზელი


რედაქციით, წინასიცემითა და ბენიშვილით.

4549



სსრ. ალპა ცენტრალური კომიტეტის  
სამარშრთო და ახალგაზრდობის ლიცეამომცემლობა

თბილისი - 1941



ოთნა შეუნარგია

ଫୋଟୋଗ୍ରାଫିକ୍

ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სამი მეტნაკლებად მოკიაფე ვარსკვლავია, რომელნიც მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის რომანტიზმის ცისფერ განთიადს აქვენებენ.

ხანა, რომლის წილშიც გაიშალა სამწერლო ასპარეზი პირველად აღ. ჭავჭავაძისა, ამ „საუკუნეთა შემაერთებელი“ პოეტისა, და უძლევ გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილისა,—ალსაცხა მრავალგვარი ტრაგიზმით, ეროვნული ტკივილებითა და სხვადასხვა წინა-აღმდევობათა გამწვავებით საქართველოს სინამდვილეში. სამართლიჩნად უწოდებს წინამდებარე მონოგრაფიათა ავტორი ამ ხანას ძველი საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის მეზუთე მოქმედებას.

ეს მოქმედება ძევლი საქართველოს პოლიტიკური მარცხით ჩამთავრდა. ბავრატიონთა ტახტი სამუღამოდ დაემხო და საქართველო—როგორც ერთერთი განაპირო პროვინცია—ორთავიანი არწივის კლასებში მოქმედა.

მეტად ბასრი აღმოჩნდა ეს კლანჭები. „ერთმორწმუნე“ მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის აგორებულმა ტალლებმა გადმო-ლახა რა კავეასიონის ქედი, პირველად საქართველოს „ეამბორა“. ეს ამბორი რომ იუდისა იყო და „გეორგიესკის ტრაქტატიც“ ფა-რატინა ქალალდი, უკვე აშეკარა გახდა, მაგრამ გვიან-ლა იყო. საჭი-რო შეიქმნა სულ სხვაგვარი გზებისა და საშუალებათა ძიება.

ამ ძიებაში ჩაება საქართველოს იმდროინდელი მოწინავე თა-  
ვალ-აზნაურული ინტელიგენცია, რომელიც ვერ შეეგუა ჩინოვნიკური  
რუსეთის უხეშ მძვინვარებას. ძიება ხშირად ორგანიზებულ მოძრაო-  
ბაში გადადიოდა და ამგვარად იქმნებოდა ჩვენთვის უკვე ცნობილი  
მთელი რიგი ამბოხებანი და შეთქმულებანი, რომელთა თუ მეთაური  
არა, აქტიური მონაშილენი მაინც იყვნენ ჩვენი გამოჩენილი პოტე-  
ბიც. ცხადია, ეს შეთქმულებანი მიზნად ისახავდა ძველი საქართვე-  
ლოს რესტავრაციას, ბაგრატიონთა. ტახტის აღდგენას, თუმცა იყო  
რესპუბლიკური წყობის ჩანასახებიც.

წინამდებარე კრებულში მოქცეული პოეტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღეებიც ამ პერიოდს ემთხვევა. რამდენადაც მათი სამოქმედო ასპარეზი გაშლილია ამ წინააღმდეგობებით სავსე დიდ-

რეფორმებიანი ეპოქის ფონზე, ამდენად, ცხადია, გვერდაუვლელი ხდება. აღტორისათვის, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც მოხაზვა აშა ფონისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე—შვილი „მეფე ერეკლეს მინისტრის, სანდო და თავიანი კაცის გარსევან ჭავჭავაძისა, რომლის რუსეთში ყოფნის დროს ყოველმხრივ სასომიხდილი მეფე გიორგი სიკვდილის სარეცელზე ეუბნებოდა ლაზარევს: თუ ჭავჭავაძე ჩამომისწრო, სიკვდილს არ ვინაღვლებო“—მათის პოლიტიკურ გზას როდი იზიარებდა. ის, 1804 წლის ამბოხების აქტიური მონაწილე და ამის გამო შენიშვნამიცემული, 1832 წლის დიდი შეთქმულების მთავარი ფიგურაც ხდება.

მართალია, ბიოგრაფი უარყოფს ამ შეთქმულებაში ა. ჭავჭავაძის მონაწილეობას, ან ყოველ შემთხვევაში ანელებს მას, მაგრამ უთუოდ იმდროინდელი საცენტურო პირობების გამო და მეფის რუსეთის წინაშე ალ. ჭავჭავაძის ავტორიტეტის აღსაღენად, თორემ შეთქმულების მასალებიდან უკვე გამორკვეულია, რომ ალ. ჭავჭავაძე არამც თუ შეთქმულების გარეშე იდგა, პირიქით, შეთქმულთა პროექტის მიხედვით, ის არჩეული იყო მომავალი მთავრობის, ე. წ. ზედა სამმართველოს (სადაც პირველ პირად ალ. ბატონიშვილს გულისხმობდნენ) სამხედრო მინისტრად, ე. ი. მეორე კაცად, ხოლო მეფის შემდეგ პირველ კაცად მთელ საქართველოში (იხ. გ. გოზალიშვილი, „შეთქმულება“, გვ. 92). ამგვარად, მისი ბიოგრაფის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გოგჩის ტბის“ ავტორის მაღალმგრძნობიარე და ღრმა შთაბეჭდილების სული ტყუილად არ ხედავდა საქართველოს სამეფოს სულთა-ბრძოლას, რომ სამშობლოს მწუხარებას არ დაეტოვებია. მის ნორჩი გულში სამუდამო კვალი“...

ეს „სამუდამო კვალი“ ალ. ჭავჭავაძემ თავის მაღალგანცდებიან პოეზიაში გამოხატა ისე, როგორც მისმა უმცროსმა სახელოვანმა თანამედროვეებმა—„სადლეგრძელოს“, „ბედი ქართლისა“ და „მერანის“ ავტორებმა.

გრ. ორბელიანის ხანგრძლივი მოღვაწეობა მრავალ ხელში არის დახლართული. ის, ახალგაზრდობიდანვე თვითმცყრობელური რუსეთის ექსპანსიის მოწინააღმდეგე და მოძულე, შემდგომ იმავე რუსეთის ტახტის ერთგული ხდება, მაგრამ ისე, რომ თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და პოეზიის ძირითადი მოტივი—საქართველოს აღდგენა, მამულისა და ქართველი ხალხის სიყვარული—ამ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუთანხმა და შეუთავსა.

მისი პრაქტიკული მოღვაწეობა კი სამხედრო მოქმედებათა მთელი ისტორიაა, დაუსრულებელი ბრძოლები, გამარჯვებანი, სამხედრო 6

რო აღლუმები, ზეიმები და ჯილდოები, ქეიფი და დროსტარება, ყაბაში და დოლი, „ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი“, მაგრამ ამ მომენტებს განუყრელად თან ახლავს პოეტური მგზნებარება და აზროვნებაც,—ოცნება წარსულზე „წინაპართ მოსახსენებლად, რომელთაც მამულისათვის“ სისხლი ულვრიათ. პოეტიც თავის თავს უყენებს მოვალეობად—გზა ცხოვრებისა განვლოს და აღბეჭდოსცა ნავალი.

ეს ნავალი მისი ვაჟკაცური პატრიოტიზმით გამსჭვალული პოეზიაა, და არა სამხედრო მოღვაწეობა, თუმცა აქაც წარჩინებული მხედარი იყო იგი. სამხედრო კარიერის უმაღლეს მწვერვალს მიღწეული, მთავარმართებელი და მთავარსარდალი კავკასიის ჯარებისა, თავის პოეზიას დემოკრატიული მოტივებითაც ამშვენებდა.

გრ. ორბელიანის პოეზიის ერთერთი შესანიშნავი ჩუქურთმა— „მუშა ბოქულაძე“ ჩვენი მესამოციანელების გავლენით არის დაწერილი. „მამათა“ ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმართულების მეთაურმა „შვილთა“ შემდეგ ბევრი რამ. დათმო. ეს დათმობა, ცხადია, არ იყო უმსხვერპლო, მაგრამ გრ. ორბელიანმა, როგორც თავის დროის განათლებულმა და დიდბუნებოვანმა ადამიანმა, რომელსაც „ზურგს უმაგრებდა 60 წლის სწავლა და გამოცდილება“, პირველმა შენიშნა, რომ სიმართლე „შვილებისაკენ“ იყო, თუნდაც ქართული ენის რეფორმის საკითხებშიაც, რის გამო ის პირველი ეკვეთა ახალი ენის კანონმდებელს და „შვილთა“ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“—გიძახოდა გრ. ორბელიანი, მაგრამ სულ მალე იმავე ორბელიანის თვალშინ დამტკიცდა, „შვილებს“ ენა არ წაუხდენიათ. მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანის აქ მოქცეული ბიოგრაფია სრული: არ არის (ამის შესახებ იხ. ამ წიგნის შენიშვნებში გვ. 213), მთელს მისს „მრავალხნოვან და მრავალმხროვან“ სიცოცხლის საფეხურებს საკმარისი დეტალებით გვაცნობს.

სულ სხვაა სიცოცხლეგანაწამები მგოსნის ნ. ბარათაშვილის ცხოვრების სურათები. ბედმა აქაც უმტყუნა მგოსნს. „ნ. ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია ისეთივე მოკლეა, როგორც მისი ცხოვრება“, —ამბობს იონა მეუნარგია, და, მართლაც, ამ ქართველი მჩქეფარე ლირიკოსის ლირიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაზე ზრუნვა ნამდვილად 80-ან წლებიდან—მგოსნის გარდაცვალების 40 წლის შემდეგ—დაიწყო. ამ დაგვიანებით ბევრი „საშვენი“ მარგალიტი დაკარგა მისმა ბიოგრაფიაზ, და რაც გვაქვს, შესაძლებელია ისიც არა გვქონოდა, თუ არა კ. მამაცაშვილი და იონა მეუნარგია—ეს XIX საუკ. ქართული მწერლობის პლუტარქი, როგორც სამართლიანად უწოდა მას პროფ. სიმონ ჯარიშიაშვილ.

რეფორმებიანი ეპოქის ფონზე, ამდენად, ცხადია, გვერდაუვლელი ხდება. აღტორისათვის, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც მოხაზვა ამ ფონისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე — შვილი „მეფე ერეკლეს მინისტრის, სანდო და თავიანი კაცის გარსევან ჭავჭავაძისა, რომლის რუსეთში ყოფნის დროს ყოველმხრივ სასომიხდილი მეფე გიორგი სიკვდილის სარეცელზე ეუბნებოდა ლაზარევს: თუ ჭავჭავაძე ჩამომისწრო, სიკვდილს არ ვინალვლებო“ — მამის პოლიტიკურ გზას როდი იზიარებდა. ის, 1804 წლის ამბოხების აქტიური მონაწილე და ამის გამო შენიშვნამიცემული, 1832 წლის დიდი შეთქმულების მთავარი ფიგურაც ხდება.

მართალია, ბიოგრაფი უარყოფს ამ შეთქმულებაში ა. ჭავჭავაძის მონაწილეობას, ან ყოველ შემთხვევაში ანელებს მას, მაგრამ უთუოდ იმდროინდელი საცენტრო პირობების გამო და მეფის რუსეთის წინაშე ალ. ჭავჭავაძის ავტორიტეტის აღსაღენად, თორემ შეთქმულების მასალებიდან უკვე გამორკვეულია, რომ ალ. ჭავჭავაძე არამც თუ შეთქმულების გარეშე იღგა, პირიქით, შეთქმულთა პროექტის მიხედვით, ის არჩეული იყო მომავალი მთავრობის, ე.წ. ზედა სამმართველოს (სადაც პირველ პირად ალ. ბატონიშვილს გულისხმობდნენ) სამხედრო მინისტრად, ე. ი. მეორე კაცად, ხოლო მეფის შემდეგ პირველ კაცად მთელ საქართველოში (იხ. გ. გოზალიშვილი, „შეთქმულება“, გვ. 92). ამგვარად, მისი ბიოგრაფის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გოგჩის ტბის“ ავტორის მაღალმგრძნობიარე და ღრმა შთაბეჭდილების სული ტყუილად არ ხედავდა საქართველოს სამეცნიეროს სულთა-ბრძოლას, რომ სამშობლოს მწუხარებას არ დაეტოვებია მის ნორჩ გულში სამუდამო კვალი“...

ეს „სამუდამო კვალი“ ალ. ჭავჭავაძემ თავის მაღალგანცდებიან პოეზიაში გამოხატა ისე, როგორც მისმა უმცროსმა სახელოვანმა თანამედროვეებმა — „სადლეგრძელოს“, „ბედი ქართლისა“ და „მერანის“ ავტორებმა.

გრ. ორბელიანის ხანგრძლივი მოღვაწეობა მრავალ ხვეულად არის დახლართული. ის, ახალგაზრდობიდანვე თვითმკყრობელური რუსეთის ექსპანსიის მოწინააღმდეგე და მოძულე, შემდგომ იმავე რუსეთის ტახტის ერთგული ხდება, მაგრამ ისე, რომ თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და პოეზიის ძირითადი მოტივი — საქართველოს აღდგენა, მამულისა და ქართველი ხალხის სიყვარული — ამ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას შეუთანხმა და შეუთავსა.

მისი პრაქტიკული მოღვაწეობა კი სამხედრო მოქმედებათა მთელი ისტორიაა, დაუსრულებელი ბრძოლები, გამარჯვებანი, სამხედ-

რო აღლუმები, ზეიმები და ჯილდოები, ქეიფი და დროსტარება, ყაბახი და დოლი, „ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი“, მაგრამ ამ მომენტებს განუყრელად თან ახლავს პოეტური მგზნებარება და აზროვნებაც,—ოცნება წარსულზე „წინაპართ მოსახსენებლად, რომელთაც მამულისათვის“ სისხლი ულვრიათ. პოეტიც თავის თავს უყენებს მოვალეობად—გზა ცხოვრებისა განვლოს და აღბეჭდოსცა ნავალი.

ეს ნავალი მისი ვაჟკაცური პატრიოტიზმით გამსჭვალული პოეზიაა, და არა სამხედრო მოღვაწეობა, თუმცა აქაც წარჩინებული მხერია იყო იგი. სამხედრო კარიერის უმაღლეს მწვერვალს მიღწეული, მთავარმართებელი და მთავარსარდალი, კავკასიის ჯარებისა, თავის პოეზიას დემოკრატიული მოტივებითაც ამშვენებდა.

გრ. ორბელიანის პოეზიის ერთერთი შესანიშნავი ჩუქურთმა—„მუშა ბოქულაძე“ ჩვენი მესამოციანელების გავლენით არის დაწერილი. „მამათა“ ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმართულების მეთაურმა „შვილთა“ შემძეგ ბევრი რამ დათმო. ეს დათმობა, ცხადია, არ იყო უმსხვერპლო, მაგრამ გრ. ორბელიანმა, როგორც თავის დროის განათლებულმა და დიდბუნებოვანმა ადამიანმა, რომელსაც „ზურგს უმაგრებდა 60 წლის სწავლა და გამოცდილება“, პირველმა შენიშნა, რომ სიმართლე „შვილებისაკენ“ იყო, თუნდაც ქართული ენის რეფორმის საკითხებშიაც, რის გამო ის პირველი ეკვეთა ახალი ენის კანონმდებელს და „შვილთა“ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“—გაიძახოდა გრ. ორბელიანი, მაგრამ სულ მალე იმავე ორბელიანის თვალშინ დამტკიცდა, „შვილებს“ ენა არ წაუხდენიათ. მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანის აქ მოქცეული ბიოგრაფია სრული არ არის (ამის შესახებ იხ. ამ წიგნის შენიშვნებში გვ. 213), მთელს მისს „მრავალხნოვან და მრავალმხროვან“ სიცოცხლის საფეხურებს საკმარისი დეტალებით გვაცნობს.

სულ სხვაა სიცოცხლეეგანაწამები მგოსნის ნ. ბარათაშვილის ცხოვრების სურათები. ბედმა აქაც უმტყუნა, მგოსნის. „ნ. ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია ისეთივე მოკლეა, როგორც მისი ცხოვრება“,—ამბობს იონა მეუნარგია, და, მართლაც, ამ ქართველი მჩქეფარე ლირიკოსის ლირიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერაზე ზრუნვა ნამდვილად 80-ან წლებიდან—მგოსნის გარდაცვალების 40 წლის შემდეგ—დაიწყო. ამ დაგვიანებით ბევრი „საშვენი“ მარგალიტი დაკარგა მისმა ბიოგრაფიამ, და რაც გვაქვს, შესაძლებელია ისიც არა გვქონოდა, თუ არა კ. მამაცაშვილი და იონა მეუნარგია—ეს XIX საუკ. ქართული შწერლობის პლუტარქი, როგორც სამართლიანად უწოდა მას პროფ. სიმონ ჯარიშიამ.

ი. მეუნარგიამ, XIX საუკ. საფრანგეთის კულტურას ზიარებულმა, ძალუმად იგრძნო მისი დროის ქართული ლიტერატურის ეს დიდი ნაკლი, რომ არც ერთი გამოჩენილი მწერალ-მოლვაწის „ცხოვრების აღწერა“ ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი გაგონილა. თითქო იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთველი იდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობრივი უცოდინარობა“ — აღნიშნავს თვითონ მეუნარგია და კიდევ დასძენს: „ეს ნაკლულევანება ქართული მწერლობისა უნდა გასწორდეს, იმ პირებზე მაინც, რომელთაც ამ საუკუნეში გაღმოუტიჯებიათ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და 80 წლის სალმობა თავიანთი მაგარი ზურგით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიათ და უმოლვაწნიათ და უდროოდ დაპყარგვიან ჩვენს ქვეყანას“. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ამ წიგნში შოქცეულ მგოსნებზე. როცა ავტორი ამ სტრიქონებს წერდა (იხ. ალ. ჭავჭავაძე, გვ. 17), მას, უთუოდ, მხედველობაში ჰქონია დაწერა ბიოგრაფია როგორც ალ. ჭავჭავაძისა, აგრეთვე გრ. ორბელიანისა და ბარათაშვილისა. მან ეს ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, და თუ როგორ,—ამაზე სიტყვა მკითხველისა იყოს, მაგრამ იმ პირობით, რომ გათვალისწინებულ იქნეს ის დრო, გარემოება და საშუალებანი, როცა ავტორი მოლვაწეობდა, როცა მას საამისო მასალის შეკრება და მისი სტრიქონებად და წიგნად დამუშავება უხდებოდა, რაც შეიძლება საკუთარი გააზრების მიხედვით. და თუ რამდენად მცდარია ან სწორი ამ გააზრებით ჩამოქნილი დებულება, ან რომელიმე კონკრეტული აზრი, — ეს შედეგია ავტორის იდეოლოგიისა, რომელსაც შეიძლება თანამედროვე მკითხველის აზრი და განწყობა ყველგან ვერ შეეწყოს და შეეთვისოს, მაგრამ რაკი ვიცით, რომ „მწერალი დროის შვილია“, ამ მწერლის მემატიანეც ხომ დროს ვერ გაექცეოდა.

საკითხისადმი ასეთი მიღომის შემდეგ მკითხველის ანალიზი უეჭველად სწორი და მისაღები იქნება, ხოლო ამ წიგნში თავმოყრილი მასალა — ჩვენი ლიტერატურის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, და ორიოდე სიტყვით თვით მეუნარგიას ცხოვრების ზოგიერთი შტრიხის გაცნობაც არ იქნება ურიგო და უსარგებლო.

\* \*

ქართული ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს სხვა მოლვაწე, რომელსაც თავისი საქმიანობის პირითად მიზნად ჩვენი დიდი მწერლებისა და შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების ისტორიის შედგენა, ან, როგორც თვითონ ი. მეუნარგია ამბობს, „ცხოვრებისა და მოლვაწეობის აღწერა“ გაეხადოს.

ეს საქმე ჩვენში ი. მეუნარგიამ იკისრა. ის თავის თავს „ქართული ლიტერატურის მეწვრილმანეს“ და „ფაქტების მომქუჩავებელს“ ეძახდა. ეს თავმდაბლობა და მოკრძალება მას სამარემდე მიჰყვა. 80-ანი წლებიდან დაწყებული, ის ფანქარმომარჯვებული დასდევდა ცველა დიდ მოღვაწესა და მწერალს, რაღაც „არქივების გადახედვას და მით შეცდომების გასწორებას ყოველთვის მოესწრება კაცი, ხოლო ზეპირად გადმოცემული ისტორია კი გაიფანტება დროთა ბრუნვაში“. ამ „წვრილმანებით“ ის დიდ საქმეს აკეთებდა.

გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის მე-18 თავში მეუნარგია წერს: „ჩვენში კრიტიკა და ბიოგრაფია, რაღაცგვარი სალიტერატურო ზრდილობის ბრძანებით, შინაური ცხოვრების აღწერაში ერთობ ზელმოჭერილია. „ჩემს ოთახში ვის რა ეკითხება რა ხდებაო“ — აი საფუძველი ამგვარი დარბაისლური საქციელისა... ჩვენ უნდა ვულალატოთ ამ ზნეს, საყვარელი გაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“... და, მართლაც, ი. მეუნარგია შეიქრა თავის თანამედროვე მწერალთა შინაურ ცხოვრებაში, როგორც თვითონ აღნიშნავს, ის იყო „დაახლოებული თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ მწერალ-მოღვაწეებთან“ (რასაც მის არქივში დაცული მასალები მოწმობს), მათგან უშუალოდ კრეფლა საინტერესო მასალას თავის „სამახსოვრო წიგნაკებისათვის“, საიდანაც შემდგომ შეიქმნა იშვიათი მხატვრული სტილით, გემოვნებითა და კულტურულად შესრულებული „ცხოვრების აღწერები“ აღ. ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა, გიორგი და დავით ერისთავებისა, მამია გურიელისა, გ. ჭალადიდელისა, კოლხიდელისა (ჯერ გამოუქვეყნებელი), დავ. დადიანისა (სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი), ნიკ. დადიანისა (სამეგრელოს „სჯულმდებლის“), მოგონებანი ილიასა და აკაკიშე და სხვ.. ქართველმა მკითხველმა ამ შრომათა ღირებულება კარგად იცის და ამიტომ მათს დახასიათებაზე არ შევჩერდებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურის ბიჭიერი მეცნიერი, მემატიანე და ქართულ ხალხურ მახვილისტყვაობათა დაულალავი შემკრები იონ ა მიხეილის-ძე მეუნარგია, დაიბადა 1852 წლის 18 (30) დეკემბერს სოფ. ცაიშში (ზუგდიდის რ.), იმ დროისათვის საკმაოდ კულტურულ ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ჯერ მარტვილის (ახლა გეგეჭკორის) სკოლაში, რომელიც ერთადერთი იყო მაშინდელს სამეგრელოში, და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის კურსის დასრულების შემდეგ შევიდა თბილისის სას. სემინარიაში. 1874 წ. გარიცხულ იქნა სემინარიის უკანასკნელი კურსიდან, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო და აქტიური მო-

ნაწილე სემინარიელთა იმ ჯგუფისა, რომელმაც შეურიაცხვყო კავკასიის მთავარმართებელი დიდი შთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე (რის შესახებ მის არქივში დაცულია მთელი რიგი მასალები „სემინარიელის დღიურების“ სახით, საიდანაც ნაწილი ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ იქნა ურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1936 წ. № 5-ში):

იმავე წელს ი. მეუნარგია სწავლის გასაგრძელებლად შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც იმ დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა (5. ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ჭყონია და სხვ.) ეგულვებოდა. ორი წლის განმავლობაში სწავლობდა უენევის აკადემიაში, ხოლო 1876 წ. გადავიდა პარიზში, სადაც კიდევ ორი წელი დაჰყო. იქ მყოფ ქართველ მოლვაწეთა მეოხებით ის გაიცნო ფრანგ მწერლებს და მათ შორის საფრანგეთის უდიდეს მგოლანს ვიქტორ ჰიუგოს.

ჰიუგოსთან შეხვედრამ ახალგაზრდა ქართველ ლიტერატორზე წარუშლელი შთაბეჭდილება და შეტყოში მოქმედებისათვის შეს ერთგვარი გეზიც მისცა. იგი გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკებში საქართველოს „შეახებ თავმოყრილ ფრანგულ ლიტერატურასა და ქართულ ხელნაწერებს, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გაღმოწერა ნანუჩა ციც-შვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი (396 სტროფი) და 1878 წლის მიწურულში დაბრუნდა საქართველოში.

ეს ის დრო იყო, როცა სერგეი მესხის გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭაძის ურნ. „ივერიას“ ქართული მწერლობის მაჯისცემა საქამად მოელონიერებინა. „მამათა“ და „შვილთა“ ლიტერატურული პრძოლებიც თითქმის დამთავრებულიყო „შვილთა“ სასარგებლოდ და მხცოვანი პოეტი გრ. ორბელიანი ქართული მწერლობის საერთო შეფი იყო.

ი. მეუნარგიამაც პირდაპირ „დროებასა“ და „ჩვერიას“ მიაშურა და გახდა მათი მუდმივი თანამშრომელი და თანარედაქტორიც („დროებისა“). იმ ხანებშივე არჩეულ იქნა ახალდაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ვამგეობის მდივნად. ამ დღიდან ი. მეუნარგია ენერგიულად მოლვაწეობს საზოგადო და სამწერლო ასპარეზზე. მისი ინიციატივით დაიწყო ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვება. ამ საქმეში პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და გრ. ჩარკვიანი. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პერიოდიდან ი. მეუნარგიას მოლვაწეობა რუსთველის გენიალური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე (1880—1888).

1880 წ. „დროების“ № 241-ში რაფ. ერისთავის, ი. გოგებაშვილისა და იოხა მეუნარგიას ხელმოწერით გამოქვეყნდა მოწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გადასინჯვისა და დადგენის შესახებ. მეუნარგიასავე ინიციატივით ამავე წელს შედგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია გრ. ორბელიანის თავმჯდომარეობით, რომლის ავტორიტეტისა და წ. კ. საზ-ბის მდივნის თანამდებობის გამოყენებით მეუნარგიამ შესძლო ოჯახებიდან შეეკრიბა 22 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ამ რედაქციაში წარსაღვენად. იმ ხანებშივე (1884)

ი. მეუნარგიამ თარგმნა ეს პოემა ფრანგულ ენაზე უცხოელი მწერლების (მაშინ საქართველოში ცხოვრობდნენ) უ. მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ-ზუტენის შემწეობით, რომელთაც თავიანთი დადებითი შთაბეჭდილება აღნიშნულ თარგმანზე პრესის საშუალებითაც გაუზიარეს ქართველ საზოგადოებას („კავკაზ“, „დროება“, ივერია“). ხოლო დიდია ილიამ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე მეუნარგიას ლვაწლს მეტად ორიგინალური შეფასება მისცა.

1884 წელს საქართველოში ახლადჩამოსულ საფრანგეთის ელჩია და საქველმოქმედო კომიტეტის წევრების „დროების“ რედაქციაში მისი რედაქტორის ივ. მაჩაბლის ინიციატივით შესანიშნავი შეხვედრა მოუწყო, სადაც მრავალი წარჩინებული პირი დაესწრო, (იხილეთ გაბ. „დროება“ № 260), — შესანიშნავი სიტყვები წარმოსთქვეს ორმადიდმა ქართველმა მწერალმა, აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძეს. ილიამ საქართველო შეადარა დიდი მუხის გვერდით აყვავებულ იასრა ბოლოს დაურთო: „დღეს როგორდაც წილად მხვდა, საცა დიდი იხსენიებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო. როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მზის ბრწყინვალებით განცვითორებული, თაყვანს სცემდა მას, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს ძატივსა სცემდა მთვარესაც, რომელსაც მხოლოდ მზის შუქი ანათებს. რაკი საბართლიინის თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უამართლობა და უმაღლერობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება; რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადლეგრძელოს მეუნარგია“ (იქვე).

დიდი მგოსნის ამ სიტყვებს დიდი გავლენაც ჰქონდა. დაწყებული საქმე პრწყინვალედ წარიმართა. უნგრელმა მხატვარმა მიხ. ზიჩიმ მეუნარგიას ამ თარგმანის მიხედვით შემნა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციები. აღნიშნული რედაქციის მუშაობაც ბრწყინვალედ დასრულდა 1888 წ. მისი შედეგია რუსთაველის გენიალური ქმნილების ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემა.

ი. მეუნარგიას მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება. ის, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მკვლევარი და ხალხური შემოქმედების შემქრები, 1879 წლიდან დაწყებული მონაწილეობდა თითქმის ყველა ქართულ-რუსულ უურნალ-გაზეთში („ტიფლისკი ვესტნიკ“, „დროება“, „ივერია“, „კავკაზ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვ.), ხოლო სერგეი მესხისა და შემდეგ ივ. მაჩაბლის დროს ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქტორის მოვალეობასაც. მისი ცნობილი ფსევდონიმებია: „ლელო“, რომლითაც ის დიდხანს ბეჭდავდა „ივერიაში“ საქართველოს ისტორიულ პირთა მოსწრებულ სიტყვებს („ნაკვესი“), „ი. მ.“, „ცაიშელი“, „ი. მ-ია“ და სხვა. გარდა ამ კრიტიკულ-პუბლიცისტური ნარკვევებისა და წერილებისა, მეუნარგიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე ორი არქეოლოგიური მოგზაურობის—სვანეთსა და აჭარა-ქობულეთში—აღწერა (დაიბეჭდა 1887 წ. რუსულ ენაზე) და „ვეფხისტყაოსნის“ მოკლეშინარსის შედგენა რუსულ ენაზე.

ხალხოსნური იდეების გავლენაში მყოფია ი. მეუნარგიამ სავსე-  
პით დააღწია თავი მეფის ჩინოვნიკობას და მუდამ არჩევითს თანა-  
მდებობაზე მუშაობდა, როგორც ხალხის მოსამსახურე. იდეოლოგიუ-  
რად კი, როგორც თვითონ აღნიშნავს ილიას შესახებ თავის მოგო-  
ნებაში, მას სიკვდილიამდე არ უღალატნია თავისი დიდი მოძღვრი-  
სათვის, ეს მისი მოძღვარი კი იყო „ილია გრიგორიას-ძე ჭავჭავაძე“,  
ქართველი მწერალი და საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის  
ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული  
საზოგადო მოღვაწე“ („პრავდა“, 1936 წ. № 244).

თვითმპრობელობის ტახტის დამხობით აღფრთვანებული და  
რევოლუციით გაენთუზიასტებული მხცოვანი მოღვაწე არჩეულ იქნა  
სამეგრელოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საპატიო  
წევრად და ხელმძღვანელად, ხოლო უკანასკნელად — მოსამართლეთა  
ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. ამ მოვალეობის ასრულებისას  
ი. მეუნარგია გულის დამბლით უცერივ გარდაიცვალა 1919 წ.  
15 მაისს ქ. ახალსენაკში (ახლა ცხაკაია). დაკრძალულ იქნა თავის  
სამშობლო სოფელ ცაიშში.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში მოხერხდა იონა მეუნარგიას  
ღვაწლის დაფასება და გაშუქება, მთელ რიგ მის დაუბეჭდავ ნაწერთა  
გამოქვეყნება, თუნდაც წინამდებარე კრებულის ამ პირველი ნაწილის  
გამოცემაც ამის უტყუარი დასტურია.

ისტყვის გაგრძელებას დარიდრებული, ვამთავრებ ამ მოკლე წი-  
ნასიტყვას. რამდენიმე ცნობა ამ კრებულში მოცემული მასალების  
ტექსტის შესახებ ასეთი იქნება: ისინი სხვადასხვა დროს იყო და-  
ბეჭდილი სხვადასხვა ორგანოში, ზოგი ცალკე წიგნადაც (ამის შე-  
სახებ უფრო დაწვრილებით ბოლოს დართულ შენიშვნებში), ამიტომ  
აღსანიშნავია, თუ რა ცვლილებით იბეჭდება ამჟამად: საგრძნობი  
რაიმე ცვლილება არ შეგვიტანია და არც გვქონდა ამის უფლება.  
ავტორის სტილი, მართლწერა და წერის მანერა დაცულია. მო-  
ვახდინეთ ზოგიერთი ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ხასიათის  
შესწორება, გავასწორეთ აგრეთვე ძველ გამოცემაში ტექნიკური  
შიჩებებით დაშვებული ლაპსუსები. შევცვალეთ ზოგი სიტყვა, რო-  
გორც მაგალითად: („ტანცია“, „ბალკონი“, „ზალა“) და ზოგიერთი  
არქაული გამოთქმა (გარნა და სხვ.), მაგრამ მხოლოდ მეუნარგიას  
ნაწერში, მოყვანილი დოკუმენტები კი ხელუხლებლად არის დატოვე-  
ბული, გარდა რუსული ტექსტებისა, ისინი კი, ასეთი ხასიათის გა-  
მოცემისათვის როგორც ზედმეტად დამტვირთავი მასალა, სრულიად  
ამოვილეთ, რაკი მათი ქართული თარგმანებიც თავიდანვე იყო მო-  
ცემული. ამგვარად, წიგნში რუსული დოკუმენტების (გაძონაკლისის  
გარდა) მხოლოდ ქართული თარგმანებია დატოვებული, ხოლო ისეთი  
რუსული ტექსტი, რომელსაც თარგმანი არ ახლდა, ისევ ისე დარჩა.  
მოყვანილ ქართულ დოკუმენტებში რუსიციზმებიც ხელუხლებელია.

სხვა მხრივ სამივე მასალა იბეჭდება უცვლელად, ავტოგრაფებ-  
თან და წინაგამოცემებთან შეკერებულ-შეთანხმებული.

၁၂၆. နေဂါနာဒုဂ္ဂ



ალექსანდრე ჭავჭავაძე

## ალექსანდრე ჭავჭავაძე

ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება. სილუეტი არც კი გაგონილა. თითქო იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთველიდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანთა ვინაობის უცოდინარობა.

ეს ნაკლულებანება ქართული მწერლობისა უნდა გასწორდეს იმ პირებზე მაინც, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოუბიჯებიათ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და ოთხმოცი წლის სალმობა თავიანთი მაგარი ზუ--გით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიათ და უმოლვაწნიათ და უდროოდ დაჰკარგვიან ჩვენს ქვეყანას.

ა ლექსანდრე ჭავჭავაძე ერთი ის შესანიშნავი კაცი იყო რომლის ხსოვნა ჩვენს მწერლობას ესაჭიროება, მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც. მ-სი ხანგრძლივი სიცოცხლე ნიმუშია, რომლითაც შეიძლება ჩვენს შემდეგ მომავალ თაობათა წარმოიდგინონ, თუ რაც იყო მისი დროება.

შორდება ჩვენი ქვეყანა ამ დროებას. რაც უფრო აწყდება იმას ძაფები, რომლითაც მილანდულია ის ამ დროსთან, მით უფრო და უფრო საინტერესო იქნება ჩვენთვის, ხალხისათვის, ეს დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი მდგომარეობა გათავდა, ჩვენს პოლიტიკურ ნანგრევებზე ჯერ საფუძველი დაედო და შემდეგ გაშენდა ის ახალი პოლიტიკური წესი, რომლის ქვეშა ვართ ეხლა ჩვენ.

ამ წყობილებასთან შეგვრჩება ჩვენ ჩვენი ნაციონალური სახე, ენა, ზნეჩვეულება თუ არა, ეს ჩვენს საკუთარს მეტადინეობაზეა დამოკიდებული, მაგრამ შეგვრჩება თუ არა ეს სახე, გაქრება თუ არა ჩვენი ეროვნება, რომელსაც ; სოდენ ძლიერი სახელმწიფო არ ჰყოლია ჯერ პატრონად, ყოველ შემთხვევაში ის დრო, როდესაც ცხოვრობდა ალ. ჭავჭავაძე, ე. ი. უკანასკნელი წლები ირაკლის მეფობისა, რუსეთის შემოსვლა საქართველოში და მათი უფლების დამყარება მეტისმეტად ღირსშესანიშნავია, ან როგორც უკანასკნელი თავი იშათასთურულოვანი წიგნისა, მელშისაც ჩაწერილია უკუნითი-უკუ-2. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები.

ნისამდე ჩვენი ხალხის ისტორია, ან როგორც პირველი თავი მეორე წიგნისა, რომელშიაც უნდა ჩაიწეროს ჩვენი ხალხის განახლებული ცხოვრება.

ვიღაც ენამახვილმა ფრანგმა მწერალმა თქვა: როდესაც დანტონი ტანთ გაიხდიდა, რევოლუცია შიშველი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა მის დროს თუ შიშვლად არა, შინაურულად მაინც დაგვანახებს.

\*\*

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს. იშვიათ ვისმე ქ. როველთაგანს ჰქონია ისეთი ბედნიერი ჩამომავლობა და აღზრდა, როგორიც ჰქონდა ა. ჭავჭავაძეს. მამამისი, გარსევანი, იყო საქართველოს ელჩიდ რუსეთში. მან მოაწერა ხელი 1783 წელს (24 ივლის) გეორგიევსკის ტაძრატის, რომლითაც დაიწყო საქართველოში რუსეთის მფარველობა; შემდეგში, 1798-ს პავლე I-ლის ტახტზე ასვლის დროს, ის ხელახლა გაიგზავნა რუსეთში მეფე ერეკლესაგან და ტახტზე ასვლის მიღლოცვის შემდეგ გეორგიევსკის ტრაჯტატის დამტკიცება და საქართველოს მემკვიდრედ გიორგის დანიშვნა ითხოვა; დასასრულ, 1798 წელს გარსევან ჭავჭავაძე უკანასკნელად გაიგზავნა მეფე გიორგისაგან პეტერბურგს და უკანასკნელად ითხოვა რუსეთის მფარველობა.

ამ მოგზაურობის დროს მისი პოლიტიკური მისია განხორციელდა. 1800 დეკ. 1800 წელს პავლე პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს.

სხვა ბიოგრაფიული ცნობა რომ არა იყოს რა გარსევან ჭავჭავაძის შესახებ, მარტო ეს ისტორიული ფაქტიც საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რაგვარ სფეროში იზრდებოდა ჩვენი პოეტი.

სხვა ცნობებიც მოწმობენ, რომ გარსევან ჭავჭავაძე იყო მწიგნობარი, მას ჰქონდა ყოველგვარი მისი დროების განათლება, იცოდა რუსული ენა და სასახლეში უპირველესი ადგილი ეჭირა. ამასთან, ამავე ცნობებით, საქართველოს თავად-აზნაურობაში გარსევანი იყო ყოველთაგან პატივცემული და პეტერბურგში გადასახლებულ ქართველობასთან დიდი განშეყობილება ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ერეკლემ ის პირველ ელჩიდ აირჩია ისეთ მძიმე საქმეში, როგორიც იყო ერთი სამეფოს მეორე სამეფოსათვის დამორჩილება.

დედა ალექსანდრესი, მარიამ ივანეს ასული ავალიშვილისა, მისი დროის კვალობაზე განათლებული ქალი იყო, „ვეფხისტყაოსანზე“ და ჩვენს ძველებურ წესზე აღზრდილი.

\* \*

რუსეთის კარი ამ დროს ეძებდა კარგს განწყობილებას საქართველოსთან. დიღმა იმპერატრიცამ, ეკატერინე II-მ, ისურვა საქართველოს ელჩის შვილის მონათვლა, გარსევანი ვერც კი ინატრებდა უკეთეს პატივს. და ჩევნა პოეტი მონათლეს ე დატერინე II-მ და დიღმა მთავარმა ალექსანდრემ, შეშფეგში იმპერატორმა ალექსანდრე პირზე კი ანდრე ველმა.

მაყვლისფერი ხავერდის ბალიში, რომელზედაც ამოიყვანა ემბაზიდან ნათლია იმპერატრიცამ ალექსანდრე ჭავჭავაძე, დღესაც ინახება მის შვილისშვილებში. უკანასკნელად ამ ბალიშზე მონათლა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სამეცნიელოს თავადის შვილები, რომელნიც ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილისშვილის შვილები არიან<sup>1</sup>.

ამგვარმა დიდებულმა ნათლიებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს ის პირობა, რომელშიაც გაიზარდა პოეტი.

როცა ოთხი წლის შეიქნა ალექსანდრე, გარსევანი დაბრუნდა სახლობით თბილისს. რაღვანაც თბილისში იმ დროს სასწავლებელი არ იყო, მამამ თან წამოიყვანა ბავშვის ლალაც ერთი ფრანკუზი, რომელიც დიდხანს იყო ალექსანდრეს ოსტატად. აქ ისწავლა ალექსანდრემ ფრანგული, გერმანული, რუსული, სპარსული და ქართული. მეზადრე ქართული, რომელი ; იმან ასე ზედმიწევნით იცოდა.

ს. ქ. რთველოში ამ დროს არეულობა იყო. ირაკლის მხნეობა მოტარდა, მტრები აიშალნენ და შეი ქართველ თავადიშვილებში და ბატონიშვილებში. დიდი უთანხოუბა და განხეთქილება ატყდა. სულ ყელაფერი მიიღებული საქართველოს დაცემისაკენ, მეხუთე მოქმედ ბა თავურებოდა და უკანასკნელი ფინალის არეულად. გალობაც იწყებოდა.

ამგვარ დროებაში, რასაკვირველია, შვილის ალზრდისათვის არავის სცალოდა საქ რთველოში. მხოლოდ ბედისგან განებივრებული ალექსანდრე თავის ფრანკუზის მეცნიერებას ისმენდა და თავისუფალ დროს დასეირნობდა პირველად მამამისისაგან ჩვენში შემოტანილ „კარეტით“.

სამწუხაროდ, სხვა არა ვიცით რა მისი სიყვარულიდან. თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ, რაღვანაც ჩვენამდის მუსლიმებია, მოვიყვანთ აქ ერთ ეპიზოდს იზის სიყმაწვილიდან. ამბობენ, რომ ერთ რაღაც დღეობაში, სა და მეფეც ბრძანდებოდა, ალექსანდრეს ბეჭედი დაჰკარგვია მინდორში, რომელიც ბევრი უძებნიათ თურმე, მაგრამ ვერ უპოვნიათ. მეორე წელს იმავე დღეობაში და იმავე შეკრები-

<sup>1</sup> ე. ი. ეკატერინეს შვილის ნიკოს (დიდ ნიკოდ წოდებულის) შვილები: პატარა ნიკო და მაია (შემდეგ ობოლენსკიზე გათხოვილი).

ლებაში ყმაწვილი ალექსანდრე ზინდორჩე მჯდომარე ათამაშებდა წკეპლას და უეცრივ ამ წკეპლაზე, წამოეცო თურმე ეს ბეჭედი.

ვიმეორებთ, არა ვიცით რა იმის სიყმაწვილიდან, მაგრამ ის კი შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საქართველოში ყოფნას უსარგებლოდ არ ჩაუვლია მისთვის, შეძლევგში „გოგჩის ტბის“ ავტორის მაღალმგრძნობიარე და ლრმა შთაბეჭდილების სული ტყუილად არ ხედავდა საქართველოს სამეფოს სულთა-ბრძოლას, რომ სამშობლოს მწუხარებას არ დაეტოვებია მის ნორჩ გულში სამუდამო ქვალი...

\* \*

არ ვიცით, რამდენ ხანს დარჩა ალექსანდრე საქართველოში უიპეველია, გარსევანმა თან წაიყვანა ის პეტერბურგში, როცა მეცე ერეკლემ ხელმეორედ გაგზავნა ის რუსეთში პავლე I-ლის ტახტზე ასვლის დროს.

არ ვიცით აგრეთვე, როდის შევიდა ალექსანდრე პაჟების კორპუსში და როდის გაათავა იქ სწავლა<sup>1</sup>. ვიცით მხოლოდ, რომ ამ სასწავლებელში ის სწავლობდა ადლერ ბერგთან<sup>2</sup>, რომელთანაც ის ძლიერ იყო დაახლოებული და სწავლა გაათავა დიდი წარმატებით. სწავლის დასრულების შემდეგ განწესდა პაჟალ სასახლეში.

ამ დროებში საქართველოში ყველაფერი გათავდა: თბილისი დაიწვა, ირაკლი მოკვდა, გიორგი მოკვდა, მეფის სახლობა რუსეთში გაიგზავნა, საქართველოში რუსეთის მთავრობა დაწესდა და სხვ. ალექსანდრე შორიდან ისმენდა მ-მულის თავგადასავალს. პეტერბურგში მას ისეთი ადგილი ეჭირა, რომ საქართველოს ყოველგვარ ამბავს ან სასახლის მოხსენებაში კითხულობდა, ან პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ოჯახებში შეიტყობდა ხოლმე.

როცა ალექსანდრე 26 წლისა შეიქნა, ცოლად შეირთო სარდლის, ივანე ჯამბაკურ-ორ ბელიანის, ქალი სალომეეს იყო 1812 წელს, როცა რუსეთს მოედო ნაპოლეონ პირველის ცეცხლი. ცხადია, ალექსანდრე არ რეული ნაპოლეონის

<sup>1</sup> თვით ჭავჭავაძე თავის ჩვენებაში (ჩ. გ. გოგჩალიშვილის „1832 წლის შეთქმულება“, ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩვენებანი) ამბობს, რომ იგი პაჟების კორპუსში 1805 წელს შესულა, რომელიც 1809 წ. დაუმთავრებია, ხოლო 1810 წ. პორუზჩიკის ჩინი მიუღია. და ლეიბგვარდიის პუსართა პოლკში გამწესებულა. 1811 წელს სამშობლოში დაბრუნებული დაუნიშნიათ გენერალ-ლეიტენანტ მარკოს პაულიჩის ადიუტანტად.—ს. ც.

<sup>2</sup> ალექსანდრე II-ის სასახლის მინისტრი, რომლის ფერებში შესრულებული მხატვრული დიდი სურათი აშეამად ინახება ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.—ს. ც.

ჭინააღმდევ ბრძოლაში, რაღგანაც ამჟამად იმას ვხედავთ საქართველოში, კახეთის აჯანყების დასამშეიდებლად გაგზავნილს.

თბილისიდან მოშორებულ კახეთში ბატონიშვილებმა (ალექსანდრე ბატონიშვილი<sup>1</sup>) განიზრახეს ამ დროს რუსეთის ქვეშევრდო-მობიდან განდგომა და ააჯანყეს კახელები. მთავრობამ ამათი დამშვიდება მიანდო ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ალექსანდრემ ჯერ მოინდომა კახეთის დამშვიდება ტკბილი ქართულით, მაგრამ, რომ ვერა გააწყო-რა, საქმე ძალაზე და სროლაზე მიღდა.

რასაკვირველია, ამ შებმაში მთავრობის მხარემ გაიმარჯვა. ალექსანდრე სწუხდა, რომ საკუთარ ძმებთან უნდა ეომა, მაგრამ მოვალეობისა და სამხედრო დისკიპლინის მონა, ის შეება კახელებს და ცდილობდა საქმე ისე მაინც გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყო.

ბევრი უბედურება მართლაც არ მომხდარა, მაგრამ თვითონ პოეტი ლამის იმსხვერპლა ამ აჯანყებამ. ერთმა გლეხეცმა ის დაჭრა ფეხში.

ამ ჭრილობას ძლიერ ცუდი შედეგი ექნებოდა პოეტისათვის, რომ დროზე არ მიშველებოდნენ ქუთათური თურმანიძეები<sup>2</sup>, რომელიც იმ დროშიაც თურმე შესანიშნავი ექიმები იყვნენ.

ამ ჭრილობიდან რომ მოჩა, ალექსანდრე წავიდა რუსეთს და გაჰყვა იმ ჯარს, რომელიც გაედევნა ვარსკვლავმიხდილ ნაპოლეონ პირველს და 1814 წელს შევიდა პარიზს. ძლევამოსილ კოალიციის ჯართან.

<sup>1</sup> ალექსანდრე ბატონიშვილს მეუნარები საქართველოს მიტრიდაცს. უწოდებს.

#### ს. ც.

<sup>2</sup> მაშინდელი განთქმული ექიმები ქუთაისში და მთელ დასავლეთ საქართველოში. თურმანიძეთა პოპულარობა ისეთი ყოფილა მაშინ, რომ ურიგო არ იქნება არიოდე ცნობაც მოგაწოდოთ ამ შინაურ ჯანაოზთ, მაგრამ მაინც მაშინდელი დროის „მედიცინის დოკტორების“ შესახებ, ცნობა მეტად დამახასიათებელი და მოსწრებული: სამეცნიერო უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის სახლთუზუცესი და შემდეგ მსაჯულთუზუცესი როსტომ ჩიქოვანი, სამეცნიეროში „როსთო ქულად“ (კოჭლი როსტომ) წოდებული, მეტად ენამანვილი კაცი ყოფილა. მის მოსწრებულ სიტყვათა კრებულში ერთი ასეთი ენამანვილობაც არის: როსტომმა ცოლი შეირთო, თავადის მიქელაძის ქალი. დიდი ქორწილი გადაიხადა. ქორწილში დაესწრო სამეცნიეროს მთავარი დავითი — ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე — და სხვა წარჩინებულნი, როგორც სამეცნიეროდან, ისე გარეშე ქვეყნებიდანაც მეორე დილას როსტომს შეხვდა დიდი ნიკო დადანის „სიმონა გლახა“. სიმონამ ჰყითხა: როსტომ, კიდევ კოჭლობორ შე სულელო, თურმანიძე კი არ შემირთავს, მიქელაძის ქალი შევირთო, — უთხრა როსტომმა „, ე. ი. ექიმი კი არ მომიყვანია, კოჭლობიდან რომ მოვერჩინეო. ს. ც.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე ისევ საქართველოში ჩამოვიდა<sup>1</sup> და განაგრძობდა სამხედრო სამსახურს. იმის ცხოვრებაში დიდხანს ისკუთი არა მომხდარა რა, რომ მის ცხოვრების აღწერაში ჩასა ერი იყოს.

ხუთმეტი წლის შემდეგ საფრანგეთის ომის გათავებისა, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ატყდა ომი. ალექსანდრემ ამ ომშიაც მიიღო მონაწილეობა; ის იყო მცირეაზის ჯარმი და აიღო ბაიაზეთი.

მაგრამ ბაიაზეთის მამაცს, ეკატერინეს და ალექსანდრე პირველის ნათლულს, კახეთის დამამშვიდებელს ოთხი წლის შემდეგ და სახელდობრ 1832 წ. ეწია ისეთი განსაკუდელი, რომელმაც საპინელი გავლენა იქონია მთელს მის არსებაზე: მას შესწამეს პოლიტიკური ორგულობა, დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და შემდეგ 4 წლით ქ. ტამბოვში გაგზავნეს.

ჩვებ ცოტა დაწვრილებით მოვიყვანთ ამ ეპიზოდს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებიდან.

ამ დროს პირველად შეკრბა თბილის რუსეთში სწავლადასრულებული ყმაწვილკაცობა: ორ ბელიანები, ერისთავები, ჭავჭავაძეები, უიფიანები, უიფიანები. საქართველოს დამოუკიდებელი მდგომარეობა ისე ახლო იყო იმათვან, მისს წარსულში იმდენჯერ სმენიათ იმათ სამშობლოს დამონება და განთავისუფლება, მაშინდელი რუსის ჩინოვნიკების მმართველობა ისე გაუხარებელი იყო ქართველებისათვის, რომ ამ ყმაწვილების უმწიკვლო გულში დაიბადა და აღვილად გასაგები გრძნობა სამშობლოს განთავისუფლებისა.

ხუთმეტიოდე ყმაწვილკაცებმა განიზრახეს მაეკ ათ საქართველოს მთავარმართებელი და ყველა ცალკე ნაწილების მოთავე რუსები, ჩაეგდოთ ხელში არსენალი, ხაზინა, მეტეხი და ბოლოს საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ. ისინი იკრიბებოდნენ ხან განსუენებულ დიმიტრი ორბელიანთან<sup>2</sup> ხან პუპლიასთან<sup>3</sup>. ამბობენ, რომ იმათი განზრახვა არ გაეგოთ, დაკეტდნენ ოთახს, დააქრობდნენ სამთელს და შიგ ოთახში მოჰყებოდნენ ჩურჩულს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ხნით და არც ახრით არ იყო იმათი თახამოაზრე, თუმცა ყველა ეს ყმაწვილკაცობა იკრიბებოდა მის უპირველეს თბილისის სალონში, მაგრამ ვერავინ მათგანი ვერ ჰქედავთა კრინტი ამოელო მათ პოლიტიკურ პროექტზე.

ამ ყმაწვილების გააზრახვა შეიტყო თბილისის გუბერნატორის ძმამ ფალავანდიშვილმა<sup>4</sup>. ფალავანდიშვილმა ეს საიდუმლო შეატყო-

<sup>1</sup> ალ. ჭავჭავაძე 1817 წ. დაბრუნდა სამშობლოში პოლკოვნიკის ჩინით.—ს. ც.

<sup>2</sup> დიმიტრი ვახტანგის—ძე ორბელიანი გარდაიც. 1882 წ.—ს. ც.

<sup>3</sup> პუპლიას ალექსანდრე ორბელიანის ეძახდნენ.—ს. ც.

<sup>4</sup> ისე ფალავანდიშვილი, შეთქმულების მონაწილე, მისი ძმა ნიკოლოზი იყო ტფილისის გუბერნატორი—ს. ც.

ბინა გუბერნატორს და გუბერნატორშა მაშინდელ მთავარმართებელს როზენს<sup>1</sup>. როზენმა ზარები დარეკა. იშას წარმოუდგა, რომ ეს არის გაწყდა რუსები კავკასიაში და ერთ ღამეს ყველა ეს ყმაწვილკაცები დაიჭირეს. რუსების სიკვარულის გარდა მის განკარგულებას ცოტა დამსახურების ბეჭედიც აჩნდა: აქამ და საქართველო მეორეჯერ მოვაგებინე რუსებსო.

როცა ამ ყმაწვილკაცებს ჩამოართვეს ჩვენება და საქმიდან აღმოჩნდა, რომ ისინი ხშირად დადიოდნენ პლექსანდრე ჭავჭავაძესთან, იმათ ეჭვი აიღეს ჩვენს პოეტზეც. ერთი მათგანის (იმის სახელის ჩვენება არ გვიჩდა, რადგანაც ის ჯერ კიდევ ცოცხალია<sup>2</sup>). ჩვენებამ სულ დაარწმუნა მთავარმართებელი ბარონი, რომ ალექსანდრეც რუსეთის წინააღმდეგი იყო. ამ ყმაწვილის ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ ერთხელ, როდესაც შეთქმული შეკრებილნი იყვნენ ჩვენს პოეტთან და ვახშმის ჭამა დაეწყოთ, ალექსანდრეს ხალისიან გულზე სიტყვები ეთქვა.

ეს ეჭვი და ეს ჩვენება საკმაო შეიქნა ბარონ როჩენისათვის, რომ იმას ბრძანება გაეცა დაეჭირათ ალექსანდრე ჭავჭავაძეც. იმასთან შევიდნენ დასაჭერად უანდარმები. ალექსანდრემ წესისამებრ მისცა მათ თავისი ხმალი და მერე გადავიდა ინჯენიერის სამმართველოში, საცა ცალკე ოთახში დაამშეკრიეს. ალექსანდრემ აქ რამდენიმე თვე დაჰყო. ის ღრმად შეწუხებული იყო, რომ ასეთი შეურაცხყოფით მოექცენენ მას, თუმცა კი არ ჰყარვავდა იმედს, რომ, აღრეთ უ გვიან, მმართველობა მიხვდებოდა თავის შეცდომას და დაჭერილები ისევ მზეს იხილავდნენ. ის სწერდა თავის თანაპყრობილებს:

„მე ამას ვპირობო, განაწირო, ვაჲ თუ ვესწრა ვერ!..

თვარალა უამი, გულთ მაამი კვლავცა იქნების“.

ამ ღროს თბილისის ქართველობის მდგომარეობა საშინელ სურათს წარმოადგენდა. ოჯახი არ იყო, საცა მწუხარება და ტირილი არ ყოფილიყო. უკეთესი ყმაწვილკაცობა, დედ-მამის და მამულის იმედნი, რომელნიც შემდეგ დიდი კაცები გახდნენ, დაჭერილნი იყვნენ და ციმბირში გასაგზავნად გამზადებულნი.

გარონ როზენმა ქართველთა ასეთი ორგულობა შეატყობინა პეტერბურგს, საიდანაც გამოგზავნეს საქმის გასარჩევად გენერალი. ჩეგვინი (შემდეგში მინისტრი). ამან გაარჩია საქმეები და იმის წარდგენით მმართველობამ გადაწყვიტა გაეგზავნათ რუსეთში ამ. შეთქმულების მონაწილენი.

<sup>1</sup> ცნობილი ბარონ როზენი, კავკასიის მთავარმართებელი. ს. ც.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. „ალ. ჭავჭავაძე“, 1937 წლ. გამოცემის შენიშვნებში—ვახტანგ ორბელიანი უნდა იყოს.

ალექსანდრე გაგზავნა ქ. ტამბოვს ოთხი წლის ვადით. სხვა-  
თაშორის, ამ დროს რუსეთში გაგზავნეს მეორე ჩვენი დიდი პოეტი  
გრიგორ ორბელიანი (რიგას), ბატონის შვილი თა-  
მარ<sup>1</sup> (კალუჟას), დ. ი. ყიფიანი, რ. ერისთავი, ვ. ორ-  
ბელიანი, ალ. ორბელიანი, დ. ორბელიანი და სხვ.

1837 წელს ალექსანდრე დაბრუნდა გადასახლებიდან. მისმა სი-  
ყმაწვილის მეგობარმა აღლებერგმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა შას ამ  
დაბრუნებაში. ამ წელს ნიკოლოზ პავლეს-ძემ ნახა ჩვენი პოეტი ერთს  
პარადზე და მის თავგადასავალზე ელაპარაკა.

ჩქარა მთავრობა მიხვდა თავის შეცდომას. ალექსანდრე ხელა-  
ხლა განაწესეს სამსახურში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სამხრეთ-  
კავკასიაში ჭირი გაჩნდა, მთავრობამ ის გაგზავნა მათდა მოსავლე-  
ლად. აქ ის თვითონ მიდიოდა ავაზმყოფების სანახავად; ბევრს ეგონა,  
ალექსანდრე დაიღუპებოდა ამ დროს, მაგრამ საყვარელი პოეტი  
ჭირმა არ წაიღო საქართველოსაგან.

მას აქეთ ხანში შესული ალექსანდრე დღითიდლე იხვეჭდა ქარ-  
თველთა სიყვარულს. მისი ლექსები, თუმცა ბეჭდვა არ იყო მაშინ  
გახშირებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა, დაბალ  
ხალხში საყვარელ და განთქმულ პოეტს მაღალ საზოგადოებაშიც  
დიდი კავშირი ჰქონდა, როგორც ნათესაობით, ისე სამსახურით.

როგორც მაგალითი, საჭიროა ეს უბრალო ამბავიც ითქვას:  
ერთხელ, როდესაც თბილისში თავად-აზნაურობის წინამდლოლის არ-  
ჩევანი იყო, სხვათაშორის, თავად კონსტანტინე მუხრან-  
კი მ იყარა კენჭი. ალექსანდრე ჭავჭავაძე მოიწვიეს კენჭის ჩასაგდე-  
ბად. ალექსანდრე მიუბრუნდა ამ დროს თავად მუხრანსკის ამგვარი  
სიტყვებით:

— კნიაზო კოსტანტინე, ჩემზე ამბობენ, რომ ვითომ მე შენი  
მტერი ვიყო; რომ დაგიმტკიცო ეს მართალი აზრი, საქვეყნოდ  
მომირთმევია თქვენთვის ეს ჩემი შავი ხმაო“—გამოსწია უჯრა და  
შავი კენჭი ჩაუგდო. ასეთი ქცევის შემდეგ მთელმა თავად-აზნაურო-  
ბამ შავი კენჭი ჩაუყარა მუხრანსკის, რომელიც, ამგვარად, აურჩეველი  
დარჩა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ალექსანდრე იყო მთავარმარ-  
თებლის რჩევის წევრი და ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.

<sup>1</sup> თამარ ბაგრატიონი, ასული-ერეკლე მეორის გაუის იულონისა.—ს. ც.

მაგრამ სწორად უთქვაშს პოეტს: „ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქნელიაო“ 6 ნოემბერს, 1846 წელს, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გაისმა ჭავჭავაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოაწყდა პოეტის სახლს (ჭავჭავაძის ქუჩაზე, ცხლანდელი გოლოვინის პროსპექტის გვერდით, საცა „პარიჟის“ სასტუმრო<sup>1</sup> ყველას უნდოდა შეეტყო, ასე უცებ რა დაემართა სიცოცხლით და ჯანმრთელობით სავსე პოეტს.

სამწუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან<sup>2</sup> წასასვლელად. რაღაც დლეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბალული ცხენი შეაბა მის „აღინაჩქას“ ქუჩერმა, და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით. როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი. ცხენი დაფრთხა, წაართვა. თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: „კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო“. — ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა ალვირს, მისი ურძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყევა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქნა, დაეცა თავით. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტა ხანი იცოცხლა.

ის მოკვდა იმავე ღამეს.

სიკვდილის წინ ვორონცოვმა თავისი მეუღლით ინაწულა ავადმყოფი.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისმა დიდი პატივისცემით დამარხა ის. მთელი მოქალაქობა თავის ამქრებით და ბაირალებით გაჰყვა მას საუკუნო განსასვენებელთან. გვამი განსვენებულისა დამარხულია კახეთს, შუამთის მონასტერში.

<sup>1</sup> ამეამად დასახელებულ შენობაში შრომის სასანლეა, საცა მოთავსებულია პროფესიონალები.—ს. ც.

<sup>2</sup> მ. ს. ვორონცოვი, კავკასიის მთავარმართებელი და მაშინდელი რუსეთის იმპერიის ცნობილი პირი, გენერალ-ფელდმარშალი და დიდი მემამულე.—ს. ც.

ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა არ იქნებოდა სრული, რომ ორი-  
ოდე სიტყვა არ გვეთქვა მის სახლობაზე, სანამ მისი ნაწერის გან-  
ხილვაზე გადავიდოდეთ.

მას ჰყავდა ოთხი შეილი. პირველი—ნინო, დაბადებული 1812  
წელს, შემდეგში მისთხოვდა რუსეთის შესანიშნავ პოეტს გრიბოე-  
დოვს; მეორე—ეკატერინე, დაბადებული 1816 წელს, მისთხოვდა სა-  
მეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს და შემდეგ  
მისის სიკვდილისა დროებით მართვდა სამეგრელოს. მესამე—და-  
ვით, დაბადებული 1817 წ. ამ დავითის ქალზე თამარზე დაიწე-  
რა ჯვარი საქართველოს უკანასკნელმა ბატონი შვილმა ერეკ-  
ლემ. მეოთხე—სოფიო, დაბადებული 1834 წელს. მისთხოვდა რუ-  
სეთში სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფ ბართნ ნიკო-  
ლაის...

გრიბოედოვის ცოლის გარდა სხვას ყველას დარჩა ჩამომავ-  
ლობა, რომელიც ეხლა საქართველოს საუკეთესო ოჯახებს შეა-  
დგენენ.

### ახლა პოეტის ნაწერებზე:

ქნელია ლაპარაკი იმ კაცზე, რომელზედაც ნამდვილი ცნობა-  
არა გაქვს. ამ შემთხვევაში ან აკლებ ამ კაცს მის ლირსებას, ან  
ისეთ ლირსებას აწერ, რომელიც იმას არ ეკუთვნის. ალექსანდრე  
ჭავჭავაძეზე საბოლოო აზრის შედგენა ლიტერატურაში, სანამ მისი  
ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და შეითხველ საზოგადოებას არ გაუ-  
ცვნია, უცნობ კაცზე ლაპარაკსა ჰგავს. ბევრისაგან გაიგონებ: ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძესთანა პოეტი ამ საუკუნეში არ ყოფილაო, ზოგი ამ-  
ბობს კიდეც—საქართველოში ერთი რუსთველიაო და მეორე ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძეო.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენგან ალექსანდრე ჭავჭავაძის თა-  
ყვანისცემა ასე შორს არ მიდის. რასაკვირველია, თუ მუდამ სიყმა-  
წვილეში ყოფნას არ ვისურვებთ, თუ ჩვენ თავს დავინახავთ ლირსე-  
ულად, რომ როდისმე მაინც დავივიწყოთ ჩვენი ცოდვების მომტე-  
ვებელი „გარემოება“ და გავტედავთ ჩვენი ჭკუის ნაწარმოებს იმავე  
მასშტაბით დაუწყოთ ზომვა, რა მასშტაბითაც ზომავენ ყოველგვარ  
ლიტერატურულ ნაწარმოებს სხვა განათლებულ ქვეყნებში.

ამ სასტიკ კრიტიკული მოთხოვნილების წინაშე, როდესაც ყო-  
ველგვარ „აღგილობრივ გარემოებას“ დავივიწყებთ და პოეტის ნა-

წერს განვიხილავთ და დავაფასებთ ოოგორც პოეტურ ქმნილებას, ალექსანდრი ჭავჭავაძის ლექსები ჩვენი დროების საუკეთესო პოეტთა ლექსებზე. მაღლა ვერ დადგება.

მისი თხზულების პირველ ნაწილში, ოომელშიაც ოთხმოცდა-თვრამეტი ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედა გრძნობისათვის. ამ ლექსებში არც ბარათა შვილის კაე-შანია, არც ორბეჭლიანის ცადალმფრენი ენა და გრძნობა და წმინდა, ნამდვილი ქართული ხმა, არც აკა კის მამულის სიყვარული, არც ილიას ქნარი.

მართალია, ლექსები მშვენიერნი არიან, ერთიერთმანეთზე უკეთესნი, ისინი ასიამოვნებენ ყურს, იქცევენ გონებას, წანდახან ხვდებიან. გულსაც, მაგრამ ვერ მიიყეანენ მკითხველს იმ რაღაც გამოუთქმელ მდგომარეობამდე, ოომელშიაც მიღის ის გრიგოლ ორბეჭლიანის უბრალო, ურითმოდ დაწერილ „ფსალმუნის“ კითხვაში; ოომელშიაც ოოგორც ექსტაზში იკარგება კაცი შილერის, ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოს, ლერმონტოვის, ნეკრასოვისა და პუშკინის კითხვაში.

ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, ოომ ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდად შესანიშნავია ოოგორც ხელოვანი. ისეთი სიმღიღრე ლექსებისა, ისეთი ძლიერი გამოთქმა, ისეთი მოლდილება ქართული ენისა, ოოგორც აქვს ჭავჭავაძეს, არც ერთ ჩვენს თანამედროვე პოეტს არა აქვს. ენაზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო. იმაზე უკეთესი მოქართულე არ უნახავს ჩვენს საუკუნეს... ამასთან ჭავჭავაძემ, ოომელმაც ასე ზედმიწევნით იცოდა რუსული, ფრანგული და ნემეცური ლიტერატურა, ოომელმაც ასე ჩინებულად თარგმნა ვოლტერის ბევრი ლექსი, კორნელის სინა, რასაკირველია, ლექსების ზომაც იცოდა, იცოდა, რა გვარად უნდოდა კაცის გულთან მუსაიფი და არ უნდა გასჭირებოდა ეს ლაპარაკი, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმან თავისი ცოდნა არ მოიხმარა საქმეზე და ისე ილაპარაკა— ოომ გული უგრძნობი დარჩა.

რატომ? იმიტომ, ოომ—აქ ჩვენ ისტორიულ ნიადაგზე უნდა შევდგათ ფეხი და იმ გარემოებას უნდა მიუბრუნდეთ, ოომელსაც, ოოგორც ისრაელების თხას, ვაბრალებთ ჩვენ ჩვენს ცოდვას—იმიტომ, ოომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ისეთ დროში ცხოვრობდა, ოომელშიაც სხვანაირად წერა შეუძლებელი იყო.

პოლიტიკურად და სამოქალაქოდ დასუსტებულ საქართველოში ალექსანდრეს ყმაწვილობის დროს სუფევდა. ან ტონ კათალი კო-

ზის<sup>1</sup> ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური სწავლა და კაცთაგან გაუ-  
გონარი და მიუგნებელი ქართული ენა. „ვეფხისტყაოსანი“ განი-  
დევნა ოჯახებიდან; ქართულ გრამატიკას ლათინური სახე მიეცა და  
ვამოგონილ იქნა მაღალი სამწერლო ენა, რომელიც ხალხისათვის  
მიუწვდომელი შეიქნა. ამგვარ მდგომარეობას კიდევ ერთი ახალი,  
რუსული ენა მიემატა და მჭერლობა სულ აირდაირია,

ამ მდგარისარეობაში იყო ჩენი ლიტერატურა, როდესაც ალექ-  
სანდრემ დაწერა პირველი ლექსი (სამეგრელოს დელოფლისაგან გა-  
გვიგონია — მამაჩემმა 15 წლისამ იწყო წერაო). ყველას ადვილად  
შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა შემავიწროებელი პირობაა მწერლი-  
სათვის ასეთი მდგომარეობა. ხელ-ფეხი რომ შეუკრა კაცს, წყალში  
ჩააგდო და უთხრია იცურეო, სწორეთ იმას ემგვანება, რომ პოეტს  
უთხრა ამ პირობაში: აბა აიღე ქნარი და ემუსაიფე ჩემს გულსო.  
ერთი დრო იყო, როცა ფრანგულ ლიტერატურაში შეუძლებელი იყო  
გეთქვა „შუალდე“ არისო, უნდა გეთქვა: „მეთორმეტემან საათმან  
დაჰკრა უკანასკნელი ზარი“. ალექსანდრესაც, უნდოდა თუ არ უნდო-  
და, ამგვარი „მაღალი ფრაზებით“ უნდა ელაპარაკა ამ საუკუნის  
დასაწყისში.

არ ვამბობთ, რომ ამგვარი ლაპარაკი მაინც და მაინც ნაძალა-  
დევი ყოფილიყო მისთვის. საქმე იმაშია, რომ მისი ენა დროს ვერ  
წაუვიდა და ენასთან გრძნობაც ფრთაალკვეცილი დარჩა.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოეტს ვინმებ ენა დაუწუნოს. ვიმე-  
ორებთ, მისი ენა შეუდარებელია, მაგრამ ენის კილო ყოველთვის  
როგორლაც დარბაისლურია, ყოველთვის მაღალი. თითქო ვინმე  
ოთხმოცი წლის სენატორის სიტყვა გესმის; კალამი ყოველთვის შე-  
კავებულია და განცხრომით სავსე, თითქო მთელი თავის სიცოცხლე  
პოეტს წითელ მაუდით გადაფარებულ მაგიდაზე ეწეროს.

<sup>1</sup> ანტონ კათალიკოსი—ვახტანგ მეექვისის ძმის იესეს შვილი, მწერალი, არ-  
ქაისტი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, უმთავრესად ქუთათელისტიკურ-დოგმა-  
ტიკური წასიათისა. ამ ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობის დახასიათების შესახებ  
ვრცელ და საინტერესო ცნობას იძლევა ი. მეუნარგია გრიგოლ ორბელიანის ბიო-  
გრაფის იმ ნაწილში, სადაც იგი არჩევს გრიგოლ ორბელიანის ნაწერებს—„ნახე-  
ვარი საუკუნის დაუცხრომელი შრომით და ღვაწლით.—ამბობს მეუნარგია—მან  
(ანტონმა. ს. ც.) შეადგინა ქართულ ენაზე წყობილისტყაობა, ფილოსოფია, რიტო-  
რიკა, გრამატიკა, ლოღიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, კატეგორიზმი და სხვ. მისი ვნა, რუსულ-  
ლათონურზე გამოფრილი, ნაძალადევი გამოდგა და, მაშასადამე, ქართული ენის წა-  
სიათ შეკლებული, გაუგებარი... შემდევ მოყავს ადგილები ანტონის ფილოსოფი-  
ური თხზულების „სავკალი“—დან და სვამს კითხვას: „ბევრი გაიგეთ“... და ამ ენის  
გაუგებლობის“ და ხალხიდან მოწყვეტილობის საკმაოდ დამტკიცების შემდევ დას-  
ტენს: „მეფე გიორგი, რომელსაც თვით ბიძა მისი ანტონ კათალიკოზი უკითხავდა  
მემკვიდრეობის დროს თავის ფილოსოფიას, ენერგიულად, იტყოდა: „არა მესმის  
ესე, ვნავავ წყალსა“. ღმერთო, შეგცოდე და, მგონია, ამ მეფეს მთელი მისი სამეფოც  
ესმარებოდა წყლის ნაყვაში“—დასტენს ხუმრობის კილოთი ავტორი. ანტო-  
ნი გარდაიცვალა 1788 წ.

ამგვარი წერის კილო ჯერ ეამება კაცს, მაგრამ მერე მალე მოსწყინდება. ბუალომ<sup>1</sup> მცნებად დაუდვა პოეტებს, წერის ღროს ყოველთვის ერთიდაიგიცე სიტყვა არ ეძმორათ. მეორე ფრანგმა მწერალმა ფენელონმა<sup>2</sup> მართლად სთქვა: „მე ისეთი პოეტი მიყვარს, რომელიც მაღალს რასმე დასწერს, მაგრამ ისეთი უბრალო ენით, ისე ტკბილად, რომ ყოველმა კაცმა იფიქროს მეც შევიძლებდი ასეთი ლექსის დაწერასო“.

ეს უბრალო ენა და სიტქბო აკლდა ჩვენს პოეტს. მისი ლექსი გაჭედილია და ჯაჭვით აცმული ერთი-ერთმანეთზე, ჯაჭვივით მაგარია და ცივი.

ეს არის პირველი და უმთავრესი ნაკლოვანება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისა, ენა, რომელიც, ჩვენი აზრით, მონახევრეა ლექსთ წარმატებისა, ვერ არის, ფენელონის არ იყოს, უბრალო და ტკბილი.

ეს ნაკლულევანება თავის მხრით იმის მიზეზია, რომ მისი მაღალი გრძნობა, მისი ლექსის ტექნიკა, მისი ნიჭი იმდენად არ მოქმედებს ჩვენზე, როგორც მაგ. ნ. ბარათაშვილის ლექსები.

ავილოთ რომელიც გსურთ ლექსი ჭავჭავაძისა, „ვარდო-კოკობო“ მაგ. პოეტი იტყვის:

გარდო კოკობო, ყოველთა მჯობო, მომხედვე კრულსა,  
მე შენსა მჭვრეტსა, ვანამეტსა თვალდაურულსა.  
მოვედ, მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა,  
ალთქა გრძნობითი, წამ-ყოფითი სულ უქმენ გულსა“

ჩინებულია ეს ლექსი, როგორც ფაქტურით, ისე ენის სიმდიდრით, თუ გინდა გრძნობითაც, ეს ერთი ხანა დაამშვენებდა რომელიც გინდა რომანტიული დრამის მონოლოგს, მაგრამ როგორც ლექსი ის გულს არ მოიყვანს ალძვრაში, იმიტომ რომ ეს სხვაგვარად არის თქმული და გული კი სხვაგვარ ენას არის დაჩვეული. ძნელია ამ გულის წადილის აღწერა ისე, როგორც ძნელია სიყვარულის განმარტება. ნათქვამია, ტონი სიმღერას შეიქმნო. აქ ტონი კი არა, სხვადასხვა სიტყვაა, რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებენ გამგონის გულზე...

<sup>1</sup> საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ-დეპრეო ბუალო (1636—1711).

<sup>2</sup> საფრანგეთის ცნობილი მწერალი ფრანსუა სალ-ფენელონი (1651—1715).

გრიგოლ ღრმაველიანი



გრიგოლ თარბელიანი

3. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები.

## ცხოვრება და ლვაჭლი გრიგოლ ორბელიანისა

### I

გრიგოლის მამა, ზურაბი, იგივე დიმიტრი, წარსული საუკუნის კაცი იყო, მეფე ერებლეს სასახლეში ნამყოფი და ცოტა ნამსახურიც. კახ-ბატონს, ეტყობა, ძლიერ მოსწონდა და უყვარდა ზურაბ, რაღანაც მან მიათხოვა იმას თავისი ქალის ელენეს ასული ხორეშან, დედა პოეტისა. შემდეგ, როდესაც მეფე ერეკლე გარდაიცვალა და საქართველოს სხვა პოლიტიკური წეს-წყობა დაუდგა, ზურაბ ორბელიანი, როგორც მოწინავე თავადიშვილი, ჯერ სამხედრო სამსახურში უანწესდა და ციციანოვთან ერთად იყო ერენის აღების მონაწილე, მერე მთავრობამ დანიშნა იგი თბილისის ბაჟის ზედამხედველად<sup>1</sup> და „ზასედატლად“ უზენაეს სასამართლოში, რომელიც განაგებდა საბჭო საქმეებს საქართველოში. აქ მსახურების დროზე ამბობენ: როდესაც სასამართლოში საქმის გარჩევა გათავდებოდა და სეკრეტარი—ფიდო ენიკოლოფოვი—წაუკითხავდა ზურაბს სასამართლოს ოქმს, ეს უკანასკნელი, რუსულის ნაკლებად მცირდნე, ეტყოდა სეკრეტარს:

— ფიდო, რაღა ბევრს კითხულობ, თუ „ესლი“ სწერია, ხელს შოვაწერ, თუ არა და არა<sup>2</sup>.

„ესლი“ ნიშნავდა: если не встретится законных препятствий-ს. ზუმრობათ იყო, თუ გულის სიმარტივით, ზასედატელს ეგონა, რომ ამ „ესლით“ ყოველს პასუხის გებას თავიდან აიცდენდა<sup>3</sup>.

ცოტა ქვემოთ, როდესაც პოეტის სიყმაწვილეზე დავიწყებთ ლაპარაკს, დავინახავთ, რა ლვთისნიერი ადამიანი იყო ზურაბ ორბელიანი, რა კარგად იცოდა იმან სამღვთო წერილი და გარეშე წიგნები. ეხლა კი მის პიროვნებაზე თუნდ ამ ორის, უბრალო, ჩვენგან გაგონილი, ამბით დააკმაყოფილეთ თქვენი ცნობისმოყვარეობა.

იმის დროს მთავარმართებელს ერმოლოვს არა პქონდა თურმე კარგი განწყობილება ზურაბთან. ზურაბიც თვითონ არ მალავდა თავის

<sup>1</sup> პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა, გვ. 327.

<sup>2</sup> გენერალ ა. საგინოვისაგან გაგონილი.

<sup>3</sup> შექსპირი წერს ერთს კომედიაში: „слово „если“—единственный умистворитель; „в если“ большая сила“ („Как Вам будет угодно“—მოქმედება V, სცენა IV).

უკმაყოფილებას და, როგორც ამბობენ, არა ერთგზის იტყოდა სა-  
ზოგადოებაში ერმოლოვის ძვირს. ეს რომ ერმოლოვმა შეიტყო-  
მიუგზავნა ზურაბს გრიგოლ მუხრანბატონი: რას მერჩი, რათ მაგი-  
ნებო.

— აბა როდის ვაგინებდი მაგ... და აქ ერთმა მაგარმა სიტყვამ  
გაიელვა ჰაერში, იმ ანდაზის არ იყოს: ურია, ღმერთს ნუ ჰფიცავო,  
და— არა, ღმერთმანიო<sup>1</sup>.

მეორე ამბავი, რომელიც გამიგონია ზურაბის შესახებ, იმის-  
დროის მოდას შეეხება. მოდა იყო, ჩაის სმას რომ გაათავებდნენ,  
თუ არ უნდოდათ მეტის დალევა, სტაქანი პირქვე უნდა დაემხოთ.  
ერთხელ, როდესაც ზურაბი ნარდს თამაშობდა, გართულმა, უნებ-  
ლიედ სტაქანი გადმოაბრუნა და ბიჭმაც მეტი ჩაი არ მოუტანა. თა-  
მაში რომ გაათავდა, ბიჭსა ჰკებთხა: ჩაი რატომ არ მომიტანეო?

— ბატონო, თქვენ აკი სტაქანი პირქვე დაამხეთ.

— ბიჭო და, რა ულელი ხარი იმის გადაბრუნებას უნდოდა,  
რით ვერ მოერიეო,—უბასუხა სიცილით ჩაის მწყურევალე თავადმა<sup>2</sup>.

დედა პოეტისა, ხორეშან, როგორცა ვთქვით, მეფე ერეკლეს-  
ქალის, ელენეს, ასული იყო. ეს ელენე ჯერ იყო გათხოვილი დიდ  
სოლომონ მეფის ძმაზე არჩილზე<sup>3</sup>, მერე როცა დაქვრივდა და სუ-  
ლიერ ავადმყოფობას მიეცა, მეფე ერეკლემ გაათხოვა იგი ზაქარია-  
ანდრონიკაშვილზე, ჭიშიყის მოურავზე<sup>4</sup>. დიდი, მოსული ვაჟაცი-  
თურმე იყო ეს ანდრონიკაშვილი, რომელსაც მეტსახელად „მგელს“  
ეძახდნენ. ამან 600 კაცი მოაშველა ქალაქს, როდესაც ალა-მაჭად-  
ხანი შემოვიდა საქართველოში. ელენე ბატონიშვილს ამისგან 1784 წ.  
ეყოლა ქალი, ხორეშან, და თვით გარდაიცვალა. მეფე ერეკლემ მაშინ-  
თავისი შვილის არამში მოაყვანინა, გაზარდა და როდესაც ის შეიქნა-  
ცამეტი წლისა, შერთო ცოლად ზურაბ ორბელიანს<sup>5</sup>.

რომ იტყვიან, შესანიშნავი კაცი შესანიშნავი დედის შვილი-  
არისო, სწორედ გრიგოლ ორბელიანზე და მის მშობლებზედ გამარ-  
თლდა. განსვენებული პოეტი ცრემლით და კრძალვით მოიგონებდა-  
ხოლმე ქეთილსა, ნაზისა, ღვთის. მოშიშსა და ჭკვიანს დედას, რო-  
მელმაც გზა სიკეთისა ასწავლა მას და სული აღუვსო მარადუამ

<sup>1</sup> ივანე მუხრან-ბატონისაგან გაგონილი.

<sup>2</sup> ივანე მუხრან-ბატონისაგან გაგონილი.

<sup>3</sup> მეფის გიორგის ცხოვრება პ. იოსელიანისა, 13 გვერდი.

<sup>4</sup> კნორინგის მოხსენება.

<sup>5</sup> ქეთევან თორბელიანისაგან გაგონილი.

კამოულეველის სიყვარულითა და სათნოებით. მისი პატივისცემა ძვირფასი მშობლისადმი აღემატებოდა ჩვეულებრივ შვილობრივს სიყვარულსა. იგი წმინდა არსება იყო მისთვის, რომელსაც თაყვანსა სცემდა, როგორც შვილი და როგორც კაცი.

მარტო გრიგოლის გამოზრდით არ იყო შესამჩნევი დედა პოეტისა. გრიგოლს გარდა, მას ჰყავდა სამი სხვა შვილი: ძლია, ზაქარია და ეფემია, სამივე თავის-თავად შესანიშნავნი და სახელოვანნი პირნი. პირველ ორთა სახელს კაცი ხშირად შეხვდება კავკასიის სამხედრო ისტორიაში. თავიანთი ცხოვრებითა და სიკვდილით მათ ორთავ დაამტკიცეს თავგანწირული ვაჟკაცობა და ერთგულება მამულისა. ეფემიამ კი დაუვიწყარ-ჰყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქნა დედა ჩვენი სასიქადულო პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იშვიათს ქართველ ქალს გაუზრდია ამდენი წარჩინებული ქართველები. რეტარ იყვნენ ძუძუნი, რომელთა სწოვდიან ესეოდენი სახელოვანნი შვილნი!

## II

ნაშდვილად არავინ იცის, რა დროს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი<sup>1</sup>. სრულ მისს ნამსახურებით სიაში ის არის დანიშნული დაბადებულად 1800-ში. მისთა თანაბედროვეთაგან კი რამდენიმე ამბობს, რომ ის არის დაბადებული 1804 ს. ამ წელს პოეტის მამა ზურაბ სხვათა სამასთა საქართველოს აავალთა შორის ციციანოვის ჯარში იყო, რომელმაც ერევანი აიღო. ექსპედიციის დროს, ერთხელ, ზურაბ ორბელიანი, თავის ძმით ასლანით და იოანე სარდლით ჩაუვარდა ხელში ფათალიშახს, რომელმაც დაატყვევა იგი. ეს რომ შეეტყო მის ცოლს ხორეშანს, პოეტზედ ორსულად მყოფს, ალთქმა დაედო ლვთის წინაშე, თუ ზურაბს ცოცხალს დააბრუნებ, ჩემს შვილს ბერად მივცემო. ზურაბ უვნებლად დაბრუნებულა, ხორეშანს ვაჟი ჰყოლია და ალთქმა... მაინც აღსრულებულა, რაღვანაც პოეტი უცოლოდ მოკვდაო, გვიამბო ქეთევან ორბელიანმა. ამ ორ აზრში ისევ იმას უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელიც ნამსახურებით სიაში არის ნაჩვენები.

პოეტი პირველად 1816 წ. შევიდა სამსახურში და მაშინ უფრო კარგად ეცოდინებოდათ და ემახსოვრებოდათ დრო პოეტის დაბადებისა, ვიდრე ქხლა.

ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი უნდა იყოს დაბადებული 1800 წ., ამ საუკუნესთან ერთად. ან უკეთა: ამ საუკუნესა და წარ-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის დაბადების თარიღის საკითხის შესახებ იხილეთ შენიშვნებში (გვ. 209). რედ.

სულ საუკუნეს შორის — ორთა დროთ შუა — როდესაც ძველი დროების რეჟიმი გაქრა და ახალი დროების რიტუალი ჯერ ისევ სიბნელთა და ბურუსით იყო გარემოცული. ახალდაბადებულს ზნეობითი და გონებითი სიღიღისა და სიმრთელისათვის ამაზე უარესი დრო, მეორე სხვა, ძნელი იყო გამოსჩენოდა. მთელ იმის ცხოვრებას, ამ დროების წყალობით, უნებლიერ უნდა დასტყობოდა ამ ორი სხვადასხვა ელემენტის — ძველისა და ახლის — გავლენა. გონებას, ხასიათს, ქცევას, ლაპარაკს, ენას — ყველას ორი პირის სახე უნდა ჰქონდა, რადგანაც ორსახეობას წარმოადგენდა მაშინ თვით ცხოვრება. ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რამდენად დაიმორჩილა ამ გავლენამ პოეტი და რამდენად წინააღმდეგინა იმან გავლენის ზედმოქმედებას თავისი ძლიერი პიროვნება.

მანამ კი ვნახოთ, სად, როგორ და რა პირობებში მოიდგა ფეხი ახალდაბადებულია, როგორ გაატარა იმან თავისი სიბავშევე, სიყმა-წვილე, სიჭაბუკე? ამ კითხვის დადგენა აქაც შეადგენს მიუკილებელ-საჭიროებას, უტყუარი მისი პასუხი მოჰქონდება სინათლეს ბევრ მხარეს. პოეტის მოქმედებისას, განმარტავს მის გონების ავლა-დიდებას, იმის გულის მიღრეკილებას, იმის ხასიათს, მაგრამ საქმე ის არის, უცნობი-ქართველი მწერალი კი არა, ევროპაში განთქმული პოეტი რომ იყოს ორბელიანი, რაკი ამ კითხვის პასუხი დღემდის არ დაწერილა, დღეს, ამ ოთხმოცი წლის შემდეგ, როცა მეოთხე მოდგმა გამოდის ცხოვრებაში, ამ კითხვის შესაფერად პასუხისგება ყველასთვის საძნელო იქნებოდა. ჩვენში ეს მით უფრო ძნელია, რომ ამ საუკუნის დასაწყისში პერიოდული ბეჭდვა არა გვქონდა, რომელშიაც ასე თუ ისე ყოველთვის გამოსჩერეკს კაცი. რაიმე საგულისხმო ცნობას სახელოვან კაცთა შესახებ.

მაგრამ გზა არც ისე უიმედოდ შეუკრავს გარემოებას, რომ თითო-ოროლა ფაქტს ცხოვრებიდან ან ძველ წერილებს თავი არ შეენახოს ჩვენთვის, ან ძველ მეხსიერებას; რომ უფრო ნათლად წარმოვიდვინოთ პოეტის სიყმაწვილის დრო, ფაქტების სიღარიბეს ჩვენ-შევავსებთ ისტორიული სურათით. იმ ზოგიერთ ამბებს, რომელთაც ჩვენამდე ჩამოულწევია, ჩვენ გავუკეთებთ ისტორიულ ფონს და ამ-გვარად შემოვფარგლავთ იმ ზნეობით „ატმოსფერას“<sup>1</sup>, რომლისა-გან — როგორც მცენარის ხეირობა „ფიზიკური ატმოსფერისაგან“ — არის დამოკიდებული კაცის აღზრდა და ზნეობითი განვითარება. ამგვარი ფონით ვარშემოზღუდული პორტრეტი პოეტის სიყმაწვილისა უფრო ნათლად იქნება თვალთათვის დასანახავი და გონებით სათვის გასაგები.

<sup>1</sup> ტენის სიტყვა.

წარსული საუკუნის დამლევს და მდგომარის დასაწყისს ქართულ ენაზე ორი ჩინებული მოამბე ჰყავს: ალექსანდრე ორბელიანი და პლატონ იოსელიანი. პირველი არშიყია ძველი ქართველის ოჯახისა და საზოგადოების ცხოვრების, მეორე—ულმობელი მეისტორიე, ანუ, მისივე სტილით რომ ვასიამოვნოთ მის აჩარის, ულმობელი ტა-ციტი, რომლისთვისაც, სიჭყვაზე: ალექსანდრე ბატონიშვილი იყო მიტრიდატი; სოლომონ ლეონიძე—ფაბრიციოსი და კატონი; დავით გარეჯის უდაბნო—თებაიდა და სხ., იმათ სულზე მოუსწრიათ წარ-სული საუკუნის ისტორიულ პირთა და გარემოებათათვის და თვი-თონ ყოფილან მოწმენი ამ საუკუნის დასაწყისისა, მაშიასადამე, სრული ნდობის ღირსნიც არიან. პირველის ნაწერში მამულის სიყვარული-საგან მომხდარი გადაჭარბება და მეორის გამოკვლევაში ცოტაოდენი ურწმუნობა იმდენად საჩინოა თვალთათვის, რომ არავის არ დაუ-შლის ჭეშმარიტების გამოკვნობას:

მაშ, დავეკითხოთ ამ ორთა, რაგვარ მდგომარეობაში იყო ჩვენში გრიგოლ ორბელიანის დაბადების დროს—ცოტა ადრე, თუ ცოტა გვიან, ეს სულ ერთია, საზოგადოების ცხოვრება ყოველ წლო-ბით არ იცვლება—ოჯახი, საზოგადოება, ეკლესია, სკოლა, პოლი-ტიკური ცხოვრება, ე. ი. ყველა ის პირობა, რომლისაგან შედგება ყმაწვილის აღზრდის ნიადაგი, მისი „ზნეობითი ატმოსფეროა“? თუ ეს მაგარი საფუძველი გავიკეთეთ, ჩვენი ბირგრაფიული შენობაც ქვიშაზე აყვანილი არ იქნება.

ჯერ ოჯახი ვნახოთ, შევიტყოთ, როგორ ცხოვრობდა ქართვე-ლი მებატონე, რომლის სახლშიაც აღიზარდა პოეტი.

აქ ჩვენ რამდენიმე ხნით ალექსანდრე ორბელიანის ცოდნას და ავტორიტეტს მიემართავთ. ცოტა ქართულად, „მსხვილადაც“ დავვესესხებით მის ნაწერს, რაღანაც მისგან დახატული სურათი შინაური ცხოვრებისა თავისთავად გამტაცებელია კაცისა და პოე-ტის ცხოვრებისათვის მოგვცემს ბევრ საგულისხმო შენიშვნას.

„ერთმა რომელსამე სახლეულობის ცოლ-ქმარმა—ამბობს თავისებურად ალ. ორბელიანი—გარიყებაზედ გაიღვიძეს; მაშინვე იმათ ღმერთი ახსენეს: „ღმერთო დიდო, შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებ ჩვენ“ ამ სიტყვასთან ქმარი ქვეშ-სა-გებიდგან გადმოვიდა ტახტზედ და ფეხებზედ მსუბუქად ჩაიცი. მერე აღმოსავლე-თისკენ პირი მიმართა და თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა, ხანდისხან პირ-ჯვა-რის დაწერით და იშვიათად მეტანის მოყრით. ეს რომ ქვეშ-საგებიდგან გადმო-ვიდა, იმ ქვეშ-საგებში იმისი ცოლი წამოჯდა, ბეჭებზედ მსუბუქად წამოისხა, პირი აღმოსავლეთისაკენ მიიბრუნა და ისიც თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა, ხანდისხან სათხოვარის ხელების გაპყრობით ლოთისადმი და თან პირ-ჯვარის და-წერითა... ქმარმა უფრო ადრე გაათავა ლოცვა, შემდეგ საჯინიბოსაკენ წავიდა

თავის საჯდომი ცხენების მოსავლელად; იქ მეჯინიბეთ ცხენები კარგათ დააურავებინა და მას უკან თავის ცოლთან შამოვიდა, რომელსაცა ლოცვა გაეთავებინა, პირიც დაებანა, თავიც დაეხურა, ტანთაც ჩაცავა. ქვეშ-საგებიც სულ აელაგებინა და ქეჩასედ მოკეცილი თავის ქმარს ელოდა შემოსულიყო.

როდესაც იმისი ქმარი შემოვიდა, ცოლმა თავის შეიდი წლის გაჟი გააღვიძა და უთხრა:

— ადე, შეილო, ილოცე, ჩაი დალიე და მერე შენს ოსტატთან წადი სასწავლებლად.

ფხიზელი, მორჩილი შეილი ჩქარა წამოდგა, გამდელმა ჯერ პირი დააბანინა, მას უკან ტანისამოსი ჩაცა და შემდეგ ალოცეს.

მინამ ყმაწვილს ალოცებდნენ, იმისმა მამამ პირი დაიბანა და ტანისამოსის ჩაცმა მოასწრო. ამასთან მოსამსახურემ ფორნოსზედ დადგმული ჩაი ჭიქებით ჩამოარიგა. ჩაი რომ გაათავეს, ყმაწვილის ლალას მოუწოდეს, და ყმაწვილის მამამ უთხრა:

„ეს შენი გაზდილი ოსტატთან მიიყვანე; ჩემ მაგიერ უთხარ, ამას რომ პირველი კანონი დავითნი გაუთავებია, დიდად ვმადლობთ იმასაც და იმის შაგირდსაც... ესეც მოახსენე ჩემ მაგიერ, დღეს სადილად ჩვენთან მობრძანდნენ ამ თავის შაგირდით...“

ის რომ გაისტუმრეს, იმათი სოფლის მოურავი შემოვიდა და ორთავეს მძიშედ დაუკრა თავი.

— მოურავო, როდის მოხველ?

— წუხელის უდროოდ სოფლიდგან გრახელ. თქვენთან დრო არ იყო გხლებოდით, ჩემს სახლში ჩემს ხიზანთან გახლდით,—მოახსენა.

— შენი ხიზანი ნაკლებობაში ხომ არ დაგხვდა?

— თქვენ ცოცხალი ბრძანდებოდეთ... თქვენის მოწყალებით ჩვენ ჩვენს დღეში ნაკლებობაში არ ვიქნებით.

— სოფელში ჩემი ცხენები, ბარგის ჯორები და მსახურის ცხენები როგორ არიან, ან ხომ არა აკლიათ-რა?

— არა აკლიათ-რა და კარგადაც არიან.

— ცხვრი, საქონელი და ან ცხენის ჯორი როგორ არის?

— დიახ კარგად გახლავან. კარგი მწყემსები, კარგი მეჯოგეები გყვანან და ძალიან კარგად უვლიან.—ეს რომ მოურავმა მოახსენა, მერე იმან ჰკიოთხა: შენი ჭირიმე, ქერი და ბზე ხომ საკმაო იქნება ცხენისთვის აქა?

— იმედი მაქვს, არ დააკლდესთ.—უპასუხა ბატონშა.

— ვინიცობაა თუ დააკლდათ, კიდეც ჩქარა ჩამოვატანინებ; ახლა ეს მიბრძანეთ: ყველი, ერბო, აური და ლვინო არ დაგაკლდებათ?

— წლის სამყოფზედაც ბევრია,—ცოლმა უთხრა.

ქალბატონიც კარზე გამოვიდა და ორი გამდელი უკან გამოყვა, ჯერ სამზარეულოში შევიდა, იქ ქვაბები გაჩხრიკა, შემდეგ მზარეულს უბრძანა: „გემრიელი სადილი გააკეთე: კარგი ცხვრის გუფთის ბოზბაში, კარგი, ცივად ძროხის ხორცი, კარგი ხობის ფლავი და კარგი ჩახობილი ქათმები“. ამასთან მისცა რამდენიმე დარიგება, დაათვალიერა სამზარეულო, და რომ ნახა ყველა რიგზედ და წმინდადი იყო, გამოვიდა და საკუჭნაოში შევიდა.

იქ მეკუჭნავეს ყოველიფერი ჰკიოთხა... თავის გაკეთებული სხვა-და-სხვა მწნილებით სავსე ქილები, ერბოს ქილები, მარილი, ტომრებეთ ფეხილი, ტიკებით ღვინო, ცარიელი საღვინები და გოხაურები და სხვა, რაც საკუჭნაოს ეკუთვნოდა —სულ ყოველივე რიგზედ და თავის ალაგას იყო. მეკუჭნავემ ყველა ჰკიოთხვაზედ.

პასუხი მოახსენა, მაგრამ მაინც ქალბატონმა ყველა თითონ დაიარა და გამდელებს აჩხრეკინებდა, თითონ მხოლოდ დახედავდა. ყველა კარგად და რიგზედ რომ ნახა, მეკუჭნავეს უთხრა:

— მოსამსახურებმა ამ დილით ისაუზმეთ, თუ არა?

— თქვენის მოწყალებით ვისაუზმეთ: პურით, ყველით და ორ-ორი აზარფე-შაც ღვინო გიახელით, —უპასუხა მეკუჭნავემ.

ქალბატონმა ეს რომ სთქვა, საკუჭნაოდან გამოვიდა და გამდლების ოთახი დაინახა. იქ მოახლეები დაათვალიერა, —ისინი ისხლენ და საკერავებს აკერებდნენ: ქარგას, ქისას, კერვას და ამგვარებსა. მას უკან ქალბატონი თავის ოთახში შემო-ვიდა, საუცხოო საფეხზედ დაჯდა, ღორზედ მიესვენა, აღლო საკერავი და მინაშ არ გაათავა, არ მოეშო. მას უკან პატარა საერო წიგნს დაუშეო კითხვა ყურად-ღებით —შუაღლებდის...

შემდეგ დაიწყო პურობა. წყლით სავსე ალთაფა ტაშტით მოატარეს მო-სამსახურეთ და სუბუქად ხელი დაიბანეს ყველამ, მერე სრული სადილი გაიშალა გრძელს განიერს ყალანქრის სუფრაზედ, რომელზედაც სხვა-და-სხვა ვერცხლის სუ-რები შუა სუფრაში გაამწკრივეს, კასური წითელი ღვინით სავსე. დიდრონი ვერ-ცხლის სანაურები შუა სუფრაში ჩაიდგეს ორი თუ სამი, ვერცხლის აზარფეშები და თასები მიმობნეულისავით დაწყეს აქა-იქ.

ყველი ესენი ლამაზად რომ გააწყეს სუფრაზე, მურასლავაშები და გამტკი-ცული მრგვალი პურები ყველას სათითოოდ მოუტანეს, ამასთან დახატულის ხონჩებით სხვა-და-სხვა საჭმელები ჩაურიგეს და ყველას თავთავისად ჩაუმწკრიეს წინა.

მაშინდელი ზნეობა სრულიად გაწმენდილი იყო ყოვლის მცირედის მწიკვ-ლისაგან, ესე იგი იყვნენ: მშვიდობიანი, წყნარი, უფროსების მორჩილნი, ნათესა-ობის მიმდევ-მომდევნი დიდის სიყვარულით, მეზობლების გამტანი და შემწენი ჰურთმანერთისა; კეთილნი, პურ-მარილიანნი, პურადნი, შემწყნარებელნი, გლახაკთ-დაგრდომილთ ხელის გამმართველნი, ხდილობიანნი, მართებულნი, უცხო დარბა-ისელნი, მოთავაზენი, გულგახსნილნი, სიწრფელით მოლაპარაკენი, დაუფერებით მთქმელნი, გულფიცხელნი, მზიარულნი, მომდერალნი, მახვილისტყვიერნი, გონიერნი, საქმის მალე მიმხედრნი, თავის პირობის აღმასრულებელნი. არაოდეს სალან-დღველსა სიტყვას არ იტყოდნენ, არამც თუ საგიგბელნი ეთქოთ რამე, და თუ როგორმე იტყოდნენ, დიდი შტოთიც მოუხდებოდათ; მეუფროსეთ პატივის მცე-მელნი და იმათ უბნობის დროს განკრძალვით ყურის მიმღდებნი, სინიდისიანნი, გულმარტივნი, მიმდობნი, უცხო დედა-კაცთან უმახკონი, ვალის გადახდაში უკა-ნასკნელს ქონებას მისცემდნენ თავის დროზედ; მართალნი და მართლმსაჯულების მოყვარულნი. სახლეულობაში ბედნიერნი, არაოდეს ტყუილს არ იტყოდნენ, რაც უნდა ძვირფასი განძი ეპოვნათ, არ დამალავდნენ, მოსავნი, ჭეშმარიტნი მორწმუ-ნენი, ხასიათში მაგარნი, გაჭირვებაში დიდი მომთმენნი, ძლიერნი ვაჟკაცნი, ამ-თანაგობაში ანუ მეგობრობაში მტკიცენი და ეგრეთვე სხვანი ამგვარნი\*..

ამ დროის გლეხიც — სულ იმავე ორბელიანის აზრით — სხვა კაცი იყო. „ემას მებატონე მამასავით უყვარდა“; ისინი ერთად სხდებოდ-ნენ საღილ-ვახშამზე, ერთად საუბრობდნენ, ერთად სიამოვნებდნენ. ყმა მდიდარი არ იყო, მაგრამ სარჩო საქმაოდ ჰქონდა და ისეთი შე-საბრალისი გაჭირვება, როგორც ეხლა არის<sup>1</sup>, არ აღვა. რაც გლე-ხობას შეეფერება, ყველა კარგად იყო ჩატული, ყველას ლეკური

<sup>1</sup> ამ გამოკვლევის დაწერის დროს — 1883—90 წლ.

აბაზი ჰქონდა. ყოველ სოფელს თავისი ფეიქარი ჰყავდა, თავის ქვეშასაშლელი ნაბდის მთელავი, თავის შალის მქსოველი დედაკაცი. უცხვროს, უსაქონლოს და უღოროს სოფელს ვერ ნახავდა ქაცი:

ეხლა ნახეთ, რაგვარი მაღალი გრძნობით იწყებდა გლეხი თვის საღმთო მოქმედებას,—თესვას. პირჯვარს დაიშერდა, ღმერთს ახსენებდა და მოაბნევდა რა პურის თესლს მარჯვნივ და მარცხნივ, თითოეულს ხელის გაშლაზე იტყოდა:

„ეს ჩვენს სამშობლოს, არამც თუ ესა, ჩვენცა და ჩვენი ცოლ-შვილებიც. ეს ჩვენს ბატონს, ღმერთო, პურადობას ნუ მოულევ! ეს სტუმარსა, ღმერთო, ლუკმას ნუ მოგვაკლებ, დავხვდეთ გულგაშლითა. ეს მამულის ჯარის-კაცებს, ეს დაცემულს, ვისაც საქონელი დახოცია. ეს იმასა, ვისაც მოსავალი არ მოსვლია. ეს უშეილოს ქრისტა. ეს ქვრივასა, ობლების პატრონს. ეს ღარიბისა მარტოხელსა. ეს ობლებსა, უდედ-მამოს. ეს იმასაც, ვისაც შიან. ეს სწორსა. ეს ამხანაგსა. ეს მეგობარსა. ეს ნათესავსა. ეს მეზობელსა. ეს ამვლელს. ეს ჩამოლელს—ეს პირუტყვს. ეს მყეფარსა ძალლებს. ეს ცდებიც და ჩემის ზიზნისათვის“.

სარწმუნოება დიდად მტკიცედ იყო ხალხში: უდაბნოებში ბერები არ ეტეოდა, ეკლესიებში მლოცველები. ყოველ შემძლებელ მებატონეს საკუთარი კარის ეკლესია ჰქონდა, საკუთარი მლვდელი ჰყავდა, რომელიც იმას უწირავდა, უღლოცავდა, სადილ-ვახშამზე სუფრას უკურთხებდა და, სხვათა შორის, ვეჭვობ, მდივნობასაც უწევდა..

უდაბნონი და მონასტერნი ნამდვილი ნავთსადგურნი იყვნენ კეთილმოქმედებისა.

„აქა ინახებიან—ამბობს პლატონ იოსელიანი—ობოლნი და გლახანი; აქა იკურნებიან სნეულნი; აქა იკვებებიან მშიერნი; აქა სნეულნი სულითა მიღლებენ სიმრთელესა; აქა მწუხარენი ვითარცა სასნეულოსა, ნუგეშ იცმებიან და ჰპოებენ სიხარულსა და შვებასა, რომელსაცა ხშირად დავნატრით სოფლისა მდიღარნი და ნეტარად საგონებელნი, ბრძოლის უამსა სიტყვითა და ჯარითა შველიან ქვეყანასა; სიმშილისა დროსა გვიძლენიან პურსა და ლვინოსა, საკლავსა და ცხენსა, ურემსა და მეურმეთა“<sup>1</sup>.

ამ უდაბნოებსა და ეკლესიებში მიიღებდა ჩვენი ერი სრულს წწავლა-განათლებას. აქ ასწავლიღნენ წერას, კითხვას, გალობას, ღრამატიკას, რიტორებას, ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, სამღვთოთა წიგნთა, კატეხიზმოს, ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვა საგანთა. ამ საუკუნის პირველ ხანებში თბილისში ამგვარო სასწავლებლები იყო: ნათლისმცემლის ეკლესიაში, კალოუბანში, სიონს, ქვაშვეთს, მეტეხსა და ანჩისხატში. მასწავლებლებად, რასაკვირკელია, სასულიერო პირნი იყვნენ. რიცხვი მოწაფეთა ამ სასწავლებლებში აღწევდა 400-დის.

<sup>1</sup> ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა, გვერდი 51.

დაგვრჩა მოსაგონებლად საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. ასეთი „კარგი ოჯახი“, ასეთი მხიარული და უმწიკვლოვანი ხალხი, ასეთი გულკეთილი გლეხი, ასეთი მორწმუნე და ქრისტეანე ერი სრულიად ბეღნიერი იქნებოდა, რომ არ დაეჩაგრა ერთ გარემოებას, სახელდობრ პოლიტიკურ სისუსტეს. კოკამ წყალი ვერ ზიდა სულ-მუდამ. ქართველთა ისტორიული სიმძლავრე გატყდა გაზვიადებულ მტრისაგან სამოცი ომის მამაცი მეფე ერეკლე, ლრმად მოხუცებული და ლრმად დალლილი, ვერ წინა-აღუდგა სპარსთა ძლიერებას; მათ აღიღეს თბილისი და თბილისთან ერთად „დაემხო მთელი ივერია“. შემდეგ საქართველოს იშედი ირაკლიც გარდაიცვალა და მის შვილთა ურთიერთშორის უთან-ხმოებაშ სულ ერთიანად არივ-დარივა უიმისოდაც აშლილი ქვეყანა. მეფე გიორგის გონიერებამ ვერა გააწყო რა, რაღანაც მას ვერ აჰყვა მისი ენერვია, და სახელმწიფო მმართველობა ანარქიას დაუასლოვდა. საუკუნე თავდებოდა და მასთან ერთად ჩვენი ისტორიის მეხუთე მოქმედებაც. მოქმედნი პირნი ძალზე უჩქაროდნენ ფარდის ჩამოშვებას და ფარდაც დაეშვა საშუალ მეფის ძეთა და დიდებულთა ყურ-თაგლეჯისა და წელმოწყვეტილ ქვეყნის მძიმედ დაშვებისა. ჩინებულად ასწერს ამ არევ-დარევის დროს პლატონ იოსელიანი:

„სიმრავლემან ძეთა და ასულთა მეფისათა—ამბობს იგი—დაბადეს შური და მტრობა ურთიერთისადმი. დაჲყვეს ოჯახები და დაბადეს უზრჩება და მედიდურობა სახლისა მწევრთა შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძლად და ანუ რომლისაგანაც წარიყვანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთათანა, არლა ემორჩილებოდნენ მეფისა. მოხელეთა, რომელიცა იყვნენ მდივანბეგად, მდივნად, მოურავად, ცხვნთა მცველად და სხვათ სამეცნისა საქმეთა გაძეგდ. დასუსტდა ჰაზრი და მნიშვნელობა პირ-მშეობისა; ეცილოდნენ მემკვიდრეობასა; არა პატივს-პსცემდნენ პირველობასა და თვითოული წევრი სამეფოისა სახლისა ჰავნებდა თავსა თვისისა მეფობისათვის გან-მზადებულად. ჰსჯული არლა ჰსჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდნენ მეფის ძენი და კარის კაცნი მათნი“<sup>1</sup>.

ამგვარი პოლიტიკური მდგომარეობის გამოწყობას ან მეორე შძლავრი მარჯვენა სჭირდებოდა მეფის ერეკლესი, ან ძმათა შმუსრველი სამოქალაქო ომი და მისი საშინელება. პირველი არსაით ჩანდა და მეორემდის გარემოებამ არ მიუშვა. მეფის ძეთა უთანხმოებამ დააჩქარა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო იმ ანარქიისათვის, რომელიც აღრე თუ გვიან ისტორიულისავე და პოლიტიკურ საჭიროებათა გამო მიუცილებლად უნდა მომხდარიყო.. მევამბობ საქართველოს შეერთებაზე რუსეთის იმპერიასთან. 18 დეკემბერს 1800 წ. იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა მანიფესტს.

<sup>1</sup> ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა, გვერდი 13.

რომელმაც „საუკუნოდ და სამარადისოდ“ გამოცვალა ბედი ქართლისა. 1802 წ 7 მაისს პირველმა საქართველოს მთავარმართებელმა კნორინგმა დააწესა ქალაქში უზენაესი მმართველობა და გამოაცხადა რუსის მმართველობა.

აი მოკლედ რა ღროს, რა ოჯახში, რა ხალხში და რა პოლიტიკურ წყობაში დაიბადა გრიგოლ ორბელიანი, რა „ზნეობით ატ-მოსფერაში“ მოიდგა იმან ფეხი და გაახილა გონების თვალი.

ვინ იტყვის, ალ. ორბელიანისაგან დახატული სურათი ქართლის ცხოვრებისა სულ ყველაფერში სწორი იყოს ნამდვილთან? პირიქით, მხატვარს ცოტა მეტი ფერი დაუდვია სურათისათვის, მეტი სხივი დაუკრავს. ეტყობა, დღის სინათლის მაგიერ, იმის ქარხანა მამულის სიყვარულის შარავანდედით ყოფილა განათებული. მაგრამ, მეორე მხრით, ვინ იტყვის, რომ დედა-აზრი ორბელიანის სიტყვისა ტყუილი იყოს! ვინ არ დაეთანხმება იმას, რომ ქართველი არ იყოს კეთილი, მშვიდობიანი, გულ-მარტივი, მეგობრის გამტანი, პურ-მარილიანი, უფროსების მორჩილი, გაჭირვებაში მომზომენი, ღვთის მოშიში, მმრსავი. უმთავრესი ნაციონალური თვისება ჩვენი ერის ხასიათისა სწორედ რომ კარგადა აქვს მას შემოხაზული. და რაც უფრო შორს წავალთ ჩვენ ჩვენი ისტორიის სილრმეში, რაც უფრო გავშორდებით ამ განათლებულ ღროს და დავუახლოვდებით ძველი-ძველ პატრიარქალურ ჩვენს ცხოვრებას, ეს თვისება უფრო და უფრო წმინდა და შეურყეველია. ის დრო, როდესაც, როგორც ამბობენ, ულვაშზე ხელის დადება თამასუქის მაგივრობას სწევდა და სიტყვა კონტრაქტზე ძლიერი იყო, არც მოგონილია და არც ისე დაშორებული ჩვენგან. ერთად-ერთი საფუძვლიანი საყვედური, რომელიც ეთქმის ორბელიანის სურათს, არის გლეხის მდგომარეობის უმართებულო აღწერა. შეიძლება ბევრ გლეხს ბევრი მებატონე მართლა „ჰყვარებოდეს მამასავით“, როგორც ამბობს მწერალი, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ გლეხი თავის მდგომარეობით კმაყოფილი იყოს საზოგადოდ, ეს კი ძნელი დასაჯერებელია. ვინ იცის, ეგებ... ოდესმე... ოქროს საუკუნეში... მაგრამ მას აქეთ ქვეყანამ რამდენჯერ იცვალა ფერი. გარდა ამისა, ხომ ნებატონე გლეხის ოფლით ცხოვრობდა? კეთილშობილნი რას არ ჩალიოდნენ „არა-კეთილიად შობილებთან“: არბევ-აწიოკებდნენ, სცემდნენ, სტანჯვიდნენ, საპყრობილები ალბობდნენ, მზითვად ატანდნენ თავიანთ ქალებს, ეკლესიებს სწირავდნენ, აგირავებდნენ, ჰყიდდნენ... „გლეხ კაცისა სულის მეტი ყველა მებატონისა იყო“, როგორც ბრძანებდა მრისხანედ ვახტანგის კანონი. ამგვარი „მამის“ სიყვარული გულკეთილ ქართველ გლეხებისათვისაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო,

ჩვენი აზრით... მაგრამ, ამ ერთი კითხვის გარდა, ზოგადი სურათი პოეტის დაბალების ღრმოებისა სწორედ კარგად არის დახატულია. ორბელიანისაგან და ჩვენ აღვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა კაცები და გარემოება ეხვია გარს ახალდაბადებულ მის თანამოგვარეს, რომელსაც გვირგვინი დიდებისა უნდა დაედგა მთელი მისი გვაროვნობისათვის.

#### IV

ტყუილად არ უთქვამს ფილოსოფოსს; ბავშვის გონება თეთრი, დაუწერელი ქალალდი არისო. რასაც დასწერს ადამიანი იმ თეთრ ქალალზე, კაცის გონებაც ის იქნება საბოლოოდ. ათი-ათასში ერთხელ თუ როგორმე თვით ქალალდი იქნება განსხვავებული და მადლით ცხებული და აღზრდა შეიქმნა ბავშვისაგან შესანიშნავ კაცს, თორებ უმეტეს ნაწილად, მდაბიო ენით რომ ვთქვათ, ბავშვი იგივე ქვევრია, რომელიც რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოიძახებს.

ამისთვის იყო, განსაკუთრებული ყურადღება მივაჭრიეთ ყველა იმ გარემოებას, რომელსაც შეეძლო დაემჩნია თავისი კვალი პოეტის ნორჩ გონებაზე. სანამ შვიდი-რვა წლის, სანამ ათი-თორმეტი წლის არ შეიქნება ბავშვი, ე. ი. სანამ იმას სჯერა თითქმის უცილოდ ყველაფერი, რასაც ეუბნებიან, და გამოხატულება მეტად მოქრავი აქვს, კაცი სანახევროდ მომზადებულია: ამ ასაკში მიღებული შთაბეჭდილება სამუდამოდ რჩება კაცის ზნეობრივ არსებას საფუძვლად. შეიძლება ეს შთაბეჭდილება უამთა განმავლობისა გამო მიეფაროს კიდეც მეტსიერებისაგან. მაგრამ ჩვენს არსებაში, ჩვენი ქცევის ლოლიკაში ის პირველი შთაბეჭდილება უხილავ პირველსაბუთად რჩება, რომლისაგან აწყობ მომდინარეობს, როგორც დასკვნა. რომ, ძლიერი სამახსოვრო შთაბეჭდილება მიიღოს ყმაწვილმა, ორისაგან ერთი უნდა: ან დედა ჰყავდეს გონიერი და ხელოვანი მოლაპარაკე, რომელსაც შეეძლოს ფეხი აუდგას მის ფანტაზიას და აამუშავოს, — დედა უამბობდა გიოტეს არაკად, სხვათა შორის, იმ სრიდუმლო გზებზე, რომელიც ვითომ უნდა მიღიოდეს ერთი ვარსკვლავიდან მეორე ვარსკვლავამდე, იმ ფერიებზე, რომელნიც ცხოვრობდნენ ზეცათა სივრცეში, ეუბნებოდა ჰაერზე, მიწაზე, ცეცხლზე, რომელთაც გამოხატავდა სახედ რომლისამე კაცისა ან ქალისა და ბავშვი „დიდის ყურადღებით უსმენდა დედას“, როგორც ამბობს მისი ბიოგრაფიულისი — ან ხალხის ცხოვრებაში იღვეს ისეთი გაჭირვებული დრო, როდესაც ყოველი არსება კაცისა აღძრულია სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო, როგორიც არის, მაგ. ომი, ხალხთა გადასახლება, შიმშილი, ჟამი და სხვაგვარი საშინელება. როგორც პირველს, ისე-

შეორე შემთხვევაში ბავშვის შეუბლალავი ბუნება — თუ ამასთან ის კარგადაც არის წარმართული — ღრმად ჩაიჭრის გულში და გონება-ში ნათქვამსა და ნანახსა და ფეხადგმული ფანტაზია განაგრძობს ფრენას... სხვა ღროსაც და სხვა ჰასაკშიაც.

ამ მხრით გრიგოლ ორბელიანი სიკარისტილეში ბედმა საუკეთესო პირობაში ჩააყენა.

ალექსანდრე ორბელიანისაგან დახატული სურათი ქართველი ოჯახისა და ქართველი ქალისა თითქო საგანგებოდ პოეტის ოჯახისა და დედისაგან არის გადალებულიო, როგორც ამ სურათში, ზურაბ ორბელიანის სახლიც ისეთი ოჯახი იყო, რომელშიაც მოურავები, მოსამსახურები, გამდლები, მოახლეები, მოჯალაბენი, მეჯინიბენი, მეჯოვენი ირეოდნენ და ერთგულობდნენ. როგორც ამ სურათში, ზურაბსაც თავისი საკუთარი კარის ეკლესია ჰქონდა, საკუთარი მლვდელი ჰყავდა და, მაშასადამე, იყო ნამდვილი ფეოდალური თავადი, რომლის სახლშიაც ახალდაბადებულ გრიგოლს ბევრი ისეთი ღონისძიება რამ უნდა ჰქონდა, რაც მრავლისაგან უმრავლესს არა აქვს. ღედა პოეტისა, თვით განხორციელებული სიკეთე და სიჩაზე იყო. იმას იმდენად უყვარდა პოეტი — გაგვიგია ძველთა ქალთაგან — და იმ ზომამდის მორწმუნე იყო, რომ როდესაც პატარა გრიგოლს ეძინა, ღედა ლოცულობდა მის თავზე და მძინარეს წმიდა აიაზმას უსხეულებდა. ყველაფრის შინო ჰქონდა ამ ღროის ქართველ ოჯახს, — გვითხრა ქეთევან არბელიანმა, — უკანასკნელი გამდელი ბუზს რომ მოუგერებდა მძინარეს, იმის კეკლუცი რხევა კაცის თვალს დაატყვევებდა. ხორეშან იმ ძველი აღთქმის დედაკაცი იყო, რომელზედაც ლაპარაკობს ალექსანდრე ორბელიანი.

„იმ ჩვენს ქველს დედა-კაცებს ჯერ ყმაწვილობაში სამღვრთო წერილს ასწავლიდნენ, კურგა-ხელსაქმეს და მასუკან საერო წიგნებს ანუ ხელწერილებს აკითხებდნენ; ამასთან კარგს ზნეობას, კარგს თვისებას ასწავლიდნენ; შემდეგ ქცევას, მიმონვრას, თავის უმანქობის სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწერათ, თავის მოთმინებით, იმათ ბუნებაში; და ბოლოს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ — და ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბეჭნიერებლად“ <sup>1</sup>.

უეპველია, ამ კეთილმა დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისეან საუკუნოდ განუშორებელი ღვთის შიში, ერთგულება მამულისა, განუზომელი პატივისცემა შშობელთა. და ნათესავთა (იმას მისი წერილებიდან შეატყობთ), წესიერებისა და თავდარიგის სიყვარული. იმის გარშემო სუფევდა ისეთი ქცევა, ისეთი მიმოხვრა, ისეთი სიტკბო ლაპარაკისა, თვით ცხოვრება ისე განხომილად და — თუ შეიძლება ასე იაქვას — თავისღრულად მიმდინარეობდა, რომ თა-

<sup>1</sup> ალ. ორბელიანის ნაწერები, გვერდი 150—151.

თქო რაღაცგვარი საზოგადო ტაქტი და რითმი მიეცეს გამჩენს მთელის ოჯახისთვისათ. მომავალ პოეტზედ ამ პირობათ არ შეეძლოთ არ ჰქონოდათ სასარგებლო გავლენა.

მერე რა ესმოდა ბავშვის გარშემო? რას უნდა მოეყვანა გაკვირვებაში მისი ნორჩი გამოხატულება, რას უნდა მოეხდინა მისთვის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც უნდა ჰქონოდა საბოლოო გავლენა მთელ მისს ზნეობრივსა და გონიერივს არსებაზე?

ეს იყო: თბილისის აოხრება აღა-მაჭადისაგან. მეფე ერეკლეს გარდაცვალება... რუსის ჯარის ჩამობარება ქალაქში... მეფე გიორგის უდროოდ სიკვდილი... ბატონიშვილთა უურთაგვეჯა... მანი-ფესტი... ოთხი ათასი ეგზემპლიარი ქნორინგის განცხადებისა ხალხში გავრცელებული... ლაზარევი, დედოფლის ხელით მოკლული... დაჭრილი დედოფალი, ტროიკით რუსეთში გაგზავნილი... თაგაურელების მეცადინეობა დედოფლის განთავისუფლებისთვის დარიალის ვიწროებში... დედოფალი, მონასტერში ჩამწყვდეული... მაჭმადიანთა პროვინციების შემოერთება... კირი, ქალაქში გაჩენილი... სამეგრელოს გაქვეშვრდომება... იმერეთის მეფის გაქცევა... კახეთის „ბუნტი“ და სხ. ყოველს ამაზე ცისმარე დღეს ესმოდა ლაპარაკი ახალგაზრდა გრიგოლს. ამას უამბობდა გამდელი, ამაზე მუსაითობდნენ იმის მამასთან სადილად მოწვეული სტუმრები და ნაცნობები. ჯერ კიდევ ჯოხს დააჭენებდა იგი, როცა მის თვალწინ მთელი ჩვენს ქვეყნის პირი შეიცვალა. გაჩნდა მეფის რუსეთის სალდათი, რუსის პოლიცია, რუსის ორდენები და ლენტები, ურემმა გზა მისცა ტარანტასა, ლეჩაქმა—შლიაპას, ქოშებმა—ბათინკებს. თითოეული ამგვარი წინამორბედი ახალი ცივილიზაციისა იწვევდა ჩვენს ბუნებრივად კონსერვატორს საზოგადოებაში დიდ ლაპარაკასა და ხშირად გაკიცხვას. ორბელიანი ამ დროების მოწმე იყო და ყოველი ახალი მოვლენა ქართლის ცხოვრებისა სტოვებდა მის ნორჩ გამოხატულებაში ღრმასა და წარუშლელ შთაბეჭდილებას. სამოც-სამოცდაათი წლის შემდეგ, მოიგონებდა რა პოეტი ამ ორი ცივილიზაციის ერთად აღრევის დროს, იტყოდა ნიმუშად დროების აღწერისა:

„მახსოვს, ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან, შევედი და ბატონიშვილი დიდად და დიდად გაჯავრებული დამხვდა.

- რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა?
- როგორ, რამ გამაჯავრა; უი, სირცხვილი! შვილო, გაეონილა, ოთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს!
- მერე, ბატონო, რაო, რომ ბაშმაკები ჩაუცვამს.

— ისა, შვილო, რომ დღეს რომ ქოშები გაიხადა, ზეალ სხვა-  
საც გაიხდის“.

ამგვარი სხარტული გაცელა ქოშებისა ბაშმაკებზე, ურთი ცი-  
ვილიზაციისა მეორეზე, ამგვარი საჩივარი „ძველის რჯულის და  
მეგობრების“ მომხრეთა ახალ ზნეობაზე, სულ ეს ნგრევა-ტეხა ძველი,  
პოლიტიკური წყობისა და ახალი რეეიმის დამყარება ამ ნანგრევებზე,  
— აი რა შეადგენდა პოეტის პირველ შთაბეჭდილებას, რას უნდა  
მოეფინა შემდეგი მისი სულის სიღრმე ცოტ-ცოტად და შეუნიშნა-  
ვად მუნ ჩაძირულ ისტორიული მოგონებითა....

წერა-კითხვა ორბელიანმა ანჩისხატის დეკანოზისგან ისწავლა.  
ეს დეკანოზი, გვარად ალექსეევი-მესხიევი<sup>1</sup>, დიდი მწიგნობარი იყო  
და იმ ზომამდის მშვენიერი, რომ ერთმა მხარევარმა მისი სახე რო-  
მელილაც ეკლესიის გუმბათზე საბაოთად დასახა, როგორც გაგვიგო-  
ნია თვით პოეტისაგან. ამისგან ქართული წერა-კითხვა რომ ისწავ-  
ლა, გრიგოლი იმისმა მშობლებმა მიაბარეს ახალს, მთავრობისაგან  
გამართულ კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ ქართული ენის  
მასწავლებლად შეხვდა იმას წლვდელი ხელაშვილი, ჩვენი ენის ზედ-  
მიწევნით მცოდნე. „ჩინებული კაცი იყო, — მოიგონებდა პოეტი თავის  
მასწავლებელს: — როდესაც სწავლა გავათავეთ და აფიცრები ვიყა-  
ვით, ერთხელ მე და ჩემ ამხანაგებს მთავარმართებლის სახლის-  
გვერდით შემოგვხვდა ეს მლვდელი, ძლიერ ესიამოვნა ჩვენი ნახვა,  
გამოგვითხა, სად ვიყავით, რა სამსახურში შევედით, ჯამაგრი რა-  
გვქონდა და როდესაც მუსაიფი გავათავეთ, გვითხრა: „აბა, ახლა-  
მშვიდობით! მე ასე უნდა წავიდე და თქვენ თქვენს გნახე გაისეირნ-  
ჟალწულ-ჰაერეთ!“

რუსულ ენას ჯერ კიდევ ხელით ნაწერ რვეულებიდან სწავლობ-  
დნენ ამ დროს. ამ რვეულის თავზე პირველი რუსული სიტყვა, ქარ-  
თულად თარგმნილი, იყო რუსული თანდებული თვის. ბავშვებმაც  
ამ რვეულს ეს სახელი დააჩქვეს. „თუ კლასში დავაკლდებოდით  
ვინმე, — იტყოდა პოეტი, მეორე დღეს სასწავლებელში რომ მივი-  
დოდით, მაშინვე ვეკითხებოდით ამხანაგებს: „აბა, ერთი შენი ოთვისი-  
მათხოვე, გუშინდელი უროკი გადმოვიწეროთ“. სასწავლებლის უფ-  
როსი ბუვრინსკი კარგი კაცი თურმე იყო, თუმცა ვულფიცხი. რო-  
დესაც ჩვენ იმას გავაჯავრებდით, დამტვრეულის ქართულით გვეტ-  
ყოდათ: შეკარცხვინოს ღმერთმა და კვალად შეკარცხვინოს!

როდესაც ქალაქში გაიხსნა არტილერიის სკოლა, გრიგოლი გა-  
მოიყვანეს ამ სასწავლებლიდან და არტილერიის სკოლაში მისცეს....

<sup>1</sup> ნამდვილად ალექსი-მესხიშვილი.

Зოეტის ბიბლიოთეკაში ინახება ერთი წიგნი „Начальныя основания сельского домоводства, В. Кукольника“, რომელზედაც წარწერილი გვაჩვენებს, თუ როგორ სწავლობდა ორბელიანი ამ სასწავლებელში. ამ წიგნში სწერია:

„Сия книга, по случаю публичного испытания, бывшаго в 1817 году 3-го июня, пожалована за прилежание и успеха ученику князю Григорию Орбельяному и во время публичного испытания вручена за подписание правящего должност Грузинского гражданского губернатора на правах и военного 19 ноября 1818 года Генераль майор

Ховен“.

რამდენიმე ამ დროული მოგონებაც პოეტის ცხოვრებაზე. გრიგოლი სიყმაწვილეში ერთობ პატარა ტანისა იყო, ასე რომ შინაურობაში იმას „კურკას“ ეძახდნენ. თოთხმეტის წლისა რომ შეიქნა, დიმიტრი ორბელიანმა დანიშნა იგი თავის ძმის ყაფლანის ქალზე— სოფიოზე, რომელიც მაშინ სამი წლისა იყო, მაგრამ ეს ქორწილი არ მოხდა, რაღაც როდესაც გრიგოლი რუსეთში იყო, სოფიო მიათხოვეს ერთს რუს ჩინოვნიკს, ბეჭაკს.

ამ დროების შესახებ არა ერთგზის უთქვაშს ჩვენთვის პოეტს: „ჩემს სიყმაწვილეში თავ-ეკლესიად ქალაქში ანჩისხატის ეკლესია იყო. იქ იყო ერთი მთავარი, სახელად დავით, რომელმაც მშვენივრად იცოდა სახარების კითხვა. როდესაც შევიტყობდით, რომ ის იქნებოდა მწირველი, ავიყრებოდით აქედან ქალი და კაცი და ანჩისხატში წავიდოდით, თუმცალა მაშინ ეკლესია დიდად გვეშორებოდა. უმეტეს ნაწილად წირვა-ლოცვას მამაჩემი ამ სახლიდან ისმენდა ამ ჩვენს კარის ეკლესიაში. მამამ კარგად იცოდა საღმრთო წერილი: თუ მღვდელს რამე შეცდომა მოუვიდოდა, აქედან გაუსწორებდა:— ასე არ არის, მღვდელო, რა ღმერთი გაგიწყრა, რით ვერ ისწავლე აქამდის,— დაუძახებდა. საღმრთო წერილის ცოდნა ბლიერ იყო გავრცელებული საზოგადოებაში, მეტადრე ქალებში, ქართულის ცოდნა ხომ იყო და იყო. სომხებმაც ჩინებულად იცოდნენ ჩვენი ენა, განსაკუთრებით ბებუთაანთ. საკუთარი სამშობლო ენა იმდენად არ ეშარჯვებოდათ, როგორც ჩვენი. ერთხელ სტამბოლიდან იყო, არ ვიცი, თუ ეჩმიაძინიდან, გორს მოვიდა სომხის მქადაგებელი ეპისკოპოსი და წირვის შემდეგ ქადაგება სთქვა. წირვაში მყოფ სომხებმა იმისი ქადაგება ვერ გაიგეს და ადგილის მღვდელმა იქვე სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ქართულად. ქართული მწიგნობრობა ყოველს ოჯახში იყო გავრცელებული. მწერალთა შორის მე მახსოვს: პეტრე ლარაძე, გიორგი თუმანიშვილი, „მრავალ-ყვავილოვანი“-ს დამწერი, ეგნატე იოსელიანი და სხ. იმანე ბატონიშვილი— „კალმასობის“ ავტორი,

4. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები.

თეიმურაზ ბატონიშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩემი დროს კაცნი იყვნენ. ალ. ჭავჭავაძეს მე ერთ დროს აღიუტანტადაც ვახლდი".

სხვა ამბებს, ჩვენს მიერ პოეტისგან გაგონილს, ჩვენ დაურთავთ თავ-თავის ადგილზე. ეხლა კი უნდა ვნახოთ, როგორი იყო მისი მსახურობის დასაწყისი და პირველად ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა.

## V

კეთილშობილთა სასწავლებელი ჯერ არ დაესრულებინა გრიგოლ ორბელიანს, რომ ქალაქში გაიხსნა არტილერიის სასწავლებელი. გახსნისათანავე გრიგოლი გადავიდა ამ სასწავლებელში, რადგანაც საკუთარი მისი სურვილიც სამხედრო დიდებისაკენ მიისწრაფოდა და დეკ-მამასაც ეს უნდოდა.

ჩვიდმეტი წლისა ის შევიდა იუნკრად 21-ს არტილერიის ბრიგადაში; ოცდაერთის წლისა ის განწესდა პორტუპეი-იუნკრად საქართველოს გრენადერის პოლკში; ოცდაორი წლისას იმას მისცეს პრაპორშჩიკობა და ამ წელს მიიღო იმან პირველად „ცეცხლით ნათლისლება“ მტრისგან, ე. ი. ომში მონაწილეობა.

აი რა საქმეში და ბრძოლაში ერია გრიგოლ ორბელიანი თავის მსახურების პირველ წლებში:

1822-ს ის იყო მონაწილე გენერალ-ლეიტენანტის, თავადი ერისთავის რაზმისა, როდესაც ამან დაამარცხა და ციხე წაართვა ჭარის ლექებს.

1826-ს, სპარსეთის ომის დროს (1826—1828), იგი იბრძოდა გრაფ სიმონიჩთან, როდესაც ამას შეება სპარსეთის კავალერიის პარტია; თავად მადათოვთან, როდესაც ამან დაამარცხა სპარსელები შამხორის ახლო; პასკევიჩთან, როდესაც-ამან გაიმარჯვა სპარსელებზე განჯაში; ხელ-ახლა თავად მადათოვთან, როდესაც ეს წავიდა ექსპედიციით არაქს ვალმა.

1827-ს წელს: გრაფ ბენკენდორფთან, როდესაც ამან დაამარცხა სპარსეთის ცხენოსანი ჯარი ეჩიმიაძინის მონაწილეობით: ირაკლი-თაფა, აბას-აბადი, სარ-დარ-აბადი და თვით ერევანი, რომლის დაპყრობამ მისცა პოეტს აზრი „სადლეგრძელოს“ დაწერისა; ამ წელს სძლია რუსმა სპარსეთის პრინცის აბაზ-მირზას ჯარს და ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ორბელიანს მოუვიდა უმაღლესი მაღლობა.

1828 წ. ატყდა ოსმალოს ომი (1828—1829) და ორბელიანი, პორტუჩიკი, იბრძოდა პასკევიჩის ხელქვეით, როდესაც ამან „ხმლის ტრიალით“, „ძლევის ყიუინით“, „ხელს ბაირალით“ „ძირს დასცა

ჟარსი“. ყარსის ალების შემდეგ ორბელიანი გამოჰყევა მურავიევის ჯარს, რომელმაც აიღო ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე. რაც შეეხებოდა იმის მცირე თანამდებობას, პოეტმა ყველა ამ საქმეებში იჩინა თავი და მთავრობამაც განასხვავა იგი.

1829 წ. ორბელიანი კახეთში გაგზავნეს, ალექსანდე ჭავჭავაძესთან. ეს უკანასკნელი ამ დროს კახეთის სამხედრო საზღვრების უფროსად იყო და ორბელიანი საგანგებო მინდობილების კაცად უნდა ხლებოდა იმას...

1830 წ. გრიგოლი გაჰყევა ჭასკვევიჩის ექსპედიციას, რომელსაც უნდა დაეპყრო და შემოეეროებინა რუსეთისათვის ჭარ-ბელაქნის ლექები. ამავე წელს ის იღებდა მონაწილეობას სტრეკალოვის ჯარში, რომელმაც ზაქათალა აიღო.

1831 წ. კავკასიის აქეთა მხარის მთავარ-სარდლის პანკრატიევის ბრძანებით, ორბელიანი გაიგზავნა პეტერბურგს, საცა წაასხა იმან კავკასიის კორპუსიდან დარჩეული სალდათები „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკისათვის“.

ამას აქეთ მთელი შვიდი წელიწადი გრიგოლ ორბელიანი რუსეთში მსახურობდა. იქ გაიცნო იმან ზედმიწევნით რუსული ენა და ქრისტიანობა, თარგმნა ქართულად რამდენიმე ლექსი და იგავ-არაკი უკოვსკისა, პუშკინისა, რილევისა, კრილოვისა; აქ გაიცნო იმან დაახლოვებით ცოცხალი ნაშთი ჩვენი წარსულის ისტორიისა: საქართველოს დედოფლალი, დედოფალი იმერეთისა, სამეგრელოს მთავრის მეუღლე, ბატონიშვილები, წარჩინებულნი და თავაღნი, რომელნიც მათთან იყვნენ გადასახლებულნი რუსეთს... სიამოვნებით მოიგონებდა პოეტი მოხუცებულობაში იმათთან გატარებულ დროებას. ბატონიშვილებს უქებდა ცოდნას და მამულის სიყვარულს და ახირებული ხასიათის კაცად გამოსახვიდა, როგორც ბაგრატიონთა.

ბატონიშვილ თეიმურაზთან რომ შევიდოდა კაციო—გვითხრა ერთხელ პოეტმა—ის ჯერ თავაზიანად დაუწყებდა სტუმარს ლაპარაკს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უეცრად, თითქო დაილალაო, გაჩუმდებოდა, დაფიქრდებოდა და ოცნებისაგან გატაცებული დადგებოდა, ან დაჯდებოდა ერთს ადგილზე დიდ ხანს, უძრავად, უენოდ. ამ მდგომარეობიდან რომ გამოფხილდებოდა, ჩვეულებად ჰქონდა წამოეძახნა: მერე? და ნაცნობ-მეგობრებიც გასცემდნენ იმგვარ პასუხს, რაგვარსაც მოიმარჯვებდნენ. ერთხელ, ამგვარი დაკარგული ფიქრის შემდეგ, მეც მკითხა ჩვეულებრივად: მერე, მერე, ჩემო გრიგოლ? მეც მოვახსენე ხმამალლა: მერე, ბატონო, წავასხით ყარაიაში მწევარ-მეძებრები, დავედევნეთ ჯეირანს · და მანამ ვსდიეთ, სანამ...

ამაზე იმანაც სიამოვნებით: ოპო! ჰო! ჰო! ჩემო გრიგოლ, ჩემო გრიგოლ! წაგრე, მაგრე!

მიხედლ ბატონიშვილი თეიმურაზე უფრო ახირებული კაცი იყო. მისი ოთახის კედლები სულ ხატებით იყო მოფენილი იატაკიდან ჭერამდე. წირვა-ლოცვიდან რომ დაბრუნდებოდა, მოჰყებოდა ამ ხატების მთხვევას და რომელ ხატსაც ვერ შესწედებოდა, მიუშვერდა თითს, ან ჯოხს და ეტყოდა: შენც თაყვანს-გცემ, შენც, შენც, შენც—და ამგვარად დაუვლიდა ყველას, არც ერთს გულს არ დააკლებდა. ერთხელ მე და საშეგრელოს დედოფალი<sup>1</sup> შევედით იმას-თან. ბატონიშვილს მის სასაღილო ოთახში გარშემოუსხამს სტოლზე თორმეტი რუსის მუჟიკი, ვითომ თორმეტი მოციქული, და იმათთან ერთად შეექცევა სერობას. ამ ახირებულს ექიმებისა არა სწაბდა რა. ერთხელ წაიქცა და ფეხი იღრძო. ვერასფრით ვერ დავაჯერეთ, რომ ექიმი დაებარებინა და ეწამლნა. თუ მოვრჩები, ხომ კარგი, თუ არა და კარეტით ვივლიო და ამგვარადაც ფეხი მართლა გაიფუჭა და შემდეგში ჯოხით დადიოდა.

ნოემბრის თვეში, 1831-ს, გრიგოლ ორბელიანი მივიდა ნოვ-გოროდს, საცა ჰერინდა ბანაკი საგანგებო პოლკს, და თვისტო-მისაგან მოშორებული, ღარიბ-ღატაკი პრაპორჩიკი გაერთო თავის-შჩიმე სამსახურში... უდარდელად, უზრუნველად, ლხინის მოყვარე, დაუდევარ ჭაბუკ აფიცერთა ამხანაგობაში, პოეტი ვერც კი აშჩევდა, რა მალე შიდიოდა დრო-ჟამი, როდესაც 1833-ს „უცებ გრიგალმა-უბედობისამ“ დაჰქროლა მისს სიცოცხლეს, „ძლივს გაშლილს სასი-ხარულოდ“, პოეტს დასწამეს პოლიტიკური ორგულობა და დაიჭი-რეს. ის ჯერ პეტერბურგს წაიყვანეს ნოვგოროდიდან და იქიდან გამოგზავნეს ქალაქს, საცა უნდა გარჩეულიყო საქმე სხვა პოლიტი-კურ დამნაშავეთა, ორგულობის მონაწილეთა. მე დაწვრილებით ავ-წერე ამ შეთქმულების ამბავი გიორგი ერისთავის ცხოვრების აღწერაში (რომელთანაც ვგზავნი ამ ამბის შეტყობის მსურველთა); და აქ მოვიგონებ მხოლოდ იმას, რაც გამიგონია თვით პოეტისაგან-აქ კი გაკვრით მოვიხსენიებ რაშიც მდგომარეობდა ეს პოლიტიკური საქმე, რომლის გამო ჩვენი პოეტი რამდენიმე ხნით სამსახურს იქნა-მოცდენილი და თავისუფლებას მოკლებული.

1829 წელს თბილისში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელ-საც უნდოდა გაეთავისუფლებინა ჩვენი ქვეყანა მეფის რუსეთის და-მოკიდებულებიდან. ამ საზოგადოების მოთავენი იყვნენ: ბატონიშვი-ლები ოქროპირ და დიმიტრი და თავადნი: ალექსანდრე ორბელიანი,

<sup>1</sup> ნინო, მეფე გიორგი XIII-ის ასული, მეუღლე მთავრის გრ. დადიანისა. რედ

ულიშბარ ერისთავი, ია ფალავანდოვი, გიორგი ერისთავი, მამუკა ორბელიანი და სხვა მრავალნი. შეთქმულების უმთავრესი მონაწილეთაგანნი იყვნენ აგრეთვე ქართული გაზეთის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი, მასწავლებელი სოლომონ რაზმაძე და ბერი ფილადელფის კიკნაძე. 1830 წელს, როცა პოლონეთში არეულობა მოხდა, ამ საბოგადოებამ უფრო ღილი დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელითავის საქმეს. შეთქმის მოთავეებმა გადაწყვიტეს არეულობა მოებდინათ 1832 წლის დამლევს, როცა თავად-აზნაურების კრება იყო დანიშნული ქალაქში. ამ დროისათვის თითოეულს ამაოგანს უნდა ეშმოვა საკმაოდ დაიარალებული ხალხი და მისთვის შიჩენილი საქმე, აესრულებინა. დანიშნულ საათს უნდა დასცემოდნენ ხაზინას, არსენალს, მაღაზიებს, უნდა გაევრულებინათ ხმა ხალხში, რომ ქართველების სალდათად გაყვანას აპირებენ რცხსები და მიემხროთ დაბალ ხალხს გარდა თბილისში მყოფი პოლონელებიც. არეულობა უნდა დაწყებულიყო ბალში, რომელიც უნდა გაემართა თავად-აზნაურობას და რომელზედაც უნდა მოეწვიათ თბილისში მყოფი შართებლობის ყველა უმაღლესი წევრი რუსთავან. ყველა ქანი და ავათი მომხრე ქართველები უნდა დაეხოცათ ამ ბალში, მერე უნდა შეექმნათ ქალაქში ზარების რეკა, გამოესვენებინათ ეკლესიიდან ხა-ტები, დაეფიცებინათ ხალხი და ამ სახით მოეხდინათ არეულობა საქართველოს განთავისუფლებისათვის. მაგრამ შეთქმულებს გაუცრუვდათ თავიანთი განზრახვა. ერთმა მოთავეთაგანმა, ია ფალავანდობი, 6 დეკემბერს, ყოველივე ამ საქმის გარემოება მოახსენა მთავრობას და შეთქმის მონაწილენი დაჭერილნი იქმნენ.

გრიგოლ ორბელიანი ერთობ დაახლოებული იყო შეთქმულებთან, როგორც ნათესავი და ნაცხობი, რომ მთავრობას ეჭვი არ აერო იმაზე. გამოძიებიდანაც აღმოჩნდა, რომ იმას შორიახლო დაშოკიდებულებაც ჰქონია შეთქმულებთან და, როჩენის მიწერილობის საფუძველით, ის დაიჭირებს.

ერთხელ პოლტვა ლაპარაკი ჩამოავლო ამ საგანზე და გვიამბო შემდეგი: „იმ დროებით მე ლაგერში ვიყავი, ნოვგოროდს ახლო და აფიცრები შეავდა დაპატიუებული სადილად. სადილის წინ ქალაქში წავედი ღვინოების საყიდლად და დაბრუნებულზე, სანამ სუფრა გაიშლებოდა, ამანაგებმა ქალალდის თამაში გავმართეთ. ამ დროს უცრიდ უანუარმის პოლკოვნიკი შემოვიდა ჩემთან.“

— დადად მოხარული ვარ, ბატონო, თქვენი გაცნობისა. რა გნუბავთ ჩემგან?

— მე ბრძანება მივიღე მთავრობისა, სახლი გაგიჩრიეთ და შევიტყო, რა წიგნები გაქვს, — მიპასუხა განზე გახმობით უანდარმა.

— ჩემი ბიბლიოთეკა ისე ღარიბია, რომ დიდხანს არ დაგჭირდებათ შრომის გაწევა. ინებეთ, ბატონო, ამ ჩემი წიგნები,— ვუპასუხე მე.

რასაკვირველია, მე წიგნები არა მქონდა-რა მართებლობის ხაწინააღმდეგო, მაგრამ უანდარმა, რაც მქონდა, სულ ყველაფერი ჩამომართვა, სხვათა შორის, ჩემი დღიურიც. ამის შემდეგ ერთი კვირა რომ გავიდა, დამიბარეს პეტერბურგს. არლოვმა (გენერალ-ადიუტანტი არლოვი იყო ხელმწიფისგან დანიშნული პეტერბურგში მყოფ ქართველ შეთქმულთა ჩვენების ჩამოსართმელად) მკითხა საქმის გარემოება.

- თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობ?
  - ვიცნობ.
  - ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?
  - ვიცნობ.
  - ბატონიშვილებს: ოქროპირს, ლიმიტრის?
  - ვიცნობ.
  - საიდან იცნობ ყველა ამათ?
  - ყველა ჩემი ნათესავებია და ამხანაგები.
  - რილევის „ნალივაიკოს ალსარება“ თქვენ სთარგმნეთ ქართულად!?
  - დიახ, მე.
  - „იარალი“ თქვენ დასწერეთ?
  - მე.
  - რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსით?
  - ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი.
  - გვითხარით, თუ იცით, რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ?
  - არ ვიცი და ვერც მივმხდარვარ, ვისთან რა უნდა მოეწერა ეგვიპტის ფაშას და სხ. ამგვარები.
- ერთი კვირა გამაჩერეს ამის გამო პეტერბურგს და შემდეგ ჭალაშ გამომგზავნეს, საცა რამდენიმე თვე ყაზარმებში ვიყავი დამწყვდეული. ჩემ გვერდით ნომრებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი. ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო-რა დედამიწაზე. მამულში ვიყავი მოსული და ნაცნობ-მეგობრებს შორის მხიარულების ნაცვლად საპატიმროს კედლების ხილვა მაწვა გულზე ტყვიასავით. ერთხელ მარტო მოეფინა სიამოვნება ამ გულს: ერთ კვირა დღეს, საღამოს პირზე, ჩვენს ყაზარმას დაუპირდაპირდა ზურნა-ღალაბანდი მოქეიფე ბიჭებით, ლვინითა და სიმღერა

რით. მოქეიფენი შექერდნენ ჩვენს ფანჯრის პირდაპირ და სიმღერით დაგვიწყეს ნუგეში: „ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, მოთმინება იქონიეთ, ლმერთი მოწყალეა“. ერთ ხანს გვალხენდნენ და გვანუგეშებდნენ ესენი, მაგრამ მალე ყაზარმის მთავრობამ გარეკა ისინი იქიდან. ვინ იყვნენ ისინი, დღესაც არ ვიცი“.

1833 წლის ოქტომბერში საქმის წარმოება გათავდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გრ. ორბელიანს ძლიერ მცირე მონაწილეობა მიეღო შეთქმულთა განზრავის განხორციელებაში. აშის გამო, როდესაც ბარონ როჩენმა სამხედრო მინისტრის საშუალებით ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა შეთქმულთა დანაშაულის აღწერილობა და სასჯელის პროექტი, გრ. ორბელიანი ჩარიცხულ იქნა მეშვიდე წყობის დამნაშავეებთან (სულ იყო ათი წყობა), იმ დამნაშავეებთან, რომელთა შორის იყო ალექსანდრე ჭავჭავაძეც. მთავარმართებელმა გრიგოლ ორბელიანი განათავისუფლა საპყრობილედან, როგორც მცირე დანაშაულის მექონი, და გაგზავნა სამსახურებლად კავკასიის „ლინიაზე“. ის სწერდა თავის მოხსენებაში: „პორუჩიკი თავადი გრ. ორბელიანი, რომელმაც სთარგმნა ჭართულ ენაზე „ნალივაიკოს აღსარება“, თხზულება რილევისა, გავგზავნე მე კავკასიის ლინიაზე და სასარგებლოდ ვრაცხ, რომ იგი განწესებულ იქნას შიდა რუსეთის რომელსამე პოლკში იმ პირობით, რომ რამდენიმე წელი აღეკრძალოს საქართველოში დაბრუნება“. ხელმწიფე იმპერატორმა როზენის მოხსენება დაამტკიცა და პოეტი ლინიიდან გაიგზავნა ნევრს საზღვაო პოლკში, რომელსაც ვილნოს გუბერნიაში ჰქონდა სადგური.

## VI

საპყრობილედან რომ გამოვიდა გრ. ორბელიანი, ან, როგორც ის თვითონ ამბობს ერთს ლექსში, „ვაების ბჭე რომ განეღო“ მას, შინ დაუხვდა მეორე უბედურება: ამ უამაღ მოუკვდა იმას საყვარელი დეტა, ერთად-ერთი იმედი, რომელიც „ახარებდა გულსა მისსა“. ამ ორმა ზედიზედ წართულმა ჭირმა სულ ჩაუშხამეს პოეზის ყმაწვილი კაცობა, მამამისი მკვდარი იყო, მა სხვაგან მსახურობდა, ოჯახი ვალით იყო სავსე (წინანდელი დოვლათიდან იმდენიც არ დარჩენილა ამ დროს, რომ დედის დასამარხავად უცდაათი თუმანი არ აეღოთ სესიად). თვითონ კი, ამ ორკეცის უბედურებით გამსჭვალული, უნდა მოშორებოდა დედის საფლავს და წასულიყო იმ ლინიაზე, საცა ძალაუნებურად ჰგზავნიდა მას მთავრობა... ერთობ მძიმე მომენტი იყო ეს მომენტი პოეტის ცხოვრებაში და საუკეთესო გულის ოხვაც, რომელიც როდესმე პოეტის კალამს ამოულია ჩვენდა დასატკბობლად, ეკუთვნის ამ გაჭირვებულ მომენტის აღწერას.

პოლიტიკურ შეთქმულებას პოეტი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, სულ უბრალო ოცნება იყო თურმე ეს ჩვენი თავადი-შვილებისა, რომელთაც უნდოლათ პოლონელების წაბაძვა. მე დანა-შაული არა მქონდაო, სწერდა პოეტი საქართველოს დედოფალს.

„ჩემს გასამართლებლად მხოლოდ ამას მოგასხენებ მოკლედ, რომ მართლ-მსაჯულებთა სრულებით გამამართლეს მე... ასე რომ თვით ჩემს ფორმულიარშიაც არა სწერია, რომ იყო ჩემზე სლედსტვიე. უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობისა გაშო“<sup>1</sup>.

უფრო დაწვრილებით აუწერს პოეტი თავის პატიმრობას და დედის სიკვდილს ერთს მისს მეგობარს გელშერტს, რომელსაც, სხვა-თა შორის, სწერს:

„აწრაფად მივფრინდი ტფილის, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარ-მებში ამოვყავ თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ, დერვიშივით დუშილსა და ამ ქვეყ-ნიურ ამაოების შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომივდა. ეხედავდი ჩემის ფანჯრის პატარა ჯუჯრუტანიდან, როგორ გა-ასვენეს მისი კუბო. მტერსაც კი არ უსურვებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უჭმელ-უს-მელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადმომიგდია. რამდენსამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდეც: თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება, მამის სახლი დაცალიერებული და დაწწუბრებული დამხვდა, სადაც 28 დღე დავ-ყავი, ვითომ აწეწილ საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი, ვგონებ, სულ არა გამიკეთებია-რა. ღამე, მთვარის შუქზედ, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავსა და წაველ—კავკასიას ნავაგანსკის. რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებული“...

კავკასიის ლინიაზე პოეტს არ უნდოდა დარჩენა, მეტადრე მის-თვის, რომ ის იქ სულ ავად იყო. ამიტომ მოუვიდა თუ არა ბრძა-ნება რუსეთში გადასვლისა, პოეტი ჯერ კიდევ აფალმყოფი გაემგზავ-რა პოლგში. ეს მოგზაურობა დაწვრიოებით აქვს აწერილი პოეტს. უგზობისა და უცხენობისა გამო იგი ხან ურმით მიღიოდა რუსეთში, ხან აქლემით, ხან ნავით. ღონზე რომ მივიდა, ეს „მშვიდი“ მდინარე, ათო თხიჩ დონ დაუხვდა გადასული 11 ვერსტზე. ცოტა დააკლდა; რომ მისმა მოზღვავებულმა ტალღამ სულ არ იმსხვერპლა პოეტის სიცოცხლე: ნავი გადაუბრუნდა და პოეტი თავის ბიჭით და მთელი თავისი ბარგით ჩავარდა წყალში, რომელსაც ის გადურჩა მხოლოდ ყაზახების წყალობით. აქ დაეღუპა იმას მამაპაპეული ზაქარია მოუ-რავისეული ხმალი, რომელიც ძვირფასი იყო მისიავის. დაეღუპა აგრეთვე რამდენიმე წილი და დღიური.

„Может, ты спросишь — сწერს იგი იმავე გელშეტრს — испу-  
гался ли я? конечно, испугался. Ведь я не Петр Великий. За то

<sup>1</sup> წერილი 25 დეკემ. 1835 წ.

В продолжении трех дней в Аксае я пожирал безпощадно стерлядь в отмщение Дону, которого не забуду".

Доцент Гаэтано Вароли в 1834 г., вспоминая о своем походе в Аксае, писал: «... в Аксае я пожирал безпощадно стерлядей в отмщение Дону, которого не забуду».

Генерал Григорий Гагарин вспоминал: «... в Аксае я пожирал безпощадно стерлядей в отмщение Дону, которого не забуду». А в 1854 году вспоминал А. С. Пушкин: «... в Аксае я пожирал безпощадно стерлядей в отмщение Дону, которого не забуду».

Современные историки вспоминают Аксаевскую битву и ее последствия, как о грандиозном сражении, в котором русская армия одержала победу над турецкой. Но это не так. Аксаевская битва была не более чем набегом на турецкую деревню, в результате которого русские солдаты убили множество мирных жителей, в том числе женщин и детей. Это было жестокое преступление, которое не имело никакого отношения к военному сражению.

Аксаевская битва, 9 октября 1854 года. — Документальный фильм о битве при Аксае. Фильм рассказывает о том, как русские солдаты, под командованием генерала Григория Гагарина, атаковали турецкую деревню Аксае, где проживали мирные жители. Солдаты убили множество мирных жителей, в том числе женщин и детей. Это было жестокое преступление, которое не имело никакого отношения к военному сражению.

Аксаевская битва, 9 октября 1854 года. — Документальный фильм о битве при Аксае. Фильм рассказывает о том, как русские солдаты, под командованием генерала Григория Гагарина, атаковали турецкую деревню Аксае, где проживали мирные жители. Солдаты убили множество мирных жителей, в том числе женщин и детей. Это было жестокое преступление, которое не имело никакого отношения к военному сражению.

Аксаевская битва, 9 октября 1854 года. — Документальный фильм о битве при Аксае. Фильм рассказывает о том, как русские солдаты, под командованием генерала Григория Гагарина, атаковали турецкую деревню Аксае, где проживали мирные жители. Солдаты убили множество мирных жителей, в том числе женщин и детей. Это было жестокое преступление, которое не имело никакого отношения к военному сражению.

Аксаевская битва, 9 октября 1854 года. — Документальный фильм о битве при Аксае. Фильм рассказывает о том, как русские солдаты, под командованием генерала Григория Гагарина, атаковали турецкую деревню Аксае, где проживали мирные жители. Солдаты убили множество мирных жителей, в том числе женщин и детей. Это было жестокое преступление, которое не имело никакого отношения к военному сражению.

პოლიტიკურ შეთქმულებას პოეტი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, სულ უბრალო ოცნება იყო თურმე ეს ჩვენი თავადი-შვილებისა, რომელთაც უნდოდათ პოლონელების წაბაძვა. მე დანა-შაული არა მქონდაო, სწერდა პოეტი საქართველოს დედოფალს.

„ჩემს გასამართლებლად მხოლოდ ამას მოგახსენებ მოკლედ, რომ მართლ-მსაჯულებთა სრულებით გამამართლეს მე... ასე რომ თვით ჩემს ფორმულარშია არა სწერია, რომ იყო ჩემს სლედსტვით. უბედურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობისა გამო“<sup>1</sup>.

უფრო დაწვრილებით აუწერს პოეტი თავის პატიმრობას და დედის სიკვდილს ერთს მისს მეგობარს გელშერტს, რომელსაც, სხვა-თა შორის, სწერს:

„სწრაფად მივურინდი ტფილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარ-მებში ამოვყავ თავი, სადაც სამი თვე ვიჯექ; დერვიშივით დუშილსა და ამ ქვეყ-ნიურ ამაოების შესახებ ფილოსოფიურს მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ვხედავი ჩემის ფანჯრის პატარა ჯუჯრუტანიდან, როგორ გა-ასვერეს მისი კუბო. მტერსაც კი არ უსურევებ გამოსცადოს ჩემი ტანჯვა. ქვად ვიქეც, ყველა დავივიწყე, დედის სიკვდილიც კი და რამდენსამე დღეს უჭმელ-უს-მელი, უძილო და უტყვი ვიყავი, ცრემლი არ გადომიგდია. რამდენსამე დღის შემდეგ გამომიშვეს კიდეც. თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება, მამის სახლი დაცალიერებული და დამწუხებული დამხვდა, სადაც 28 დღე დავ-ყავი, ვითომ აწეწილ საქმეების გასარიგებლად, მაგრამ ნამდვილად კი, ვგონებ, სულ არა გამიკეთებია-რა. ლამე, მთვარის შუქჟედ, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავსა და წაველ—კავკასიას ნავაგანსკის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწერებული“...

კავკასიის ლინიაზე პოეტს არ უნდოდა დარჩენა, მეტადრე მის-თვის, რომ ის იქ სულ ავად იყო. ამიტომ მოუვიდა თუ არა ბრძა-ნება რუსეთში გადასვლისა, პოეტი ჯერ კიდევ აფადმყოფი გაემგზავ-რა პოლკში. ეს მოგზაურობა დაწვრიოებით აქვს აწერილი პოეტს. უგზოობისა და უცხენობისა გამო იგი ხან ურმით მიღიოდა რუსეთში, ხან აქლემით, ხან ნავით. დონზე რომ მივიდა, ეს „მშვიდი“ მდინარე, ათონ თემი დაუწვდა გადასული 11 ვერსტზე. ცოტა დააკლდა, რომ მისმა მოზღვავებულმა ტალღამ სულ არ იმსხვერპლა პოეტის სიცოცხლე: ნავი გადაუბრუნდა და პოეტი თავის ბიჭით და მთელი თავისი ბარგით ჩავარდა წყალში, რომელსაც ის გადურჩა მხოლოდ ყაზახების წყალობით. აქ დაელუბა იმას მამაპაპეული ზაქარია მოუ-რავისეული ხმალი, რომელიც ძვირფასი იყო მისთვის. დაელუბა აგრეთვე რამდენიმე წილი და დლიური.

„Может, ты спросишь — сწერს იგი იმავე გელშეტრს — испу-гался ли я? конечно, испугался. Ведь я не Петр Великий. За то

<sup>1</sup> წერილი 25 დეკემ. 1835 წ.

в продолжении трех дней в Аксае я пожирал безощадно стерлядь в стмщение Дону, которого не забуду".

Доцент гафчиризебис შემდეგ, 2 მაისს 1834 წ., პოეტი მივიდა თავის პოლკში. როგორც ის ამბობს ერთს წერილში, ეს პოლკი იყო 1-ლი არმიის, 1-ლი კორპუსის 1-ლი დივიზიის, 1-ლი ბრიგადის 1-ლი პოლკი. აქ იმას ჩააბარეს როტა და პოეტი გაერთო როტის კამან-დირობას, წელის მომწყვეტ „უჩენიეს“ და მანევრებს.

ერთი პატარა დღიური პოეტისა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ მისს ქალალდებში და რომელიც ეკუთვნის იმ დროებას, ნათლად წარმო-გვიდგენს ორბელიანის მაშინდელ ყოფა-ცხოვრებას. აი რამდენიმე ადგილი იმ დღიურიდან:

„სოფელი კლაუსცუცი, 5 ივლისს.—„... მიყვარს ყოფნა ჭკვიანთ ყმაწვილთ აფიცრებთან! მათი უზრუნველობა, სიჭბუკე, დაუდევნელობა და მარადის მხია-რულებისთვის მზად ყოფნა დაავიწყებენ სევდასა, შეწუბებასა! სამხედრო სამსა-ხურში რას არ იჩილავს კაცი, რას არ გამოჰსცდის? ვითარ ანა ზდეული და ერთ-ბაში ცვლილება და გარდასვლა არის სიმდიდრისაგან სილარიბეში, კალასკიდამ საძაგელს ჭურმანკად, მდიდრად შემკობილის ოთახიდგან, ბალიდგან პახოდში და წვიმაში და ყოველსავე ამას მოითმენენ ვითარილათაც სულის სიმტკიცითა და თითქმის უსინანულოდაც. მხოლოდ უზრუნველობითითა ღიმილითა მოიხსენებენ ოდესმე ესრეთსა ცვლილებასა...“...

პონევევი, 9 ივლისს.—დილით მესამე საათზე გამოვედით პონევევით... თორ-მეტს ანუ ცამეტს ვერსტზე გამოჩნდა მშვენიერი სახილველი: მრავალწი სოფელნი, უანბნეულნი ვაკესა ადგილსა ზედა, შემკობილსა ლამაზის ჭალაკებით და აქა-იქ ლამაზის მისებით, ფრიად აამებდა თვალთა: ერთის შეხედვით ემსგავსებოდა სა-ქართველოსა! უზებლიერ აღმოუტევე ოხვრა გულისაგან ჩემისა. ნუთუ მხოლოდ შემსგავსებით, ანუ შედარებითა უნდა ვანუგეშო თავი ჩემი? ნუთუ არღა მელირ-სების ყოფნა მუნ, სადაც მიისწრაფიან ყოველი ფიქრი და სურვანი ჩვენი? მაქვს სასოება და იმედი ღვთისა მიმართ: მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ რავდენჯერმე და ამისთვის არა ვსწუბეარ, გინა სადა გადამაგდოს მე ბოროტმან მშვედრმან ჩემმან.

კოვნო. 24 ივლისი. მოვიდა ვოენის მინისტრი ლრაჭი ჩერნიშოვი. საში-ნელი წვიმა იყო. მე ვიყავი დეჟურინი. გამოვიჭიმე მის წინ, მარამ არც კი მაღირსა შემოქედვა. ახ? ვითარ მცირედ მეჩენა მაშინ თავი ჩემი.

კოვნო. 6 სეკტემბერი.—... წავდით ღოშპიტლის სანახავად. აქ ვნახე ის ოთახი, სადაც საშინელის ჭექისა და წვიმისა გამო შეეფარა და ზაჰყო ერთ ღა-მეს ნაპოლეონმა. აქ იყო თვით იგივე კსენზი, რომელსაცა ეხილვა ნაპოლეონი. მე ვჰყითხე: ისიც ჩენსავით კაცი იყო მეთქი? ჰო! მიპასუბა, ჩვენსავით იყოო, თაკი ვს ვასმესანები... .

28 სექტემბერი.—...დღეს დილით ბვდექი უქეიფოდ და გაჯავრებული, მო-ვაყვანინე კაპრალნის უნტერ-აფიცარი და ის სალდათი, რომელთაც ებარათ რეკრუტები (გაქცეულები). დაუწყე როზგით ცემა, მაგრამ გულში კი ძალინ მე-ბრალებოდა, ერთი წელიწადი ვჰყამანდობ ამ როტას და ამათვის ცუდათ არც კი შემიხდავს. ასეთი კარგი სალდათი არიან და ეხლა კი ერთბაშად როზგ ქვეშ სტირლინგი, მაგრამ რა მექნა! ეგებ ამ მაგალითმან სხვანი გააფრთხილოს. და-ქარჩენ რეკრუტთ თავები დავაპარსვინე.

**5 აგვისტო.** გვქონდა დნევკა ვილკომირს, რომელიც არის მცირე ქალაქი—აქ იყო გუშინ რედუტი, ანუ კლუბი, მაგრამ მე კი ვერ წაველ, ყელი მტკიოდა. და ამასთან რაღა დავმალო, მეტად ლამაზი სახლის პატრონი მყანდა, სახელად დუნია—მისაროდა, რომ ჩემი ამხანაგი წავიდნენ რედუტში, დავრჩი მე მარტო სახლის პატრონთან. ბევრი ვეკურკურე, მაგრამ ვერა გავხდი-რა, ბოლოს წავეჩხუბე, გავე-ბუტე და წაველ დასაძინებლად. რა უყო! ძალად სიყვარული არ შეიძლება!

**6 აგვისტო.** დღეს დილით დაუგდე ტროფიმოვსის, რომელსაცა უჩვენეს-ვენი კვარტირა, ზაპისკა ესე:

„თქმა არ უნდა, ბინა კარგია, მაგრამ დიასახლისი უკეთესია. უფსკრულმა უყოს პირი, დე, ან არადა შევი ჭირი ეცეს და მისს მიმზიდველს სახეს სამუდა-მოდ ბეჭედი დაასვას! ბოროტი სული! ორი ღამე არ მძინებია. ორს დღეს ვემუ-დარევი, მთელი ჩემი მჭევრმეტყველება და გააღმასებული ვნების სისულელე ზედ შევალივ, მაგრამ რა გამოვიდა? ვხედავდი და მესმოდა, როგორ იღებოდა ნელ-ნელა მისი ოთახის კარტი და ჩუმის ნაბიჯით როგორ შედიოდა ჩემი ბედნი-ერი მეტოქე! ხუთასი ათასი ყუმბარა და გრანატა! ჯოჯოხეთში ვიყავი! ორმოც-და-ათი ათასი ბაღლინჯო დამესია. მიჭხვდებით, რა ტანჯვასა და უბეჭობას გა-მოვივლიდი“...

საკურვლად დასუსტებული ავდექ დღეს. გულის ტკივილის ნიშნებმა მომია-რეს კიდევ. არ ვიცი, როგორ მივაღწევ დინაბურლს“.

**8 აგვისტოს.**—დნევკა. ახ! რა ძვირფას არს სიმრთელე კაცისთვის! უიმისოდ სიმდიდრე და თვით დიდებაც არა არს საამო, არა არს ბედნიერება! მარამა მა-შინ ვცნობთ ფასსა მისსა. გვეწვევის რა სენი, ოდესცა უძლურება შეგვიპრობს და დაგუცემს მკვნესარესა სარეცელსა ზედა, მაშინ მოუწოდთ მას ხვეწითა, ვედ-რებითა, ვითარცა შემომწყრალსა მეგობარსა ჟამსა უბედურებისასა.—და რაც არს ბედნიერება? მე აწ მგონია, რომ ბედნიერება მყოფობს სიმრთელეში, მარამა რო-ცა ვიყავ მრთელი, მაშინ ვგონებდი შტაბსკაბიტნობაში; მოვიდა იგი, გამეხარდა. და კვალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღწნდა გულსა შინა ჩემსა, ესრეთ ერთი კიბე ალიყანს მეორისადმი, ერთი სურვილი პშობს მეორესა, და სიკვდი-ლამდის არა აქეს დასასრული სურვილსა ბედნიერებისათვის.—ნეტარ მას, ვინც: არს კმაყოფილ მით, რაცა მოუვლენია მის წილად ბედსა მისსა; ვინცა დამყუდ-როებული, დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედა ცხოვრებისასა. მარამ ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებითა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი-ისტორიასა შინა, ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი სჩანს საუკუნეთში სახელი მისი, რომელსაცა შთამომავლობა შემხერს კეთილ-მოწიწებითა და კურთხევითა.

**15 აგვ.**—მოვედით ქალაქს დინაბურლს. დასუსტებული და ძალიან ავად-მყოფი ვიწევ სააგელს ურიას სახლში მარტო, უწამლოდ, უნუგეშოდ; მხოლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულხელ-დაკრეფით დამყურებდა მწუხარედ დადუმებული, ფიქრი სიკვდილისა შორს ჩემთა ძმათა და მეგობართაგან, შორს ყოველთა მათგან, რომელნიცა სამარესა ზედა. ჩემსა პსცემდენ გინა ერთსა ცრემლსა— მჭურვალე ფიქრი ესე აღწნდა ჩემს გონებაში და უნებლიერ ვჰსთქვი ოხერითა: ახ! სადა ვარ, სადა ვჰკვდები!—ცრემლნი წყაროებრ გადმოედინნენ თვალთაგან პატარა ნინიკას; მხურვალებითა მომწვდა გელსა ჩემსა და დამიწყო კოცნა ტირი-ლითა. გული ამიდულდა და ორი ცრემლი მეცა გადმომცვიდნენ თვალთაგან, ვი-ზილე უანგარო, კეშმარიტი წმინდა ჩემდამო მისი სიყვარული მას წამსა, ოდესცა ვიყავ ყოველთაგან ანუ დავიწყებულ, ანუ დატევებულ და ანუ განშორებულ. წა-მი ესე არ დამავიწყდების, ვიდრე ვარ ცოცხალ.

ამას იქით პოეტის ცხოვრების აღწერის ჩასალა საკმაოდ მდიდარია. ეს არის, დღიურს გარდა, პოეტის მიწერ-მოწერა, რომლის შავები შეუნახავს იმას სიკედილამდის, წერილები, რომელიც იმას მიუღია ნაცნობთა და მეგობართაგან და სხვადასხვა ოფიციალური მოხსენება და მოწერილობა.

ამ ნაწერებიდან ჩანს, რომ ორბელიანი ყველასათვის საყვარელი კაცი ყოფილა პოლკში. ერთი ამხანაგი სწერს იმას: „ბეღნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ უყვარვარ ისეთ ლირსეულ კაცს, როგორც შენ!“ მეორე: „ძვირფასო, საყვარელო, ღრმად პატივცემულო, სარწმუნო მეგობარო გრიშა!.. ხშირად გიგონებ; მაგონდები სტოლს ახლო დივანზე მჯდომარე, ქურქში გახვეული, ქუდჩამოთხაჭნილი, ღიდის პასიანტის მოთამაშე. შენს სახეზე მაგონდება ავაღმყოფობის და სისუსტის საზარელი ნიშანი... მიყვარხარ! მე მარტო კი არა, ჩემს ცოლსაც, რომელსაც შენ არ უნახვიხარ, რადგანაც ჰგონია, რომ შენ ხარ რალაც ზეგარდმო მოვლენილი იდეალი! ხომ იცი, მე ყველას ვაგინებდი, შენს, ჩემს სარწმუნო მეგობარს, გარდა“. მესამე სწერს: „მალირსებს რა ღმერთი ვსუნთქავდე ერთის ჰაერით, ვიჯდე ერთ ჭერ ქვეშ ჩემი სულით და გულით პატივცემულ კნიაზთან“... მეოთხე: „მე შენი სახელიც დამავიწყდა, მეგობარო ჩემო ორბელიანო, მაგრამ იმედად შენი ნაწერი მრჩება, რომელსაც ხშირად ვკითხულობ“. ერთს ვიღაცას თავისი მეგობრობა ისე შორს წაუყვანია, რომ სწერს: „ძვირფასო კნიაზო, ჩემი ცოლი მარტოდ მარტო რჩება და თუ რამე დასჭირდეს, გთხოვთ აღმოუჩინოთ რაინდობაა“, ამას სწერენ პოეტს პოლკის ამხანაგები ან თვითონ პოლკში მყოფობის დროს, ან შემდეგ. ამგვარისავე პატივისცემით და სიყვარულით აღსავსე წიგნები მოსდიოდა პოეტს საქართველოდან ორბელიანთაგან, ჭავჭავაძეთა, ერისთავთა და სხ. მისი. ერთგული მეგობარი დავით ყორლანოვი სწერს იმას 1835 წელს: „შენი წიგნი არის ჩემთვის უძვირფასესი საუნჯე ღვთიურის მეგობრობისა ჩვენისა“ და სხვ. და სხვ.

## VII

გრ. ორბელიანის საყოფელთაო სიყვარულის მიზეზი თვითონ პოეტის გული იყო. ამას პატიოსნება ცხოვრების დევიზად გაეხადა და მოყვასთა სიყვარული მტკიცე და დაურღვეველ მცნებად. ის სიყვარული თვისთა და ნათესავთა, რომელიც შემდეგ ნამდვილ თაყვანისცემად გაუხდა პოეტს, ის მაღალი და დიადი გრძნობა მამულისადმი, რომელიც შარავანდედიგით ანათებდა მის მოხუცებულობას, ის გულითადი მონაწილეობა, რომელსაც იღებდა იგი ყოველთა

„ტვირთ-შძიმეთა და შაშვრალთა“ ხვედრში, აშ დროსაც სრულად ჰქონდა პოეტს და მოუხვეჭდა იმას საზოგადო სიყვარულს და პატივისცემას. გულის სიკეთის სიმაღლეზე იდგა ამ დროს ორბელიანის ნიჭის ძლიერებაც. პოეტური მისი ნიჭი იყო ამ ჟამად სრულად განვითარებული, აყვავებული, ასული უმაღლეს წერტილამდის, რომელსაც არავინ ასცდენია მის წინად, რომლის-ზე ვერც ის ასულა შემდევში. მაღლა იდგა მისი გონების განვითარებაც. ნიჭიერს, შოკადინეს, დაკვირვებას დაჩვეულს, ფხიზელს, ენერვით სავსეს და ტარტონაურების მოსურნე პოეტ პარუჩიქ მარტო „ფართო გზა“ აკლდა, რომ გამოიჩინა მთელი თვისი გონების ძალა. „როტის კამანდირის“ უმაღლო და უაზრო შრომის წილ ამგვარ კაცს სხვა მოედანი სჭირდებოდა მოქმედებისა, სადაც სხეულის მაგიერ ტვარს შესძლებოდა მუშაობა და პოეტიც იმედს არ ჰქარგავდა. როგორც ყველა დიდკაცებს, პოეტსაც სწამდა თავისი ბედი, თვისი ვარსკვლავი და დარწმუნებული იყო, რომ ლოცვითა და მოთმინებით იგი ერთ დროს კაცი შეიქნებოდა. ზოგიერთს წერილში ის ამ დროს „სტარიკას“ ეძახის თავის-თავს და ყველა თავის მეგობრებს ჰმოძლვრის და დარიგებას აძლევს: ის სწერს თავის 18 წლის ძმას ილიას, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო:

„ჩემო უსაყვარლესო ძმაო ილიკო!.. გააკეთე პახოდნის ურნალი, რომელშიც ჩასწერე ყოველ-დღე ცხოვრება შენი, ესე იგი როგორ გაატარე დღე იგი, რა ილაპარაკე, რა გააკეთე, რა გაიგონე... ესე შენთვის დიას სასარგებლო და სასიამოვნო იქნება შემდეგ. პირველად რომ გონება შენი უმეტეს და უმეტეს გაიხსნება და შეგწევა გამსჯელობასა და ნეორედ რომ რამდენსამე წელს უკან შენი წარსული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით ჰცნობ, თუ რაოდენი დღენი უბრალოდ, ფუჭად განგიტარება“.

მეორე ძმას, ზაქარიას, რომელსაც იმ დროებში ცოლი შეერთო, პოეტი სწერს:

„ჩემნო საყვარელნო! მოისმინეთ რჩევა სტარიკის. იყვენით მარადის გულწრფელად და ნურა რად იქნების თქვენ შორის საიდუმლოდ, უკეთუ გსურს ბედნიერად ცხოვრება. განხსნით გულნი თქვენნი და წაიკითხეთ ხასიათი ურთიერთისა... საცა არა არს პატივის-ცემა, არცა არს სიყვარული. ამისთვის იყვენით ურთიერთისა პატივის-მცემელი. არ დაგავიწყდეთ ნემენცური ანგარიში, ესე იგი, რომ ხარჯი არ გარდაემატებოდეს შემოსავალსა, რომლის დარღვევა ჰყოფს მრავალთა უბედურად. დაიცვით ესე და მერწმუნეთ, რომ ცხოვრება თქვენი განვლის ბედნიერად და ლმერთიცა მაღლითა თვისითა გაკურთხებს თქვენ“.

ძნელია ჰპოეოს კაცმა ჩვენში თუნდა 35 წლის კაცი, რომელსაც ცხოვრების გზა ამგვარად გაეკაფოს და მასზე მსვლელობისათვის ამგვარი მრკიცე სჯული დაედოს თავის-თავისათვის. ასეთ კაცს, თუ ბედმა არ უღალატა, ყოველი წელი ახალსა და ახალს

ბედნიერებას მოჰვერის. და მართლადაც პოეტმა თავისი ცხოვრებით დაამტკიცა ამის ჭეშმარიტება.

პოლონეთში სამი წელი დაჟყო პოეტმა. ეს ქვეყანა იმას დიდად მოსწონდა. „პოლშა საქართველოს ჰგავდა“. „პოლშელები ქართველებსავით სტუმრის და ლხინის მოყვარენი იყვნენ“. „პოლშას ქალნი—ჩვენებსავით, ლამაზნი“. პოეტი გაეცნო იქაურ მებატონებს და მათთან დაიჭირა დიდი მეგობრობა. იმაო სახლებში, იმათი ლამაზი ქალების ალერსში პოებდა იგი სიამოვნებას სამსახურის ჯაფი-საგან დაქანცული და თვისთა გულის საყვარელთა მოშორებული. 1837 წელს<sup>1</sup> ის სწერს თავის ძმას ზაქარიას, რომელსაც აუწერს შობა-ახალწლის დღესასწაულებს: „უკველ-დღე აქეთ და იქით მისებში პომეშ-ჩიკებთან, რომელნიცა გავიცან მრავალნი, მივაჭენებდით სანებსა, ტანციობა და არშიყობა, რალა თქმა უნდა, ხომიცი, პოლშის ქალები რა რომანისტები არიან“.

მაგრამ საქართველო სულ სხვა ანდამატი იყო პოეტისთვის, მისკენ „მიისწრაფოდნენ ფიქრნი და სურვანი მისნი“, მუნ იყვნენ ძმანი და ტოლნი, ნათესავი და საყვარელნი, მანდ იყო „ცა შშობ-ლიური“, „ჰერი ბუნების განმაცხოველი“, რომელიც ასე საჭირო იყო მისი სუსტი აგებულებისათვის. დასასრულ, მანდ ცხოვრობდნენ პოეტის გულის ვარდი: სოფიო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა...

ამ ვარდებს, მომიტევეთ ეს მეტაფორა, რომელიც სიტყვამ მოიტანა, გვერდს ვერ ავუვლით, რომ არა ვსთქვათ, რაგვარად ეტრ-ტოდა იმათ პოეტი. სოფიო ორბელიანზე, როგორც ვთქვით ზემოთ, პოეტი ჯერ აკვანშივე იყო დანიშნული, „ძველთა ქართველთა ჩვეულებისაშებრ“, როგორც იტყოდა პლატონ იოსელიანი. არ ვიცი, როგორი იყო ამ ორთა ურთი-ერთ შორის მიმართულება ყმაწვილობის დროს, მაგრამ პოეტის მიწერ-მოწერისაგან ჩანს, რომ ნევის პოლკში მყოფობის დროს პოეტის გრძნობა ჯერ ისევ დიდი იყო მისდამი. 1835 წელს ის სწერს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლს სალომეს:

„ახ! ჩემი სოფიკო! სად არის? ნეტა ვახსოვარ თუ შარშანდელს თოვლ-სავით არლა გამყოფობ იმისთვის.—ბედს უყურეთ, მე ვარ დასავლეთს, ის აღმოსავ-ლეთს; როდისლა უნდა შევიყარნეთ?“<sup>2</sup>

შემდეგ, 1835 წელს, ის სწერს დედოფალს, ჩემმა ძმამ ზაქარი-ამ ჯვარი დაიწერაო, და გასაგრძობს:

<sup>1</sup> 14 იანვრის წერილი.

<sup>2</sup> 23 მარტი.

„მე კი, დედოფალო (როგორც ნათქვამია), რიყებე დავრჩი. ჩემი სოფიკო ასვრიზშია, მე რიღაში, როდის უნდა შეეხვდეთ?.. ვაი თუ ბოლოს დროს ქოქო-სა მომაყაროს და მითხრას, მეხი კი დაგეცაო“.<sup>1</sup>

იმავე წელს დაწერილ მეორე წიგნში პოეტი სწერს დედო-ფალს:

„ჩემი სოფიკო გაზაფხულს წამოვა პეტერბულს თავისი დედით და, მგონია, მამისნაცვლითა და მაშინ იჩილავთ, თუ რა რიგად გააბრწყინვალებს პეტერბურგს თავის სილამაზით და მერცხლის თვალებით და ჩემის ბედით მეცა ვიქები მხო-ლოდ ხუთასს ვერსხე დაახლოვებული. მაგრამ მეშინიან კი ძალიან, გაი თუ მანდ გამიფრინდეს საუკუნოდ და ამდენის წლის იმედები ერთს წამს გამიქარეოს. წყე-ულნი ლვარდის აფიცერები ამ შემთხვევაში ძალიან საშიშნი არიან“<sup>2</sup>.

• საუბედუროდ, პოეტის წინათგრძნობა უსაფუძვლო არ დარ-ჩა. 1835 წელს კნ. მანანა ორბელიანისა სწერს რიგაში მყოფ პოეტს:

„....სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ვნახე; კიდეც დაველაპარაკეთ მე და ეკატერინე შენზედ. ის უარს არ ამბობს. კიდეც შევირთამო, ოლონდ ჭნახოო. აბა სადა ხარ, ჩემო სიცოცხლე, რომ ერთს საათს ჯვარს გადაგწერდით და იქნებოდით ბედნიერი... აბა ეხლა, ჩემო კურკავ, ეცადე, რომ მოხვიდე მალე, თორემ რვა თვეზედ წამოვლენ პეტერბურგში და დამოჩები ცალიერი“...<sup>3</sup>

სწორედ ამ წერილით აიხსნება ის გაგიცებითი სურვილი საქარ-თველოში დაბრუნებისა, რომელიც გამოხატულია პოეტის ნაწერებ-ში ამ დროს. იმან ითხოვა მთავრობისაგან ერთი წლის „ოტპუსკი“ და იმედი ჰქონდა, რომ დასტურს მიიღებდა, მაგრამ, საუბედუროდ, 1836 წ. დასტურის მაგიერ ერთი წლის ლოდინის შემდეგ მას მოუ-ვიდა პასუხად: შენ რომ თხოვნა შემოიტანე, იმ დროს პარუჩიკი იყა-ვი და ახლა შტაბს-კაპიტანი ხარ, უნდა ახალი თხოვნა შემოიტანოო. ზაფრამორეულმა პოეტმა ახალი თხოვნა შეიტანა, მაგრამ გვიანლა იყო! სოფიო გათხოვილიყო ქალაქში მთავარმართებლის კანცელა-რიის მმართველ ბეზაკზე. კნეინა მანანა ორბელიანი სწერდა პოეტს:

„შენი საყვარელი სოფიო გაგითხოვდა!“ და შემდეგ მის გულის დასამშვიდებლად უმატებდა: „მე მიხარიან ამისთვის, რომ შენ უკე-თესის ლირსი ხარ. მე და ნინოს (გრიბოედოვისა) კიდეცა გვყავს მომზადებული შენთვის ცოლი, თუ გახსოვს გულბაათის ძმისწული ლიზინკა. ასე თი გალამაზებული არის, რომ ნახო, მოგეწონება. მოგვ-წერე, ჩვენი აზრი როგორ მოგეწონა. თუ მოგვწერ, მოგიცდიან, არ გაათხოვებენ. შენც მოხვალ, ნახავ და ჯვარსაც დაგწერთ“. ზა-

<sup>1</sup> 16 აგვისტოს წერილი.

<sup>2</sup> 28 დეკემბერს.

<sup>3</sup> ოქტომბრის წიგნი.

ქარია, მისი ძმა, სწერდა: „ჰა! გრიგოლ, ტირილს ნუ მოჰყვები, თორემ ფულს არ გამოგიგზავნი“. იგივე მეორე წერილში: „გრიგოლ, რაც ნივთები გვიჩუქებია სოფიოსთვის, მინდა ვსოხოვთ უკანვე, რადგანაც იგი გათხოვდა და შენ არ გაგიშვია. ესე არის ჩვეულება, რას მეტყვი?“

რუსთაველის თქმისა არ იყოს, „ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან“, ვის არ გამოუცდია ერთხელ მაინც, გულით საყვარელი ქალის გათხოვება რა მწვავე გრძნობად აენთება მიჯნურის გულში. ვერც ახალის იმედით და ვერც ნივთების დაბრუნებით დამშვიდდა პოეტის გული. საქართველოში წასვლის სურვილსაც დაეკარგა ძლიერება; „ვაპირებ საქართველოში წასვლას, სწერდა ის დედოფალს 1836 წელს, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრავიტელი კანცელარიისა, რად ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული“<sup>1</sup>.

ვერ ინუგეშებდა პოეტი ვერც გრიბოედოვის ქვრივის ნინოს სიყვარულით, რადგანაც ამათ მეწერ-მოწერიდან არა ჩანს, რომ მშვენიერებით შესანიშნავ ქვრივს, რომელიც იყო კერპად მის თანამედროვე საქართველოს თავადთა, ჰყვარებოდეს პოეტი. პოეტს კი, ეტყობა, დიდად მოსწონდა ნინო, თუმცა ერთს წრეში კი ფიცავს — არ მიყვარსო. მისი ძმა ზაქარია, რომელიც იმავე ტაფაზე იწვოდა, რომელზედაც პოეტი, სწერს, ცოლის შერთვის შემდეგ. თვის ძმას: „ბიჭო! არა გრცხვენიან? რათ მატყუებდი? შენ ჩემზე მეტად გყვარებია ჩ და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი? ეხლა შენ დაგრჩა ბურთი და მოედანი“.

ამის შემდეგ პოეტს ცოლის შერთვის სურვილიც დაეკარგა. სიყმაწვილემ თან წაიღო მისი ეშხიცა და ლაზათიც. ამასთან თმაში თეთრი გამოერია და პოეტმა დაიწყო „სახით და გულით უდროოდ დაბერებაზე“<sup>2</sup> ჩივილი. ის სწერს ნაღვლიანად თავეს მეგობარს დავით ყორლანოვს: „აქა-იქ თმაში ჭალარაც გამომდის, მაგრამ ვაგინებ და ვიგლეჯ“. ეშხის მაიღანზე გამოსულ კაცისთვის პოეტმა კარგად იცოდა, რა დიდი უბედურება იყო თმის გათეთრება და იყლოვდა თვის წარმავალ სიყმაწვილეს.

რაკი დავით ყორლანოვის — პოეტის დიდი მეგობრის — სახელი ვახსენეთ, არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ის ეპიზოდური ცნობაც, რომელიც ამის წივნში ამოვიკითხეთ, რომ ამით ლაპარაკიც დავა-

<sup>1</sup> 1 ოქტომბრის წიგნი:

<sup>2</sup> წერილი იმერეთის დედოფალ მარიამთან, 16 აგვისტოს 1835 წ.

თავოთ პოეტის რუსეთში ყოფნაზე. პოლკში ყოფნის დროს ერთხელ პოეტისთვის ჩაღაცაები მოეპარათ და ამაზე ყორლანოვისთვის მოწერა. ყორლანოვი სწერდა პასუხად (1835 წ.): „გაქურდვა შენი, რომელიც მოგვეწერა, ჰგავს ჩემს თავრიზში გაქურდვასა, სადაც ერთი და უკანასკნელი ჩაის კოვზი მომპარეს, და მთელი თავრიზი პუბლიკაციებით შევარყიე, რომ ამდენი ვერცხლის სერგიზი მომპარეს და თან ფულიც, აბა ჩაის ყუთში ფული რათ იქნებოდა. შენს გამჭურდავს შენთვის სიკეთე უწნია, რადგანაც ვიცი, რომ მრავალს მანდ შესჩივლებ, მითომ კნიაზი ხარ, პომეშჩიკი და იმ ქურდს საპალნეებით შეატულები გაუზიდნია შენგან და ძვირფასი ნივთეული. ახლა ვოზდუშნის ზამკებსაც იმედიანად დააწყობ, რომ მანდ ზოგიერთ მდიდარ მცნობთაგან მოგივა ასიგნაციებით გატენილი კანვერტებიდა ეს იმედი მცირეს ხანს გამხიარულებს. ის კი არ იციან მავათ, პომეშჩიკობა ჩვენი, რომ პახოდში ანტონს ხელები დაპგლეჯოლა ბევრის ფალნის დაკერებით... და ყარდა ცხენის ზურგისთვის ქონის წამლების გაკეთებით. რამდენს ინანიდა შენი ქურდი, როდესაც ნაპარაც გასჩჩრევდა“.

ორბელიანის ქალალდებში არა ერთი ამგვარი სასაცილო ეპიზოდებია აწერილი. მისი ქალაქელი მეგობრები ხშირად სწერდნენ იმას და თუწერდნენ ქალაქის განცხრომას, ლხინს, არშიყობას და მით უფრო უძლიერებდნენ პოეტს საქართველოში წამოსვლის სურვილს. ბოლოს, 1837 წელს, პოეტმა მიიღო ერთი წლის „ოტპუსკი“ და დაჩქარებით გამოეშურა სამშობლოსაკენ.

### VIII

სამშობლო ქვეყანა ამას იქით სასიხარულო მომავალს უმზადებდა სიყმაწვილე ჩამწარებულ პოეტს. ერთი წლის შვების შემდეგ, ორბელიანი შევიდა „საქართველოს გრენადერების პოლკში“ (26 აგვ. 1838) და ოთხი-ხუთი წელი ამ პოლკის რაზმში იბრძოლა. 1839 წელს ის იყო სიმბორსკის<sup>1</sup> ოტრიადში, შეკეს. 1840 წ. სხვათა შორის ამშვიდებდა ამბოხებას კიშილის და მაღლად-ლეთის გარშემო სოფლებში. 1841 წ. ბოლოს უღებდა ამგვარსავე ამბოხებას გურიაში, 1843 წ. იცავდა ავარიის მიწებს შამილის ჯარებისაგან... ამ დაუცხრომელს მოქმედებაში და ბრძოლაში მისი სამხედრო და საერო ნიჭი ძალზე გაიღესა. მთავრობამაც შენიშნა მისი პიროვნება და განუშზადა მას ფართო მოედანი, რომელშიაც მან გამოიჩინა სრული თვისი ნიჭი. 1843 წელს ორბელიანი დახიშნულ იქნა ავარიის მმართველად, ანუ. როგორც იმას ეძახდნენ თვისნი, ავარიის ხანად. პოეტმა ერთბაშად განსაზღვრა ამ აღგილზე დანიშვნის მნიშვნელობა. „ვიცი ეს

<sup>1</sup> ანდრია მიხ.-ძე, გვნერალ მაიორი 1836 წ. მსახ. კავკასიის ჯარების კორპუს (იხ. გრ. ორბელიანის წერილები, ტ. I გვ. 242.)

ასეთი ადგილია — სწერდა იგი მის ძმას ზაქარიას — რომ ან ამწევს მაღლა და ან სრულიად ძირს დამცემს<sup>1</sup>. მისი წინათგრძნობა მართალი შეიქნა. ამ ადგილზე დანიშვნამ დაუდვა საფუძველი ახალ პერიოდს პოეტის ცხოვრებაში.

თვითონ პოეტი აგვიწერს თავის თანამდებობაში შესვლას და პირველი დროის სამსახურს ამგვარად.

იგი სწერს მოსე ზაქარიას-ძე აჩლუთინსკი-დოლგორუქოვს:

.... ჩემს მოსვლის დროს შურაში ავარია იყო ძალიან არეული სხვადასხვა პარტიისთა: ზოგნი თხოულობდნენ ავარიის ნასლედნიკს, ზოგნი ალისულთანს და ზოგნი შამხალსაც. ამ არეულობაში ორჯელ ჰავიმურადიცა შემოვიდა ჯარითა. ერთხელ დახვდა როტას არახთაუზე და მეორედ სოფელს სიუხთან. მე კი არავის უნდოდი. ესრეთ იყო მდგომარეობა ავარიისა, როდესაც მოველ სოფელს ტანუსს, ხუნძახის სიახლოვეს. აქ დამზღვნენ კლუკის ბრძანებით პირველი კაცები: ყადი-ები და ბეგაულები, ცხენ და ცხენ უთხარ მე ამათ კარგი ძლიერი შესხმა. გარგებ მაღლის ხმით, რომ ვაჟ-კაცობა მეტვენებინა — ხანდახან იასეს ფარსებიც კარგია. — საღამოზე მოველ ხუნძახს სწორედ იმ დროს, როდესაც ერთს ახეად-ხანის ნოქარს შეეყარა ხალხი და უქადაგებდა, რომ ნუ გვინდა გურჯი გიაური ხანადაო; მაგრამ რომ დამინახა შემოსული მძიმედ პირველი კაცებით, ისიც დაჩუმდა. იმ დღესვე მე-ჯლისი გავმართე, ესე იგი ბეგრი სპირტი და ბეგრი ხორცი. ამით ცოტა გული დაუამდათ. მერე მივჰყავ ხელი პარტიიბსა: მივიმხრე ნასლედნიკის ერთგულნი, რომლისა სახელითა და ქებით დავიწყე ხანობა. ტურაკი შამხალი და ალისულთანი, რომელნიცა აქაურებთან ჰყბავნიდნ ფეხშაშებს, რიყებე დარჩნენ. დამრჩა შამილა, რომლის პარტია იყო და არისცა უხილვი და ამით უფრო არის საშიში, რომ სარწმუნოებაც აქვთ ერთი. მართლად პირველს დღეებშივე ვნახე, რაც სი-ფრთხილე მმართებს მე იმისგან: პირველს კვირაშივე გამექუნენ ობოდის სოფლი-დამ ცამეტი კომლი კაცი. ამან ძალიან შემაშინა, მაგრამ ძალიანაც გამამხნევა. იმ სოფელს კომლზე თითო ამანათი გამოვართვი. პირველი იმათნი კაცნი დიდრო-ანის ხუნდებით ჩავყარე ნაბიახტში და გამოუცხადე ხალხსა, რომ ამათ სუყვე-ლას დავახრჩობ. შეიყარნენ ყადიები, ბეგაულები, მუხლო-მოდრეკით მთხოვეს პა-ტიება, მეც, რასაკვირველია, მიამა ესე და ამათ პატივისცემით ისინი <sup>დავიხსენ</sup> სიკვდილისაგან, მაგრამ ერთი თვე შევინახე ტუსალხანაში. დავიწყე სოფლებში სი-არული და ქადაგება — ქადაგება ძალიან საქმესა შერება აქა — და ახლა, მერწმუ-ნებ, კნიაზო, ასე რიგად გამიჩარხავს ხალხი, რომ მარტო მე აქაურებით შევებმი შამილას<sup>2</sup>.

ორბელიანშა შეადგინა ავარიის მილიცია, გაამაგრა ონსოქოლა. რომელსაც დაეცნენ შამილის ჯარები, და დააშვიდა ობოდი. ის ექცეოდა ხერხიანად და სიყვარულით ავარიის ხალხს, თუმცა საჭი-როების დროს მკაცრ ქცევასაც არ ერიდებოდა. ის სწერდა თვისს ძალას ზაქარიას ხუნძახიდან:

„მე მხოლოდ ურთი გზა მაქეს ხალხის შეძინებისა — მოწყალება. მას უკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი“.

<sup>1</sup> წერილი 28 მარტისა.

<sup>2</sup> წერილი 1843 წ. 14 ივლისს.

5. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები.

ხალხის გულის მოგებისათვის პოეტი არაფერს ზოგავდა, იმავე წერილში იგი სწერდა ზაქარიას:

„... ღმერთს გეფიცები, რომ სწორედ გამატყავეს; თითო ჩემი გასვლა სოფელში თხუთმეტი მანათი მიჯდება. მამაძალლმა შაგირდებმა გამაკუტრეს: მომართმევენ შესხმას და მე კი უნდა ფულები მივსცე, რომ უფრო ხალისით ისწავლონ ყურანის წაკითხვა. არა, მე რა ჰიმამი ვარ? — ხვალა სტუმრობა შაქეს... მთლად ავარიის ბეგაულები და ჰირველი კაცები დამიპატიურია. ამათი შექცევა გაძლომა არის და სპირტის სმა, სხვა არაფერი. შენი ნუქერი ამათში სწორედ ანგლიის ჯენტლმენია ზდილობითა“.

პოეტს კარგად ახსიოვდა რუსთველის მცნება: „უხვი ახსნილსა დააბაშს“ და არ ერიდებოდა ხარჯსა, ოლონდ კი მხარეში მშვიდობიანობა დაეცვა.

პოეტური ბუნება და ქართული გულის სიკეთე მაინც ვერ სჩაგვრიდენ იმაში ქვეუნის მმართველისთვის საჭირო მტკიცე და ულმობელ ხასიათს. უოჩია და ორგულთა იგი სჯიდა სასტიკად, სამაგალითოდ. პირადს მის უკმაყოფილებას დამნაშავეთადმი ადიდებდა ისტორიული წარსული ავარიის ხალხისა. ეს ის ავარია არ იყო, რომელმაც მოხუცებული და ძალ-მიხდილი მეფე ერეკლე დაიჯაბნა? ეს ის ხალხი არ იყო, რომელმაც „კილამ დავით სარდალი არ მოკლა კოდაზე?“ ლეკებთან ბრძოლის დროს, სხვადასხვა დროს, პოეტი სწერდა სარდლებს: „ესა და ეს სოფელი სულ მოვახვნევინოთ ნიშნად სრულიად აოხრებისა“, „ამა თი სისხლი დავლიოთო“ და სხვ. ერთს წერილში იგი სწერს თავისი ძმას ზაქარიას ქუთაისიდან: „რატომ შეც მანდ (ომში) არა ვარ, რომ ერთი მათგანის (ლეკების) სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცუცხლათაა“. ესრეთი გაბოროტება მტერთადმი ამ უკანასკნელს შემთხვევაში აიხსება მით, რომ ამ დროს მისი უმცროსი ძმა ილია ტყველ ჰყავდა წაყვანილ შამილს.

პოეტს დიდად მიაჩნია თავისი თავი და ხუმრობით მანიფესტივით იწყებს თავის წერილებს.

„მე ჰაქიმ-ბან ემირ — ავარ — სხვა რიგად აღარ შემიძლიინ შიგნის დაწყობა — ანუ როგორც სწერია ჩემს ბეჭედზე მუთავა — ქალლულლია ქინიაზ ხან ორბელიან ემირ ავარ შეუბლზე ვჰკოცებ ჩემს ღვთის წყალობას ძმას ილიას და ღმერთსა ესთხოვ პირველად შემს სიცოცხლეს და მერმე ხურჯინებს ოქროებით საესეს“...

სწერდა იგი ილია ორბელიანს ნამდვილ აღმოსავლეთის კილოზე.

1844-ს, 45-ს და 46 წლ. ორბელიანი იცავდა საშამბალოს და მეხთულის მიწებს ლეკებისაგან. რასაკვირველია, როცა ჩვენ ვამბობთ: „იცავდა“, „ამაგრებდა“, „ებრძოდა“ იმას კი არ ვამბობთ ამით, რომ პოეტი ან სარდალი ყოველიყო ჯარებისა, ან აღმინისტრატი-

ული ღონისძიებით თვითონ ყოფილიყოს მოთავე ბრძოლისა. არა. ავარიაში ჯარები იყო, ჯარებს თავისი მთავარსარდალი ჰყავდა და ორბელიანი ერთი ამ ჯარის მოსამსახურეთაგანი იყო, მაგრამ მისი ჭკუით, ცოდნით და გამოცდილებით ყველანი სარგებლობდნენ. ის საყვარელი შეიქნა როგორც მთავრობისა, ისე ხალხისა.

იმ დროის დაღესტნის მეისტორიე თკოლნიჩი სწერს ჩვენს პოეტზე:

„ლეკებმა ჯერ უკმაყოფილოდ მიიღეს, რაკი თავადი ქართველთაგანი იყო. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში (?) რომ ერთ-თავად არბევდნენ საქართველოსა და თითქმის დამოკიდებულადა ჰრაცხდნენ, დამამცირებლად მიაჩნდათ ქართველს და კმორჩილებოდნენ; მაგრამ ალექსით მოპყრობამა, ხალხთან ლაპარაკის უნარმა და ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ცოდნამ თავადს მაღლე ყველას გული მოუპოვა. არა ვკისრულობთ ჩვენ აქ თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძის მიმზიდველ ზასიათისა, მშვენიერ განათლებისა და სამზედოო ნიჭის შესახებ ჩვენი აზრი გამოვ-სთქვათ“<sup>1</sup>.

მისი ბრძოლაში მონაწილეობის ნიმუშად მოვიყვანთ აქ ქუთიშის ომის აღწერას. 1846 წელს, 15 ოქტომბერს, ქუთიშს დაეცა შამილი თავის ურიცხვი ჯარებით. ამ ადგილის გასამაგრებლად ჩვენის შერით იყო ექვსი ბატალიონი 8 ზარბაზნით, 2 დივიზიონის დრაგუნით და მილიცია 500 კაცით. გრ. ორბელიანი ამ ომს თავის ძმას ილიას ამგვარად აუწერს: „15 ამ თვისას (ოკტომბერს) წავედით ქუთიშისაკენ ამ წესით: ცხენოსანი ჯარი, ჩემ ხელ-ქვეით, ვიყავით წინა, კუდაშვი მომდევდა ბატალიონებით და ზაქარია (მისი ძმა) არიერგარდითა. რა მივუახლოვდი სოფელსა, მე გავჰყავ კავალერია ორად და შეუტიერის გორების ასაღებად, რომელიცა ჰყამანდრობდნენ წინადამ სოფელსა. რა ავედი გორაზე, ვნახე, რომ საზარელი კავალერია მტრისა შეგროვდა ერთად და ირევა დაუწყობლად, უწესობით, მოუმზადებლობით. მაშინვე უკამანდრე დრაგუნებს: მარშ! მარშ! შევიჭირით ცხენოსანი სოფელში, დაფრთხა ეს ამოდენი ჯარი მტრისა და დაუწყეთ ხმლით ჩეხა და კეპა. გიუ ქართველი, მაჩაბელი, მომდევდა ყოჩალად თავის ესკადრონით; სახლებიდან ასტეხეს თოფის სროლა ჩვებზედ, მაგრამ ვერც მტერი შედგა, ვერც ჩვენ შეგვაყენეს, ვიწრო ქუჩებში შეიქნა ხმლის ტრიალი; ერთმა ხანჯალი მომიქნია ბარძაუში, მაგრამ ასეთი გავადე ხმალი გოგრაში, რომ, მგონია, საიქიოსაც მოაგონდეს, მეორესაც გაუსვი კისერში. ეს დრაგუნები ხომ რა მოგახსენო, საკურველი ვაჟკაცნი ყოფილან აფიცრებიც და სალ-

<sup>1</sup> Военный сборник, т. VI, отд. II, стр. 11.

შათებიც, მეტადრე მაჩაბელი. ამ გვარად გავრეკეთ მტერი სოფლი-დან, მოგვეშველა პეხოტაცა, ვდიეთ ორიოდ ვერსი ყულიბეგის მთის-კენ, საიდამაც ფეხზე ჩავიდა გერგებილსა, მაგრამ საშინელმა ნისლმა-დაჲფარა გაქცეულნი. ამ დროს ჰაჯიმურად, რომელმანცა ჯერ არ იცოდა შამილის გაქცევა, მოუხდა დიდის კავალერიით. არიერგარ-დსა; აქ დახვდა ზურაბის მეორე შვილი ზაქარია და სულ ბრძა-აღინა...

1847 წ. ორბელიანი დანიშნულ იქნა აპშერონის პოლკის კამან-დირად. როგორც ამ პოლკის მოთავე, პოეტი მონაწილე იყო ვარან-ცოვისაგან გერგებილის ბალების ალებისა, წულახარის დაცვისა, ვა-რეილის და გაშაშის დაპყრობისა... შემდეგ, 1848 წ., მან თვითონ აი-ლო გერგებილის ბალები და გერგებილიც. ამ საქმეს ამგვარად აუ-წერს პოეტია თავის ძმას, ილიას: „მტერი ჩვეულებრივ იდგა ყოისუს გალმა, მაგრამ ძალიან გაემაგრებინა პოზიცია, ბალების პირდაპირი მთა, რომელზედაც ედგა ორი ზარბაზანი... 23 ივნისს კარგი ომი მოხდა ბალებში; მეორე დღეს მე წაველ და თითქმის უომოდ დავი-კირე ბალები, სადაცა ავაშენეთ სამი რედუტი და მით შევუერთდით. ევდაკიმოვის პოზიციას. მერე მოვყევით ბატარეებისა და ტრანშეების ჯეთებასა.—როცა ბრძმბატარეა დასდგეს და მისცეს და მისცეს ცე-ცხლი, კედლები და ბურჯები ინგრეოდა საშინლად და ამავე დროს რვა მორტირით მოდიოდნენ ბომბები და სახლებსა ისროდენ ცაში. ამ საშინელს ცეცხლსა მტერმა გაუძლო მხოლოდ ერთი დღე და რა-ნახეს მათ ციხის კედლები და ბურჯები ასე აღვილად დანგრეულად-ლამე გაიპარნენ.—სოფელში ვიპოვნეთ ორი ზარბაზანი, არ ვიცით რომლის ხალხისა ან არსენალისა. ერთი მორტირა, ერთი ფალკო-ნეტი, სხვა არაფერი. სოფელი ასე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერ-გებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე; ბალებიც გავკაფეთ, ნა-წილი მათი დარჩა მხოლოდ ყოისუს პირზედ კიკუნოს ხიდისკენ, საიდა-მაც მტერი ისროდა ზარბაზანსა და თოფსა.—15 ამ თვისას დავბრუნ-დით გერგებილიდამ, როგორც იცი ლეკების ამბავი, ურუს ყაჩტი, გამოგვიდგნენ სიგიერით, ერთს რეზუტში, საცა იყო ჩაფლული წამა-ლი, შეიყარნენ მრავალნი, აქეთ, ხევის პირიდამ, ის გამოიყენება! გერგებილის ხაიბი პუსეინ პირდაპირ აფრინდა სამოთხეში, ამიტომ რომ იმის ნაფლეთები ველარსად უპოვნიათ...<sup>1</sup>

<sup>1</sup> წერილი 21 ივნისს 1848.

## IX

გერგებილის აღებისათვის გრ. ორბელიანს მოუვიდა გენერალ-მაიორობა. „იარანალიც შევიქენ! მე და გადლევსკი სულ ვაშე პრე-ვოსხოდიტელსტვოს ვეძახით ერთმანეთს და გვაქვს დიდი ყოფა“, სწერდა იგი თავის ძმას ილიას<sup>1</sup>. შემდეგ, ორდესაც გენერლობას პირველი ხარისხის სტანისლავა ზედ მრაყოლეს, ის სწერდა იმავე ილიას იმავე კილოზე: „მომივიდა ვარსკვლავი.—რასაკვირველია, შეი-ტყობდი.—მინდა ერთი ქირმალამის ხალათზედ დავიკერო და კნიაზ. პოტემკინსავით დიდ-კაცურად, ნებიერად გავწვე დივანზედ“<sup>2</sup>.

„ზურაბიანი წავიდნენ წინ!“ ყაფლანის თქმისა არ იყოს, წინ წავიდნენ ჩინითაც, შეძლებითაც, კეთილკაცობითაც. გრიგოლმა რა კი სიღარიბეს დააღწია თავი, მთელი თავისი ლონისძიება თავის დაცემული ოჯახის და გვაროვნობის აღდგენას მოახმარა. ვერ წარმოიღენს, ვერ დაიჯერებს დღევანდელი ქართველი, რომ შეიძლებოდეს ასეთი თავგანწირული სიყვარული ძმათა და ნათესავთა, როგორსაც ვხედავთ ჩვენ პოეტის წერილებში და ცხოვრებაში. ჭეშმარიტად ყოველს მოძლვრებაზე უკეთესად, ყოველს ქადაგებაზე უძლიერესად მოქმედებს კაცზე პოეტური ნიჭით ცხებული სიტყვა ამა წერილებისა მოყვასთა სიყვარულზე. ნათესავთა და თვისთა სიყვარულს ის განაკრკობდა შემდეგში მთელი თავად-აზნაურობის, სრულიად საქართველოს სიყვარულამდე, ყოველ შემთხვევაში, ის ეწერდა თვისთა, თუ შეძლება მიუწვდებოდა, და პგოდებდა, თუ არ შეეძლო ამ შემწეობის აღმოჩენა. ამ თანაგრძნობის აღმოჩენისათვის მიმისთვის არ არსებობდა არც სიშორე, არც გაჭირვება, არც თავისი თავის სიამოვნების მოკლება.

ვიგონებთ ჩვენ აქ ამ მხარეს ორბელიანის ხასიათისას ამისთვის, რომ ამ დროს წერილები პოეტისა სავსეა ოჯახის გარემოების აწერით. პრიკაზის ვალის გადახდა, ზაქარიას შეილის გაზრდა, თავისი ძმის ილიკოს წარმატება, ბიძაშვილების და მოყვარეთა სიკეთე.—აი რა იყო მისი სამუდამო ზრუნვა სამსახურის გარეშე. სხვათა შორის, ის სწერს თავის ძმას ილიას მამულის გაყოფისა გამო: „მართლად დიდს საქმეს შეასრულებ, თუ ღერეტი შეგეწია და მისი მაღლით მოვიდნენ ჭკუაზედ ჩვენნი ბიძაშვილებიცა. მომავალს დროს იტყვიან სოშხითელები: „ილია რომ მამულებს უყოფდა ყაფლანიანთაო, მე მაშინ ულვაშები არ ამომსვლოდაო“<sup>3</sup>:

გენერალი რომ შეიქნა, ორბელიანს მისცეს ბრიგადის კამანდი-რობა 21-ს ქვეითა დივიზიის 1-ს ბრიგადისა (29 მარტს 1850 წ.) და იმავე წელს იგი დანიშნეს, უმაღლესის ბრძანებით, ჭარ-ბელაქნის ჭამბერო მაზრის და ლეკების სამზღვრის უფროსად (6 დეკემბერს

<sup>1</sup> ვ იანვარს 1849 წ.

<sup>2</sup> წერილი 28 ოქტომბერს 1849 წ.

<sup>3</sup> 11 აპრილს 1850 წ.

1850 წ.). ამ ხანებში მისი ბრძოლის ველზე ყოფნა შეუწყვეტელი იყო. 1844-ს ის არგუთინსკი-დოლგორუკოვთან აქცევდა ჩო: ის სიმაგრეს, 1850-ს აშენებდა ლუჩკის ციხეს, 1861-ს განაგრძობდა ზაქათალის მაზრის დაცვას.

ჭარ-ბელაქანში ამ დროს მშვიდობიანობა არ იყო. ყაჩალები აოხრებდნენ იქაურობას და გრიგოლს ბევრი ჯაფა დასჭირდა ამ მშვიდობიანობის აღსადგენად. მიუცილებულმა აღმინისტრატიულმა საჭიროებამ აიძულა პოეტი ექმარა არა პოეტური ლონისძიება: თავები და ხელები ეჭრევინებინა ყაჩალებისათვის. „ნელ-ნელად თავებს ვაჭრევინებ და აქამდის გავაბედვინე ხალხსა, რომ თვითვე გამოაშვა. რავებით მოაქცით ჩემთან თავები და ხელები ყაჩალებისა“ — სწერდა ილიას. რანაირად იცვალნენ დრონი, რანაირად გასჭედა კაცის გული და ხასიათი დაუსრულებელმა კავკასიის ბრძოლამ. ეს ის კაციარ იყო, რომელიც თორმეტ-ცამეტი წლის წინად ნანობდა, რომ სალდათებს როზგი დაჰკრა? Témentora mutantur!

ჭარ-ბელაქანი რამდენიც იყო დამშვიდდა, ჩვენმა ჯარმა და „პარტიის კამანდამ“ სოფლებისაგან გამოყვანილ ას-ასი კაცით შეამოკლა რიცხვი ყაჩალთა რომელთაც სდევდნენ როვორც ნაღირთა. ერთხელ ათას-ხუთასი კაცი შემოარტყეს ჩვენებმა ტესნაგინის ტყეს, საცა ყაჩალები ეგულებოდათ, და ორი კაცი მოკლეს იქ დამალული-მშვიდობიანობის აღდგენას დიდად შეეწია ქრისტიანობის გავრცელება ინგილოში. როვორც სწერს ორბელიანი ვარანცოვს, 3 აგვისტოს 1851 წ., რიცხვი ახლად მონათლულთა ინგილოთა იყო 1170 სული. ამათ ინათლები ძალ-დაუტანებლად, საკუთარი თხოვნისა და სურვილისამებრ<sup>1</sup>. ჭარ-ბელაქანზე უფრო აწიოკებული ამ დროს სილნახის მაზრა იყო, საცა ლეკი გადმოდიოდა. თავის მიწერ-მოწერაში ორბელიანი ნაღვლით იხსენიებს კახეთის მდგომარეობას. ლეკებმა, სხვათა შორის, გააოხრეს ამ დროს დავით გარეჯის უდაბნო, რომლის ბერები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს.

1852-ს წელს არღუთინსკი-დოლგორუკოვის ავადმყოფობისა-გამო ორბელიანი დანიშნულ იქნა, დროებით, კასპიის მხარეთა-ჯარების მთავარსარდლად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ. ამ ადგილზე იმსახურა ინან რვა თვე, რომლის განმავლობაში ბრძოლა-კი არა ყოფილა-რა შამილთან, მაგრამ შინაური საქმეების დაწყობას-დიდი შრომა დასჭირდა. ორბელიანში ნამდვილი დრაკონების კანონი-დასდო აბრეკების წინააღმდეგ, რომელნიც ამ დროს ხშირნი შეიქ-ნენ. უნდა დაექციათ სახლ-კარი აბრეკებისა და მათი ყოფა-ცხოვრე-

<sup>1</sup> 2 ივნ. 1851 წ.

ბა საზოგადოების სასარგებლოდ დარჩენილიყო, უნდა ამგვარი სას-ჯელი მიეყენებინათ იმათვისაც, ვინც იმათ შემწეობას იღმოუჩენდა ან დამალავდა. გუბდენის სოფლის მოსახლეობისათვის, რომელთაც ცარტვა-მტაცებლობა გამართეს ამ დროს, ორბელიანი სწერდა ვა-რანცუოს:

„თუ რომ გუბდენის მცხოვრებზი გონის არ მოვლენ, ნება მიბოძეთ, თქვენი უგანათლებულესობაც, ისე დავსაჯო, რომ შვილებმა მაჟების ნასახლარს ვედარ მიაგ-ნონ“.

ასეთი იყო აზრი პოეტისა. ჩვენს მტერს, დაუძინებელს მტერს სარწმუნოებისას, მტრულად უნდა მოვქცეოდით. სხვა გზა არა იყო რა ომის გათავებისა.

როდესაც არალუონისკი-დოლგორუკოვი დაბრუნდა შურას, ორბე-ლიანი ისევ ზაქათალას წავიდა ჭარ-ბელაქნის მმართველად. იქ მი-ვიდა იმ მხარის სანახავად თვით ვარანცოვიც სახლობით. „მთა-ვარმართებელს მოველი კნეიინითურთ—სწერდა ის ილიას—და გადა-მდის ხვითქი მეტის ფაცი-ფუცობით. რა ვქნა, მე მაგათი ჩვეულება და უინები არ ვიცი; შუშხუნების პლანებში ვიყავ, გამკეთებელი ვერსად ვიშოვე. ამ წყეულს ზაქათალაშიაცა არა არის რა სრულებით იმისთანა ნუგბარი კნეიინის მისართმევად და, თუ მირჩევ, ორიოდ ყაჩალის თავებს მოვაჭრევინებ და მივართშევ. ახრში, მე რომ ვხედავ, ისევ შენმა არის მიმომავალი უნდა კაცად გამომიყენოს და დღესვე დი-ლით აღრიან დიდი მასლაათი მქონდა, და თუ დაიჯერება ამის სიტყვები, თითქმის შინა კაცი კნიაზ ვარანცოვისა ესა ყოფილა, „Помилуйте, как мне не знать“. სულ ამას მეუბნება და მეც გა-ოცებით ყურს ვუგდებ. ახლა ამან იცოდეს და ამისმა სულმა, თუ სული აქვს—თუ მე პირშავად გამომიყვანა მთავარმართებულთან“<sup>1</sup>.

მეორე წერილში იგი სწერდა: „ჩემთ ძმაო ილიკო! ღვთის შე-წევითა, კარგად, ჩინებულად, დიდკაცურად დავატარე მთავარ-მართებელი კნეიინითურთ ელისუმდის და იქიდამ მუღახლომდის. ყველ-გან დიდს მაღლობას მიბრძანებდა და მართლად ყველა რიგზე იყო: ხალხი, ჯარი, სახლები მორთულ-მოკაზმულ-გაბრწყინვებულნი და ამასთანა თვით მთავარ-მართებელიცა იყო დიდად მზიარულად; წამალ-საც ალარა სვამდა, მაჟაც გაეხსნა და იყო შხიარულს გლებაზედ; ზაკუსკები, საღილები ოჯაზურად გაჭიმულები: ციდამ მფრინველნი, კავკასიდამ ყინული, ტყიდამ ნაღირნი, ზღვიდამ თევზნი მოღი-ოდნენ და მოღიოდნენ. სუთი და სის ევროპისა, მწვადი ქართული, ფლავი ირანისა, ცივად ბატკანი ავარიისა, ნაჩინჯ ვათერინჯ და სხვანი და სხვანი“.

<sup>1</sup> 15 აპრილს 1853 წელს.

1854 წელს რუსეთსა და ოსმალოს შორის ომი ასტყდა და ამ გარემოებამ შამილი უფრო გააძლიერა. კავკასიის ჯარს დაღესტანს გარდა სხვაგანაც გაუჩნდა საქმე. შამილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ჯერ კიდევ ომი არ იყო გამოცხადებული, რომ 15 ათასი კაცით მოაწეა ჭარ-ბელაქანს. ორბელიანი სამნახევარი ბატალიონით დაუხვდა შამილს ზაქათალის ვიწროებში და ეჩხუბა. ის სწერს ვარანცოვს:

„იძულებული ვიყავ შევბრძოლებოდი. ყურადღება არ მივაქციე არც ხევ-ხუვიანს ადგილ-მდებარეობასა და არც მტრის რაოდნობას, რომ, ჯერ ერთი, შემცენებინა მთიელთა მოტევა და, მეორე, უფრო-კი მეტად, გამემხნევებისა შეშინებული მცხოვრები და გამეფარტა ის თავდაპირველი შიში, რომელიც გონიოგორისა და დინდის მთებში მოდებულ შამილის ურიცვ მხედრობის გამოჩენამ იქონია. ამ მიზეზებმა მაიძულა წამეყვანა 3<sup>1/2</sup> ბატალიონი და ზაქათალის ხეობაში ჩამოსულს მტერს წინ შევგებებოდი. განურდა უცბად ბრძოლა მწვავე, ბრძოლა ფიცხელი! ლმერთო ჩემო! როგორ დაიმედებული და მხედ იბრძოდნენ ჩვენი ჯარის-კაცები!...“

ჩვენმა ჯარმა მთებიდან კი ვერ დასძრა შამილი, მაგრამ ზაქათალის ვიწროებში კი უკანვე აქცია. ორბელიანმა ბელაქნიდან დაიბარა ერთი ბატალიონი ჯარიც და 7 სექტემბერს ჭარიდან განდევნა ლეკები, დაიხსნა ახალი მესელდიგერის ციხე, რომლის გარნიზონი ოთხი დღე უწყლოდ იყო, და გააქცია შამილი ჯურიუტში.

ამის შემდეგ ჭარ-ბელაქანი ხელახლა დამშვიდდა და ომის-საჭიროებათა გამო ორბელიანს ჯარებიც გამოაცალეს ხელიდან. მთა-შიც დათოვა და შეუკრა ლეკებს გზა. გრიგოლის ყურადღება ბრძოლის ველზე იყო მიქცეული, საცა მისი ძმა ილია „ატრიადის ნაჩალნიკად“ იყო დანიშნული. ის სწუხდა, რომ ჩვენ მაშინ ცოტა ჯარი გვყავდა. „სულყველანი იძახით ოტრიადი, ოტრიადი! მაგრამ საღა გყავთ ჯარები, ოქვე კუტრებო! ლმერთმან მოგიმართოს ხელი და ასახელოს ხმალი მყვირალა ზურაბისა!“ — სწერდა ის ამში წამაგალ ილიას. პოეტს მტრის ძლევის იმედი ჰქონდა და ხუმრობით სწერდა თავის ძმას „ტრაბიზონტზედ მინდა გავცვალო ზაქათალაო“.

1853 წლის დამლევს გრიგოლ ხელახლა გაგზავნეს შურაში არღუთინსკი-დოლგორუკოვის ადგილზე, ჯერ დროებით, თანამდებობის აღმასრულებლად (12 იანვ. 1854 წ.), და შემდეგ თანამდებობაზედაც (4 აპრ. 1855). ზაქათალის მოშორება დიდად სწყენოდა პოეტს. „გამოვეთხოვე ზაქათალას და, სწორედ გითხრა, ძალიან შევწუხდი — სწერდა ის — შევეჩვიე, აღგილს, ხალხსა, შევიტყე იქაურობის ავიცა, კარგიცა; ვიცოდი, რა დროს რა წამალი უნდოდა, ხალხიც მომენდო, შემეჩერია და ახლა უნდა კიდევ სხვა ულელი ახალი დავიდვა კისერზედა და ამასთანა სიშორე მაწუხებს ძალიან; აქ კი ზაქა-

თალაში ჩემი თავის შინ შეგონა. ამის გარდა ესთდენმა აყრადაყრაშ გამიწყვიტა ილაჯი, გროში არ შემრჩა. მე ხომ ვერ ვეტყვი ფული მომეცით და! <sup>1</sup>

დაღესტანი ძალიან საშიშ მტკომარეობაში იყო ამ დროს. რა კი ოსმალოსა და რუსეთს შორის ომი გაიმართა და მაჭმარიანთ ქვეყანაში გაიშალა მაჭმალის მწვანე ბაირალი, შამილმა ხმა დაჟყარა, ხონთქარმა შთელი კავკასია მიწყალობაო თბილის-ერევნით და დაიწყო დიდი მზადება. მისი ხელის-კაცები ყოველგან ქადაგებდნენ შამილის ძლიერებას და რუსების სისუსტეს. ორბელიანს კარგად ეს-მოდა ამ ხმების სიბრძნეც და სიცრუეც: ის ნათლად ხედავდა შამილის ძლიერებას და თავის სისუსტეს და ითხოვდა ბარცხენა ფლანგის კომანდირის თავად ბარიათინსკისაგან გამოეგზავნათ იმისთვის კიდევ ოთხი ბატალიონი, რმას უნდოდა ცალკე ატრიადად დაეყენებინა ყაზიკუმუხის აღვილებში. თუ ამას არ იზამდნენ, შამილი შევიდოდა ყაითალში და ტაბასარანში და იქიდან მუსრს აადენდა აყუშას, დერბენდის მაზრას, კიურინის სახანოს, ყუბას, ახტას და ყაზიკუმუხს. მაგრამ ჯარების სიმცირის გამო ორბელიანს არა თუ არ გამოუგზავნეს ოთხი ბატალიონი, პირიქით, რმას მოსთხოვეს გაეგზავნა აზიის ბრძოლის ველზე თავისი ოთხი ბატალიონი. თუ ამის-თვის საჭირო იქნებოდა, იმას ნება დართეს დაეტოვებინა რამდენიმე ციხე და გარნიზონებით 4 ბატალიონი ჯარი შეეკრიბა. ორბელიანმა ამაზე ნამდვილი ქასსანდრის ყვირილი გააბა. ის ევედრებოდა ბარიათინსკის, ნუ ლუპავენ მხარეს, ნუ კარგავენ ორმოცდაათი წლის შრომას და ხარჯს. ლეკები რომ დაინახავდნენ მიტოვებულ რუსის ციხეებს, რას არ იტყოდნენ ჩვენს სისუსტეზე, ვინ მათგანი არ სტაცებდა ხელს ხმალსა, ვინ არ დაედევნებოდა გარნიზონს, ვინ არ შეუერთდებოდა შამილს, რომ დაეჭირათ შურა, პეტროვსკი, დერბენდი, ყუბა და შემდეგ თვათ თბილისი. მერე სპარსეთი? განა სპარსეთი არ მოინდომებდა დაებრუნებინა უკანვე წართმეული. პროვინციები? ვინ მოსთვლიდა ყველა უბედურებას, რომელიც მოჰყვებოდა ჩვენი ჯარის შემცირებას დაღესტანში. თავის წერილს ბარიათინსკისაგან. ორბელიანი ათავებდა ასე: „Князь! Спасите обширный этот край и честь, и славу нашего оружия заступничеством Вашим; голос ваш слышнее у высочайшаго престола! или убейте меня прежде, чем я увижу потерю славы наших войск и торжество неприятеля“ <sup>2</sup>. ეს თხოვნა უმეტესის გულსმოდგინებით განუმე-

<sup>1</sup> წერილი 22 ნოემბ. 1853 წ.

<sup>2</sup> 24 მარტის წერილი 1854 წ.

ორა სარდალმა ბარიათინსკის, როდესაც აშ უკანასკნელშა გამოუ-  
გზავნა დაღესტნის გაუქმების პროექტი. მთავრობას მაშინ განხრა-  
ხვა ჰქონდა სულ მთლად ხელი აეღო დაღესტნისათვის, თუ სპარსეთიც  
გამოესარჩლებოდა ოსმალოს. ერთი ღივიზით მეტი იქნებოდა თუ  
ნაკლე, ორბელიანის აზრით, რუსეთის არმიის საქმეს არავითარი  
ცვლილება არ მიეცემოდა და კავკასიაში მშვიდობა კი იქნებოდა  
დაცული. „Спокойствие всего Закавказья зависит от Дагестана—  
Сწერდა ის ბარიათინსკის—как было всегда. Не будите же дра-  
кона, еще не вполне сознавшаго свои силы“<sup>1</sup>. კავკასიის იობალზე,  
დაღესტნის დაცლა არ მოხდა და პოეტს აღუსრულდა თვისი სურ-  
ვილი.

1854 წ. ორბელიანს ომი არ ჰქონია ლეკებთან. აქა-იქ მხო-  
ლოდ იმის ჯარს მოუხდა კინკლაობა ზოგიერთ აულებში და მთებში,  
როგორც, მაგალითად, დიუზ-ტაუს, ბურთუნაის, თურქიდალსა და ბულ-  
ლელს. სხვათა შორის, მან დააქცია და ააოხრა ყაითალელი სოფელი  
ურკრახი, რომელშიაც შეეფარა თავი ყველა ავაზაკებს და შარიათის  
მქადაგებლებს, საიდანაც ვრცელდებოდა დაღესტანში არეულობა და  
მთავრობის წინააღმდეგობა.

## X

პოეტ-სარდალს, როგორც მამულის მოყვარეს და ნათესავების-  
თაყვანისმცემელს, ამ დროს ორი გარემოება აწუხებდა: ერთი—ვარან-  
ცოვის წასვლა კავკასიიდან და მეორე—შამილისაგან ტყვედ წაყვანა  
დავით ჭავჭავაძის სახლეულობისა, რომელშიაც ერია მისი ძმისწული  
გიორგი, თავისი დედით ბარბარეთი.

ვარანცოვი მაშინ დროებით იყო წასული კავკასიიდან, თუმცა  
ყველამ კი იცოდა, რომ ის არ დაბრუნდებოდა ჩვენს ქვეყანაში. ი-  
ორბელიანშა წასვლის წინად ვერ ნახა მთავარმართებელი, რადგა-  
ნაც დაღესტანში იყო, და გამოთხოვების წერილზე, სხვათა შორის,  
ეს პასუხი მისცა ვარანცოვს:

თქვენის უგანათლებულესობის საქართველოდან წაბრძანებამ ქვეყანა მწუხა-  
რებით მოიცა; ნალვლობენ, ვაი-თუ. თქვენო უგანათლებულესობავ, უკან დაბრუ-  
ნება აღარ ისურვოთ. ათი წლის განმავლობაში თქვენ მიერ ბრწყინვალედ ქვეყნის-  
მართვა-გამგეობამ მიაჩვია ხალხი მშვიდობიანობისა თუ ომიანობის ღროს თავის  
კეთილმომქმედ გენიად ჰყოლოდით დასახული. სიტყვისამებრ თქვენისა აღსდგა-  
იგი, ზნეობრივად განახლდა და გონებრივად თუ ნივთიერად აყვავების გზაზვა-  
სწრაფის ნაბიჯით იწყო სვლა. პატიოსანსა და კეთილზნეობრივს, ტკბილ ცხოვ-  
რებას მოეწია. დევ, სდუმდეს ისტორია, ხალხი აროდეს არ გაჩუმდება და მუდამ  
კურთხევით მოიგონებს თქვენს სახელსა, თან გაგყვებათ მისივე ლოცვა“.

<sup>1</sup> 27 აპრილის 1854.

შემდეგ, როდესაც გამოცხადდა, რომ ვარანცოვმა სამუდამოდ დასტოვა კავკასია, გრიგოლი სწერდა იმას:

„გადასწყდა ბედი საქართველოსი: აღარ უბრუნვებით, თქვენო უგანათლებულესობაგ, ქვეყანას, რომელიც მუდამ უამს კურთხევით გიგონებსთ და რომელიც მხოლოდ თქვენის მამობრივის, მზრუნველობით ალავსე ბრწყინვალე მართვაგამგეობის დროს ელირსა აჰყვავებასა და ადამიანურს ცხოვრებასა! აღარ უბრუნდებით ამ არეულობისა და შიშიანობის დროს, როდესაც თქვენი გენია, თქვეში დიდებული სახელი გამარჯვებათა მომასწავებელი და საუკეთესო თავდები იქმნებოდა, რომ მტკიცე მყუდროება საქართველოსი, რომლის გარშემოც აგრ ორი შელიწადია სისხლის მღვრელ ომიანობის ჭახა-ჭუხი და გრგვინვა მოისმის, არ შეირყეოდა და რომლის ყოფნა-არჭუნაც მთლად ამ ომის შედეგზეა დამყარებული! განვლინა მრავალნი წელი, რიგ-რიგით დაიკრენ აქ თქვენს ადგილს, მაგრამ თქვენს მაგივრობას-კი მაინც ვერავინ გავვიწვევს და დიდხანს-ველარ მიეჩვევა ჩვენი თვალი ტფილისის ახალს მმართველებსა.

ყოველ კაცს არ შეუძლია ასე რიგად დაფასება თანამედროვე კაცისა. საზოგადოდ კაცი იგივე ხელის მოსამსახურეა, რომლისთვისაც, ანდაზისა არ იყოს, დიდი კაცი არ დიდკაცობს. მხოლოდ დროსა აქვს ზეგარდმო მინიჭებული მადლი თანამედროვე კაცის მცირე ნაკლულევანებას დავიწყების სულარი გადააფაროს და ლირსება უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ გახადოს, დიდს ლირსებას დიდი სახელი მისცეს. დროებამ მალე გაამართლა ორბელიანის მაღალი აზრი ვარანცოვზე. ცამეტი წლის შემდეგ მადლიერმა კავკასიამ ძეგლი აღუმართა იმას და დღეს იმისი სახელი ნამდვილი ისტორიული სახელია, რომლის შუქი მთელს მე-XIX საუკუნეს ანათებს. ძველი ეკლესიების და ციხეების ნანგრევებს თამარ მეფის სახელს მიუწერს ხალხი, თუნდ ეს ციხე-ეკლესიები მეფე ერეკლესაგან იყოს გაშენებული; მე-XIX საუკუნის სიკეთეს—ვარანცოვს, თუნდაც ეს სიკეთე ერმოლოვის წყალობა იყოს, ან როზენისა. ამიტომაცა, 1867 წელს, როდესაც ძეგლი აღუმართეს ვარანცოვს, სთქვა ორბელიანმა: „არის კიდევ სხვა ძეგლი ვარანცოვისა... ეს ძეგლი დიდი ხანია რაც აღმართულია ჩვენს გულში“.

ჭავჭავაძის სახლობის ტყვეობის ამბავი ვინ არ იცის? ლეკები ჩამოვიდნენ მთიდან, გააპეს ალაზანი, მიუხდნენ წინანდალს, დასწევეს და დასდაგეს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლი და ტყვედ წაასხეს მისი შვილის დავითის სახლობა: ცოლი—ბატონიშვილი: ანნა—ექვისი-შვილითა; ცოლის და—ბატონიშვილი ბარბარე—რძალი პოეტისა, თავის შვილით გიორგით, ფრანცუზის ქალი დრანსე და მოახლენი. ლეკებმა კარგად იცოდნენ დატყვევებულთა ვინაობა და ესენი პირდაპირ შამილს მიჰყვარეს დარგოში. შამილმაც დიდი მატერიალური სარგებლობა გამოხადა ამ ტყვეობას.

ორბელიანმა — ამჟამად კასპიის ახლო აღგილთა ჯარების გამგემდა სარდალმა — მიწერ-მოწერა გამართა შამილთან დატყვევებულებზე. ეს იყო მისი მოვალეობა, როგორც სამსახურის კაცისა, ისე ნათესავისა. ეს ტყვეობა იმას სიცოცხლეს უმწარებდა. ჯერ ერთი, რომ ჭავჭავაძის ოჯახი პირველი ოჯახი იყო კახეთისა და მეორე: თვითონ პოეტს ბევრი ბედნიერი წამები გაეტარებინა ამ ოჯახში სიყმაწვილის დროს. მაგრამ ყველაფერზე უფრო სწვავდა იმას თავისი რძლისა და ძმისწულის ბოროტი ხვედრი. ვის არ სწერდა, რას არ სწერდა თავის უბედურებაზე ორბელიანი? რა ლონისძიებას არ ხმარობდა, რომ როგორმე შეემსუბუქებინა ტანჯვა დატყვევებულთა. ამ დროის წერილები, მიწერილი განსვენებულ დიმიტრი ჯორჯაძესთან, სავსეა ხვეწითა და ვედრებით დატყვევებულებზე. ის სწერდა ამ უკანასკნელს გაეგზავნა დატყვევებულთათვის: თბილი ბატინკები, კალოშები, გრძელ-ყელიანი წინდები, ფლანელი, პერანგები და კაბები, თბილი წამოსასხმელი; ჩაი, შაქარი, ერთი სიტყვით, სულ ყველაფერი „სა-სარგებლო და არა საკოხტაო“<sup>1</sup>. ერთს წიგნში, რომელშიაც ჩამოთვლილია, რაც უნდა გაეგზავნოს დატყვევებულებს, პოეტი, ბოლოს, ხელის-მოწერის შემდეგ, აწერს პოსტ-სკრიპტუმად: „თეთრი სუხარიც იამებათ, ჩაიზე კარგია“. „მეტად შეწუხებული. ვარ—სწერდა იგი ჯორჯაძეს — და ეს უფრო მტანჯავს, რომ ჩემი მწუხარება უნდა შეძლებისამებრ დავმალო და არ უჩვენო არცა ჯარს და მეტადრე არცა იქაურთა მცხოვრებთა, რომელნიცა შემომცერიან და უნდა შემატყონ — იქნება თავიანთ სასიხარულოდაც — მწუხარება რაიმე, მაგრამ არ გავახარებ არავისა! ხომ არ მოვსვლია ამბავი ჩენის ტყვეებისა? ან რა ისმის მანდა იმათი?“<sup>2</sup> მეორე წერილში მისი სასოწარკვეთილება უფრო აშკარაა: „თუ შეგეტყოს რამე ამა უბედურთათვის, შემატყობინე, ნურას დამიმალავ; თუ გინდა იყვნენ დახოცილნი, ნუ დამიმალავ: მე ლიდიხანია განმზადებული ვარ ყოვლისა უსაზარელს შემთხვევისათვის. აღსრულდეს ნება ღვთისა“<sup>3</sup>.

„გამოგიტყდებით, — სწერდა პოეტი ამავე საგანზე ფლიგელ-აღიუტანტს ბარონ ნიკოლაის, — რომ სულმოკლეობაშ შემიპყრო, თუმცა დიდადა ვცდილობ ვძლიო როგორმე ეს ჩემი მწუხარება. მეგონა აქამდისინ, რომ სიმტკიცეს ჩემის სულისას ვერავითარი უბედურება ვერ შეარყევდა; მაგრამ ამჟამად პირდაპირ სულს დაესვა ლაპვარი, არ შემიძლიან ავიტანო, განსაცდელი ეგე მძიმეა მეტად: ვერ გამავია, ეს უბედური სუსტი დედაკაცები და ბავშვები როგორ-და არიან აქნობამდის ცოცხლები? ვხედავ, უფალს ღმერთს ჯერ კიდევ მთლად არ გამოუშირია ჩემთვის თავისი მოწყალება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> წერილი 30 ივლ. 1854.

<sup>2</sup> წერილი 1 აგვისტ. 1854.

<sup>3</sup> წერილი 10 აგვისტო 1854 წ.

ამგვარისავე სულისკვეთებით საესე წიგნებს სწერდა ორბელიანო გარანცოვს, შეერბინინს, ბარიათინსკის და თვით შამილსაც შამილმა პასუხად შემოუთვალა: პირველი სალამი; მერე „თქვენი წერილი მომივიდაო, რაც მასში ეწერა, ყველა ვსცანიო“; შასუკან: „ლვთისაგან გამოგზავნილი ვარო და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღვასრულოვო, თქვენც თქვენის ხელმწიფის ბრძანებისა ხართ აღმასრულებელიო. ინშაპლლა, რაც შემიძლიან კარგად შევინახავ. ტყვეებსაო და პატივსაც ვაძლევო. ამათ გამოხსნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოვგზავნი თქვენთან, როცა ანუ შერაში მოხვალთ და ანუ ხასავიურთაშიო“. ამის პასუხად ორბელიანმა შემდეგი წიგნი მისწერა შამილს.

„ლვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსს იმამს შამილას,  
30 აგვ. 1854 წ. გამაშის მწვერვალთა ბანაკი.„

უფალმა ღმერთმა მოგიწყოსთ საქმეთა და განწრახათაებრ თქვენთა ჩენ ყველანი ლვთის ხელთა ვართ და გარეშე ნებისა მისისა არარა ხდების. ამიტომაც ჰეშმარიტად თაყვანისმცემელი ლვთისა არ ამაყობს ბედნიერებითა თვისითა და არა პკარგავს სასოებასა, როდესაც მსწრაფლ წარმავალ ცხოვრების გზაზედ უბედურება რამ შეემთხვევა. ამ ცრუ კვეყანაში ყოველივე წარმავალი, მომაკვდავია რჩებიან მხოლოდ კეთილი საქმენი, რომლებითაც მმოსავი ლვთისა უნდა წარუდგეს დაბოლოს ყოვლად შემძლებლის სამართალსა. და ვაი იმას, ვინც ყოველივე ესე უწყოდა და მცრებანი ლვთისა არ შეასრულა! ხოლო დიდება უკვდაფებისა' მას, ვინც მტკიცედ და შეურყევლად ადგა ხსნის გზასა:

მოგმართავთ ახლა თქვენ, ლვთის მლოცველ მუსლიმთა უფროსო ჯერ ისევ წინად ჩემი ძმა იღია გყავდათ ტყვედ, — რომელიც დიდი ხანი, არ არის: გარდაიცვალა, — ახლა-კი ტყვედ ჩაგივარდნენ მეულლე მისი პატარა ვაჟითა და ძმის-წულით ნინოთურთ, მათთან ერთად ჩემი ნათესავი ქალი ანნაც თავისის ბავშვებითა და მსახურებით. ნათლადა სჩანს აქედან, რომ სასჯელი ესე ლვთისაგან მომერგო, და მეც არა ვდროტვინავ, მისს წმინდა ნებას ვემორჩილები; მაგრამ თქვენ, თქვენის გულისა და გრძნობათა კეთილშობილობით, ჩემს ტყვე ნათესავ ქალებს ასეთის მწერარებისა და ურვის დროს კაცომაყვარებრივს ყურადღებას არ აკლებთ, რისათვისაც ღმერთი მოგავებთ ჯილდოსა. მერწმუნეთ, მეც დაკარგული არა ვარ ამ ქვეყნად! ვინ იცის, იქნება შემთხვევა მომეცეს და მეც გამოგადგეთ, თუ პირადად თქვენ არა, თქვენს შვილებს მაინც; თქვენ-კი კარგად უწყით, უთუოდ, რომ მადლობისა და შურისძიების გრძნობა დიდანს სცოცხლობენ ამ ქვეყნად!

თქვენგან მიღებულია წერილმა გუშინ მასიამოვნა, უწინაცა და ახლაც ერთსა გთხოვთ მხოლოდ: ტყვედ მყოფი ნათესავი ქალები, მათი შვილები და მსახურნი განვითავისუფლოთ. ნუ მევაჭრებით, რადგან არც მე და არც თქვენ ეს არ შეგვფერის. ვაჭრები ხომ არ ვართ! მერწმუნეთ, რომ ჩემს სიტყვას არ ვუდალატებ და გავიღებ მათდა გამოსახსნელად ყოველისფერს, რასაც-კი შევიძლებ. მაგრამ თუ გგრნიათ, რომ მათს გამოსყიდვას მთავრობა იყიდებს, მერწმუნეთ, თქვენის მხრივ ეს დიდი შეცდომა იქნება და ამით მხოლოდ დააგვიანებთ მათს განთავისუფლებასა; საბრალო ქალებიდა ბავშვები-კი დიდხანს ვერ. აიტანენ თქვე-

ანი ჰავის სიმკაცრესა, დაიხოცებიან და ამითი მხოლოდ მე მომაყენებთ ბოროტსა და თქვენც ვერას ისარგებლებთ.

მაგრამ შეიძლება, ჩემს სიტყვას, როგორც უცნობისას, არ ენდოთ და უვაჭრობოთ, მოულაპარაკებლივ არ გაათავისუფლოთ ჩემი ნათესავი ქალები; გთხოვთ მაშინ პატარა ბავშვები და ფეხმძიმედ მყოფი ქალები და ჩემი ძმისწული მაინც გამოგზავნოთ, რომლებიც ძალიან ოურმე არიან ავად და მოლაპარაკების გათავებამდე მძევლათა გყვანდეთ ჩედი რძალი ბარბარე და მისი და ანძა. მართალია, მტრები ვართ, მაგრამ თქვენის კეთილშობილ გულისა და სულგრძელობის შთაგონებით ეს უკანასკნელი ოხოვნა მაინც არის უნდა უთუოდ ამისრულოთ.

ანნას ქმარი თავადი დავით ჭავჭავაძე ხასავ-ურთშია. თქვენზე ეს ძალიან ახლოა, გთხოვთ ამისათვის საქმის ჩქარა გასათავებლად უბრძანოთ თქვენს რწმუნებულსა. რომ მივიდეს იქა და საქმე ისე გაათავონ, როგორც გთხოვთ; მერწმუნეთ, ამითი თქვენ არას დაჰკარგავთ. მეც საჩქაროდ მოვალ იქა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დავითი იქნება თუ მე, ორივე ერთია, რადგან ჩემი დისწულია იგი.

გთხოვთ ამასთანავე ნება დაჰკრთოთ ჩემს ბიჭს ზაქარას, რომ დარგოში მოვიდეს და ჩემს ნათესავ ქალებს ემსახუროს.

ნათქვამია წიგნში: მხოლოდ კეთილის და ლვთივსათონ საქმეებით მოიპოვებს. ადამიანი ცხოვებასა; დანარჩენი ყოველივე მტვერი და ამაოებააო!“

ამგვარ წიგნში არ იცი კაცმა, რას უფრო დაუკვირდე: სიტყვის ძლიერებას, კაცის გულის ცოდნას, მთიელთან ხერხიანად ლაპარაკს, თუ პოეტურ ნიჭს, რომელიც მწუხარებას უფრო მაღლა აუწევია? შამილმა ამ წერილის პასუხად მოითხოვა: 1) მისი შვილის დაბრუნება (ეს შვილი რუსის სამსახურში იყო აფიცრად), 2) დაბრუნება მისი ძმისწულისა და ორი ავარიელისა, რომელნიც დიდისხიდან რუსეთში იყვნენ გაგზავნილნი და 3) ერთი მილიონი ფული. პირველ ორს პირობაზე ორბელიანმა შეუთვალა შამილას შუამდგომლობა წინაშე ხელმწიფისა. უკანასკნელ პირობაზე კი სრული უარი, რადგანაც ეს ფული დატყვევებულთა ნათესავებს არ ჰქონდა. ებლა უნდა ნახოთ, რა ხერხიანადა სწერს შამილს პოეტი ამ ფულის სიღიდეს.

„თქვენ ითხოვთ მილიონს,—სწერდა ის შამილს 14 სკრტ. 1854.—ეს ისე დიდი თანხაა, რომ კაცმა სიტყვითა თვალი: ერთი, ორი, სამი და სხ., თვეზე მეტი გავა, გიდრე დასთვლიდეს. საიდგან უნდა ვიშოვოთ ეს ამოდენა ფული, როდესაც ერთ ადგილას დაგროვებული უშველებელ დიდ ვერცხლის მთას ემგვანებოდა?“

მიწერ-მოწერამ და მოლაპარაკებამ ტყვეების გამოხსნაზე ერთობ დიდი ხანი გასტანეს. ბოლოს, 1855 წლის დამდეგზე, პოეტი-სარდალი სწერს გენერალ ალექსანდრე საგინოვს: „...ჩვენის ქალების საქმე, ლვთის მოწყალებით, იმედია, რომ მალე დაბოლოვდეს კეთილად. თქვენი ხელზე მკოცნი ისაია (გრომოვი) გავგზავნე დარღოს შამილასთან და ახლა დაბრუნდა და მონიტანა ქალების ამბავი და წერილებიცა; სულ ყველანი მშვიდობით არიან. დავითის შვილსა და პატარა გიორგის ფეხი აუდგამო და დაცუნცულებენ;

დავითის ქალებიც ასე შეეჩივნენ შამილსა, რომ სულ წვერს უგლე-  
ჯენ.—შამილსა ძალიან კარგად და პატივით მიეღონ ისაია და ახლა  
ამის ტრაბახობისაგან აღარა ვართ: ჰაი მე ასე უთხარ, ჰაი იმან ეს  
შითხრა და სხვა ამგვარნი“. აპრილის თვეში მოლაპარაკებაც გათავ-  
და. შამილი დასჯერლა შვილის დაბრუნებას და 40 ათას მანეთს,  
რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა დავით ჭავჭავაძეს  
შახლობის გამოსახსნელად. ორბელიანს აუსრულდა გულის წადილი:  
უნაკლოდ დაუბრუნდა ძვირფასი ნათესავები. ტყვეები მოვიდნენ  
თემირ-ხან-შურას, საცა დაზყვეს პოეტთან ორი კვირა. თავის სიხა-  
რულს ის აუწერდა ვარანცოვს ამ სიტყვებით:

„მათი ორი კვირით აქ ყოფნის დროს ჩემი სახლი სამოთხეს დაემგვანა.  
დილა ადრიანვე მოირბენდნენ კუპიდონებივით მშვენიერი ბავშვები დავ. ჭავჭავა-  
ძისა და ჩემი ძმისწული გიორგი; მათი მხიარული ყვირილი, სირბილი და ლაპა-  
რაკი ჭეშმარიტად მატკბობდნენ სულიერად! რა მშვენიერი ბიჭია ჩემი ძმისწული!  
ჯანმრთელი, სხვილი, ზორბა მოჩხუბარი“<sup>1</sup>...

პოეტის მიცვალების შემდეგ, ერთხელ განსვენებულმა დავით  
ჭავჭავაძემ გვიამბო იმისი იმ დროინდელი მწუხარების ნიმუშებად,—  
ამ მოგონებით ჩვენ ვათავებთ მისი ნათესავების ტყვეობაზე ლაპარაკს.  
— ერთხელ, როდესაც შამილისაგან გამოგზავნილი კაცი ტყვეების  
დახსნის პირობაზე ელაპარაკებოდა იმას ჭავჭავაძის იქ ყოფნაში,  
გამოგზავნილმა დიდგულობა დაიწყო და იმის ლაპარაკს ყურიც არ  
ათხოვა. ამასთან ლეკი წამოწვა დივანზე, ფეხები მალლა აიშვირა  
და თავის ქექა დაიწყო. ამის დამნახავმა ბრაზმორეულმა გრიგოლმა  
უთხრა ჭავჭავაძეს:

— დავით! ერთი დავკრა ამ ურჯულოსა!.. მაგრამ ვაი რომ  
ამით სულ წავახდენთ საქმეს ...ეჭ, წავიდეთ, ერთი ბოლთა ვკრათ, ეგებ  
როგორმე ვულის ჯავრი სიარულით ამოვიყაროთ.

სალამოს პირი თურმე იყო და ცხარედ მობაასეთ ვერც კი შე-  
ნიშნეს შტაბთან დაახლოვება.

— Кто идет? — დაიძახა ყარაულმა.

— Солдат! — ხმა ჟყო თრბელიანმა.

მობაასეთ განაგრძეს ლაპარაკი: საღ უნდა ეშოვნათ იმათ შა-  
მილის მისაცემი ფული, ვისთვის უნდა მიემართნათ, საღ რა დაეგი-  
რავებინათ. ამ მუსაიფში და მოედნის გარშემო სიარულში ხელ-  
ახლად ყარაულის ხმა:

— Кто идет?

— Солдат.

<sup>1</sup> წერილი 7 მაისს 1855.

ვინ იცის, რა გაჭირვებაში იყვნენ ტუპეები. სიცივე, სიმშილი, ცუდი სადგომი, ცუდი სამსახური: როგორ უნდა გაეძლოთ სუსტ ქალებს, ორსულ დედაკაცებს, უსურ ბავშვებს, განცხრომით ცხოვრებაში ნამყოფთ. სად იყო სამართალი, კაცობრიული გრძნობა, რომელიც...

— Кто идет?

— Это, лмехротო ჩემო, რას გადამუკიდნენ: Солдат,— оуп ხმა ორბელიანისა, რომელმაც ეხლა კი სიცილი ვერ შეიკავა.

## XI

შამილმა შვილი დაიბრუნა და ორმოცი ათასი მანეთი მიიღო, მაგრამ ომი კი არ შესწყვიტა. მთელი 1855 და 1856 წელი ორბელიანმა დაუცხრომელ ბრძოლაში გაატარა ლეკებთან. იბრძოდნენ: ქუთიშის მაღლობებში, წუდახარში, გერგებილთან, სალათაების მთა გრეხილზე, გამაშის მაღლობებში, ხანაგს, დალიშის ვიწროებში, დეშ-ლაგართან, ხუდომ-ბოშთან, ხოჯალ-მაქის ციხესთან, ჩირ-იურთას, ყაზიყუმუხის სამთავროში, გიმრში, ყარანაევის დაშვებაზე. იმასთან ტაბასარანში შარიათის მქადაგებელთა მოახდინეს არეულობა და ორბელიანმა გენერალ მინკვიცის შემწეობით დამშვიდა იქაურობა. „ჩემო საყვარელო დიმიტრი, ანუ ჩემო ბურიენო—სჭერდა ის დი-მიტრი ჯორჯაძეს—(ბურიენი ნაპოლეონ პირველის სეკრეტარს ერ-ქვა). ტაბასარანელები სრულებით არ მოელოდნენ იმას, რომ მე გავბედვდი აქ მოსვლასა: ნადირ-შაჰიმ ყალუხის მთიდამ ვერ გაბედა ამ ხეობაში შემოსვლა; მადათოვმაც რუსის ჯარი ვერ მოაწია აქამ-დის; არღუთინსკიმაც სხვა გზაზედ აიარა; წლეულს მინკვიცი ორიო-დე დღე იდგა ყალუხზედ და დაბრუნდა იქიდამ. ამა მიზეზთა ჯამო ახლაც იმასვე იძახდნენ: „ბევრჯელ მოსულან და დაბრუნებულან“ და სრულიად გულმოსვენებით ელოდნენ, რომ მეცა შორიდამ დაუ-წყებ ლაპარაკსა, ვიღები ერთი-ორი დღე და წავალ იქა, საიდამაც მოველ. მაგრამ ძალიან შესცდნენ და ახლა თავ-პირში იცემენ, ჰედ-ვენ რა, თუ როგორ ინგრევ-იქცევა-იწვის მართლად მშვენიერად აშე-ნებულნი თლილის ქვით ჩუქურთმიანნი სახლები. ამ ორს სოფელში (ხანაგში და რულუჯაში) უშვებ მხოლოდ ერთს მეჩითსა და დანარ ჩენსა კი ვსთხრი ძირიანად.—ამ ორის სოფლის გაოხრებამ შეაძრ-წუნა ტაბასარანი და ყაითალი და ახლა მოდიან დეპუტატები ერთ-გულებისა და მორჩილებისა განცხადებისათვის<sup>1</sup>. ტაბასარანის ექს-პედიციით მთელი ყაითალი დამშვიდდა და თვით შილალიცა. შარია-

<sup>1</sup> წერილი 31 ოქტ. 1855 წ.

თის მქადაგებელთაც შეუმოკლდათ დღე და უამი. ზოგი გაიქცნენ, ზოგი დაიჭირეს. „გუშინ ერთი შიხმაქმადის თანაშემწე მომგვარა ჯამბეგის შვილმა—სწერდა პოეტი დ. ჯორჯაძეს— დიდი თურმე მწიგნობარი, სახელად აბდულ-ყადიბ ყადი. ჯერ შარიათისთვის ვებასე; აუხსენ, რაი არს სწორე შარიათი და მერე გავამათრახე, ასე რომ ჩემს შარიათსა არ დაივიწყებს, თუ ცოცხალილა დარჩა“.

ორბელიანის განკარგულებაში ამ ღროს თორმეტი ბატალიონი ჯარი იყო. შამილმა ამის გამო ვერ გაბედა იმაზე მისვლა და პოეტ-სარდალმა მთელი თავისი ღონისძიება მოახმარა დალესტნის გაშენებას. შტაბ-კვარტირები დაფუძნდნენ და სალდათებს მიეცათ მკვიდრი საღვრური, შურა გამშვენიერდა შადრევნებით, შენობებით, ციხე-ბურჯებით, ეკლესიით, რომელიც შენდებოდა გაგარინის პლანით. დიშლაგარში გაშენდა ეგრეთივე მშვენიერი ეკლესია. შურასა და დერბენდს შორის გაიმართა. სამი მშვენიერი სტანიცა ვაკრობამაც ამოკყო თავი. ერთ წელს შარტო გაიტანეს რუსეთში 153 ათასი მანეთის ენდრო. ცოტ-ცოტად შრომის-მოყვარეობაც დაიბადა ომიანობის ჭექა-ჭუბილის ხმაურობის ქვეშ.

აუშერს რა ჰაჯიმურადის გზის გაკეთებას, ორბელიანი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს: „იქამდის მივიუვანე საქმე, რომ ტაბასარანელები გამოვიყვანე 500 კაცამდის ცულებითა და ვაკაფინე იმათივე ტყე. მაგრამ სასაცილო ეს იყო, რომ თითონვე ამბობენ: „ჩვენ უზდელები ვართ, თავისუფალნი, მუშაობა ჩვენი საქმე არ არის; ეს მამა-პაპას არ უქნია“ ამას ამბობენ და ჰკაფვენ კი ტყესა! მეტადრე სალამ-სალამოს რომ დავახვედრებდი ცხვრებსა სამწვადედ და ამასთანა კარგს შესხმასაც ვეტყოდი ამათის ერთგულებისათვის, ყოველივე ავიწყდებოდათ და იძახოდნენ: კნიაზ საღოლსუნ!“<sup>1</sup>

18 მარტს 1856 წ. პარიუსის ტრაქტატმა ბოლო მოულო აღმოსავლეთის ბრძოლას. შამილს ცოტ-ცოტად იმედი ეკარგებოდა, მალე მოვიდა კავკასიაში ახალი მთავარმართებელიც, რომელსაც ბოლო უნდა მოელო მისი ძლიერებისათვის. ეს იყო ალექსანდრე ივანეს-ძე ბარიათინსკი, პოეტის დიდი მეგობარი.

ჯერ ვარანცოვი არ წასულიყო კავკასიიდან, რომ ორბელიანი სწერდა ბარიათინსკის:

„Я не умру, пока не увижу вас проконсулом Кавказа“<sup>2</sup>.

ამ წინასწართქმაში ხუთი წელიწადი მარტო უცადა განხორციელებას. ვარანცოვის შემდეგ, ომის საჭიროებათა გამო, ნიკოლოზ

<sup>1</sup> წერილი 17 ნოემბერს 1855 წ.

<sup>2</sup> წერილი 3 ივნ. 1852 წ.

პავლეს-ძემ გამოვზავნა კავკასიაში გენერალი მუჩავიევი და ომი რომ გათავდა, ახალმა ხელმწიფემ, ალექსანდრე II-მ, კავკასიის მთავარმართებლად დანიშნა თ. ბარიათიშვილი.

ახალი მთავარმართებელი მოვიდა კავკასიაში დაღესტნით. ორბელიანი მიეგება იმას პეტროვსკში, როგორც ის სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს, „ვენზილებითა, ტრიუმფალნის ვარატებითა, შჩიტებითა და ფლავებითა“. პოეტი ყოველ ამგვარი დღეობის და ნადიმზეიმისა დიდი მოყვარე იყო. დიდად მოსწონდა იმას მართლა დიდკაცური ხასიათი და ქცევა ბარიათიშვილის: ის იყო მისთვის: უხვი, მდაბალი, მაღალი. პირველს სადილზე მისი სადღეგრძელო რომ დალია, შემდეგი სიტყვებით მიუსალამა იმას თავისი გრძნობა:

„თქვენო ბრწყინვალებავ! უკვე დაადგით ფეხი საზღვარს იმ ვრცელი ქვეყნისას, რომელიც თქვენს განათლებულს ზრუნვასა და გამგეობას მიენდო უმაღლესად დევ, აკურთხოს ლმერთმან თქვენი ამ ქვეყნად მობრძანებაცა და დიდებულ ტახტის წინაშე შემდგომი სამსახურიც იმ მრავალ ათასოვან ერისა და მხედრობის სადღეგრძელოდ, რომელიც ასე აღტაცებით მოგელით. ახარეთ მუდამ გული მეფისა მარადის სახელოვანისა და ქველის ღვაწლითა!“

პოეტ-სარგალმა უჩვენა მთავარმართებელს ხალხი, ჯარი, ადგილები..., მერე გამოაცილა ბაქომდის და გამოისტუმრა ქალაქისაკენ. ამავე დღეს აფრინა ქალაქისკენვე წერილი: „ჩემო საყვარელო ძმაო ყაფლან! მოღის თქვენსკენ მთავარმართებელი კნიაზი ბარიათიშვი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით: გულით, გონებით, კეთილ განმზრახველობით.—მოღის დიდის სიყვარულით, დიდის სურვილით საქართველოს გაბეჭნიერებისათვის. ლმერთმან მისცეს შემწეობა თვისი და სიცოცხლე აღსრულებისათვის ყოვლისა მის, რაიკა მიაშპო თავის პლანებიდამ. ხელმწიფესა და თვით ლმერთსა ჰყვარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოვზავნეს აქა მთავარმართებლად. აბა რაც შეგვძლოსთ, მხიარულებით მოეგებენით: ზურნით, ნაღარით, ცხენის ჭენებით, ყიუნით, ყვირილით, ვინც როგორ იცოდეთ, ისე მოეგებენით, სულ ბაირალებით!.. გეთაყვანე, ჩემო ყაფლან, შენებურად წინ მოეგებე ცხენით ბარამჯიბილსავით. ბიძია ალექსანდრეს შეეხვეწე ჩემს მაგიერ, რომ წამოვიდეს მოსაგებებული ლაზათიანის დასტითა. აბა, ძმებო, ვინძლო გამახაროთ თქვენის კარგად გამოჩენითა. მე იმიტომ გწერთ, რომ ვიცი, რაც ამბავია.—გიუი ნიკო თუ მანდ იყოს, მაშინვე გააგდე კახეთში, რომ მთლად ყმაწვილ-კაცობა მოჰვლიჯოს კახეთისა და მიეგებოს მთავარმართებელსა ყანწებითა, ქვევრების ახდითა, მარნებითა. თუ ასე არ გიქნიათ, იცოდეთ, ჩემი მტერი იქნებით და თქვენის თავისაცა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წერილი 22 ოქტ. 1856 წ.

თბილისში ბარიათინსკის თან მოჰყვა განცხრომა, ლხინი, დღე-შასწაულები, ბალები, ტანცაობა, ნადირობა, წევეულება... ქალაქისთვის ნამდვილი მეორე იმპერიის ბრწყინვალე დღეები დაადგა. ორბელიანი დაბარებულ იქნა საქმის გამო თბილისში და როდესაც დაბრუნდა შურას, დიდის აღტაცებით აუწერდა ქალაქის ყოფას ბარონ ნიკოლაის (ლეონტის): თავის დღეში ქალაქი ასე მხიარული და ხმიანი არა ყოფილა. ამ გაცხრომასთან ახალი მთავარმართებელი დიდი საქმის კაციც იყო, დიდი პლანების მექონი. თუ ყველა იმისი აზრი ასრულდებოდა, ჩვენი ქვეყანა ძლიერ წინ წავიდოდა! წიგნის ბოლოს ის სწერდა საიდუმლოდ ბარიათინსკის განზრახვას: დაეყენებინა 80 ბატალიონი სპარსეთის საზღვარზე და დახმარებოდა შავს, თუ ინგლისი არ დაანებებდა თავს სპარსეთთან ბრძოლას. ვინ იცის, მაშინ როგორ დატრიალდებოდა საქმე. ვინ იცის, რით გათავდებოდა ინდოეთის მხედრი!

Барон, тогда прочь вьючные сундуки, дагестанские скалы, чеченские леса! Войдем сражаться на слонах, подобно героям баснословной поэмы „Караманиани“! — сწერდა ის ამავე წერილში<sup>1</sup>.

1857 წელს ორბელიანმა „კახეთის სისხლი აილო“, იმან რამდენჯერმე დაამარცხა სალათავიაში შამილის ჯარი. „თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, — სწერდა პოეტი ყაფლან თბელიანს — სადაცა ვაშენებ ციხესა. შამილიც იყო აქ დიდის ჯარითა, ქურდისავით ტყეში იჯგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დაამარცხებული, ცხვირ-პირ-ჩამტვრეული მირბოდა, 24 ივნისს ვეება ხევი ავავსე იმათის დახოცილებითა; ორნი ნაიბნი და მრავალი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე. იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათი. 27 მკათათვესა კიდევ დამარცხდა, მრავალი დახოცეს, 44 ტყვე და ერთი ბაირალი წავართვით; ამის გარდა 29 მკათათვესა კიდევ დამარცხდა, 250 მოუკლეს, 70 დავიჭირეთ და კიდევ ამის გარდა 1 აგვისტოს დავამარცხეთ და 12 დავიჭირეთ და ბევრი დახოცეს. დღეგრძელობა შენ გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვალრიალე და კახეთის სისხლი ავიღე!“ 5 ოქტომბერს ორბელიანმა აილო უკანასკნელი ძალა შამილისა სალათავიაში, ბურთუნაი. ამ სოფლის გასამაგრებლად შამილმა მოიხმარა მთელი თვისი ვეება ჯარი და მართლა დიდათაც გაამაგრა ციხე: სამ საენზე მეტი თხრილი ჰქონდა შემოვლებული გარშემო სოფელსა და მასზედ დაწყობილი იყო გოდორყუები მიწითა და ქვებით ავსილი, მაგრამ ორბელიანმა ისეთი დრო უპოვა. მტერსა და მარჯვედ მიიტანა იერიში, რომ ცი-

<sup>1</sup> 13 მარტ. 1857 წ.

ხის აღებას 14 დაჭრილი სალდათით მორჩა. ერთი დღე რომ დაეგვიანა, ციხის აღება შეუძლებელი იყო, რადგანაც მორჩე დღეს შვილი ნაიბის ჯარები უნდა მოსულიყო აღგილის გარნიზონად. გამარჯვების შემდეგ პოეტი სწერდა დიმიტრი ჯორჯაძეს: „მზე ამოვიდა ბრწყინვალედ; მე მეჩითის ბანზედ ვსვამდი ჩაისა; ბარაბანშჩიკები უკრავდნენ ახალს აღებულს ციხეში ფარსა, როდესაც გამოჩნდნენ მურუდის ჯარები გუმბეთის გზაზედ და შენ იფიქრე იმათი პირდალებით გაოცება, რო სრულებით მოულოდნელად ნახეს რუსის ჯარიბურთუნაიაში... შამილისგან აშენებულს ციხეში მყუდროდ და მოსვენებით ჰსლგას ჩვენი სამი ბატალიონი ოთხის ზარბაზნით“<sup>1</sup>.

ბურთუნაის და გარშემო აღგილების აღებისათვის ორბელიანს მიეცა გენერალ-აღიუტანტობა (10 ნოემბ. 1857). ბარიათინსკიმ მიულოცა იმას ხელმწიფის წყალობა და თავისი ექსელბანტები გაუგზავნა. ის სწერდა პოეტს ერთ შემდეგ წერილში:

„ალარ მაცდით თითქმის გონს მოვიდე, უპატივცემულესო თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ, ისევ თავბრუს მხვევთ თითქმის ყოველდღე თქვენი ბრწყინვალე და ჩინებულ გამარჯვებათა გრგვინვა-ქუსილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდიგერებს ხელმწიფე იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც, უჭვი არარის, მოხარული იქნება თავის ახალ გენერალ-აღიუტანტის წარმატებისა“.

სალათავიას აღება მით უფრო სასიამოვნო იყო მთავარმართებლისათვის, რომ ეს შეადგენდა მის პლანს. დაღესტნის ომი ერთობ დიდხანს გაგრძელდა, ერთობ ძვირად უღირდა რუსეთს, რომ ეხლა, როდესაც აღმოსავლეთის ომი გათავდა, არ ეხმარა იმას სრულითვისი ღონე და მეცადინეობა—ბოლო მოელო შამილის ძლიერებისათვის. ამ განზრახვით, დანიშნეს თუ არა ბარიათინსკი მთავარმართებლად, იმან შეადგინა ახალი გეგმა აღმოსავლეთის კავკასიის დაპყრობისა. ამ გეგმით შამილის დამორჩილებას სამგვარი საშუალებით უნდა შესდგომოდა რუსეთის ჯარი: უნდა უფრო მჭიდროდ გარშემორტყმოლა იგი იმ საზოგადოებათ, რომელნიც შამილის მომხრენი იყენებნ; უნდა აეღო სალათავია და აუზი, როგორც საიმედობაზისი მტრებთან ბრძოლისათვის, და, დასასრულ, უნდა დასცემოდა შამილს ერთსა და იმავე დროს სამის მხრით. ამ გეგმის ასრულებაში მოყვანამ მართლა დასცა შამილი. 25 აგვისტოს 1859 წ. დაღესტნის გმირი თვითონ გამოცხადდა ბარიათინსკის ბანკში და დანებდა ხელმწიფე იმპერატორს მთელი თავისი ერთგული მიურიდებითა და ამალით.

ბურთუნაის აღების შემდეგ ორბელიანს დიდი ხანი არ დასცლია დაღესტანში. 1858 წლის დამდეგს თ. ბარიათინსკიმ გად-

<sup>1</sup> წერილი 6 ოქტ. 1857 წ.

მოიყვანა იგი ქალაქს და დანიშნა კავკასიის მთავარმართებლის ოჩე-  
ვის თავმჯდომარედ. ამასთან, როცა მთავარმართებელი არ იქნებო-  
და ქალაქს, იმას უნდა აესრულებინა თვით ხელმწიფის-ნაცვლის თა-  
ნამდებობაც. ორი. წლის შემდეგ სულ ყველა ამ თანამდებობასთან ორ-  
ბელიანი დანიშნეს თბილისის გენერალ-გუბერნატორად. ცოტ-ცო-  
ტად მოთმინებამ, შრომამ, ერთგულმა და პატიოსანმა სამსახურმა  
ურ. ორბელიანი მიიყვანეს სასამსახურო იერარქიის უმაღლეს ხარის-  
ხამდე. ეხლა კი მართლა შეეძლო ეთქვა ყაფლანს: ზურაბიანნი წა-  
ვიდნენ წინაო!

პოეტის დაღესტნილან გადმოყვანის მიზეზად შემდეგს შემთხვე-  
ვას ასახელებენ. ახლად დაწესებულ ქუთაისის საგენერალ-გუბერნა-  
ტოროში ბარიათინსკის უნდოლა დაენიშნა გენერალ-აღიუტანდი ბა-  
რონ ვრანგელი, რომელიც პეტერბურგში იყო იმ ჭამად. ეს ბარია-  
თინსკის სურვილი ხელმწიფე იმპერატორმაც იცოდა. ვრანგელმა,  
ბევრის ფიქრის შემდეგ, უარი შემოუთვალა მთავარმართებელს ამ  
ადვილზე. ამის ბარათი მოუვიდა ბარიათინსკის სწორედ მაშინ, რო-  
დესაც ის ემზადებოდა თეატრში წასახლელად. თეატრში, პირველი  
აქტის შემდეგ, როდესაც მთავარმართებლის ლოეაში შეკრბა ჩაიზე-  
ქალაქის მაღალი საზოგადოება, მთავარმართებელი მიუბრუნდა იქ  
მყოფ გიორგი რომანოზის-ძე ერისთავს და უთხრა: „კინიზო გიორ-  
გი, მე თქვენ გნიშნავთ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. იმედი  
შაქეს, გაამართლებთ ჩემს თქვენდამი ნდობას“. დანიშნას ბილოცვა  
მოჰყვა, მილოცვას ქუთაისში წასვლა და თანამდებობაში შესვლა...  
ამ დღის შემდეგ კარგა ხანი რომ გავიდა, ერთხელ ხელმწიფე-იმპე-  
ტორის, როცა ის დასეირნობდა ნევის პირად, შემოეყარა ბარონ  
ვრანგელი.

-- როგორ! ბარონ, თქვენ კიდევ აქა ხართ! რა კარგს იზამდით,  
რომ ჩქარი წახვიდოდეთ კავკასიაში და უშველიდეთ ბარიათინსკის.

ხელმწიფის სურვილი ქვეშევრდომთაოვის ბრძანება იყო. ბა-  
რონმა მაშინვე შეიკრა ბარგი და წამოვიდა კავკასიაში, რადგანაც  
პეტერბურგში არ იცოდნენ ერისთვის დანიშნვა. რა უნდა ექნა ბა-  
რიათინსკის? ერთი მხრით მისი დიდეკაცური სიტყვა და დანიშნვა  
იყო, რომელსაც ის ვერ უმტკუნებდა, მეორეს მხრით ხელმწიფის  
ბრძანება. მაშინ, ვრანგელისათვის რომ შესაუერი ადგილი მიეცა, ბა-  
რიათინსკიმ დაღესტნილან გადმოიყვანა თბილისს გრ. ორბელიანი და  
ვრანგელი დანიშნა კასპიის ზღვის ახლო ადგილებზე მყოფი ჯარე-  
ბის სარდლად.

ასე ამგვარად გათავდა გრ. ორბელიანის დაღესტანში მსახუ-  
რება და მისი სამხედრო კარიერა. დაწვრილებით აღწერა მისი ხან-

გრძლივის სამხედრო სამსახურისა ჩვენ არც გვქონია აქ სახეში და არც შევვეძლო იმ მცირე მასალების საშუალებით, რომელიც ჩვენს ხელთ იყო. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვალეთ პოეტის სხვადასხვა თანამდებობა, ალვნიშნებ ადგილები, საცა უომნია იმას, ვუჩვენეთ, რა ქვეყნებში და რა ხალხებში ყოფილა იგი თავის ორმოცი წლის თითქმის ბანაკად ცხოვრების. განმავლობაში და თითო ორ-ორი სიტყვა ვთქვით ყველა ამ ადგილებზე და თანამდებობაზე. ჩვენ შეგვეძლო მოვვეყვანა აქ არა ერთი განკარგულება და დარივება ორბელიანისა, როგორც სარდლისა, რომელიც დაჯვანახებდა მის გონიერებას, მაგრამ მოვერილეთ დეტალების მოყვანას, რომ ტყუილა-უბრალოდ არ დაგვემძიმებინა საზოგადო ცხოვრების აღწერა პოეტისა.

ვათავებთ რა ამ სამხედრო სამსახურზე ლაპარაქს, არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ერთს გარემოებაზე. პოეტის მიწერ-მოწერილან ჩანს, რომ ორბელიანი დაღესტანში მსახურების დროს დიდი გულფიცხი კაცი ყოფილა, რომელსაც არად მააჩნდა კაცის-კვლა, სოფლის აკლება, ხალხის გადასახლება. რამდენად ამართლებდა ამგვარ მისს საქვიელს გარემოება და რამდენად შართალია თვითონ სიმკაცრე, რომელზედაც ამბობს პოეტი? თუ გახსოვთ, ერთ დროს ის სწერდა თავის ძმას ზაქარიას ავარიიდან: „მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა—მოწყალება, მას უკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქვევა და საშართალი“. იმ კაცს, რომელსაც ესეთი დევიზი დაუდევს თავის თავისთვის, შეიძლება, ბევრი რამ შეემთხვევს ცხოვრებაში, მეტადრე ომის დროს, მაგრამ იმას არასოდეს არ დაეძახება უგულო, ულმერთო, უმოწყალო. პირიქით, როცა ის დანიშნეს შურაში ნაცვლად არღუთინსკისა, რომელიც დიდად ფიცხელი კაცითურმე იყო, პოეტს უსაყვედურეს მისი გულჩვილობა, ხასიათის სისუსტე და გაავონეს, რომ ლეკების მორჯულება ამგვარი კაცობრივარეობით შეუძლებელი იყო. პოეტმა მაშინ პასუხად ეს უცხრა: „ორ გვარად შეიძლება ველური ცხენის დაურვება: მათრან-დეზითა და მოფერებით. ლმერთმა იცის, რომელი საშუალება უკეთესიაო!“ ან რად იქნებოდა უწყალო ჯერ ქართველი და მერქ პოეტი! მხოლოდ ომის მოთხოვნილებისათვის ამასაც პასუხი უნდა გაეცა და საცა საჭირო იყო, მათრახიც ექმარა და თავებიც ეჭრევინებინა. მაშ, რა უნდა ექნა? ხომ ის სარდალი იყო, ხომ იმის გარშემო მტერი იდგა და მტრის ტყვიას გაპქონდა მის ბანაკში კაცის სიცოცხლე? ერთმა დიდად განათლებულმა და ენა-მახვილმა პუმანისტმა, ჩემმა მეგობარმა, რუსული გაზეთის ნარედაქტორალმა, მითხრა ერთ დღეს თბილისში: „ხომ ხედავ ამ მშენების ქალაქის სახლის შენობას? როცა ქალაქის თავად ამომირჩევენ, მაშინვე ძირს დავცემ ამ მავრი-

ტანულ გუმბათს. ისტორია მაშ რათა გვაქვს, თუ მტრებს მოყვრად გავიხდით და ქრისტეანენი მაჭმაღიანებს დავესესხებით თუნდ ჩუქურთა-მასა, თუნდ სახლს?“ ეს უბრალო მოსაზრება არ უნდა დაივიწყონ იმ პირთ, რომელიც განიკითხვენ ორბელიანს.

ორბელიანის დალესტანში ყოფნის აღწერის დასასრულ, მოვი-გონოთ ისიც, თუ რაგვარად ეჭცეოდა პოეტი მის ხელქვევით მყოფ ქართველ აფიცრებს.

ერთხელ, ახალ-ჩამოლამებულზე, პოეტ-სარდალშა მოულოდნე-ლად ყაზარმები გასჩერიკა. ქართული მილიციის სადგურში მთავარ-სარდალმა ნახა. რომ ჩვენი აფიცრები მოსხდომოდნენ სტოლს და ასონანს თამაშობდნენ.

— შვილებო, რატომ არაფერს აკეთებთ? ან იყითხეთ რამე, ან სწერეთ, ან პოდრიადი აიღეთ და მოიგეთ რამე. როგორ არა გრცხვენიათ სულ ქალალდი, ქალალდი!

— რა ვქნათ, თქვენი ჭირიმე, ჩვენ პოდრიადს ვინ გვაღირსებს, თორემ გაქვთ სიცოცხლე, ჩვენ მუშაობა არ დავიზაროთ.

— რატომ არ მოგცემთ, შვილო, ოლონდ კი იმუშავეთ! მომი-ცია: შენთვის აგურის მოტანა, შენთვის — ქვიშა, შენთვის — კირი. აბა ვნახოთ, როგორ გაამართლებთ თქვენს სიტყვას და მეც არ შემარ-ცხვენთ.

თქმა იყო და ბრძანების გაცემა.

ამის შემდეგ გავიდა ქრთი თვე და გრიგოლმა ხელ-ახლა გას-ჩხრიკა ყაზარმები. ჩვენი ნაცნობი აფიცრები ისევ იმ სტოლს გარ-შემო უსხდნენ და ქალალდს თამაშობდნენ. გრიგოლის თახმში შეს-ვლა ვერავინ შენიშნა.

— ჩამოვდივარ ერთ ურემ ქვიშას, — დაიძახა ერთმა.

— აჲა, ეს ერთი ურემი კირიც, — დაუმატა მეორემ.

— აი, ეს ურემი აგურიც, — ხმა ჰყო შესამერ.

პოეტმა რა გაიგონა, სიცილი მოერია და გაჯავრებული და-ბრუნდა თავის სადგომში.

„არა გვაქვს! პოდრიადობის და ვაჭრობის ლაზათი, ჩვენი საქმე არ არისო“ — იტყოდა ამ შემთხვევის მომგონე განსვენებული პოეტი.

## XII

„თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთველი, უზრუნვე-ლი, სავსე ამაოების ცხოვრებითა, რომელსაც ვერ შევჩეულვარ აქამომ-დის და იქნება ვერცა სიკვდილამდის „შევეჩიო“, — სწერდა პოეტი ქალაქში გადმოყვანის შემდეგ თავის ძელ მეგობარს და სეკრეტარს

დიშიტრი ჯორჯაძეს<sup>1</sup>. ძნელიც იყო, მართლა, ამ ახალი ამაოებით სავსე ცხოვრების შეჩვევა. განა თუ საქმე არ ჰქონდა მთავარ-მართებლის რჩევის თავმჯდომარეს, მაგრამ ეს ისეთი საქმე იყო, რომელიც თვითონ ქალაქში კეთდებოდა, რომელსაც არც ექსპედიცია უნდოდა, არც მფა-ტყე სირბილი, არც თოფ-იარაღი, არც სისტლის ლვრა. წმიდად, ლამაზად ჩაცმა, გალაქული წალებით და ფაეტონით „სოვეტში“ შისვლა, მწვენივრად მორთულ სასახლეში წითელ მაუდს გარშემო განცხრომით სხდომა და მოხელეებთან ბაასი, ქალალდების წერა და ხელის მოწერა, მერე მთხოვნელების მიღება, „ვიზიტი“, თეატრი, ბაზარი, — აი როგორიც ცხოვრება მოჰყვა იმ შიშით და გაჭირვებით სავსე ცხოვრებას, რომელსაც თვისი სპეციალური გემო და სიამოვნება ჰქონდა, რომელიც თვითონ პოეტმან ასეთი ხელოვნებით ასწერა ერთს თვის ზემოთ-ზოუკანილ დღიურში.

პირველსავე ზანებში ორბელიანს შეხვდა დიდმთავრებთან მოგზაურობა თბილისიდან ბაქომდის. ვის არ გაუგონია, რა დიდებით მიიღო ამ წელს ბარიათინსკიმ დიდი მთავარი: ნიკოლოზ და მიხაილ ნიკოლოზის-ძენი? სხვას რომ თავი დავანებოთ, იმან რომ ნადირობა გაუმართა ყარაიაზში დიდ სტუმრებს, ნამდვილ საარაკო იყო. ამ დღისთვის თბილისში არ დარჩენილა არც ცხენი, არც ფაეტონი. მთელი ქალაქი იქ იყო. დიდი მთავრები რომ მიუახლოვდნენ ყარაიაზს, შვიდ ვერსზე მოევება იმათ მამუკა ორბელიანი, ამ დღეობის გამგე, მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობით, თათრებით, ქურთებით, თუშებით, ხევსურებით, ყარაიაზში მთელი ქალაქი გაშენდა კარვებისა, მშვენიერი ხალიჩებითა და მუთაქებით მორთული, არაფერი არ აკლდა ამ საარაკოდ მიწიდან ამოსულ ქალაქს: არც ქუჩები, ფარნებით განათებული, არც სალოხები, არც დარბაზები, საცა მეფის წულმა ბარბარემ და პოეტის რძალმა წარუდგინეს დიდ-მთავრებს თბილისის ზოგიერთი მანდილოსნები, არც უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი, არც ცეკვა, არც სიმღერა, არც თეატრი, საოცარი მელოდია ვერდის შესანიშნავი ოპერისა „რიგოლეტო“ ხელიდ აშენებულს თეატრში დიდ ხეებ-ქვებს, საგანგებოდ მოსულ მორთულ-მოკაზმული პუბლიკის დასწრებით... ამის მსგავსი წარმოდგენა, მგონი, არასოდეს ეხილოს ამ უკვდავ აპერას... თვითონ ბარიათინსკი აგადმყოფობის გამო ვერ წავიდა ყარაიას და მის მავივრად დიდ-მთავრებს ახლდა გრიგოლ ორბელიანი. ნადირობის შემდეგ ეს უკანასკნელი სწერდა მთავარ-მართებელს:

„შემიძლიან დაგამშვიდოთ. თქვენო ბრწყინვალებავ, რომ ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა; თვით სტარიკა ერისთავის ყოვლად გაუგებარმა სიტყვებ-

<sup>1</sup> წერილი 18 აპრ. 1853.

შაც-კი, — რომელმაც არ შეისმინა არავითარი ჩემი თხოვნა და არ დასთმო თვისი სიტყვები; — ბევრი ამხიარულეს დიდი მთავრები“<sup>1</sup>.

ყარაიაზიდან მუხროვანით, თელავით, ზაქათალით და შემახით გრ. ორბელიანმა მიაცილა დიდი მთავრები ბაქოს და აქედან დერბენდით, შურით, ბურთუნაით და ჩირ-იურთით გაისტუმრა რუსეთს. მალე წავიდა რუსეთს თვით ბარიათინსკიც და იმის თანამდებობის აღმასრულებლად დარჩა კავკასიაში გრიგოლ დიმიტრიჩი.

შამილი მიწურულზე იყო და ბარიათინსკი არ-სამ კვირაზე მეტს არ დარჩენილა პეტერბურგს. გამოსვლის წინად ის სწერდა ორბელიანს სატახტო ქალაქიდან:

„დიდი მოწყალებითა და ყურადღებით მოეპყრო ხელმწიფე იმპერატორი ყველა ჩემს წარდგენილებასა და განსაკუთრებული სიამოვნებით საუბრობდა თქვენს შესახებ. მიბრძანა მისმა უდიდებულესობამ გადმოგცეთ, რომ პსურს მემკვიდრე ცესარევიჩის სრულწლოვანობის დღეს პეტერბურგში გიხილოსთ“.

\* შალე ბარიათინსკიც დაბრუნდა. „ჩემი ნამესტნიკობაც დასრულდა! ეჭ, ორი დღე ხომ ვიყავ, ესეც კმარა თავმოწონებისათვის“ სწერდა ის თავის დიმიტრის<sup>2</sup>.

ბარიათინსკი პირდაპირ დაღესტანში მივიდა და ორბელიანიც აიყარა პეტერბურგს წასასვლელად. შორი გზა-სიარული და სამასი თუმანი ვალი, რომელიც იმან აიღო სამგზავროდ, არაფრად მოსწონდა იმას, მაგრამ ხელმწიფის სურვილის გარეშე მისი ფიქრი და აზრი არ არსებობდა. აგვისტოს დამდეგს 1859-ს ის წავიდა რუსეთს პირდაპირ ატრიადიდან, ახალის ამბებისა ხელმწიფის მოსახლენებლად. აგვისტოს დამლევს შამილიც დაეცა და შესანიშნავი პატიმარი გაამგზავრეს პეტერბურგს. „იმპერატორმა, იმპერატრიცამ, ველიკი კნიაზებმა და მათმა ცოლებმა მიმიღეს დიდის მოწყალებით, დიდის ალერსით, ასე რომ თითქოს მე ვიყავ ვიღაც მათი შინაურთაგანი. ველიკი კნიაზები ხშირად წამიყვანდნენ სადილად ისე სერთუკით; მათი ცოლები მიჩვენებდნენ პატარა თავიანთ შვილებს საალერსოდ და როგორც ნათესავნი ისე გამომესალმენი<sup>3</sup> — სწერდა ის დიმიტრი ჯორჯაძეს. შამილის შეპყრობამ ღიღი სიხარული გამოიწვია პეტერბურგში. ნევის პროსპექტის მაღაზიები გაივსო თურმე ბარიათინსკის და შამილის პორტურეტებით. ბევრს უხაროდა პირველის ძლევით შემოსვა. „შამილი გავიცანი პეტერბურგში, — სწერდა ორბელიანი იმავე წერილში, — კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მაგრამ აღლიან გაოცებული იყო ყოვლითა მით, რასაც პხედავდა. მითხრა:

<sup>1</sup> წერილი 14 სექტ. 1853 წ.

<sup>2</sup> ჯორჯაძეს — რედ.

<sup>3</sup> წერილი 31 ოქტ. 1859 წ.

„კნიაზო, დიდალ ვშუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავი ქალები, რომ ბოლიში მომეთხოვაო; ახლა ვხედავ, რასაც ნაკლულევანებაშიაც იყვნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით ცხოვრობდნენ, როგორც აქაო. დიდი სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინც იყვნენ დაახლოვებულნი ჩემთან და ვინც ჩემს მფარველობის ქვეშე და ჩემის მოწყალებით ცხოვრობდნენო. იმათვე ამიკლეს სრულებით ისე, რომ ეს თეორი ჩოხა ბარიათინსკიმ მიწყალობაო“.

ოქტომბრის დამლევს ორბელიანი დაბრუნდა კავკასიაში მლე-თის დაშვებაზე. ჩვენ, შეძლებისამებრ, არც ერთ ეპიზოდსა და მო-გონებას, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ის, არ ვტოვებთ პოეტის შე-სახებ. იმას შემოეყარა გზაზე რამდენიმე ჩვენებური ყმაწვილი კაცი, რუსეთში გამგზავრებულნი და, სხვათაშორის, მყოფადი ავტორი „კა-ცია-ადამიანისა“ და „განდეგილისა“. „გრიგოლი ფეხით მოდიოდა, — გვიამბო ამან, — ჩვეულებრივად ზურგს უკან ზელებ შემოწყობილი, პირ-მლიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა იმას ნელი-ნაბიჯით ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი უვისის ელემენტით, კავკასიის მთებით და ლრუბლით გარშემოზღუდული, ალტაცებული-ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო! დასწერა მაშინ რამე-ლექსი თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ როდესაც დუ-შეთს პლატონ იოსელიანს გამოუარა და ის არ დაუხვდა შინ, კა-რებზე დაუწერა ქართველთა რიტორს: .

„გირაკუნე, არ გამიღე კარია, მწყუროდა, და ალარ მასვი ჩაია“.

იოსელიანმა, როგორც ამბობენ, შემდეგში ამ წარწერას ჩარ-ჩო გაუკეთა.

1859 წ. შამილის რუსეთში გაგზავნის შემდეგ, ბარიათინს-კიც წავიდა პეტერბურგს და ორბელიანი ხელ-ახლა დარჩა კავკა-სიაში მთავარ-მართებლის მოვალეობის აღმასრულებლად. ბარიათინ-სკის ამ დროს მისცეს ფელდმარშლობა და მილოცვის წიგნზე გრი-გოლ ორბელიანს მოსწერა, სხვათაშორის, ხელმწიფის ბრძანება, რომ 25 აგვისტო იდლესასწაულებოდეს ყოველ-წლივ აღმოსავლეთი კავკა-სიის დამორჩილების სახსოვრიად და ისიც, რომ კავკასიის კომიტე-ტის თავმჯდომარეს წარედგინა მასთან მოხსენება ტრიუმფალური ბჭების აღმართვაზე ქ. თბილისში.

ამ მოგზაურობიდან მთავარმართებელი დაბრუნდა კავკასიას ცოტა ხნით, სანამ ავადმყოფობა არ აიძულებდა იმას ხელ-ახლა და დიდი ხნით დაეტოვებინა ჩვენი მხარე. იმაზე აღრე წავიდა კავკა-

სიიდან შტაბის უფროსი მილიუტინი, რომელიც საშეცრო მინისტრის ამხანაგად დაინიშნა რუსეთში. „მთავარმართებელი მობრძანდა ვლადიკავკაზიდამ, — სწერდა ამ შემთხვევაში ორბელიანი ლეგან მელიქიშვილს, — და ჩვეულებრივ გაიშარა პრიომები და თეატრები და მეცა რაც კი შემიძლიან ვეხახუნები აქა-იქ. — მილიუტინი გავაცილეთ დიდის-ყოფით. — აბა რეჩები იყო, რომ აქ ის ქვა! არამც თუ აქა, დუშეთშიაც წამოიძახა პლატონმა:

— Жители Душета, столь знаменательного в исторической жизни Кавказа...

კიდევ:

— В судьбе Кавказа, в делах кавказской Илиады читается судьба Душета».

„ერთი მიბრძანეთ, ეს ჩვენს წიტიანს დუშეთზე ამბობს, თუ სხვა დუშეთიც არის საღმე? მაგრამ მაინც კი მოსაწონებელი რეჩი იყო“.

ბარიათინსკის წასვლის შემდევ ორბელიანი მთელი ორი წელი-წელი დარჩა კავკასიის მთავარმართებლად. ამ ხანებში ცოტი-ცოტად ლაგდებოდა და მშვიდედებოდა დალესტნის საქმეები, რიგდებოდა ყუბანის ყაზახების არეულ-დარეულობა, ტომელიც ევდოკიმოვის წყალობით კინალამ სისხლის ღვრით არ გათავდა, გენერალი მირსკი ბოლოს ულებდა ჩაჩნების მოთავე კაცების ათაბაის და უმას ძლიერებას, უბიხები ცდილობდნენ ჩვენ მართებლობასთან შერიგებას, წესდებოდა უეზდის კომიტეტები და იურებოდა გუბერნიის კრება-თავად-აზნაურთა გლეხ-კაცობის განთავისუფლებისათვის, დაიწყო საქართველოში გაშინჯვა მამულებისა, გაჩნდა საერო სტრაჟა, გაკეთდა კავკავის გზა ქვეშეთიდან კობამდის, ტელეგრაფი მოვიდა. სტავროპოლს, უსლარმა შეადგინა ჩაჩნების ანაბანა და სხ. და სხ.

ამას გარდა ორბელიანის მთავარმართებლობის დასაწყისშივე, სექტემბრის თვეს (1861), კავკასიაში მოვიდა ხელმწიფე-იმპერატორი. ის მოვიდა ყუბანით, ნოვოროსიისკით, სოხუმით და ფოთით, ფოთიდან ქუთაისს, საცა გაატარა ერთი დღე და აქედან ისევ ფოთით წავიდა ყირიმს. ორბელიანი, როგორც მმართველი კავკასიისა, დაუხედა იმას ყუბანში და სანამ სანამესტნიკოს საშზღვარი არ დააგდო ხელმწიფემ, არ მოშორებია იმას. ვრცელ, ორ-თაბახიან• წერილში იმან აუწერა ბარიათინსკის კვალ-და-კვალ ხელმწიფის მოგზაურობა. ეს წერილი სავსეა თავიდან ბოლომდის მშვენიერებით. სიღიდის გამო ის ჩვენ არ მოგვყავს აქ და იძულებული ვართ სხვა, უფრო მოკლე წიგნიდან ამოვილოთ საყურადღებო ეპიზოდები ხელმწიფის მოგზაურობიდან.

აუწერს რა მოგზაურობას ნოვოროსიისკედან, საცა პოეტი პირველი ჩაჯდა გემში („ვეფხი“), ქუთაისამდე, ორბელიანი წერს გენერალ-ადუტანტს ლევან მელიქიშვილს: „ზღვა შავი, შეუპოვარი, ცათამდის ზვირთების მსროლელი, დამშვიდდა, დაწყნარდა თავმოდრეკით, სახე გაკრიალებით, შეღვა რა მის ქედზედ შვიდის იყლიმის მპყრობელი და ასე ქვე-ქვით მოველეთ სუხუმი და მოვედით ფოთსა. აქ დახვდნენ დიდის მშვენიერებით გურიის თავად-აზნაურობა და ხალხი; აქვე წარსდგა დიდ-კაცურად ხელმწიფესთან დესპინა<sup>1</sup> თავად-აზნაურის ქალებითა, რომელთა შორის იყვნენ რაოდენიმე მართლად მშვენიერნი. აქედამ პარახოდით ხელმწიფე მობრძანდა ჭალადიდამდის, სადაცა ჭრლავევისაგან იყო მომზადებული ნადირობა. ჭილავეის სიტყვით, იქ უნდა მოერეკათ დიდროვანნი ნახირები სხვა და სხვა ნადირებისა: ირმების ჯოგები, შვლები, დათვები, ტახები და თითქმის სპილო-ლომებიცა. რასაკვირველია, მეც, გამხიარულებული პაზრითა, რომ ხელმწიფეს ხელმწიფურად ვანადირებთ, მოვითხოვე ჩემი დიდი თოფი და ამოუჯექ დიდ ხესა. ველი და ველი ირემსა, ან ვეფხვესა, მაგრამ წივილ-კივილის მეტი არა ისმოდა რა. ბოლოს ამით დაბოლოვდა ჩვენი დიდნი იმედები, რომ ერთი პატარა ირემი შინ გაზრდილი წამოვიდა, წამოვიდა და სწორედ ხელმწიფესთან კი მივიდა და დაუწყო ყურება. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი შეწუხება, ჩემი გამწარება!... გაბრაზებული, დალონებული მოველ და რაღას ვეტყოდი; ვლანძლე ჭილავე, მაგრამ რა გამოვიდა? მახლას! მოვედით ორპირს: გზაზედ: სადილი, ხალხი, სიმღერა... თამაშობა მათი ვნახე რა, ცოტა დამიმშვიდდა გული და მეტადრე მაშინ. როდესაც კარის კაცები და თვით იმპერატორიც გამხიარულდნენ. საღამოზე ბინდისას მობრძანდა ქუთაისის, სადაცა იყვნენ შეკრებილნი სხვა და-სხვა მხრიდან დეპუტატები, თავად-აზნაურობა, სამღვდელონი არქიერებით სხვა და სხვა სარწმუნოებისა, სხვა და სხვა ენისა და სჯულისა და ამათ ყველაზე თავს სტარიკა ერისთავი, რომელიცა მიიღო დიდის პატივით. ამასთან ერთად გაჩირალებული ქალაქი და ქუჩები, შედუღებული ხალხითა!.. შეორე დღეს იყო დიდი პრიემ. გამობრძანდა ხელმწიფე ბრწყანვალის სახითა და მოწყალის გულით და მართლად დაატყვევა ყოველნივე იქ მყოფნი შეხედულობით, მისალმებით, თავმდაბლობით და მეტადრე რეჩით, რომელიცა უბრძანა ჩვენს დვორიანსტვოსა, რეჩი მადლობისა, ერთგულებისა და თავგანწირულებისათვის. იქვე მთლად დვორიანსკის პაჩიტნის ყარაულსა, ვინც-კი იყვნენ, მიულოცა აფიცრობა და გასცა სხვათაცა მრავალთა

<sup>1</sup> ქაიხასრო გურიელის ქალი, ფრეილინა.

უხვი წყალობა: ჯვრები, ჩინები, ლენტები, ფულები... რაღა გავა-  
გრძელო, ხელმწიფე წაბრძანდა დიდად მაღლობელი ყოვლისა მის-  
თვის, რაიცა იხილა თავის მოგზაურობაში ტამანიდამ ქუთაისამდე-  
ლივადიდამაც მოვიდა აღლერბერლის წერილი, რომელშიაც იყო  
გამოთქმული კიდევ დიდი მაღლობა და სამე პრიათნეიშვე ვი-  
პომინანი. ამ სიტყვებმა უფრო დამაჯერეს, მაგრამ როცა მომავონ-  
დება ის წყეული ჭილაევის ნადირობა, ეხლაც ამეშლება ზაფრა".

პოეტის აჩრდილის დასამშვიდებლად ჩვენ შეგვიძლიან მოვი-  
გონოთ, რომ ამგვარი სასაცილო შემთხვევა პირველი არ იყო სპორ-  
ტის ისტორიაში. ათას რვაასი წლის წინათ, როდესაც რომის  
ტრიუმვირატი ანტონი მივიდა მშვენიერ კლეოპატრასთან ეგვიპტე-  
ში, ამ დედოფალმა თევზის საჭერად მიიწვია სტუმარი და თვისი  
ჩვეულებრივის ცბიერებით საქმე იმგვარად მოაწყო, რომ წინ-და-  
წინ წყალში ჩაგზავნილი მცურავები მარილიან თევზს უგებდენ ანკეს-  
ზე სიყვარულის მახეში გაბმულ რომაელს.

სხვა წერილებიდან ვტყობულობთ, რომ ქუთაისს თავად-აზნაუ-  
რობისადმი. მიმართულ სიტყვაში მეფე ელაპარაკა იმათ გლეხ-კაცე-  
ბის განთავისუფლების საჭიროებაზე; რომ მან ნახა გზა-გზა სირიაჩ-  
ქონის ეკკლესია და დიდად გაკვირვებული იყო, რომ ამის სიმშვე-  
ნიერე ბუნების საშუალ ასეთი ღარიბი ეკლესია იპოვება; რომ ქუ-  
თაისში სტარიკა ერისთავმა დალია ხელმწიფის სადღეგრძელო და  
ამის პასუხად ხელმწიფემ მიირთვა: „За здравие моего верного  
Грузинского Дворянства". — В эту минуту я был выше человеческого счаствия! — Сწერს პოეტი ბარიათინსკის ამ ტოსტის შესახებ; რომ წასვლის წინათ ხელმწიფემ უბრძანა ორბელიანს გამოუგზავნოს ზოგიერთი იმისგან ნახული ქალების პორტრეტი და სხ.

მას შემდეგ ერთი წელიც გავიდა, მაგრამ ბარიათინსკის მორ-  
ჩენას არა ეშველა რა. იმას დღითი-დღე აკლდებოდა სიმრთელეცა და-  
ლონეც. ამის გამო ოქტომბრის თვეში 1862 წ. ის იძულებული შეი-  
ქნა სამსახურიდან დათხოვნის ქალადი მიერთმია ხელმწიფისთვის  
და მეფემაც დანიშნა კავკასიის მთავარმართებლად დიდი მთავარი  
მიხაილ ნიკოლოზის ძე. 17 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი რეს-  
კრიპტიც გრიგოლ ორბელიანის სახელზე, რომელშიაც ხელმწიფე  
იმპერატორი მადლობას უძღვნიდა პოეტს ჩინებული სამსახური-  
სათვის.

ამ რესკრიპტის შემდეგ ორბელიანი კიდევ ოთხი თვე განაგებ-  
და კავკასიას, სანამ ჩვენს ქვეყანაში არ მოვიდა ახალი მთავარ-  
მართებელი. რამდენადაც იმას უხაროდა ხელმწიფის ძმის დანიშვნა

კავკასიის მმართველად, იმდენად სწეროდა იმას ბარიათინსკისაგან უდროოდ და მოულოდნელად დატოვება ჩვენი ქვეყნისა, ჯერ რესკრიპტი არ იყო გამოსული, რომ ბარიათინსკის სწერდა პოეტი:

„არ ძალმის ჭანვუცხადო თქვენს განათლებას ის მძიმე და მწუხარე შთაბეჭდილება, რომელიც უკანასკნელმა ტელეგრაფის მიერ მოტანილმა ამბავმა იქონია, ვითომ თქვენი კავკასიაში დაბრუნება დ ი დ ა დ ს ა ე ჭ ვ თ - ღ ა ი ყ თ ს. არ მსურს ამ სიტყვებს მათი უცილობელი ბედითი მნიშვნელობა მივაწერო; ეს იქნებოდა მთელი ქვეყნისათვის მძიმე და აუტანელი; — იქნებოდა დაცინვა ბედისა ადამიანის ყულა ანგარიშებას და მომავლის იმედებზედ“.

ამგვარადვე სწერდა პოეტი სამხედრო მინისტრს, მილიუტინს.

„ისე დიდი ხანია მივეჩვით და გვეგულებოდა ჩვენად; ისე კარგად ესმოდა მრავალფეროვანი კავკასიის ყველა გაჭირვება და ინტერესები, ისე დიდი ხანი არაა გვინახავს მისი სამხედრო გამარჯვებანი და ქვეყნის მოქალაქობრივად განვითარების ზრუნვა, რომ არ შევიძლიან ღრმად არა ვსწუხდეთ და მის განშორებას შეურიცდეთ. მერე მასთან ერთად რამდენი ჰეშმარიტად დიდი განზრახვა იქნა დამარხული, რომლებიც შეიძლება თავის დროზედ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ განხორციელებულიყვნენ“<sup>1</sup>

მაგრამ *le roi est mort, vive le roi!*

„ვითარცა უდიდესი გულთამშილავი, მიუხვდა ხელმწიფე აქაურ ერის გულის წადილსა და კავკასიას ნამესტნიკად დიდი მთავარი დაუნიშნა! დანიშნვა ესე ჩვენი ქვეყნისადმი ხელმწიფის ახალსა და განსაკუთრებულ მოწყალებას მოასწავებს...“

მერე რა კარგი და საიმედო ხმები მოდიოდა პეტერბურგიდან ახალ მთავარმართებელზე! ჯერ ერთი, რომ ახალი ნამესტნიკი მარტო-მარტო მოდიოდა კავკასიაში. „მე დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიაშიც კარგად დამხვდება ისეთი კაცები, რომელთა შემწეობით მე შევიძლებ ამ ქვეყნის მართვასათ“. უთქვაშ იმას, როგორც ჩამოიტანა ამბავი მირსკიმ. მერე თვითონ მთავარმართებელიც სწერდა ორბელიანს:

„შეგნებული მაქვს სრულიად, რა ზომად დიდი და მრავალფერია ჩემი მომავალი შრომა, რომ ჩვენის ყოვლადმოწყალე ხელმწიფის მოლოდინი და ქვეყნისა და რუსეთის იმედი გავამართლო; მაგრამ იმედი მაქვს ღვთისა და ვნუგეშობ იმ მტკიცე აზრით, რომ ყველა კავკასიელი მოღვაწე უთუოდ პატიოსნად შეასრულებს თავის . მოვალეობასა და მით ჩემს გულწრფელს აღთქმას, ქვეყნის სასარგებლოდ და ჩემდამი რწმუნებულ ჩალხთა სადღეგრძელოდ მთლად ჩემის ნიჭიერებისა და ძალის შელევისას შესაბამად შეავებს“<sup>1</sup>.

ეს ამგვარი ხმები იყო და სიტყვები, რომელთა გამო ორბელიანი იმ თავითვე შეიქნა თაყვანისმცემელი მთავარმართებლისა. პირადმა შეყრამ უფრო დაიმორჩილა პოეტის გული. ის დაუხვდა დიდ მთავარს სტავროპოლიში და რამდენიმე დღის შემდეგ სწერდა ვლალიკავკაზიდან ლევან მელიქიშვილს:

<sup>1</sup> 5 იანვ. 1863 წ.

„ლმერთმა ნუ მოაკლოს მფარველობა ამ ჩეენს ახალს ბატონს ნამესტნიყს! სახე მშვენიერი, გული სივსე სიკეთითა, გონება განათლებული, ხასიათი დამშვიდებული, აუქარებელი და ამისთანა განმზადებული გასაბეღნიერებლად ამა მხარისა! მოვიდა სტავროპოლს მარტო სამის ადიუტანტითა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შეილი, დიდის ხელმწიფის ძმა ზეაობით, არა რისხეითა და არცა ძაგებით, როგორც მურავიევი, არამედ თავ-მდაბლობით, სიწყნარით, მოწყალებით! ლმერთმა აკურთხოს! მახლის, აშიკი შევიქენ იმისი!“<sup>1</sup>

ბოლოს, მარტის თვეში, 1863-ს, თბილისში მოვიდა მთავარ-მართებელი, დიდმა მთავარმა დიდი გულმოლგინებით მიჰყო ხელი კავკასიის მართვის: მოხდა რამდენიმე ადმინისტრატიული ცვლილება, გაჩდნენ ახალნი პირნიკ, კრუზენშტერნის მაგიერ ნამესტნიყის მთავარ-სამმართველოს უფროსობა მიიღო ბარონ ნიკოლაიმ, მირსკი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად, ლორის-მელიქვი—თერგის მიდამო აღგილების უფროსად. ყველგან სხვა წეს-წყობა დადგა მხარეში. ორბელიანი ამ დროს განხე იყო მიმღვარი, მოსვენებული და ასრულებდა მხოლოდ დიდი მთავრის მინდობილობას. 1863-ს ის იყო, სხვათა შორის, გაგზავნილი ზაქათალის მაზრაში ლეკებისგან მომხდარ ამბოხების დასამშვიდებლად. ამავე წელს მიიღო იმან ფოთს რუსეთის ტახტის მემკვიდრე, რომელიც დიდი მთავრის შვალის მოსანათლად მოდიოდა აღბულალს. შემდეგ, 1864 წელს, ის იღებდა დიდ მონაწილეობას ცენტროალურ კომიტეტში, რომელიც არჩევდა გლეხების განთავისუფლების საქმეს. ორბელიანი ხელაბლა ასრულებდა მთავარმართებლის მოვალეობას 20 აპრილიდან 21 სექტემბრამდე. ამ დროს თბილისში მოხდა ერთი სამწუხარო შემთხვევა, რომლის გამო ჩვენ ვრცლად უნდა გამოველაპარაკოთ აქ მკითხველს. ვამბობთ ამ დროს თბილისში მომხდარ არეულობაზე, რომლის გამო ორბელიანს, საქმის უცოდინარობის გამო, ბევრნი თვით მეგობარნი და თაყვანისმცემელნი სდებენ დიდ ბრალსა და ემდურიან.

### XIII

მთავრობისაგან დანიშნულმა კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა თბილისის ქალაქის თავი და ქალაქის დეპუტატები, გადასწყვიტა და მთავარსამჩართველომ დაამტკიცა, რომ 1865 წლიდან დაწესებულიყო თბილისში ახალი გადასახადი ქალაქის სასაჩვენებლოდ. გადასახადი უნდა დასდებოდა: 1. ცხენებს, 2. საშენი მასალების დაწყობის უფლებას ქუჩებზე და 3. გაჯის ამოღებას ქალა-

<sup>1</sup> 23 თებერვ. 1863.

ჭის მიწებიდან. ამას გარდა 25% ზადასახადი უნდა მომატებოდა სირაჯებს და სხვა სასმელების შოვაჭრეთ. 28 მაისს, 1865 წ. ქალაქის მშართველობამ ქალაქის პოლიციის და კომისრების საშუალებით გამოუცხადა თბილისის მოსახლეებს ეს ახალი გადაწყვეტილება. ქალაქში დარიგდა დაბეჭდილი განცხადებანი რუსულ, სომხურ და ქართულ ენაზე. გაზეოთმა „კავკაშმა“ დაბეჭდა განკარგულება თავის თფიციალურ განცოცილებაში.

2 ივნისს თითო ორ-ორა პირთა შემოიტანეს კიდეც გადასახადი, შავრამ ორ-ორა მერცხალმა გაზაფხული ვერ მოიყვანეს. ახალი ხარჯი, საზოგადო ყოველთვის სამძიმო, ქალაქის ხალხისთვის ერთობ საგრძნობელი შეიქნა, ერთ დროებით მოემატა ხარჯი ოთხ საგანს და ყველა ეს გადასახადი სრული თავისი სიმძიმით დააწვა დაბალს, ღარიბ ხალხს, რომელსაც უამისოდაც ეძნელებოდა ამ წელს ჩვეულებრივი გადასახადის შეტანა ქალაქის სალაროში, რადგანაც კალიამ და სეტყვამ პურ-ლვინო ააოხრეს და სიძვირე ემუქრებოდა ქალაქს შეიქნა დრტვინვა. ღუქნებში ღაიწყეს ხმამალლა ლაპარაკი მთავრობის უსამართლო საქციელზე. ხარჯმომატებული სირაჯები შეიქნენ უქმაყოფილოთა მოწინავე წყობად, აგიტატორებად. „ყოვლად ძლიერმა“ ღვინომ ჭალი მისცა მათ და ქალაქში ცოტ-ცოტად დაიბადა მთავრობის ურჩობა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ ხალხი მაიდანზე გავიდა. აიღეს, დაიღეს და აირჩიეს ეთხოვნათ მთავრობისთვის ახალი გადასახადი ეცლიათ დრომდე და თუ არ აპატივებდნენ—გამბედავნი ამასაც ამბობდნენ—გამოეცხადებინათ მთავრობისთვის თავიანთი იის possessor და კარგა ლაზათიანად მიემსხვრმიერებიათ ამ ახალი გადასახადის შემომღებნი. „ივნისს, ქალაქის სახლის მაიდანზე—რევოლუციები ყოველთვის ქალაქის სახლთან იწყება—შეკრბა მთელი თბილისის „შავი“ ხალხი... შავლრუბელივით გაპენტილი ჭექითა და ჭუხილით. პოლიციის უფროსს როსლავლებს უნდოდა გაეფანტა ხალხი, მაგრამ ვერ შესძლო. ვერა გააწყორა ვერც სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ნიკო ჭავჭავაძემ, რომელიც მოიჭრა მაიდანზე ხალხის შესაგონებლად (გუბერნატორი ორლოვსკი რუსეთში იყო წასული). ათიათასზე მეტი კაცი ორეოდა მაიდანზე მუქარითა და ყვირილით. ბოროტ-გაზრახველთა ენამ მოქანდანტა ხალხში ხმა, ვითომ მთავრობას უნდოდეს ხარჯის დადება ქათამზე, ვერცხლის ქამრებზე, კვერცხებზე, ჩოხებზე და ამ ხმამ სულ გადარია ხალხი. ამას ისიც დაუმატეს, რომ იმ დღის შემდეგ მოქალაქეებს ქალამნის მაგიერ რუსული „საპოლები“ ეტარებინათ, რომ თითო სტუმარზე მასპინძელს ათი შაური ეზლო ხაზინისათვის, რომ „გალავას“ ხელი მოეწეროს სალდათები.

გამოეყვანათ ხალხიდან და სხვა ამგვარი ჭორები. რომ ვერსა გზით  
ვერ მორთეს ხალხის შეგონება, გრ. ორბელიანი თვითონ მობრძანდა  
მაილანზე. პოეტს ეგონა, რომ მისი დამსახურება, გვაროვნობა, შა-  
ლალი თანამდებობა, საზოგადო პატივისცემა და ტკბილი ენით მარ-  
თალი სიტყვის თქმა საკმაო იქნებოდა ამბოხების დასაწყისარებლად,  
შაგრამ... დიდად შეცდა! ხალხის არეულობა სიტყვით არასოდეს არ  
დამშეიდებულა. შეცდომა შეიქნა იმის მხრივ ისიც, რომ მაილანზე  
მოვიდა და ხალხს დაენახა. მთავარმმართველი კავკასიისა, სამასი  
ათასი ჯარის სარდალი, რომელსაც საკმაო იყო ერთი სიტყვა  
ებრძანა, რომ ეს ხალხი გამჭრალიყო დედამიშიდან, უფრო მძიმედ  
უნდა მოქცეულიყო, რომ ხალხს შიში ჰქონდა. რომ დაინახა ხალხმა  
მთავარმმართველი მქადაგებელი და მთხვენელი მშვიდობიანობისა,  
ის უფრო თავს გავიდა. არავითარმა რჩევამ არ იმოქმედა იმაზე.

— შვილებო, გომს მოდით, დამშეიდდით, კანონი უველასათ-  
ვის ერთია. კაცი მთავარმართვებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც  
ვიხდი, ხომ ხედავთ, —უთხრა ხალხს პოეტმა.

— ეს, დალოცვილო, —უპასუხა პოეტს ერთმა კინტომ, —თქვენი<sup>1</sup>  
საქმე სულ სხვა არის: თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავთ, —  
აი რა განსხვავებაა ჩვენს შორის. საიდან მივცეთ მომეტებული ხარჯი,  
თუ არა გვაქვს?

მომეტებული ლაპარაკი საჭირო არ იყო. ორბელიანი დაბ-  
რუნდა შინ და სანამ ენერგიულ ზომას მიიღებდა, ხალხი შეცვიდა  
ქალაქის თავის სახლში და სულ ერთიანად მიამსხვრია, რაც რომ  
ნახა შიგ. მერე შეცვიდა ბოქაულის ბაშბეუქოვის სახლში, ის სახ-  
ლიც აიკლო და ბაშბეუქოვიც მოჰკლა. არეულობა დაიწყო. ამ  
დროს მოვიდა დაიარალებული ჯარი და თოფის სროლით გაპფანტა  
ხალხი. ორბელიანმა მაშინვე დაიბარა კოჯრიდან შტაბის უფროსი  
კარცოვი და უანდარმებისა —მინკვიცი, რომელთაც დიდი შემწეობა  
აღმოუჩინეს იმას. კარცოვმა განკარგულება მოახდინა ყარაბულალიდან  
მოსულიყვნენ ქალაქს რამდენიმე ბატალიონები, ხრამიდან —ყაზახები  
და მუხროვანიდან მოეტანათ ზარბაზნები. ეშინოდათ, სოფლელები  
არ გამოსარჩლებოდენ ქალაქელებს და დიდი უწესოება არ მომხდარიყო  
თბილისში. იმ ღამეს, ორბელიანის ბრძანებით, ავლაბრის ორსავე  
ხიდზე, თათრის მაიდანზედ, პოლიციასთან, კუკიის ხიდთან და  
კუკიის საყვრის სიახლოვეს ჯარები დააყენეს. ღამემ მშვიდობიანად  
განვლო. მეორე დღეს მთელი ქალაქის დუქნები დაიჭრა, მედროვ-  
კეებმა დატოვეს ბირუა, „მეპოვოსკეები“ დაიმალნენ, თულუხჩებმა  
შეწყვიტეს წყლის ზიდვა. მთელი ქალაქი გალაგდა ხოჯივანქში,  
ბებუთაანთ სასაფლაოზე. შუადლისას არეულთა ბანაკიდან მოუგზავ-  
7. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები.

ნეს ორბელიანს დეპუტაცია, რომელიც ითხოვდა ეპატივებინათ ახალი მომეტებული ხარჯი, ან დაეცალათ გადახდევინება დიდი მთავრის მოსვლამდე. ამაზე ორბელიანმა პასუხად მისცა, რომ ის მთავარმართებლის. ბრძანებას ვერც შეკცვლის და ვერც შეაყენებს. მაშინ დეპუტაციამ მოითხოვა მიეღო ორბელიანს თხოვნა დიდი მთავრის სახელზე. ამაზე კი დათანხმდა პოეტი. მაგრამ იმ პირობით, რომ ჯერ ხალხი დამშვიდებულიყო, წასულიყო თავიანთ სახლებში, ქალაქში ჩამოვარდნილიყო სჯულიერი წესი, დუქნები გაელოთ, დამნაშავეები დაეჭირათ... დეპუტაციამ ეს პასუხი წაიღო ხოჯივანქს, მაგრამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა არეულთა გუნდი, მალე მთა დაიძრა და მოაწვა ავლაბრის ხიდს. აქ დაუხვდა იმას ჯარი, რომელმაც ქალაქის გზა შეუკრა. არეულებმა ჯარს ქვები დაუშინეს, ჯარმა თოფი ესროლა, რომლისაგან ორი კაცი მოკვდა და შვიდი დაიჭრა. თოფის ხმით ზარდაცემული ხალხი უკუ-იქუა. ეს რომ მოხსენდა ორბელიანს, იმან მაშინვე აფრინა ხოჯივანქს მინკვიცი და მისგან ახლად დანიშნული ქალაქის თავი აბესალომოვი, რომელთაც დაამშვიდეს ხალხი. შეორე დღეს თბილისის ქუჩებზე ჩვეულებრივ მშვიდობიანობა ჩამოვარდა: დუქნებიც გაიღო, ფაეტონებიც გამოჩნდნენ, თულუხჩებიც მოვიდნენ. ყოველდღიური ცხოვრება თბილისისა წავიდა თავის წესზე.

ორბელიანის გულკეთილობა და ქალაქის ხალხის სიყვარული არეულობის დამშვიდების შემდეგ უფრო გამოჩნდა. თბილისას „ბუნტი“, ხარჯის მომატებისაგან მომხდარი, სულ სხვაგვარად განმარტეს რუსეთში როგორც გაჩეთებმა, ისე მმართველობის წრეებში. „ბუნტს“ მიუწერეს პოლიტიკური ორგულობა მიზეზად. ორბელიანმა ამ ცილისწამების აცილებას ბევრი მამაცობა მოახმარა... მაგრამ დააფასა კი ყველამ ლირსეულად პოეტის ამ საქმეში მონაწილეობა? არა.

არა თუ პოეტის მტერთა, არამედ პოეტის მეგობართაც გაკიცხს იგი ამ საქმის გამო. ერთმა ჩემმა მეგობარმა, პოეტის დიდმა თაყვანისმცემელმა, სწორედ იმან, რომელმაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ. თბილისის ქალაქის სახლის გუმბათი უნდა ჩამოაქციოს, მითხრა ერთხელ პეტერბურგიდან ახალ ჩამოსვლაზე: ეჰ, თბილისში მოსვლას ხალისი დაეკარგა მას აქეთ, რაც ორბელიანი მოკვდაო, და რამდენიმე საქები სიტყვის შემდეგ დაუმატა: „Впрочем, за ним есть политические счеты!“ ეს „სჩოტები“ იყო ქალაქის „ბუნტის“ დამშვიდება. ამ მეგობარს და სხვა მტრებს უერ მოუნელებიათ და ვერ შეუნდვიათ ორბელიანისათვის ის გარეშოება, რომ ორბელიანის

შრძანებით თბილისის ხალხს თოფი ესროლეს. რომ არ იცოდნენ ამ მტერ-მოყვარეთ „ბუნტის“ ამბავი, იმათი უმართებულო აზრი ორბე-ლიანზე იმდენად არ იქნებოდა საწყენი, მაგრამ იმათ კარგად იციან, რომ ორბელიანმა ყოველი ღონისძიება იხმარა ხალხის შეგონებისა, რომ თვითონ თოფის სროლის ბრძანებაც მაშინ გასცა იმან, როდე-შაც ხალხმა ქალაქის თავის სახლი აიკლო და ბაშბეუქოვის სისხლი დალვარა, რომ მეორე დღესაც ჯარმა თოფი მხოლოდ მაშინ ესრო-ლა, როდესაც ხალხი ქვის სროლით მოუხდა იმას და უნდოდა ძა-ლით შემოსულიყო ქალაქში. იციან და მაღლობის მაგიერ ემდურიან გულკეთილს კაცსა, ომელსაც მამასავით უყვარდა ქალაქის ხალხი. ემდურიან ვინ? ვიღაც დაუჭატიერებელი ქალაქის პატრონნი, ვიღაც სახელის შეძენის მქონე ლიბერალი, ვიღაც ურნალისტები, ვიღაც ფინანსისტები, რომელთათვეს არც ძევლი სამსახური არის, არც ძევლი სახელი, არც ძევლი გვაროვნობა, რომელნიც არც ქალაქის შეიღლნი არიან, — რადგანაც მოშორებიან ამ ქალაქის ტრადიციებს ვითომ განათლებითა, — არც რამე სამოქალაქო წყობის წარმომადგე-ნელი, რომელთაც გულით და სულით კი არ უნდათ ქალაქისა და ერის მსახურება, მარტო ენის ტრიალით, თავის გამოჩენით, საკუ-თარი საქმეების კეთებით. ემდურიან ვის? ისეთ კაცს, რომელიც ჯვარს ეცმოდა ქალაქის ხალხისათვის, რომელსაც მართლა ცოცხლად უყვარდა ეს ხალხი, რომელიც იყო ხორცი ხორცთა მისთაგანი და ძვალი ძვალთა მისთაგანი. თუ რამ საყვედური ეთქმის ამგვარ კაცს, ეს ის, რომ თვითონ მივიღა ამბოხებულ ხალხთან და ამით ცოტა არ იყოს დააქვეითა მთავრობის ძლიერება. ამგვარსავე შემთხვევაში, როდესაც პეტერბურგში არეულობა იყო, ნიკოლოზ ხელმწიფე თვი-თონ კი არ წავიდა აჯანყებულთა შესაგონებლად, პეტერბურგის მიტროპოლიტი და მილორადოვიჩი გაგზავნა და როდესაც ინსურ-გენტები არ დამორჩილდნენ, იმათ ახალს უწესობას კი არ უყურა, კარტეჩი დააჭრევინა და წამსვე გაჰქიმონა მისი ტახტზე ასვლის მო-წინააღმდეგენი.

მაგრამ თავი ვანებოთ ამ ამბოხების მოთხრობას და განვა-გრძოთ ჩვენი ცხოვრების აღწერა. ორბელიანის დროებით მთავარ-მართებლობაში კავკასიაში დაიწყეს რკინიგზის გაყვანა ფონთიდან თბილისს. ავჭალას, ახალქალაქს, ორბირსა და ფოთს შიგნით ჯა-რები დააყენეს. რკინისგზის ლიანდაგის გასაყვანად დაიწყეს ყარა-იას არხის გაყვანა; გაიგზავნა სოფელ-სოფელ ჩინოვნიკები, რომ გამართონ სასოფლო სასამართლოები; მიჰყვეს ხელი შოსეს გაკე-თებას დილიჟანიდან ჯულფამდის, საცა სპარსეთსაც უნდა გაეყვანა

გზა და ამგვარად ტრანზიტის გზა გახსნილიყო; დაიწყო ჩაჩნების გადასახლება; თბილისის მაზრაში, ყაზახ-ბორჩალოში, სიღნაღმი, ბაქოს გუბერნიაში გაჩნდა კალია; გაჩნდა ხოლერა; გაჩნდა „მოსკოვის უწყების“ სტატიები, რომელშიაც ორგულად იყვნენ გამოსახულნისომხები, ქართველები, თათრები.

ოქტომბრის გასულს მთავარმართებელი დაბრუნდა და ორბელიანი ისევ განსვენებას მიეცა. თბილისის გენერალ-გუბერნატორი და მთავარსამმართველოს რჩევის თავმჯდომარის მოვალეობა მშვიდობიანი მოვალეობა იყო, რომელიც არ თხოულობდა მისგან დიდ შრომას.

შემდეგ, 1866 წელს, აპრილს, ორბელიანი, ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, გაემგზავრა ფერრაბაბათს, კასპიის ჰარა-სეთის შაპის შესაყრელად.

„მივალ ასტარაბბადისაკენ, რომ მის უდიდებულესობას სპარსეთის შაპს წარვუდგე, რომელსაც ჰსურს ჩვენი კასპიის ზღვის ფლოტილია ჰნახოს, და სცადოს ამასთან შესძლებს თუ არა ზღვით მოგზაურობასა, რადგან განზრახვა აქვს ეფრობა ინასულოს. ჩემის ფიქრით, მოგზაურობა ესე ერთ თვეშიდე გასტანს და წარვუდგები შარავანდედით მოცულ სახეს მსოფლიოს გულისას. მომაკვდავისათვის ასეთი ბეჭნიორება იშვიათია. ჩემს ამალას შეადგენენ: ბაქოს გუბერნატორი კოლუბიაკინი, პრინცი, თავადნი დათიკო და ვანო ორბელიანნი, გრაფი, ბარონი ბრიუგენი, ლორის-მელიქოვი და ფლიგელ-ადუტანტი შლიტტერი. ჰსედავ, რა ბრწყინვალე ტიტულები ამშვენებენ ჩემს საელჩოსა“<sup>1</sup>.

ამ წელს ორბელიანი დანიშნულ იქნა სახელმწიფო რჩევის წევრად (26 ოქტ.) მთავარსამმართველოს რჩევაში რეფორმა უნდა მოახდეროს მომავალ წელს, გენერალ-გუბერნატორობა სულ უნდა გაუქმებულიყო და პოეტს სამსახურიდან გასვლას და კერძო კაცის ცხოვრებას უმზადებდნენ უმაღლეს ადმინისტრაციულ წრეებში. დრო მოვიდა და ეს სამსახურიც დაუტევა ორბელიანმა. დატევების დღეს ის სწერდა ხუმრობით თბილისის კომენდანტს აპაჩინინს:

„გთხოვთ, პატივცემულო ალექსი პეტროვიჩ, მიიღო ჩემგან საჩუქრადორი ბუდეა (ხულა) და ერთი მოდარაჯე, რომლებიც, ნიშნად წარსულის დიდებისა, ჩემ სახლთანა სდგანან და, თუ შეიძლება, მხოლოდ დამღამობით-ლა უდარაჯონ ხოლმე და დაიცვან ჩემი სიცოცხლე.

ამგვარი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურის შემდეგ პოეტს შეეძლო გადაევლო თვალი თავის წარსული კარიერისათვის და გულდამშვიდებით ეთქვა თავის თავზე: „გზა ცხოვრებისა მეც განვვლე და ალვბეჭდეცა ნავალი!“

<sup>1</sup> წერილი 5 აპრილს, 1866 წ.

## XIV

ამის შემდეგ სიკვდილის დღემდის ორბელიანი ქერძო კაცად ცხოვრობს თბილისში, სამსახურით; ასაკით და ნიჭით განსხვავებული, ყოველთაგან თაყვანცემული, ყოველთვის საყვარელი, ტკბილი, თავაზიანი... მთელ თბილის დიდ პატივად მიაჩნია მასთან ხლება, მისი მუდამ შენარული პირისახის დანახვა, მისი ხუმრობით საესე შესაიფის გაგონება. კიდევ რამდენიმე წელი და იმას დაერქმევა სახელი კავკასიის ჯარების პატრიარქისა, ის გახდება ცოცხალ ლირსშესანიშნ საგნად თბილისში, რომლის დანახვას ერთგვარად ეძიებდენ. დიდი და პატარანი, მდიდარნი და ღარიბნი. დრო და ჰასაკი ვერას დააკლებს რა ვერც მისს მეტსიერებას, ვერც მისს გონებას, ვერც მისს ხასიათს, ვერც მისს სიმრთელეს. ის მოკვდება როგორც ცხოვრობდა, შოკვდება ზეზე, სულ მუდამ გონებამღვიძარე, სულ მუდამ გულლია ახალ შთაბეჭდილებისათვის, სულ მუდამ ყურმიცყრობილი და გამგები ახალ მოვლენისა და მიმართულებისა. არც მისს, მუდამ ელვარე და ბრწყინვალე თვალებს დაეტყობა მოხუცებულობა, არც მისს ყურებს, არც მისს დევის მკერძს ფართოდ გადაშლილს! როგორც კლდეს დრო ვერას დააკლებს, სანამ არ „შემუსრავს თვით კლდეს“, ისე ამ საკვირველ კაცს, როგორც ის თვითონ აშბობს ერთს ლექსში.

ასეთ ხანგრძლივ და მდიდარ ცხოვრებაში პოეტის ცხოვრების შემატიანეს გზის მაჩვენებლად უძლოდა ეხლამდის პოეტისავე სამსახური. ეხლა კი, რა სამსახურს დაანება თავი და მემატიანეს არიაღნეს ძაფი გაუწყდა, ამ ცხოვრების აღწერის წლითი-წლადი დაწვრილებაც ძნელი შეიქნა, საჯაროდ მოქმედი კაცი შინაურ ცხოვრებაში შევიდა, საცა მწერალი ან ვერ შეჰყვება, ან თუ შეჰყვება და ვერ ილაპარაკებს პირახსნით სულ ყველაფერზე, რის დანახვა და გაგონებაც შეეძლება იმას. რომ მემატიანემ სანათური შეიტანოს ამ შინაურ ქვეყანაში, საჭიროა... ბევრი რამ საჭიროა და სხვათა შორის ის, რომ წაიკითხოს პოეტის მეგობართადმი მინაწერი წიგნები, თუ სხვა მცირე შენიშვნები, თუ წიგნის კოპიონი, რომელნიც პოეტის ქალალდებში მოიპოვებიან, საჭიროა შოისმინოს აუ პოეტის ახლო მეგობართაგან, ან ნათესავთა და მოსამსახურეთა იმათი სიონისაგან შენახული საინტერესო ამბები და ამგვარად გაეცნოს კერძო კაცს შინ, ღილ-გახსნილად კაბინეტში. მჯდომარეს, თუ ნაცნობ ნათესავებში მომზიარულეს, თუ საზოგადოებაში მყოფს. ამასობაში ხანდახან თვითონ პოეტიც გამოყოფს თავს კერძო ცხოვრების დავიწყებიდან და დაგვენახება ან საჯაროდ მოლაპარაკედ, ან საზოგადო საჭმის მოღვაწედ და მაშინ გაზეთებიც გვეტყვის იმაზე თითო ორ-ორა სიტყვას!

ორბელიანმა დაანება თავი სამსახურს მაშინ, როდესაც ავრლა იგი ადმინისტრაციული იერარქიის უმაღლეს ხარისხამდე. მას შემდეგ იმან თოთხმეტი წელი იცოცხლა და თოთხმეტი წელი სწერა... იმ საძალლიდან, საღაც მთელ საქართველოში ის იდგა მარტოდ-მარტო, საიდანაც ის სჯიდა en maitre თანამედროვე ცხოვრების მოქმედ პირთა და გარემოებათა. სამსახურიდან გამოსვლამ მას მისცა მოცალეობა, გამოცდილებამ—ცოდნა, ბუნებამ—ნიჭი და ორბელიანი, კაცებისა და გარემოების მოსამართლე, თავის მსჯელობით აიწია ამ ნაწერებში იმ მაღალ სფერამდის, საცა აქვს ადგილი მხოლოდ სახელმწიფო კაცებსა და ფილოსოფოსებს. სამწუხაროა მხოლოდ ერთი, რომ პოეტმა მემუარები არა სწერა, ბეჭდვისთვის გამზადებული, არამედ კერძო პირთადმი მიწერილ წიგნებში, რომელსაც ხშირად ლიტერატურული შემუშავება აკლდა, გაცჟანტა თვისი აზრები და ბრძნელი დაკვირვება. ბევრია დაკარგული ამ ნაწერებიდან და ბევრს დაბეჭდვა არ შეხვდება სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

მაგრამ ჯერ მაინც განვაგრძობთ ქრონოლოგიურ მოთხრობას პოეტის ცხოვრებისას.

7 ივლისს 1871 წ. თბილისში იდლე ასწაულეს პოეტის აფიციურად მსახურების ორმოცდამეათე წელი. რაც ქალაქში გენერლობა იყო თუ დიდ-კაცობა, მოვიდნენ ამ დღეს პოეტთან იუბილეს მისალოცავად. სალამოს საზაფხულო თეატრის ბაღში გამართული იყო დიდი სადილი იუბილიარის საპატივცემოდ. სადილის წინ მოულოდნელად მობრძანდა ქალაქს ბორჯომიდან მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ქ. სადილზე დამსახურებულ პოეტს მრავალი სიტყვა უთხრეს: ბარონ ნიკოლაი, გუბერნიის მარშალმა გენერალმა ანდრონიკოვმა, ქალაქის თავმა იაზონ თუმანოვმა და სხვათა. სხვაზე უკეთესი სიტყვა იყო თვით მთავარმართებლისა, რომელმაც ასე გაათავა თავისი სიტყვა.

„დავაფასე საცხებით სარგებლობა თქვენი და თქვენ მიერ შეძენილი გამოცდილება, იმ დღიდანვე, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობას შეცუდექი, ზოლო სულიერმა თქვენმა თვისებებმა შთამიზრგეს წრფელი და გულითადი სიყვარული დალრმა პატივისცემა. თქვენ ეს იცით, თავადო, და ეჭვიც არა გაქვთ, მაგრამ მოვედი ამ ყამად იმისათვის, რომ მსურდა გამომეცხადებინა საჯაროდ, თუ რა ლრმად მიყვარხართ, გაფასებთ და პატივსა გცემთ“.

და დიდმა მთავარმა დალია მისი სადლეგრძელო, პასუხად იუბილიარმა სთქვა:

თქვენი უმაღლესობავ, მოწყალეო ხელმწიფევ!

უღრმესი გრძნობით მოვახსენებ მაღლობას თქვენს უმაღლესობას იმ პატივისათვის, რომლის ღირსიც კეთილ ინებეთ და გამხადეთ დღეს, აგრეთვე იმ მოწყალე თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩემი წარსულ სამსახურისა გამომიჩინეს. თქვენი სიტყვები ლრმად ჩასწედა ჩემს სულს და არ დაგფარავ, ახარებ ჩემს თავმოყვარეობას. ბატონებო, ძეირფასია მეტად ჩემი გულისათვის თქვენი მეგობრული ყურადღება და გრძნობას ამგვარს დრო ვეღარ წაჲშლის.

მაგრამ, ბატონებო, ადამიანის სიცოცხლეს შეადგენ საქმენი მისნი და არა 50 წელიშადი. და გამოგიტყდებით, ეს აზრი მუდამ მაკრთობდა, მაშფოთებდა, საიდუმლოებრივი რამ კითხვა მუდამ მსდევნიდა,—გამოილო რამ სარგებლობა ჩემმა სამსახურმა მეთქი თუ არა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დიდებულ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი. უფრო მეტად-კი ვიცი ის, რომ დიდ-სულოვანი მონარქის მოწყალება ჩემს სამსახურს ბევრად აღმატებოდა მუდამ. ახლა კი თქვენი უმაღლესობის მოულოდნები ჩვენს შორის ყოფნა მთლად ჩემი სამსახურის გვირგვინსა და ჩემი სიცოცხლის სიხარულს შეადგენს.

ვიღაცა ბოროტს უთქვას, ამ ქვეყნად კაცისათვის სრული სისაჩული არ არსებობსო. და მართლაც, აგრე, ჩემთვის ესოდენ სასისარულო წამს უნგბურად გულს რაღაც ნაღველი გადაჰკვრია და მაგონებს ბედითად, რომ საუკეთესო ნაწილი სიცოცხლისა ჟავე გავლილი მაქეს, აღარ არსებობს; რომ დროა სიცოცხლეს, ანგარიში გავუწიო; თვით ეს იუბილეც კი ნიშანია მხოლოდ იმისა, რომ სულ სხვა ცხოვრების დასაშუალება. რა ვქნა? ზე დადგენილი წესი არავისთვის არ შეიცვლება და მეც უშიშრად ველი; მინდოდა მაინც კიდევ მეცხოვრა თქვენთან, მემხიარულნა თქვენის ბედნიერებით. ოფიციალურად თქვენის სამსახურის ასპარეზზე, ისე ოჯახში. შემდეგ-კი... წავსულიყავი კიდეც... მაგრამ წავსულიყავი თქვენზედ ადრე, თქვენს უწინ... იქით... მინამდის-კი იყავით ბედნიერ და მიიღეთ ერთხელ კიდევ სულის სიღრმიდან ჩემგან მოძღვნილი მაღლობა.

თქვენო უმაღლესობავ, იცოცხლეთ დიდანს რუსეთის სადიდებლად და საბედნიეროდ იმ ვრცელი ქვეყნისა, რომელიც თქვენს განათლებულ მმართვა-გამგეობასა აქვს მინდობილი. ბატონებო, ვადღეგრძელოთ ჩვენ მიერ გაღმერთებული მთავარმართებელი კავკასიის მხედრობისა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ერა!!!

იუბილეის ხვედრი ჯილდო—ანდრია პირველწოდებულის ორდენი—ორბელიანმა პირადად ხელმწიფისაგან მიიღო. ამ წელს, სექტემბერში, ქალაქს უნდა მოსულიყო ხელმწიფე იმპერატორი, რომელსაც ენება პირადად გადაცემა ჯილდოსი. რადგანაც ხელმწიფის მოსვლა საქართველოში და ორბელიანისაგან მისი ნახვა თავისთვად საინტერესოა, რადგანაც ის წამები, რომელიც პოეტმა გაატარა ხელმწიფესთან, შეადგენს სასიხარულო წამებს პოეტის ცხოვრებაში, ჩვენ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ აქ in extenso ერთი მისი წერილი, რომელშიაც იგი აუწერს თავის ძალუას სოფიოს ამ სასიხარულო ამბავს. ეს წერილი ბიოგრაფიის მიუცილებელი ნაწილია, ცხოვრების აღწერის ერთი ნაბიჯით წინ წამწევი. მისი არ დაბეჭდვა შეუძლებელია. სიდიდეს შინაარსის სიმდიდრე გამოისყიდის:

„ჩემო საყვარელო ძალუავ სოფიო! ხელმწიფე იმპერატორი გაბრძანდა 25 სეკტ. ბორჯომისაკენ, სადაცა დაიღამებს და იქიდამ ქუთაისზე ყირიმისაკენ, დიდად გახარებული ყოვლითა მით, რაიცა იხილა პეტროვსკიდამ თბილისამდე, მეტადრე დაღესტანი, რომლისა კეთილად მოვლა, მშვიდობიანობა და გზები უხაროდა დიდად. ჭიბრძანა: „ვის ეგონა ათის წლის წინა, რომ მე მოვვლიდა დაღისტანში იმ ალაგებსა, სადაცა იყო დაუცხომელი ბრძოლა, და ჩემ

შცველად გზაზე იქნებოდნენ ისევ ის ხალხი და ნაიბები, რომელნიცა მაშინ იყვნენ დაუძინებელნი მტერნი ჩვენნი?“ მე მოვახსენე, მიზეზი ესრეთის დამშვიდებისა არის მხოლოდ მოვლა ერისა ჯეთილ-გონიერებით, სიმართლით და სიყვარულით“. მაგრამ სჯობს დავიწყო თავიდან.

20 სეკტ. იმპერატორი ნასლედიკით და ვლადიმირით მობრძანდა პირდაპირ ლაგირში, საბურთალოზე, საღაც დახვდა ველიკაია კნეინა უფროსის შვილითა. ხელმწიფე ვადაეხვია, ჩაჰოცნა და შემდეგ ჩამოუარა პაროტნის ყარაულსა და მთლად იქ შეკრებილთა ლენერალ-აფიცრობათა, მე დიდის მოწყალებით მომიკითხა, მიბოძა ხელი და შეცა ვაკოცე. მერე შებძანდა კარავში და მცირეს ხანს უკან გამობძანდა მუნდირით და გაემართა ცხენით ჯარებისაკენ, რომელნიცა იყვნენ მშვენივრად მომზადებულნი. ჯარების უან მთლად გორები იყენებ ხალხით ასტმულნი. მხიარულად მოწყალეს თვალით ხელმწიფემ ჩაუჭირა ცხენი ჯარსა, ჯარმა შესძახა მოუწყვეტელი ურა, ხალხმა მოსცა ბანი, და ასეთი ხრიალი შეიქნა, რომ მართლად ყარამანიანობა მომავონდა. ჰაერი იყო წმინდა, მშვენიერი; ლაუგარდოვანის ციდამ დაჭნათიდა ბრწყინვალე ბზე და ყაზიბეგიც თავაწეული დასკუქეროდა შორიდამ ამა დიდებულსა სახილველსა! გათავდა ცერემონიალნი მარში; ხელმწიფემ უწყალობა ლენერალ-ადიუტანტობა კნ. თარხანოვსა და წამობძახდა ცხენით ქალაქისაკენ, წინ მოუძღვნენ თავად-აზნაურნი. შაინც კიდევ კარგნი სანახავნი, მათ შორის იყვნენ მოხუცი ყაფლან და ჩემი გიორგიცა. ქართულად მოკმაზული საცეთ-წალებით; ვეება ძინდორი შევიწროვდა ზლვად გადაქცეულისა ხალხისაგან; ვერის ჯვართან შედგა ხელმწიფე, პირს ჯვარი დაიწერა და მიიღო შესხმა და პურ-შარილი გალავასაგან; ქუჩებში ძლივს ირყეოდა ხალხი; ბანები, ფანჯრები, მოაჯირები მოჭედილი იყვნენ მორთულის ქალებითა და ყოვლის მხრიდამ მოესმოდა ხშა-ქუხილი სიხარულისა და მოდიოდა წვიმა ყვავილებისა. აღწერა ესრეთის სანახავისა შეუძლებელია: იმ ჟამსა კაცის თვალებიცა, გონებაცა გამოშტერებულია და ახსოვს მხოლოდ ერთი რაღაცა გამოუთქმელი საკირველება. მე, მირსკი და მრავალნი სხვანი, დავრჩით სიონს გარეთ, ასე ვიყავით შეიწროებულნი. სიონიდამ იმავე ყოფით ხელმწიფე მობრძანდა სასახლეში, ჩვენ გამოვეთხოვენით და ამით დაბოლოვდა ეს დღე. იმ ღამეს იყო ჩირალდანი, რომლისა მსგავსი აქ ჯერ არ ყოფილა. დაღალული, დაქანცული მოველ შინ, მაგრამ ჯერაც ვერ მიმხვდარვარ რად ვიყავ ისე ლონე მიღებული? მგონია, ამ საკირველმა სანახავმა მეტის-მეტ დიდებულებით ჩვენ დაგვამცირა, ვერ მივწვდით მის სიმაღლეს და ამ შინაგანს ბრძოლაში წაგვერ-

თო გონებაცა და ლონეცა. ლამე შემიპყრო რაღაცა მოუსვენებლობამ, ძილიც გამიკრთო და ვიყავ ისე გათენებამდის ოცნებაში ტყუილად თვალებ დახუჭვილი.

21-ს წარვსდეგ მე ნასლედნიქთან და ვლადიმირთან. ეს კი დამავიწყდა, რომ გუშინ გზაზედვე ხელმწიფემ გამაცნო ორნივე თავისი შვილები, ორნივე ლომების მსგავსნი, მაგრამ შე ნასლედნიკი დიდად მომეწონა სახით მოყვანილობით, გონებით, დარბაისლობით ნასლედნიკიდამ შევედით მთლად ამალა ხელმწიფისა სასახლის ეკკლესიაში. იქ ვიდრე დაიწყობოდა წირეა, ჩვენმა ველიკი კნიაზმა მითხრა ხელმწიფე გიბრძანებსო. შეველ კაბინეტში, ხელმწიფე ბრძანებოდა მარტო, მომახლოვდა და მიბრძანა: მე აქამდის არ მოგილოცე შენი იუბილეი, რადგანაც მსურდა მე თვით პირის-პირ მომელოცნა და გამომეცხადა ჩემი მაღლობა შენის თავდადებით ერთგულ სამსახურისათვის და ნიშნად ჩემის მაღლობისა მიწყალობებია ესე. აიღო წითელი ფუტლიარი და მიბოძა; მეც ჩამოვართვი გულზე კოცნითა და მოვახსენე: „ღრმად ვგრძნობ, რომ ჩემი ნამსახურობა არ არის ღირსი ესრეთის მოწყალებისა, მაგრამ ვინც როგორც გინდა გემსახურნეთ, მაინც წყალობა თქვენი მარადის უმაღლესია და ვართ თქვენ წინაშე ყოველთვის ვალგადუხდელნი“. კიდევ გულზე ვაკოცე და გამოველ ეკკლესიაში; შემომეხვია მთლად ამალა, ჯერ მეც არ ვიცოდი რა წყალობა იყო. გავხსენით ფუტლიარი და დავინახეთ ანდრია პერვოზვანნისა ლენტი და ჯაჭვი და მათზე რესკრიპტი. შეიქნა ღალადება მოლოცვისა. ტალიზინმა იქვე გამიკეთა და ჩამომკიდა ლენტი და თავ-მაღლა-აწეულად მოვისმინე წირვა.

წირვის შეძეგ იყო დიდი პრიომი. ერთს ზალაში იყვნენ სამხედრონი, მეორეში სამოქალაქონი და მესამეში ჩვენი დვორიანს-ტვო. გამობრძანდა მხიარულის სახით ხელმწიფე ჯერ სამხედროებთან, გვიბრძანა საზოგადოდ მაღლობა. და თვითოულსაცა მთავრონა. რაცა კი სამსახურში ექმნა გამოსაჩენი. სხეათა შორის ბრძანა, რომ ამ მინუტში მივიღე წიგნი კნ. ბარიათინსკისაგან. მერე გაბრძანდა სამოქალაქო ჩინოვნიკებთან. იქ უბრძანა: არა მქონდა დრო გამესინჯა დაწვრილებით, თუ როგორ დაგიწესებიათ და დაგიმკვიდრებიათ ახალი სამსჯავრო, მაგრამ იმედი მაქსი, რომ ეგე სამოქალაქო ნაწილიცა მიახწევს ბრწყინვალეს ხარისხამდის, როგორც ვიხილე სამხედრო ნაწილი. გაბრძანდა ჩვენს დვორიანსტვოსთან: დიდის გულითადის მოწყალებით მიიღო და გამოუცხადა თვისი მაღლობა თავდადებით ერთგულობისათვის ამ სიტყვებით: „მამანი თქვენნი და თვით თქვენცა ყოველს ბრძოლაში სისხლის დანთხევითა ერთგულებასა უჩვენებდით ჩემს მამასა და თვით მეცა და შეძეგ, როცა მო-

ვითხოვე დვარიანსტვოდამ ყმების განთავისუფლება, მე თქვენზე სრულებით ვიყავი დარწმუნებული და ესრეთი ჩემი სურვილი დაუბრკოლებლივ აღასრულეთ თქვენ და მე ესე არასოდეს არ დამავიწყდება, იმედი მაქვს, რომ თქვენი შვილებიცა თქვენსავით ერთგულებით ემსახურებიან ჩემს ნასლედნიკსა, რომელსაცა აი წარმოგიდგენთ თქვენ“. მერე იქვე წაიკითხა ხმა-მაღლივ დვორიანსტვოს აღრესი, რომლითა სთხოვდნენ სასწავლებლის განვრცელებასა და მიღებასა სახელმწიფოს ხარჯზედ ვოენნის გიმნაზიაში ორასის ყმაწვილებისა ღარიბთა თავად-აზნაურთა შვილებისა. ამის პასუხად ბძანა: „თქვენი თხოვნა შეადგენს თვით ჩემ სურვილსაც და სიხარულით აღგისრულებთ“. ამ შეშთხვევაში შესანიშნავი ეს იყო, რომ როცა ველიყი კნიაზმა წარდგენის დროს მოახსენა: დვორიანსტვო ტიფლისკო ლუბერნიი, ხელმწიფე-კი რაოდენჯერმე თითქოს განგებ ამბობდა გრუზინსკოე დვორიანსტვო, მოე ვერნოე გრუზინსკოე დვორიანსტვო, და ერთხელაც არ ახსენა ტიფლისკო ლუბერნიი.

ამავე დღეს წარსდგნენ სომხის პატრიარხი, ჩვენი ეგზარხი, პოსლანნიკები ყიზილბაშისა და ოსმალოსი. ყიზილბაშისა იყო ბიძა ყაენისა ამზა მირზა, მაღალ-ზრდილობიანი, დიდი დარბაისელი, კარგი მოღაჭარაკე, კეთილის გულისა, მაგრამ მისუსტებული, მინაზებული, ლონე-წარსული.

შუადღისას იყო მანევრი ლისის ტბასთან; ერთიანად ქალაქი იქ გადასახლდა, ქვეითად, ცხენებით, ჭურვონებით, ჭაეტონებით და აავსო იქაურნი მთებნი და ველნი. გათავდა მანევრები და ხელმწიფემ უწყალობა ჭლიგელ-აღუტანტობა გურჩინს და გალიცინსა. ხელმწიფეს დიდად მოეწონა ჩვენი ჯარები და მართლაც დიდად მოსაწონი არიან.

შვიდ საათზე მობრძანდა დვორიანსტვოს სადილზე ახალს თეატრში; მხრარულ სახით ბრძანდებოდა ხელმწიფე და აქა-იქ გვეუბნებოდა ალავერდის. თავის დროს ჩვენმა მარშალმა სადლეგრძელოს ჟამს მოახსენა კარგად ლაზათიანი სიტყვა, და იქვე უწყალობა ლენერალ-აღიუტანტობა. სადილად ქალები იყვნენ მიწვეულნი, რასაკვირველია, ველიკი კნეინას გარდა, მხოლოდ ბატონის რძალი, ანეტა, ვარისკა, ქეთოშა, რებენდერის ცოლი და მარშლების ცოლები. ამზა მირზასთან იჯდა ანეტა, იმ ღამეს მეტად განშვენებული. მეუთხარ ამზა მირზას, რომელიცა იმას ხან-და-ხან როგორლაც თვალს გადაავლებდა: „თქვენო უმაღლესოებავ, წიგნში პსწერია: ჩემმა ულმობელმა მეზობელმა დამწვა მე. ამ მინუტში ხომ არ გეკიდებათ, თქვენცა ცეცხლი უწყალო მეზობლისაგან? — ვახ! ვახ! აგრეა, სწორედ აგრეა! მერე, მერე გეტყვი პასუხსა!“

სადილს შემდეგ გაბძანდა ხელმწიფე ბალში. სადაცა, წარს-  
დგნენ ჩვენი ქალები, იქ ადრევე შეკრებილნი; იყო მცირედი ლე-  
კურიცა და მერე ხელმწიფე წაბძანდა თეატრში და მას, რა საკურ-  
ველია, გაჰყვა ერთიანად საზოგადოებაცა.

თეატრის შემდეგ შევეღ ჩვენს ველიკი კნიაზთან, რომელსაცა  
დავებარებინე.

— ხომ არ დაიღალუ?

— სწორედ მოგახსენო, დიდად დავიღალუ.

— ჩაი ხომ არ გინდა?

— როგორ არ მინდა, ძალიან კარგი იქნება, რომ დამალევი-  
ნოთ; მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ხელმწიფე არ იღლება?

— აი როგორ იღლება: ეხლა დოკულადით ახლავს შუვალოვი-  
და მერე მე უნდა წავიდე, აი პხედავ, რამოდენა გროვა ძეგს სტოლ-  
ზე ქაღალდებისა, ეს სულ ამაღამ უნდა, მოვახსენო და, რა საკურვე-  
ლია, ორს საათამდის ძლივს გათავდება და ექვსს საათზე დილით  
ყოველთვის ტან-ჩაცმული ბძანდება!

აი, ჩემო სოფიო, პუშკინის სიტყვა თურმე მართალი ყოფილა.  
„თაველ შაპკა მონომახა“. აი რა შრომა აქვთ ხელმწიფეებსა!

დღეს ნასლედნიკი და ველიკი კნიაზი ვლადიმირი მობრძან-  
დნენ ჩემთან ვიზიტად.

22-ს ხელმწიფემ გაშინჯა ლაგირში თოფების სროლა და ზარ-  
ბაზნებისა მიზანში და დიდად მოეწონა; ამ დღესვე ველიკი კნიაზსა  
ჰქონდა დიდი გაჭიმული სადილი, რომელზედაც ველიკი კნიაზმა  
მოახსენა რეცა ხელმწიფის სადლეგრძელოს დალევის უამსა და ხელ-  
მწიფემაც უპასუხა. ჩინებულად.—იმავე ლამეს იყო მუშთაიდის ბალში  
ბრწყინვალედ გამართული ქალაქისაგან ბალი, მორთულ-მოკახმული,  
როგორცა შეეფერებოდა უდიდებულესსა სტუმარსა; ამასთანა იყო  
საუცხოო სხვა-და-სხვა გვარი შუშეუნა, რომელთა შორის იყო არ-  
ტილერიის კაზარმიდან დაქანებული მტკვრამდის მდინარე ცეცხლისა. ხელმწიფემ ბძანა: ეს ჩემს დღეში არ მინახავო. მერე ხელმწიფე  
ველიკია კნეინით, ნასლედნიკი ბატონის რძლითა და სხვანი ყველა-  
ნი ქალებითა წაბძანდა ხეივნებში, სადაცა ისხდენ ვახშმად ათი ათას-  
ზე მეტი კაცი, ჩაუარა ყველა ამქარსა და შენ იფიქრე რა ყვირილი  
იყო სიხარულისა! ნეტავი ვიცოდე, ამ დროს რას პფიქრობდა შუვა-  
ლოვი და ანუ ადუტანტები ავსტრიისა და ლერმანიისა იმპერატორე-  
ბისა? ამ წესით შემობძანდა ისევ ზალაში, სადაცა დაიწყეს კადრილი-  
მე ვიყვავ ვლადიმირის ვიზავი! ხელმწიფემ რომ დამინახა, პსთქვა:  
კნიაზ გრიგორი დიმიტრიჩ პოდაეტ. პრიმერ, მეც უნდა ვიტანციონ-  
და გაიყვანა კნეინა ანნეტა.—ასე მხიარულებით ბძანდებოდა ხელ-

მწიფე პირულს საათამდის და მერე წაბძანდა. მიართვეს ის ტახტი ხელმწიფეს, რომელზედაც იჯდა და რომელიცა იყო შშვენივრალ და მდიდრად ნაკერი ხუთასის თუმნისა. ამასთანა დიდროანინი ვერ-ცხლის გოჩაურები და მინანქრის ჯამები და აზარტეშები; ეგრეთვე ნასლედნიკსა და ვლადიმირსა სხვა-და-სხვა ფეშქაშები. ეს დღეც ასე დასრულდა მხიარულად.

23-ს ხელმწიფე წაბძანდა შვილებითა, ველიკი კნიაზითა და ამალითა ყარაიაზე სანადიროდ. აქაც ბეჭმა ჩვენმა გასჭრა და მოკლა ტახი ხელმწიფემ, მოკლა იჩემი ნასლედნიკშია, ვლადიმირმაც მოკლა ლორი და კიდევ სხვათაც. იქ შვიდ საათზე ისადილეს და ლამე დაბრუნდნენ.

24-ს ხელმწიფემ გაშინჯა სხვა-და-სხვა ზავედენიები და მუზე-უმი; გაუკეთა ვიზიტი ყიზილბაშის პოსლანნიკს და მაჰმად მირზასა. უნდა მოგახსენო, რომ ამზა მირზა და მაჰმად მირზა ძმები ყოფილან. საღილად იყვნენ მხოლოდ ლენერალ-ადიუტანტობა და საღამოზე ტეატრი.

ასე დაუხვდა ჩვენი ერთგული ქვეყანა თავის ყოვლად მოწყალეს. ხელმწიფესა“.

## XV

იუბილეის დღესასწაულობით დაიწყო უკანასკნელი ათი წელი, უკანასკნელი პერიოდი ორბელიანის სიცოცხლისა. ეს უკანასკნელი მერეები თავის ცხოვრებისა პოეტმა გაატარა წარსულ დროთა მოგონებაში. განა თუ ახალის დროებისათვის და ახალთა პირთათვის იმას დაეხშო ამ უამად გული და გონება, მაგრამ მისნი ფიქრი უფრო იმ წასულ წელიწადებისაკენ პრბოდნენ, როცა, მისის სიტყვისა არ იყოს, სიცოცხლე უხაროდა და კაცი მუხთალ სოფლისაგან მოელოდა „ვინ იცის რებას!“ წლითიწლად ეს სიცოცხლე პშორდებოდა მას; წლითა-წლად პკვდებოდნენ ან მიღიოდნენ კავკასიიდან ის პირნიც, რომელთაც ალუგსიათ თავიანთის მოქმედებითა ეს წარსული დრო. ძველთაგან დარჩენ მარტო ის და რამდენიმე მოპიკანნი, რომელნიც ერთად პგლოვდნენ წარსულსა დროს და წარმავალთა შეგობართ. ერთს თავის სიყმაწვილის მეგობარს პოლკოვნიკს სარანდოვს, რომლისაგან მოულოდნელად მოუვიდა წიგნი სიბერის დროს, პოეტი სწერს აღტაცებით:

„მეგობარო ჩემო, იგანე პავლეს ძევ! ცოცხალი ხარ და ისიც ოჯახობითა! მადლობა ღმერთს! რა მადლობელი გარ იმ ნამდვილი სიხარულისათვის. რომელიც შენი წერილის წაკითხვამ მაგრძნობინა. თითქოს იმ ქვეყნიდანა ყოფილიყოს მიღებული! გაიღვიძეს ჩემი სულის სიღრმეში დამარხულთ დიდი ხნის მოგონებათ სწრაფად გამჭრალ ჩვენის ლამაზ ახალგაზრდობის შესახებ, რომელსაც.

ბედნიერების იმედები და უზრუნველი სიხარული მუდამ თან ახლდნენ. ქვეყანა მაშინ ჩვენ გვეკუთნოდა; ყოველივე ჩვენ ხელთ იყო; თავისუფლება, მეგობრობა, სიყვარული ცხოველმყოფელს შუქსა გვფენდნენ და ჩვენც, დაბრმავებულო, გვჯეროდა, რომ ყოველივე უცვლელად დარჩებოდა! მაგრამ, იქნება ეს ახალგაზრდობის სიბრმავეც არის ის ჭეშმარიტი ბედნიერება, რომელსაც ადამიანი დავძებს ყველგან? რას იძლევა ცხოვრების გამოცდილება გულის გატეხვის მეტს, რომელიც გვიციებს გულს, ჰმუსრავს და საობს იმედებით სავსე ოცნებათა ქვეყნიერებისა და სულს ეჭვსა და უნდობლობას უნერგავს ყოველსავე იმისადმი, რაც გარს გვახვევია? დროთა სელამ სარწმუნოების საკურთხეველი დამხო და რაღაა ახლა? ბედნიერებაა, განა, ის, რომ სული ასე გამციებია? სიხარულია ის, განა, რომ არღარასა ვგრძნობ? დიახ, წარვიდა ჩვენი ახალგაზრდობა, რომლის არ დანებებაც შეუძლებელია; მას თან გაპყავ ყოველივე მშვენიერება, რომელიც სულს გვინათლებს და გვიმაღლებს და თვალის დახამხამებაზედ უმსჯელობოდ აყვარებს ყოველსავე კეთილსა, პატიოსანსა, ყოველსავე დიდებულს საქმესა და მსხვერბლსა! რაღაა ახლა, ცხოვრება გალამაზდა, რომ მწარე გამოცდილება, მისი უკულმართობა და მთლად ყველა არსის ცვლილება გაგვაცნო? არა, მაგრამ... სიმდაბლით დავემორჩილეთ ზესთა გარდუვალს ბრძანებასა და ემადლობდეთ ბედს ყოველისავე ავისა და კარგისათვის, რაც-კი წილად გვხვდა...“<sup>1</sup>

ამ სიყმაწვილეს—სხვა სიხარულთან—თან გაპყვა ის გმირული დროც, როცა ჰერცდა ჩვენში კავეასიის ოში. ერთ ვილაც გოლლევსკისთან<sup>2</sup> მიწერაილს წიგნში პოეტი რონებს ამ დროებას:

„...ცოცხლად აღმადგინა თქვენმა წერილმა მეხსიერებაში მთლად ჩვენი წარსული დრო და თქვენი მყუდრო ბინა, სადაც ყოველ დღე ქაღალდსა ვთამა-შობდით ხოლმე, ვფიქრობდით თავისუფლადა და ვმსჯელობდით ხმა მაღლა იმ-ძმურის გულწრფელობითა, რომელმაც დაფარული აზრი არ უწყის; მომავრნა შუროჩეაც, შურინკაც, სადაც სამსახურს პატიოსნურადა ვწირავდით მსხვერბლად ჩვენის სიცოცხლის საკუეთესო წლებსა! მერე, სად არიან ახლა ის ამჩანაგნი, რომლებთანაც მეგობრობა ძნელმა და მძიმე ლაშქრობამ გაგვიმტკიცა? ზოგნი მათგანი სამუღამო ძილს მისცემიან დაღესტნის მთებსა და ჩაჩანთა ტყეებში, სხვანი კიდევ დედამიწას მოპოვენიან ზურგზედ. ცოტანი-ლა დაერჩით! ოჯ, როგორა მსურს მოგეხვიოთ, კირილ ასიაოვიჩ, რომლის პატიოსნება და წმინდა გულიც მუდა ისე ძლიერად მიზიდავდა თქვენსკენ!.. ნუ-თუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავებული ომი და ამ სისხლის ღვრაში ჩვენ ვიღებდით თვითონ მონაწილეობასა? იქნება უსაქმური ხალხის უბრალო რამ მოხათხრობიც იყოს? უნებურად მებადება ასეთი კითხვები, დღეს რომ დაღესტანსა და მთლად კავკასიაში დაუჯერებელსა და ღრმა მშვიდობიანობასა ვხედავ გამეფებულსა. მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდან მეორემდისა და არარა იცი, მყვდარია თუ სძინავს მას? ქარავნები უდარდელად მიმღიან; უფსკრულებზე რყინის ნიდები გაუდვიათ, გუნიბს ეტლები მიძერიან; არსად ხსენება მტრობისა, არც სიძულვილი! ნუთუ ეს სასწაული არ არის?“<sup>3</sup>

ლანგ-თემურისაგან უძლეველი კავკასია დამორჩილდა რუსის ძლიერებას. დალესტანი დამშვიდდა. დაძვიდებული იმ ზომამდის, რომ პლატონ იოსელიანი და გიორგი მუხრანსკი— „Это даже стыдно.

<sup>1</sup> წიგნი 24 აპრ., 1873 წ.

<sup>2</sup> გოდლევსკი (კირილ იოსების-ძე)—გენერალი. (იხ. გრ. ორბ. წერილები, I, აპ. გაწერელის რეაქციით, გვ. 301).

<sup>3</sup> წერილი 12 დეკემბ. 1871 წ.

для Дагестана” — та же самая языковая и грамматическая проблема, что и в “Азербайджанской газете”<sup>1</sup>; — в том же духе на языке азербайджанского народа в газете “Гюмбет”<sup>2</sup> говорится о том, что азербайджанская газета должна быть на языке народа, а не на языке культуры.

Чтобы избежать этого, необходимо было создать языковую среду, в которой бы азербайджанский язык был бы национальным языком, а не языком культуры. Для этого необходимо было создать языковую среду, в которой бы азербайджанский язык был бы национальным языком, а не языком культуры. Для этого необходимо было создать языковую среду, в которой бы азербайджанский язык был бы национальным языком, а не языком культуры.

Мы должны помнить, что азербайджанский язык — это язык нации, язык народа, язык культуры. Мы должны помнить, что азербайджанский язык — это язык нации, язык народа, язык культуры. Мы должны помнить, что азербайджанский язык — это язык нации, язык народа, язык культуры.

“... Несмотря на то, что мы хотим создать языковую среду, в которой бы азербайджанский язык был бы национальным языком, а не языком культуры, мы должны помнить, что азербайджанский язык — это язык нации, язык народа, язык культуры.”

<sup>1</sup> Гюмбет. № 1. Бакинская газета на азербайджанском языке. 1831 г.

<sup>2</sup> Гюмбет. № 1. Бакинская газета на азербайджанском языке. 1869 г.

გამო! მოვიდა ჩვენშე წარლვნა ზა არსადა სჩანს ახალი ნოეს კიდობანი, სადაცა შევაფაროთ თავი ჩვენი; არსადა სჩანს გამომხსნელი! ვითხოვთ მილლიონი სესხად ხაზინისაგან სამის პროცენტით, როგორცა ისესხა პრიკაზმა; ეს იყო უკანასკნელი ჩვენი იმუდი და ლონისძება და მინისტრმა გვითხრა უარი. და ან მინისტრი რას დასდევს ჩვენს განწირულს მდგომარეობას და საუკუნოდ დაეცემა ჩვენი თავად-აზნაურობა, ოდესმე ბრწყინვალე თავის ისტორიულის ცხოვრებითა, რომლისა სახელი პატივის-ცემით იხსენებოდა თვით ინდოეთშიაცა და რომელიცა აწცა არის ღირსი ყოვლად მოწყალისა ყურადღებისა თავის თავ-დადებით ერთგულებითა; განქრება ჩვენი შანსენებელი მიწისა პირით, მაგრამ მართებლობამ უნდა კი იცოდეს, რომ ჩვენს ადგილზე ლირსებით ვერ დადგებიან ვერცა სომხობა, ვერცა თათრობა და ვერცა თვით რუსობა. აქ მხოლოდ ჩვენა ვართ და უნდა ვიყვნეთ ჩვენვე, თვით მართებლობისვე სასარგებლოდ; თორემ, ვინ იცის, იქნება მოვიდეს ის დღე, რომ სანთლებით დაგვიწყონ ძებნა და ველარ გვიპოვონ გაწყალებულნი! ეს არის სამწუხარო, რომ ჩვენთან ერთად იღუპება მთლად გლეხობაცა: კახეთის ვენახები ერთიანად დაგირავებულია სომხების ხელში, ისე რომ თავის დღეში ვერ გამოვლენ ვალიდამ და ხალხი მუშაობს მხოლოდ სომხებისთვის მუქთად... მუქთად!!! განა უწინ ბატონები ასე დყვნენ ჭაზარელნი?“<sup>1</sup>

ამგვარივე სასოწარკვეთილებით სავსე წიგნს სწერდა პოეტი გრაფ ლორის-მელიქოვს, თ. მირსკის, გრაფ ვარანცოვ-დაშვილს და სხვათა. ვარანცოვ-დაშვილს პეტრი მინდობილი ხელმწიფე-იმპერატორისაგან ჩვენი თავად-აზნაურობის ვალის გარემოების მოხსენება და ორბელიანი ისტორიულად განუმარტავდა იმას იმ მიზეზებს, რომელთაც მოიყვანეს ეს თავად-აზნაურობა ეხლანდელ მდგომარეობამდის. სხვათა შორის, ამ განმარტებაში იყო ზოგიერთი საბუთი, რომელიც გვინდოდა ჩვენ აქვე დაგვებეჭდა, მაგრამ რადგანაც ეგვევ საბუთები თითქმის სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი თავ-ივანე გივის-ძე ამილახვრისადმი მიწერილ წიგნში და ეს წიგნი ქართულად არის დაწერილი, ჩვენ ვარჩევთ ამ უკანასკნელ რედაქციას.

„... რა ნახეს საქართველოში, როცა პირველად მოვიდნენ რუსნი? — სწერდა. პოეტი გენერალ-ლეიტენანტს ამილახვარს. — იყო მეტე მომაკვდავი; იყო თავადობა; იყო პატრიარქ-ეპისკოპოზობა. ამ სამთა სოსლოვიეთა — რუსულად ვამბობ — ეჭირათ საქართველო; ესენი იყვნენ სარდლები; ესენი შეადგენდნენ მეფის კრებასა; ესენი იყვნენ მდივანბეგები, ანუ მსაჯულნი, ჰესჯულის დამაწესებელნი; უამათოდ

<sup>1</sup> წერილი 26 იანვ. 1875 წ.

ვერა რა განკარგულება მოხდებოლა მეფისაგან სამეფოში; ესენივე შეაღენდნენ ჯარსა.—გარდაიცვალა მეფე; გაჩნდა მანიფესტი იმპერატორისა, რომლითა საქართველო შეუერთდა რუსეთსა და გამოეცხადა სხვათა-და-სხვათა მოწყალებათა შორის ესეცა, რომ ყოველივე საკუთრება შეუხებელია.

„მერე ჯავიდა ათი, თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი, რომ მღვდელი, ვითარცა ლვთის მსახურნი, უნდა იყვნენ თავისუფალნი თავადებისაგან. განთავისუფლდნენ მღვდელი,—თუმცა კი მაშინაც ისევე ისე იყვნენ, როგორც ეხლა—მაგრამ მღვდლებთანა წაიღეს და დაპირის საეკალესიოდ თავადებისა ის ყმები და მამულები, რომელთა შემოსავლიდამ თავადები ინახავდნენ მღვდელთა, მგალობლებთა, დიაკვნებსა, ჯვარსა, ხატებსა და სხვათა-და-სხვათა. ათასი საჩივარი წავიდა ამაზე სენატში, მაგრამ პასუხიც არ აღირსეს.

„გავიდა კიდევ ათი, თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: „როგორ იქნება, რომ, თავადთა ჰყანებეს აზნაურნი!“ მეფე თავადსა უწყალობებდა, მის დიდ ნამსახურებისათვის, აზნაურსა მამულითა განთავისუფლდნენ აზნაურნი და თან წაიღეს არათუ მამული, მეფისაგან აზნაურთან ნაწყალობევი, არამედ ისიცა, რაცა თავადსა მიეცათვის მხრით აზნაურისათვის.—ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეცა დარჩა უპასუხოდ.

„გავიდა კიდევ ათი, თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: ყოველი გლეხი არის თავისუფალი და უნდა თავადებისაგან მიეცესთ მათ მიწა, და აღსრულდა ესეცა.

„და აბა ეხლა წარმოიდგინეთ, რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა? და რაცა დარჩათ სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა, ასე რომ დიაბ იშვიათსა აქვს ასი დესეტინა ერთს ალაგსა. აი, პირველი მიზეზი ჩვენისა საზოგადოდ დაცემისა. ამასთანა იყო სამოცი წელიწადი ბრძოლა და ამ ბრძოლაში ყოველთვის მსახურებდენ თავადაზნაურნი თავ-განწირულებით. რომელი ოჯახი არის, რომ არა ჰყანებეს რამდენიმე დაჭრილ-დახოცილნი ომში? და რა საკვირველია, ყოველთვის პასოლობაში ყოფნა მოითხოვდა დიდს ხარჯსა. ახლა ამასთანა შეიცვალა. ცხოვრებაცა და ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არ ვიყავით შემზადებული, ესე იგი, არა გვერდიდა ფული; ვიღებდით ვალსა 40 კაპეიკად; კახეთში ოღონდა ფული ესესხათ, თავადიშვილი ასს თუმანში ფეშქაშად აძლევდა ერთს ურემს ღვინოს, სარგებლის გარდა.

„აი, ჩემო ბატონო, საიდან დაიწყო ჩვენმა გალარიბებამ, ჩვენმა აწინდელმა მდგომარეობამ, რომელშიაცა. მწუხარების მეტი აღარა

სუფევს რა! ახლა, თუ მოვთვალოთ სუდები, ადვოკატები, მეუევანიე, აპტელაციები — ძალიან შორს წავა“<sup>1</sup>.

პოეტის მწერაზე გულს მოეცა იმედი თავად-აზნაურობის გამოხსნისა, როდესაც კავკასიის მთავარმართველმა დონდუკოვ-კორსაკოვმა დანიშნა თვითონ ის იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა გამოეკვლია, ვის რა პატივებოდა პრივაზის ვალიდან. მაგრამ რა. ვერც ის მოესწრო ამ საქმის დაბოლოვებას და ვერც საქმე დაბოლოვდა ისე, როგორც იმის უნდოდა. მისი აზრი იყო: ღარიბებს პატივებოდათ ვალი მთლად; შუათანა შექლების კაცებს — სანხხვაროდ; მდიდრებს — სულ არა. ამის მაგიერ მთავრობამ სულ ყველა მოვალეებს აპატივა, რაც ემართათ, იმის ნახევარი და არავინ კი არ გაათავისუფლა პრივაზის ვალდებულებიდან.

ეს მოწყალება მხოლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოცხადდა. და თუნდ იმის სიცოცხლეშიც გამოცხადებულიყო, გაახარებდა კი იმას ეს ამბავი? შეძლებდა კი თავად-აზნაურობა ნახევარი ვალის გადახდას? არ გაეყიდებოდა კი იმას ამ ნახევარ ვალში მისი მამულ-დედული?

საზოგადო ბედი თავად-აზნაურობისა ეწია კერძოდ ორბელიანის გვარსაც იმ ზედ-დამატებით, რომ ამ. გვარში ქონებრივ სიღარიბეს ზედ დაერთო სისხლის სიღარიბეც, — არავინ იბადებოდა ამათ ოჯახში. ეს გარემოება დიდად და დიდად აწუხებდა პოეტს, თავის გვარის მოყვარეს, თავის დიდებულთა წინაპართა თაყვანისმცემელს და ყოველს ახალს უშვილოდ დასაფლავებულ მოგვარეზე, ყოველს ახალს მამა-პაპეულ ავლადიდების გაყიდვაზე ის იტანჯვიდა სულით. და გულით. დიმიტრი ვახტანგის შვილის უძეოდ სიკვდილის შემდეგ პოეტი სწერდა ვანო ორბელიანს:

„დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახტანგის შვილი, ორბელიანი, ქაშუეთის ეკკლესიაში და ამოწყდა ამის სახლიცა. ოჲ, ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაცა ჭიშინს ცხადად ზეგარდმო რისხვა! სარდლიანთ ოჯახიდამ არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი; იოსების სახლიდამ დარჩით ვიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში ჰსდგას პოლოზოვი, სამარალდონის სახლში საგიონვი; ალექსანდრეს ადგილს — აბოვიანცი, ძალლი და შამაძალლი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი!! არის ქახალი კოტე; ვალში დალუბული და მასთან ერთად დალუბულრვე პაიკი საშა! ჩვენ, ყაფლანიანნი, ვილუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდად გაჩქარებული სოლალაანნი,

<sup>1</sup> წერილი 16 აპ., 1881 წ.

8. 9. მეუნარვია, ქართველი მწერლები.

ბარათანნი, ერისთავნი, აბაშიძიანნი, თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვაჩაძიანნი და სხვაბიცა და დიდად სცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მაღე დაილუპება!“<sup>1</sup>

ესრეთსავე „შავად მღელვარე“ ფიქრს უნაწილებდა პოეტი თავის ძალუა სოფიოს ყაფლან ორბელიანის სიკვდილის შემდეგ.

„დიდი ხანია ველარ მოგწერე და ან რა მომეწერა გულით ღრმად შეწუხებულსა, ვხედავ რა ჩვენის ოჯახის ესრეთ გაწყალებას, ესრეთ გაოხრებასა! ვიყურები აქეთ-იქით და აღარა მყავს ვინმე, რომ გავსცე ხმა; ჩემს ქუჩაში უცნობი შევიქენ სხვათათვის! იმოდენა ოჯახიდამ მყვანდა ერთი-ღა ბიძაშვილი, სიყრმიდგანვე თანშეზრდილი, საყვარელი ყაფლან, და ისიცა დავმარხე! ვაი ჩვენს ოჯახსა, ასე უწყალოდ დაცემულსა! რა შეცოდება ჰქონია წინაშე ღვთისა, რომ ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი, გულით მართალი, შემბრალებელი, გონებიანი, ვაჟკაცობიანი, მოკვარე ნათესავებისა და ერთგული მეგრ ბრებისა, მამულისათვის ყოველს დროს თავდადებული! ვინ არ იზრდებოდენ ჩვენს ოჯახში, ჩვენს ქუჩაში? ანდრონიკაანნი, ჩოლოყაანნი, მაჩაბლიანნი, თარხნიანნი, მუხრანიანნი! ესენი ყოველივე მე თვით მინახავს; მაასოვს, რაოდენნი შენატროდენ ჩვენს ქუჩასა და ახლა, ღმერთო ჩემი, მე ისევ ვარ და სახსენებელი ჩვენის ოჯახისა განკქრა, ვითარცა სიზმარი! ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგირ, ჩამოეთესლნენ პოლოზოვები, აბოვიანები! ფიტარეთი, ჩვენის მამა-პაპების სასაფლავო, უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის“<sup>2</sup>.

დაკვირვებამ და ფიქრშა სასოწარკვეთილებაში მიიღვანეს პოეტი,—იმას სულ მთლად მოესპო იმედი ორბელიანების გვარის წარმატებისა. გარდაცვალების წინა წელს ის სწერდა რევაზ ერისთავს:

„არა, ჩემო რევაზ, სულ ტყუილია ჩვენი მეცალინეობაცა, ჩვენი სურვილიცა, ცხადად სჩანს რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვიღლუპებით! აღარავინ გვებადება, აღარავინ გვეზდება; ხმა საიდუმლო მესმის: „აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით?“<sup>3</sup>

თავად-აზნაურობასთან ერთსა და იმავე ტავაში იწვოდა საზოგადო მთელი საქართველო. ყოველგან სილარიბე, ყოველგან მწუხარება, ყოველგან უიმედობა, უკაცობა. „ცხენი არა, ხმალი არა, ვაჟკაცობა არა“. ენა შეგინებული; მწერლობა გარყვნილი; ეკლესია დაცარიელებული. ჯურ ისევ ბნელოდა დიდად, დიდად ბნელოდა სა-

<sup>1</sup>წერილი 29 იანვ. 1882 წ.

<sup>2</sup> წერილი 24 აგვ 1878 წ.

<sup>3</sup> წერილი 8 იანვ. 1882 წ.

ქართველოში და იმედის შარავანდედი კი არსაიდამ სჩანდა.—აი რა აზრისა იყო პასაკისა და გარემოებისაგან პესიმისტად გამხდარი მოხუცი პოეტი...

ხშირი საჩივარი ისმის პოეტის წიგნებში განსაკუთრებით თბილისის სასულიერო სემინარიის საქმეებზე, ეს სემინარია არის დაწესებული საქართველოს დედა-ქალაქში. 1817 წ. იმ განხრახვით, რომ იქ ასწავლონ ყმ წვილ-კაცებს ყველა ის საგნები, რომელთა ცოდნა საჭიროა საქართველოს ეკლესიებში მოსამსახურე მღვდელთათვის. დაარსებიდანვე—სასწავლებლის მთავრობა და საქართველოს ექსარხოსები, თანახმად ამ დანიშნულებისა, ასწავლიუნ აქ ქართულს სამღვრო და საკულტურო წიგნებს. სამღვთო ისტორიას, სასულიერო მწერლობას, წირვის წესს, გალობას და სხ.—მაგრამ დრონი იცვალნენ და სასულიერო მთავრობამაც შესცვალა. თავისი აზრი ამ სასწავლებლის დანიშნულებაზე, ერთმა უბრალო შემთხვევამ—ვიღაც შეგირდის დღიურში ნაპოვნმა ლიბერალურმა მსჯელობამ სწავლა-განათლებაზე—დაარწმუნა ამ სემინარიის იმდროინდელი ინსპექტორი, ნეტარ ხსენებული კუშინსკი (თბილისის სემინარიის ისტორიიდან ამ კაცის სახელი არ უნდა ამოიშალოს) და შემდეგ სხეანიცა ამ სასწავლებლის მეუფროსენი, რომ სემინარიის შეგირდნი ღვთის მსახურების მაგიერ სწავლობდრინ იქ პოლიტიკურ ორგულობას... და რადგანაც პოლიტიკური მოსაზრება ყველა მოსაზრებაზე უფრო უდიდესია, იმათაც „ივიწყეს მცირე უაშ“ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა, გახდნენ პოლიტიკის დაუპატიჟებელნი აგენტნი და დაუწყეს დევნა ქართულ წიგნებსაც, ქართულ წერა-კი ხვასაც, ქართულ გალობასაც, დარიკებს მრავალი შეგირდები სასწავლებლიდან, დაითხოვეს ქართველი მასწავლიდები და უგუნურად, უაზროდ გამოაცხადეს, დაბადეს ერთბაშად თვით სემინარიაში ორი პარტია—რუსისა და ქართველებისა. ამ სტრიქონების მწერალი იყო იმ დროს სემინარიის მოსწავლედ და კარგად ახსოვს, რა საშინელი გავლენა იქნია შეგირდებზე უსაფუძლო ცილისწამებამ და დევნ-მ, რაგვარიდ შეაწება ისინი პროკურორის, უანდარმის და პოლიციის დანახვამ სემინარიის აიგნებზე...

ეს იყო 1873 წ. ქართული ენის დევნამ მიაღწია ამ წელს უმაღლეს ხარისხამდე... თუმ კა იშის სწავლება შემცირდა სემინარიაში უფრო ადარე, ერთი წლის წინათ. ამ დროს სემინარიაში შემოილეს ლათინურისა და ბერძნული ენის სწავლება უა ამათთვის საჭირო სასწავლო სათები ჩამოაკლეს ქართული ენის გაკვეთილებს. ჩვენს ენას არავინ გამოუჩნდა მოსარჩევა, როდესაც ამ საგანზე მსჯელობა იყო სასულიერო მთავრობაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი წეს-წყობა დამტკიცდა უწმინდეს სინოდში და განზრახვა ასრუ-

ლებაში მოიყვანეს; თბილისის სამრელელოება ჟეპურბა და საქმის გარემოება მოახსენა გრ. ორბელიანს, რომ ის გამოსარჩევებოდა სამ-შობლო ენას. პოეტმა ოოგოოც ენის სიყვარულით, ისე რელიგიური გრძნობით მხურვალე შონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, მოახსენა ამ-ბავი მთავარმართებელს და საქმეს უეჭველ ეშველებოდა რიმე, რომ შემდეგ წელში არ წამოწეოდა ის გარემოება, ოომელზედაც ზემოთვამბობთ. ყური დაუგდოთ თვითონ პოეტის სიტყვებს:

„ჩემთ საყვარელო რძალო სოფიო! იყო კაცი და სახელი მისი— არ ვიცი<sup>1</sup>—მოვლინებული ამ ზაფხულს სინოდით რევიზორად თბილისის სემინარიისა. რა ნახა და ახვ რა არა ხაზა, რა მოგახსენო, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ, ოოდესაც ლრმისა მაღალ-გონიერების ჭაბუ დაიდნეს სემინარიის საქშენი, გამოვიდა ბილოს უსე, რომ იმართებლოაისა მოუწყვეტილმა შროუნველობამ აღიყვანა გინათლება-და კეთილ-დღეობა საქართველოსი ისეთს მაღალს ხარისხშე, რომ ამას იქით ქართველის მღვდელისათვის საქართველოში აღარ არის საჭირო ცოდნა ქართულის ენისა, ესე იგი, აღარ უნდა იღოცონ ქარი ველებმა ქართულს ენაზე, რომლისა ცწავლა ამას იქით იქნება მისოდნებულოდ დაკარგვა დროებისა; მაშასადაც, სემინარიაში უნდა მოისპოს სწავლა ქართულის ენისა, რომელსა ამასთანავე არცა ჰქონია მდიდარი ლიტერატურა. ასე არჩიეს ამ ზაფხულსა არქიერება, რევიზორმა და მეტადრე ერთმა ქართველმა მღვდელმა, რომელ-მანცა თავ-გამოდებით, გულს მოდგინებით და დიდის მჭერ-შეტყველობით რჩევაზი დაამტკიცა, თუ ვითარს წირმატებაში და ბეღნიერებაში შევა საქართველო, როდესაც ქვეყანაზე განქრება სასსენებელი ქართულის ენისა!—ჯერაც კოცხალია ქვეყანაზე გამცემელი იუდა. ამა გულის-სალახვრო ამბავმა დაგვაწყებისა ყაყანი; ველიკი ქნიაზსაც დიდად ეწყინა ესრეთი სინოდისა და არქიერისაგან განკარგულება, რომელიცა შეეხება აქაურსა მხარესა; თვითცა პპირებს მომავალს თვეს პეტეობურლში. წასყლასა—და იმედი გვაქვს, რომ დაბრმავებულის საცლვდელოს პლანსა ჩააშლევინებს ველიკი კნიაზი. საქართველოში ურიები, თაცრები, სომხები, ლოტრაზები იღოცვენ თავიანთს ენაზე და არავინ არის დაბშელელი მათი; თვით ფრანგებიც კი ქართულს ენაზე პგალობენ და მხოლოდ ქართველებს უნდა მოესპოთ ქართულს ესაზე ლოცვა? რათა აქ ხომ ჰაშო არ არის, თუ არ დაჩლუნგება, დაუნგება გონებისა? და ან საქართველოსა ერთგულების ჟეტი რა დაუშავებია; რომ ესოდენთა სხვა-და-სხვა ხალხთა შორის მარტო ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავიდენ? აი საქარ-

<sup>1</sup> კერსკი.

თვეელოს ბედი: მოვა ვინმე, თუ გინდა რევიზორი, თუ გინდა კარ-  
პერ, გადაავლებს თვალსა. აქაურობას და მაშინევ პლანი მხარ არის  
ჩევნი ბედნიერებისა და განათლებისათვეს! ამაზე მეტი რაღა გვინდა<sup>1</sup>.

მეორე წერილში ლევან მელიქიშვილთან პოეტი ყველრებით ამ-  
ბობს ამავე საგანზე:

„... ანუ რა სიკეთე წარმოსიგება აქედამი? თუ გარუსებას სცდი-  
ლობენ, ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩევნ უფრო რუსები  
ვართ; თუ მართლ-მადიდებლობისათვის იღვიან, აი ურიები, თაო-  
რები, სომხები და სხვანი! მაგრამ უსამართლოება და ძალადობა მა-  
რადის ჰბადვენ უსიმოვნებასა, ყველა ბასა და თვით თრ-  
გულებასაცა. მიკვირს, რას უჩუხტებენ ამ საბრალოს, მორჩილს,  
კეთილსა და ერთგულს ერსა? სამწუხაროა, კნიაზო ლევან; რომელს  
საუკუნეში ვპიცხოვრებთ?<sup>2</sup>

## XVI

ორი უკანასკნელი ევროპიული ომი—საფრანგეთისა პრუსიას-  
თან და რუსეთისა სამალეთთან—დიდად ალელვებდა მოხუც პოეტს.  
პირველ ომში ის იყო პრუსიელების მომხრე, რაღანაც საურანგეთი,  
როვორც მთესველი ურწმუნოებისა, იმის აზრით, უნდა დასჯილიყო  
ზეგარდმო და ნაპოლეონისათვისაც მხვედრს უნდა მიეზღო ნაცვალი  
სიკეთე; მეორეში პოეტი არ დასჯერდა მარტო თანაგრძნობას,—იმან  
იტვირთა დაწრილთა მოვლის კომიტეტში მონაწილეობა და შეძლე-  
ბის დაგვარად დიდად და დიდად იშრომა ჩევნი ჯარების სასარ-  
გებლოდ.

„...ამზადებულს ხშირად ავდიოდი მირსკისთან კოჯორზე,—სწერს  
პოეტი ლევან მელიქოვს—ყოველდღე ვბოსტონბლით და ებაასობ-  
დით პრუსია-საფრანგეთის ბრძოლაზედ. კოჯორი იყო ორ ნაწილად  
გაყოფილი: მე, მირსკი, გიორგი მუხრანსკი და იოსებ ყორდანოვი  
ვიყავით პრუსიელები; ირაკლი, აგლობეგიონ, ამიროვი, ივანოვი და  
ლოლობერიძე—ფრანციის მხარე. ამათთან ზოჯერ ქალებიც ჩამოე-  
რეოდნენ ჩევნს ბაასში და ასეთი ჩეუბი იმართებოდა, რომ ხან და ხან  
გავემუტებოდით ერთმანეთს“<sup>3</sup>.

შემდეგ, როცა საფრანგეთის ჯარები დამარცხეს, პოეტი სწერ-  
და ბარბარე ორბელიანისას:

„...მთელს თვეზე მეტი გავიდა, რუსეთიდან ცნობები არ მიგველო, მერე არც  
ემ დროს—გულმოსასვლელი არ არის, განა?—როდესაც საფრანგეთის ბედი უნდა

<sup>1</sup> წერილი 1872 წ.

<sup>2</sup> წერილი 25 ოქტ. 1872 წ.

<sup>3</sup> წერილი 14 სექტ. 1870 წ.

გადაწყვეტილიყო და ევროპას სხვა სახე მიეღო; როდესაც მეგობრებისაგანაც-კი უარ-ყოფილი მბრძანებელი ევროპისა თავშესაფარს სტუმართ მოყვარე შეეიცარის. პატია ციხე-დარბაზში ეძიებს, სადაც დევნილთა ამა ქვეყნისათ შეუძლიანთ, ვითა მონასტერში, თავისუფლად ამოისუნთქონ შემთხვევა ესე მაგონებს სიტყვებს შამირ-ხანისას, რომელმაც სარშობლოდან განდევნილი ალიშაპი სპარსეთისა მოულოდნე-ლად პატა ტფილისში დიდს სიღარიბეში და განციფრებულმა შესძახა: „ეჭა, ცვა-ლებადობა ქვეყნისა! მინახავს ეს კაცი, როგორის დიდებით მიბრძანებულა ისპაპანს, სპილოზე მჯდომარე და კარის-კაცთ ავლანელებზედ გამარჯვებისათვის როგორ შეუმკიათ მარგალიტითა!“ ასრევე არ ემართება განა ახლა ხაპლეონსაც, რომელ-საც ტულადან ჩამოსული ქ-ნი კარპეკაც-კი სულელს ეძახის!“<sup>1</sup>

ერთი კვირით წინ, სანამ ოსმალოს ომს გამოუცხადებდა რუ-სეთი, ორბელიანი სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს:

„... ომიანობა უეჭველია, მაგამ რათა, რისთვის? განა სლა-ვიანები ლირან იმ სისხლად, რაოდენიცა დაიღვრება რუსთაგან? იმო-დენის ხარჯისა, შრომისა, შეწუხებისა, ძოუსვენობისა; ესოდენის ბანკროტობისა, რომელნიცა ზოგხი ეხლავე არიან და აღმოჩნდებიან შე დეგშიაცა? ან როცელთა სლავიანებია უჩვენეს ძმობა და ერთგუ-ლება რუსებისა? ევრობა არ დაარღვევს, არ გააოხრება არცა ოსმა-ლეთსა და არცა ავსტრიასა რუსეთის გულისთვის. მაშ, ამის დასას-რული რა უნდა იყოს? გულით, სულით კარგი, ლამე არ მაძინებს ეს წყეული პაზრი და ახრში გამაცია კიდეც გუშინ-წინ.—რუსეთისა-უნდა არა ომიანობა, არამედ შინაგანის საქმის კეთილად დაწყობა; სჯულსა მიეცეს ძალი კეთილად მოვლისათვის ხალხის ურიცხვთა მი-ლიონებთა; განვრცელდეს სწავლა, ვაჭრობა, ხელოსნობა; გზებზე მრვი-დობიანობა; საკუთრების შეუხებლობა; ამოწყვეტა დაჩაგვრისა, უსა-მართლობისა; აღმორჩევა ლირსეულებისა ხალხის შოვლისათვის და-მათის ბედნიერების და კეთილდღეობისათვის; მეტად დაშორებულის სამზღვრების დაახლოებება რკინის გზების გახშირებითა და სხვანი და სხვანი მრავალი, რომელთა რიცხვი მილლიარდი საქმეებია საკე-თილდღეოდ კეთება იმპერიისა! რათ უნდათ სლავიანებიზ შინ გაძლი-ერდეს რუსეთი ყოვლითა ამით და სლავიანები თავიანთთავად მოვ-ლენ, თუ ენდომება რუსეთსა. თორებ ეხლა ჯერ მცტად ნაკლულო-განებაშია რუსეთი...“<sup>2</sup>

ათი წლის შემდეგ, როგორც დავინახავთ, ბოლგარელები გა-ამართლებენ პოეტის წინასწარ თქმის სლავიანების ძმობაზე და ერთ-გულებაზე.—მრწყინვალე პორტამ უარ-ჰყო ლონდონის პროტოკოლი და რუსის დეკლარაცია და 12 აპრილს 1877-ს რუსეთმა გამოსცა მანიფესტი, რომლითაც გამოუცხადა ომი ოსმალეთს.

<sup>1</sup> წერილი 4 მარტს, 1871 წ.

<sup>2</sup> წერილი 5 აპრილს, 1877 წ.

„... მადლობა ღმერთს! — სწერდა პოეტი ნ. გარმალიშვილი ჩვენი ჯარების ოსმალეთის სამფლობელოში შესვლით დაიწყო და გაიბნა ყველა ჩვენი გაურკვევლობა, გაქრა გულგადამდევი უცოდინარობა იმისა, რა მოხდებოდა და მასთან ერთად სულის შემსუთველი მოლოდინიც რაღაც-რამ საზარლობისა, ამდენს ხანს რომ არ გვასვენებდა; და გულს მოეფონა, გვიხარისა, მიზანი აზრი ნათლად გვაქვს წარმოზენილი!“<sup>1</sup>

პოეტის ამხანაგებმა და მეგობრებმა დაირიგეს და გაიყენეს ბრძოლის ველი და პირველსავე კვირაში აგლობეიომ/ფეხი მოიდგა მუხა-ესტატეს; დეველმა არდაგანთან; ლორის-მელიქოვმა სუბოტინთან; ზაქარია ჭავჭავაძემ გააქცია 8 ბატალიონი მტრისა; ტერ-გუგასოვმა აილო ბაიაზეთი და სხვა და სხვა. პოეტის სიხარულს დასასრული არა ჰქონდა; ის დარწმუნებული იყო, რომ ქრისტეს ჯეარს უნდა ეძლივნა მაპშადიანთა მთვარე და რომ ჩვენს ჯარებს უნდა ამოეგო ათა-სი და ათი ათასი ქრისტეანეთა სისხლი, ბალკანეთზე და მცირე აზია-ში დაღვრილი მაპშადიანთაგან. საცა ღრო და კალაში მიუწვდებოდა, პოეტი აძლევდა რჩევას და დარიგებას ჯარისკაცთა და სხვა მოხე-ლეთა, ბრძოლაში წიმარალთა ამხანაგთა, და ლოცვილა მეტადრე ჩვენს ქართველობასა. ჯერ ომი არ იყო გამოცხადებული, რომ პოე-ტი სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს ამ ქართველ მოლაშქრეებზე:

„... წესისაებრ ჯარები ეწიალებიან და ემზადებიან. ჩვენს ქარ-თველობასაც ისწავლიან ჭრონტსა და ზოგჯერ მეტად სასაცილოობა გამოდის სწავლის დროს. „ვაა, რა არის, ეს ფეხი თუ გინდ აქ დავ-დგა, თუ გინდ იქა? მტყუანის დედას რა უთხრა, თუ გლაზა ნაპრავო არ მეოქვას!“ და ამ გვარი ლაპარაკი ხშირად არის ოსტატსა და შაგირდს შუა“<sup>2</sup>.

მეორე წიგნში იმავე ჭავჭავაძეს ორბელიანი აუწერს ჩვენი თავადობის წასვლას ბრძოლის ველზე:

„ჩვენი თავადობაც წავიდა ალექსანდროპოლისკენ და იყოს ლიერთი მათ მფარველად. ყმაწვილ-კაცობა მოსაწონია, მაგრამ ცხე-ნოსნობა მათი ალარ არის ისა, რაცა მინახავს ადრე, და შეკრუხ-დი გულითა. ჩვენმა ქალებმა — პატრიოტებმა — მიიპატიუეს ვახშმად სანსუშში საპახოდოდ განმხარებულნი და იყო იმ ღამეს მართლად დიდი მხიარულება საზანდრებითა, სიმღერითა, მშვენიერის ლეკური-თა, სადღეგრძელოებისა და, ბოლოს, ვახშამზე ნინომ -- გიგოს ცოლმა — წარმოსთქვა დიდად მოსაწონი სიტყვა, რომლითაცა მოაგონა თავ-დადებით სიყვარული მამულისა წინაპართა ჩვენთაგან და სახელი მა-თი, განთქმული ვაჟ-კაცობითა. იმას უპასუხა სოსო ჯორჯაძემ და

<sup>1</sup> წერილი 20 აპრ. 1877 წ.

<sup>2</sup> წერილი 17 თებერვ. 1877 წ.

შეიქმნა დიდი უროჩრაა! და ზედ მიიყოლეს ლეკური, რა ლეკური, რომ გამაგიუეს შარუცამ, ბაბუცამ, ალექს. აფხაზის ცოლმა, ია ანდრონიქ. ცოლმა, და სულუველამა! მახლაზ! კარგი რამ იყო ის ლამა, მოდიოდა წვიმაცა, მაგრამ არა დავლიეთ რა და სამს საათზე დავი-შალენით. ნეტავი ეს ლეკური მაინც დარჩეს ჩვენის საბრალო ქართველობისაგან, რომელიცა ასე ადვილად და დაუდევნელად იცვლის თვის ლაშაზსა ცერსა.“<sup>1</sup>

5 მაისს ჩვენმა ჯარმა პრდაგანი აიღო და თბილისმა დიდის-ყოფით იდლესასწაულა ეს გამარჯვება. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გამარჯვებას სხვა გამარჯვება არ დაჰყვა. ციხისძირში ჩვენმა ჯარმა იზარალა: დალესტანი არშალა ჩვენს წინააღმდეგ; ზოვინში 800 კაცზე მეტი დაიბრუა. შთელი ოთხი თვე ჩვენი ლაშეარი წაგებაში იყო.

ციხისძირს რომ მოშორდა ავლობებით, ორბელიანი სწერდა იმას თხურევთში:

„გულწრფელად მიხარიან, მეგობარო ჩემო ივანე დომიტრის ძევ, რომ ქობულეთის ბუნაგებიდან, როგორც უო, სახე გაბრწყინვებული (?) გამოხვედით... შედეგზედ აქ არა ითქმის-რა იმიტომ, რომ თვითონ ომის გეგმის შედეგნის დროსავე არავის ჰქონია მოლოდინი გამარჯვებისა. უუძველეს დროიდგანვე ცნობილია იგი როგორც მიუვალი აფილი და ამიტომაც ეწოდება სახელად „ქაჯების ციხე“. ქართული პოემის „ვეფხის ტყაოსნის“ გმირიც ციხის-ძირში (?) (ჰყავდათ ტყვედ შეპყრობილი. ვერც პასკევიჩმა და ვერც მურავიოვმა ვერ გაპბედეს ის სატევი ომი დაეწყორ. საერთო სამშობლოსაგან მომწყვდეული და ჯოჯონეთურის მდებარეობით ბუნებრივად გამაგრებული უცველესი ქართველთა ტომი დამპყრობელის მახვილს არ დაემორჩილება. ოსმალთა 300 წლის მფლობელობამაც-კი მაგრა ვერ მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ახლა-ლა აღიარებენ მცირედად მის ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებლადა სცხოვრებენ თავიანთთვის და არ შეპრევიან ისმალოთ. თუმცა მაჰმადიანობა ძალით იყო ოდესლაც მათ შორის გავრცელებული. მაინც იყო დრო, როდესაც ქობულეთელებს თავიანთის ნებით უნდოდათ ჩვენი მთავრობის მმართველობის ქვეშ საქართველოსთან შემოერთება, მაგრამ ამ შემთხვევით ჩვენ ვერ ვისარგებლეთ. ტყვილად-კი არ არის ნათქვამი: მშვიდობიანობის დროსვე უნდა მოშე ფიქრიო!..“

„ზიგინასთან დაიღუანენ ჩვენი გმირი გრენადერები, 800 მეტი კაცი დაიხორა ამ დღისა გმირის წყალობით. ოჰ, აჩრდილნო დიდის ფრიდრიხებისა, ნაპოლეონებისა და გუსტავებისა! ნუ-თუ-ლა მხოლოთ თქმენც ის იყავით, რაიცა დღე-განდელი გმირი გერმანია!“<sup>2</sup>

მაჰმადიანმა დალესტანმაც წამოჰყო თავი მართლმადიდცტელ რუსეთის წინააღმდეგ. პოეტს დიდად ეწყინა ეს გარემოება, როგორც ძეველს დალესტნის ბმართველსა და როგორც ქართველს, რადგანაც ეშინოდა, რომ ლევი არ გადმოსულიყო კახეთში. ამ შიშით ის სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს, როგორც განჯის გუბერნატორს:

<sup>1</sup> წერილი 18 მაისს, 1877 წ.

<sup>2</sup> წერილი 26 ივნ. 1877 წ.

„... ლევანი მწერს, რომ დაღისტანში თითქმის. პოვსემესტნოე სურიოზნოე კონსტანიეა; მოველი ჯარებსა, რომ წავიდეთ მთებისაკენ ხალხის დასამშვიდებლად!“ აი როგორმა მოუფიქრებელმა მიზეზმა ჩა-შალა ესოდენი წლის შრომა-მეცადინეობა, ხალხის დამორჩილება და ზრუნვა მათი კეთილ-დღეობისათვის! წახდა ყოველივე და ახლა უნდა კიდევ ანბანილამ დავიწყოთ და როდისგა ჩავალთ ც-მდის. ვინ არის დამნაშავე ესრულის გაძნელებულის მდგომარეობისა და უბედურებისა, რომელშიაც ჩავარდა ეს ვეება მხარე? საქართველო დაიღუპება, თო-რემ თაორებსა, ან რუსებსა რა უჭირთ.

„შენ ძალიან სიფრთხილე გმართებს შენის ლუბერნიისათვის, რომელიცა ესამზღვრება ჭარის ხალხსა, თუ ჭარი აღსდგა, ძელს მდგომარეობაში იქნება ნუ ხა და ამ მიზეზისა გამო შენ უნდა მოსთხოვო პირდაპირ ველიკი ქნიაზსა, ანუ მირსკის, ნასიათელი, რომ რამდენიმე გარეალიონი ეხლავ მოგვაშველონ, თორემ მავისთანა ვაჭარი ქალაქი გაოხრდება და მასუკან ქორპუსიც ვეღარ. იღადგენს. ნუხა რომ წანდეს, მინგიჩაურის პერეპრავაც შეიკვრის და შედგება ეს ვეე-ბა ტრანსპორტებით მოზიდვა ჯარებისათვის პურისა და შასთან ყო-ველივე გაჭრობა, ფოშტები და სხვანი. რაც შეგეძლოს მინვიჩიუ-რი გააშაგრე და შეინახე, თორემ დიდად ძნელს მდგომარეობაში აღ-მოჩნდება ეს მხარე და მასთან ეს ვეება ჯარებიცა!“<sup>1</sup>

ზევინისა და ქიზილ-თაფის სისხლი ჩვენმა ჯარმა აიღო სეკუემ-შრის თვეში ავლიართან და დევე-ბიონუს. რუსის ჯარმა ამ ძღვილებ-ში სულ მთლად დააწარცხა მუქთარ-ფაშის ჯარი.

„ძნელია ჭარმოსადგენადაო,—სწერს პოეტი ბარბალე ორბელიანისას,—მუწ-თარ-ფაშის მხედრობის დამარცხებისა და გაშუცეტის ამბავმა რა გულწრფელი სი-ზარული მოჰყინა მთელს საქრისტიანო საქართველოსა, როდესაც დიდის ხნის გულ-გადამლევ ლოდინის შემდგომ არსენალის სიმაღლეებიდან ზარბაზნის ხმა გაისმა და ტფილის ჩვენი კავკასიის მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვება ეუწყა! საყ-დრებში ზარებმა მორთეს გუგუნი; სახლის ბანები დედაკაცებით გაივსო; ამქრები თავისი დროშებით, გნერლობა, სამოქალაქო სამსახურისანი, მანდილოსნები და ხალხი — ყველა სიონის ტაძრისაკენ გაეშურა, სადაც ექსარხოსმა სადღესასწაულო პა-რაკლისი გარდაიხადა და მოგვეშვა ყველას გულიდან მძიმე ლოდივით ნაწოლი რა-დაც რამ მოსაწყენი გაურკვეველობა. ვაფრინე კავკასიის ყველა მხარეს დეპეშები და მართლმადიდებელი ერი ყველგან სიხარულსა და შვებას მიეცა. მაღლი ძმერთ-სა მხოლოდ ერთსა. ერთი ასეთი გამარჯვება კიდევ პლენასთანა და სასურველი შშვიდობიანობა, თავისი ნათლით მოსილი, დამამშვიდებელი სახით წინ დაგ-ვიდგება“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> წერილი 1877. რიცხვი არ უზის.

<sup>2</sup> წერილი 24 აგვ., 1878 წ.

პლევნაც დაეცა 28 ნოემბერს. პლევნაზე აღრე დაეცა მცირე აზიის ბურჯი და იმედი ყარსი. მალე დამარცხდა სულეიმან ფაშის ჯარიც ფილლიპოპოლთან და ჩევნი ლაშქარინი დაუხლოვდენ სტამ-ბოლს. მეტი საშკელი არ იყო: ან უნდა სტამბოლი აელო რუსის. მხედრობას, ან უნდა ზავი ეთხოვა ოსმალოს. ინგლისის გავლენამ სა-ქმე ზავზე მოავდო. თებერვლის თვეში, 1878-ს, სან-სტეფანოს პი-რობით ომი შესწყდა და ბერლინის ტრაქტატმა, სხვათა შეძენათა შორის, შემოუერთა რუსეთს... არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ე. ი. თითქმის ყველა ის ადგილები, საცა ესახლა ოსმალოს ქართველობა. ძველი თამარის სამეფო ხელ-ახლა ერთს სკიპტრის ქვეშ შეერთა გზა. შეუგნებელმა მათვლით ისტორიამ!

„ასე, ჩემო სოფიო—სწერდა პლეტი სოფიო ორბელიანისას: — უკეთილ მსახურების დიდის იმპერატორის ძლიერებამ დაჲსცა საუ-კუნოდ მაჲმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა, და ჩევნი ძმანი, ძველნი ქართველნი, აჭარა, ლიგანა, ქობულეთი ბათუმით განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდამ და შეუერთა დედა-სა-ქართველოსა, და ალსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვევონა! ალ-სრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის, რომ-ლისა შემდეგსა ეხლა ვერ მიხვდება გონება კაცისა და არის ხილუ-ლი მხოლოდ: მისოვას, ვისისა ნებითა ჰერუნავს სოფელი ესე, და ყოველი მას შინა მსოფლიო მიდის დანიშნულ მისგანვე გზაზე! მილ-ლიონი ქრისტიანენი განთავისუფლდნენ! გაოცებას შეუპყრივარ და ვამბობ მხოლოდ: ეს რა ამბავია? დიდება მაღალთა შინა ლმერთსა, დიდება მართლ-მაღიდებელსა მსახურსა მისისა, ჩვენსა ხელმწიფესა<sup>1</sup>.“

ძლეოლთა და ჩაგრულთა მოსარჩევ ნემეზიდამ აიღო. საქარ-თველოს სისხლი! რაც მაჲმადიანთა უწვალებიათ მართლმადიდებელნი ქართველნი, მაგიერი ეხლა ემართებოდათ ცრუწინასწარმეტყველის თაყვანისძებელთა. მუქთარ-ფაშის დამარცხების შემდეგ პოეტი სწერდა პრინცესსა სალომე მოურატს:

„.... ყოვლად მოწყალემან ლმერთმან... მისცა ძლევა ჩვენს ჯარსა და შეიმუსრი მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვენი, ჩვენის სა-ქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევრი აძევს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის ჩვენს სისხლის ვალსა! ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჲმადიანი პატარა საქართველოს. რათა? რას ვართმევდით? მართალია, ჩვენ გაგვაოხეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს! ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაარ-თვა სპარსეთსა ერევანი, ნახევანი, ყარაბაღი, თალიშის სახანო, შაქი-

<sup>1</sup> წერილი 24 აგვ., 1878 წ.

შირვანი, ბაქუ-დერბენდი და ყუბა; ოსმალებსა—ახალ-ქალაქი და ახალ-კიხე და ახლა მესამედ ართმევენ ყარსსაა აქედამ დაინახავთ, რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩვენი! აი როგორ ძირდფა-სია ქართველების წმინდა სისხლი”<sup>1</sup>!

როდესაც, ომის შემდეგ, ოსმალოს საქართველოდან მოვიდა ქალაქს დიდ-მთავართან დეპუტაცია—ხიმშიევნი, აბაშიძენი, ბეჟანი-შეილები—და ჩვენმა თავად-აზნაურობამ სადილი გაუმართა იმათ, პოეტმა შემდეგი სიტყვებით მიმართა სადილზე მყოფ ქართველ სა-ზოგადოებას:

„ბატონებო!

„რას მოასწივებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან?<sup>2</sup> რასა ვდლესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს-მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შვის ბედისა გამო განშორებულნი, დრდა ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზ-დეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთშანეთი და გადახვი-ვნენ გულითადის სიყვარულითა.

„ჩვენც ეგრეთვე—საქართველოს შეილნი—ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვატანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, შავრამ მაინც-კი არ და-ვიწყებია ლაპორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გჭეჭირა თქვენ-კენ, ბატონებო, და ვინატრიდით, როდეს აღმოვა ჩვენი მზე შეერ-თებისა!! (გ ა ცხორებული ტაშისკვრა).

„და გვისმინა ღმერთმაცა და დღეს ჩვენს შორის ვხედავთ და-შორებულთა ძმებთა. მოხარულნი, ყმადლობთ უფალსა და ვევედრე-ბით, რათა შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურ-ჟეველად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ-ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოისა!!“<sup>2</sup>

პოეტს იმედიც დიდი ჰქონდა, რომ რუსეთს ვერავინ წაართმევდა შეერთებულ საქართველოს, მხოლოდ შიშობდა, რომ ახალი პროცენ-ციის მმართველებს ვერ ეპატრონათ კარგად ხალხისათვის და ამის გამო ხალხი თვითონ არ იყრილიყო და არ წასულიყო ოსმალეთს, რაზედაც იმას ჰქონდა უფლება ბერლინის ტრაქტატის ძალით.

„დიდად მეშინია, —სწერდა პოეტი ლევან მელიქოვს, —რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოის სუდები და არ აღწნდეს. ახალს შეუჩეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, როგორც აფხ-

<sup>1</sup> წერილი 12 ოქტ., 1877 წ.

<sup>2</sup> „დროება“ № 1878 წ.

ჰეთში, საღაც დამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელ იქ შე-სულს ხაზინას და არა იმ ხალხსა, რომელიცა იქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდამ! ნეტავი დაღესტნის ჭორმა უპრავლენისა იქ შეიტა-ნონ, თუ უნდათ ხალხის დამშვიდება და კეთილ-დღეობა“<sup>1</sup>.

მოხუცი პატრიოტის შიში, საუბედუროდ, მილე განხორციელდა. თითქმის მთელი ყარსის მაზრა წავიდა ოსმალეთს.

ჯამ უამად,—სწერდა პოეტი დ. ი. მირსკის, —ყარსის ოლქი წარმოადგენს სამწუხარო სურათს მოხორებისას. 200 ათას სულჩედ მეტი ისმალეთში გადასახ-ლდა. სირცხვილია ჩვენთვის, რომ, ვით ჭირიანებს, გაგვირბის ხალხი! მაშ, ამდენ სისხლს რაღასთვისა ვლვრით, რად ვიმორჩილებთ! სადღაა ის სახელ-განთქმული რუსული ჰუმანიტრი ცივილიზაცია, ან რუსული მეცნიერება, რომლების შესახე-ბაც ჩვენი პუბლიცისტები ასე ბევრს ლაპარაკობენ. უდაბნოებს, აბა, რაში გამოა-დგებათ და ხალხს-კი ველალებით! აჭარაშიაც დიდი უკმაყოფილებაა და ყოველ-სავე ამას ფანატიზმს ამიზეზებენ. რა სიბეცეა. მიზეზი თვალითა სჩანს კარგათა. სტარიკა ერისთავი იტყოდა ხოლმე: არ ცოდნადა უნდობლობაა ერთად შეერთე-ბულიო“.

### ყარსის მაზრას მიჰყეა აჭარაც.

„...თავადი ლევანი ბათუმის ოლქის დასახედავად წავიდა, საიდანაც თით-ქმის მთელი ხალხი აპირებს გადასახლებასაო,—სწერდა გრიგოლი ბარბარე თარ-ბელიანისას.—ასე გაურბიან ჩვენს მართვა-გამგეობას ყველანი: ყირიმი დიდიზანია დაცალიერდა, აფხაზეთიც აგრევე; დაცალიერდა და გატიელდა ყარსის ოლქი; რიგი ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძელესს, საქართველოს ნაწილზე, რომელშიაც დღემდი არის წმინდად ქართული ენა შენახული, სადაც დღემდის არ მოსპობილა ნათე-საობრივი, მეზობლური და მეგობრული კავშირი საქართველოსა და იმერეთის მცხოვრებლებთანა; ძველი ქართული გვარები ისევე მოიპოვება, ძველს ეკლესიებს, სადაც განისვენებენ ჩვენნი მრავალნი მეფენი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მაჟმალის სარწმუნოება მიიღეს, ხალხი ღრმად პატივსა სცემს. სამწუხაროა, მაგ-რამ ფაქტი-კი უტყუარია“.

პოეტის სამუდამო საჩივარს თავად-აზნაურობის დაცემაზე ამის შემდეგ დაერთო ეს ხალხის აყრაც ახალშემოერთებულ პროვინცი-ებიდან. ვერ მოხერხდა სრულად დროებისაგან განშორებულ ძმათა, ქართველთა, ერთად შეუჩა! მაგრამ თამარ შევის სამეფო ხომ შეერ-თდა, ერთი წილი მოსახლეობისა ხომ დარჩა? ესეც დიდი ნუგეში იყო მისი მოხუცებულობისათვის. ამას შემდეგ მხცოვანი პატრიო-ტიც მზად იყო ეთქვა ქვეყნისთვის: „აწ განმიტევე მონა შენი“..., მაგ-რამ ხვედრი არ უჩქარიდა პოეტის სიცოცხლეს.

<sup>1</sup> შერილი პ სექტ., 1878 წ.

## XVII

მეოთხმოცვე წელიც მოახლოვდა, ის დაჭლოცვილი მეოთხშოცვე წელი, რომელსაც წინასწარმეტყველი სდებს კაცის სიცოცხლის სამზღვრად. მაგრამ ორბელიანი ვაჟ-კაცურად გასცილდა ამ ფხალმუნისგან დადგენილს ვადასაც. გასცილდა ირა მიხოწნილი, არა ხმა-მიქნავებული, არამედ სრულის ძლიერებით, მხიარულებით, სიცილ-ყრელით: „დროების“ რედაქტურამ განიხრახა იმისი ოთხმოცვი წლის დღიობის ვადახდა, მაგრამ პოეტმა არ ისურვა ეს დღეობა, არა იმი-ტომ, რომ იმას შემშინებოდეს ხელშეთან ნიზლაობისა, როგორც მოხუცთა წესია, არამედ უფრო იძიტომ, რომ ეჭვობდა „დროების“ ბონაწილე თაობას კარგად, ლირისეულად, ლენგრალ-ჩინოვნიკობისა და სხვათა წოდებათა დასწრებით და შესაბამთა წესით ვადაეხაუა ეს დღეობა. და ძალიან კარგათაცა პქმნა: დღეობა კაცის სიმაღლეზე უნდა ჰყოფალიყო, ან არ უნდა ჰყოფილიყო!

პოეტი დაეშვა ოთხმოცვილიცველს წელში თავ-აწეულად, ქულ-ჩაკეცილად. არც ერთი პარადი, ცერემონია, პანაზებიდან არ ხდებოდა თბილისში უიმისოდე, რომ ის არ ყოფილიყო პირველ ადგილზე მუდაში ნათელი პირისსხით, მუდამ ბრწყინვადე თვალებით, სრული თავისი მუნდირ-ორბენებით აღჭურვილი. მას ვარდა რა ხაზო-გადო კრება იქნებოდა, რომ ის არ ყოფილიყო დამსწრედ. თავდა-აჩნაურობის ყრილობაზე, სააღვილ-მიმელ ბანკში, წერა-კითხვის საზოგადოებაში—რომელისა ჩვი იყო იყო პირველ წევრად—სხვადასხვა. საქელმოქმედო და სამკურნეო საზოგადოებაში ორბელიანი პირველ მომსვლელებთან იყო და უკანასკნელებთან სტოვებდა სხდომის დარ-ბაზს. იუბილეის საღილებზე და პიქნიკებში თავი მომლენი ის იყო დოლზე იმისი ცხენი მიღიოუა პირველად. საუკეთესო სანადირო მწევ-რები იმისი იყო. ღრონი იცვალნენ და მუმტი-კრივი მოისპო ქალაქში, მაგრამ ლოპინას მოყვარეს გული მაინც კინტოებისაკენ ჰქონდა და ამათ ლაშათიანს ლზინს არშეიყო ზა იგი სიკვდილის ღრომის... საჯა-რო მანიფესტაციებისა ცვი მონაწილეობიც იყო და თავი ორატურიკუ-როდესაც დიდი მთავარი კავკასიის. მთავარმართებელი გადატე-რუსეთში, პოეტმა კავკასიის მხედრობის საშელით უთხრა მას მშვე-ნიერებით აღსავსე გამოსასალმებული სიტყვა. ამანვე დაუტებო სუფ-რა მშვენიერის სადღეგრძელოთა არხეოლოგიურ კონგრესის წევრებს, როდესაც მთავრობამ საღილი გაუმართა იმათ სასახლეში...

მის გარშემო კი ამ სახლში სიკვდილი სცელაფდა და სცელაფ-და უწყალოდ მის ღროის კაცთა: ნაცნობ-მეგობართა, მსახურების ამხანაგთა. ოთხს წელში დაეხოცნენ იმას: ბარიათინსკი, ლაზა-რევი, სოსიკო ორბელიანი, ისაკ თუმანოვი, აგლობეიო, ტერ-გუგა-

ჭოვი, დიმიტრი ორბელიანი, ვრეკლე ბატონიშვილი, დიმიტრი გურიელი, ეკატერინე დადიანისა... ამ ხანში მიიცვალა ხელმწიფე იმპერატორიც „ჸვილთა იყლიმა მცყრობელი“. თითოეულს ამათგანს არგუნა პოვტმა თავისი ცრემლი, შენდობით მოხსენება, თითოეული დააფასა იმან ლირსეულად.

ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ადგილი მისი წერილებიდან შესახებ ზოგიერთ აქ ხსენებულთა და სხვათაცა კავკასიაში მსახურთა და ნამსახურ პირთა.

აი რას ამბობს პოეტი ბარიათინსკიზე:

„ვწუხვარ ლრმად სიკვდილს თავ. ბარიათინსკისას, რომელიც გულწრფელად მიყვარდა, როგორც კაცი და როგორც მმართველი ქვეყნისა. ხასიათით, ჩვეულებებითა და ვრცელის თვისის შეხედულებით ეკუთვნოდა უფრო ჩვენს დროს კი არა, საუკუნეს ეკატერინე დიდისასა და მსგავსება იყო მთლად პოტემკინისა და რუმიანცევისაცა“<sup>1</sup>.

### ლაზარევზე:

„კიდევ ერთი მწუხარება! საბრალო ლაზარევი, მოკვდა ტეკ-ტურკმენის წინააღმდეგ ლაშქრობაში, სწორედ იმ დროს, როცა ყოველივე მოამზადა და ჩვენი რაზმი მტრის დასამარცხებლად უნდა მისულიყო. რა უბედობაა! იგი იყო შესანიშავ კართაგანი. შეილი ლარიბის მკერვალისა შუშადან, უწევლელი და უცოდინარი მეცნიერებისა, კავკასიის მხედრობის საუკეთესო გენერლად შეიქმნა. შირვანის პოლკში იყო კაპიტნის ხარისხით, როდესაც დალესტანში წავიყვანე და ჩვენთვის სრულიად საშიშა და მოუსვენარს დროს აკუშა ჩავაბარე სამართველოდ. მაშინ გამოირკა, აი, მისი არაჩვეულებრივი ნიჭიერება. რამდენსამე წლის შემდგომ იგი უკვე დალესტნის მმართველი შეიქმნა, შემდეგ უფროსი დივიზიისა და ბოლოსკი, რუს-ოსმალთა უკანასკნელი ომის დროს, სამაგალითო მტრის შემოვლამ ალაზინის სიმაღლეებზე და ოსმალთა მხედრობის დამარცხებამ, რომელსაც მუხთარფაში წინამძღვრობდა, და აგრეთვე ყარსის ალებამ მოუხვეჭეს მას წოდება გენერალ-ადიუტანტისა და გიორგი მე-2 ხარისხისა. სიკვდილი მისი ამ უამად, როგორც მხედრობისა, ისე ჩვენი ქვეყნისათვის, შეადგენს ერთობ დიდ დანაკლისა“<sup>2</sup>.

### კლუშინზე:

„გავიცან კლუშინი—ბარონის-ფეხი, რასაკვირველია, ყოველივე მსჯელობა მის შესახებ ახლა ჯერ ადრეული იქნება, მაგრამ მაიც მგობია, რომ იგი ეკუთვნის ტელი სკოლის ხალხს, რომელსაც სჯეროდა ლრმად, რომ სიბრაცე და თავხედობა არის სიმტკიცე ხასიათისა, მიუცილებელი ზნეობრივი ძალა ყაველი უფროსისა, ძალა, რომელიც იყავს სამსახურში წესიერებასა, ხარისხთა პატიკისცემასა და დისციპლინასა; ხოლო ზრდილობიანი ქცევა უფროსისა მიუტევებელი სუსტი მხარე, რომელიც სხვადასხვა გვარ ბოროტმოშედებას იწვევს სამსახურში აუცილებლად. პირველად მაიც ასეთი შაბაბჭულება იქონია მან. საბედნიეროდ თვით სამხედრო სამსახურშიც-კი დიტი ხანია გადავაჩუ ასეთი უჯური, ძვაცია, არა ადამიანური, ბრიტული მოპყრობა უფროსისა უმცროსისადმი; მაგრამ როგორ უნდა აიხსნას, ნეტა, ასეთი მოვლენა სამოქალაქო სამსახურში ახლა? არა მგონია, ამ თავისი დახავსებულის შეხედულებით დიდანს იბოვინას აქ კლუშინმა, იმიტომ, რომ გამოცვლა და გარდაქმნა მისთვის უკვე გვიან-ლა ახლა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> წერილი ბარბარე ორბელიანთან 19 მარტს, 1879 წ.

<sup>2</sup> წერილი ბარბარე ორბელიანთან -22 აგვ., 1879 წ.

<sup>3</sup> წერილი ბარბარე ორბელიანისადმი 17 მარტს, 1876 წ.

## მირსკიზე:

„მიყვარდა იგი მთლად ჩემის გულწრფელობით, მასთან მისი ნათელი და შრავალმხრივ განვითარებული გონება და კეთილშობილება ენერგიულის ხასიათისაა. მსახურებდა ჭეშმარიტად თავგანწირულად. ორს ადგილს ტყვიით დაჭრილი მკერდი ნათლად ამტკიცებდა, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, მტერზე გულდა-გულ მისულა საბრძოლად. ბეკრმა სრულიად არ იცის ისე, როგორც მე, რომ მისი ენერგიით სავსე სასარგებლო მოღვაწეობა სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზედ ჯერ-ჯერობით საკანცელარიო მიწერ-მოწერაშია მიჩქმალულ-მიმალული, მაგრამ თავის დროზედ, რასაკვირველია, ლირსეულად დააფასებენ მის დიდ ჭეკუაცა, შორსგამჭვრეტელობასაცა და კაცომიყვარეობის მაღალის გრძნობით აღ-სავსე სასტკი სამართლიანობასაცა“<sup>1</sup>.

## ნიკო ჭავჭავაძეზე:

„რა ყოჩალია ნიკო ! რა დიდი ნიჭი გამოიჩინა! მიზარიან, მაგრამ ჩემს სიზარულს საზღვარი არა აქვს: ის ხომ .ჩემი ქმნილებაა! ამ წინაზედ ქალაქს ვიყავი, მინდოდა დადესტანში მოსაწყენ, მძიმე სამსახურისაგან ცოტა შემესვენა. უცბად დეპეშა მოგვიყიდა მოულოდნელი ამბისა, რომ უკირატლაში ნაიბი აუიოვი მოჰკლეს... და ყველა მცხოვრებინი ამ საზოგადოებისანი აჯანყებულნი არიანო. ორი დღის განმავლობაში ნიკო ბოტლიბში მიიღოა, რიზიანად შეუყვირა გმირულად მაშინვე 7 ათასამდე შეიარაღებული ლეკი შემოკრბა, წავიდნენ, მიანგრიეს და მოანგრიეს გამაგრებული სოფელი აჯანყებულთა, მოთავეები ზოგი დაიჭირეს, ზოგი დახოცეს, მთელი საზოგადოება შურაში გადაასახლეს და ამ რიგად აჯანყება სულ რამდენსამე დღეში მოსპეს! თავისი ფართე ბუნებითა, ვნებითა, სიფიცინითა და ხასიათის სიმტკიცით ნიკო ძალიან წაგავს ძმას—ილიასა, ხელმწიფელსაცა და მემკვიდრესაც ძალიან მოეწონათ იგი“<sup>2</sup>.

## გიორგი შუხრანსკიზე:

„14 იანვარს, გიმნაზიის ეკლესიაში... დიდმა მთავარმა ჩემის მევობრის გიორგი მუხრანსკის პარიუში გარდაცვალების სამწუხარო ამბავი მაცნობა. ვერ ჭარმოიდგენ, როგორ შემიძყრაო სულის სილრმეტდე ამ მძიმე მწუხარებამ. პირი შემეკრა, ასუზი ვეღარ მივეცი და ვიდექ გაქვავებულივით, თითქოს კიდევ რასმეს ველოდი. ცნობიერება-დაკარგულმა ტრუბეციონისკენ გაესწიე, აქედან გრიგოლ დადიანთან და მხოლოდ-ლა შემდგომ გაესურე პაშა-ვინ ტგენშტეინთან ერთად ივანე მუხრანსკისკენ, სადაც მწარედ მოერთე ცხარე ტირილი. დიახ, სამშობლომ დაჰკარგა საუკეთესო შეილი, ჩემნა საზოგადოებამ—საუკეთესო წევრი და მე კიდევ—საყვარელი კაცი, რომლის წმინდა სულსა და-ნათელ გონებასაც გულწრფელად ვაფასებდით...“

და სხვა წერილებში ამავე მუხრანსკიზე: „ბეკრი დრო გაივლის, რომ საქართველომ ვეღარ ახილოს ვინმე ქართველთაგანი ასული ამ პატივის სიმალლეზე, რომელზედაცა გიორგი იდგა ლირსებითა, გონებით, ჰსწავლით, გულით, ხასიათით. ჩემნდა საუბედუროდ, ზოგიერთა დაბრმაეცებულთა მის ჩინდათ იგი საქართველოს მტრად-ოპკე, სიბოროოტე და წყეული შური სადამდის აბნელებს კაცის

<sup>1</sup> წერილი ბარბარე არბელიანისადმი 1879

<sup>2</sup> იმასვე . 26 იანვ., 1877 წ.

გონებას! ნეტავი საქართველოს პყავლეს მაგისთანა ერთი კიდევ გიორგი...“<sup>1</sup>; „... გიორგი იყო... ტიდად მოყვარე თავის ჭვეუნისა თუმცა მისი გრძნობა ესე არ სჯეროდათ მრავალთა, დაბრმავებით უბადრუქთა! მე კი უზომოდ მოყვარდა იგი და მიხაროდა მისი საქართველოს შეილობა; და აწ მამული ჩენი უმისოდაც მეტად ლარიბი კაცობითა, უმეტესად შეიქნა ღაგლაბაკებულ. მეტად შეწუხებული ვარ ესრეთის საზოგადოდ სამტირალოს შემთხვევითა, ვხედავ რა, რომ მისი ადგილი დაცალიერდა ჩენთვის, თითქმის სამარადი-სოდა“<sup>2</sup>.

### ღონდუკოვ-კორსაკოვგზე:

„ქ. ღონდუკოვი არის ისეთი კაცი, რომელსაც არ დავიწყებია საქართველო და რომელმანცა იცის ჩედ შიწევნით არათუ ნარტო მისი მდგომარეობა, არამედ მრთელის კავკასიის მხარის; იცის რაც არის და რისაგან მოხდა გვიცა და კარგიცა წალენის მოყლაში; იცის ჩენის სუდების ნაკლულევანებაცა და მის გამო დამტკირება გუბერნატორობისა, ესე იგი ადმინისტრაციისა, და ამით გახშირება ავაზაკობისა, ქურდობისა, ხალხის აკლებისა; ჰსფრის იმის გასწორება, მაგრამ, მგონია, პეტერბურგში არ ეთანხმია, რომ ლუბერნატორობამ ნიილოს მონაწილეობა უკოლოვნის საქმის გაღაწყვეტილებაში და ამით აღადგინოს გუბერნატორობის თაცემული ძილი და უფლება; იცის ზედ მაწევნით ჩენის თავაღ-აზნაურობის დაგლაბაკება და სცდილობს, რომ ეგების ებატოს პრიკაზის ვალი, ანუ გაუადგილოს ვალის გაღაწყვეტა და ეს საქმე მომანდო მე და ვნახოთ ლმერთი და ზედი. და არის ჩაყურყუშავებული ამდენს საქმეებში დილითვე წვიდ საათიდამ ოთხს საათაშევე; არის ისეთივე მხედ, ისეთივე მოლაპარაკე, თავ-მდაბალი, ისეთივე გულით, სულით, სახითაც, მხოლოდ ჭალარი გამორევია“<sup>3</sup>.

შემთხვევა მოვცემს და პოეტის აზრს ზოგიერთ სხვა პირებზე ჩენ დავბეჭდათ ცოტა ქვემოთ, ეხლა კი მოვიგონოთ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა, კავკასიის გამოჩენილი მხედარნი მსახურებლენ და წარმატებაში შედიოდნენ ორბელიანის ხელ-ქვეით.

„გავბედავ და დავიკვეხებ, — სწერს პოეტი სამეცნიელოს მთავრინას ეკატერინა დავიანისას, — რომ ვინც გაიარეს ჩემს ზოლაში, ყველანი გამოვიდნენ განსხვავებით გამოჩენილნი: რაღეცი, ტერლუკისოვი, ლაზარევი, ლიმიტრი ჯორჯაძე, ღენერ. ასტაფიევი, დივიზიონის ნაჩალნიკი ილექსანდრე თუმანოვი, უდრიოდ მკვდარი იგანე.

<sup>1</sup> წერილი ნიკ. ჭავჭავაძეს 17 თებერვ., 1877 წ.

<sup>2</sup> წერილი ნესტორ წერეთელს 21 იანვ., 1877 წ.

<sup>3</sup> წერილი ივანე ორბელიანს 20 მაისს, 1882 წ.

ბავრატიონი, ეგრეთვე სოსიკო ორბელიანი და ალექსანდრე ორბელიანი, ლენერ. ბრუსილოვი, დამბლად დაცემული ლენერ. ლეოტ. ლოპე, აკოლნიჩი და თვით ცოტა ოდენად ლრაზი ლორის-მელიქოვიცა, რომელიცა პირველად მე დავნიშნე დერბენლის გრადონაჩალნიკიდ და სულ ბოლოს ჩემი საკუთარი ნიკო ჭავჭავაძე, ელისავეტოპოლის ლუბერნატორი, რომლისა მსგავსი არავინა გვყავს ლუბერნატორებში<sup>1</sup>.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ თვითონ დონდუკოვი კარსაკოვი, შემდეგ კაფეასის მთავარმართველი, მის ხელქვეით მსახურებლა, როდესაც პოლკის კამანდირად იყო დალესტანს და ორბელიანი კასპიის მხარის ჯარების მთავარ სარდლად. ამ დროებიდან ჩვენამდის ჩამოულწევია ერთს საანგდორზო ამბავს იმათ შესახებ. როდესაც პირველად დალესტანში მოვიდა მთავარმართებლად დანიშნული ბარიათინსკი, — რომელსაც არ უყვარდა დონდუკოვი ვარანცოვის დროიდანვე, — ერთს რომელილაც მოგზაურობაში დონდუკოვი ცხენდა ცხენ შისღევდა მთავარმართებელს, რომელსაც ეკიპაჟში გრიგოლ დიმიტრიჩი უჯდა. კარგა მანძილი რომ გაიარეს და პოეტმა დონდუკოვს დაღლა რომ წეატუ, ჩაულაპარაკა ბარიათინსკის:

— Ваше Сиятельство, князь Дондуков страшно утомился.

— Ничего, это поубавит у него спеси! — უთხრა მთავარმართებელმა.

პოეტის მიწერ.მოწერიდან ვხედავთ, რომ დონდუკოვიც ცდილობდა მაგიერი გადაეხადა ბარიათინსკისათვის. 1859-ს, როცა ევლოკიმოვის ანგარებაზე ლალადებდა ქვეყანა, პოეტი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს:

„მთავარმართებელს პოვეიდა ხელმწიფისაგან წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ჰსწერს ევდაკიმოვზე, ესე იგი ამის უზომის ანგარებაზედ. ამასავე ვაენნის მინისტრიცა ჰსწერს და ორივე ურჩევენ, რომ მედგრად თვალ-ყური ეჭიროს და თუ მართალი იყოს ეს ხმები, გამოცვალოს კიდევცა. რასაკვირველია, მთავარ-ბართებელს ძალიან ჰსწყინს ამ გვარი ხმები ევდაკიმოვზე და ასე ცოცველსავე აბრალებს კრიაზს დუნდუკოვის ინტრიგებსა“<sup>2</sup>.

დიდი მთავრის მიზაილ ნიკოლოზის ძის გადასვლა კავკასიიდან რიდად სწერნდა გრიგოლ დიმიტრის-ძეს. ჯერ ერთი, რომ ის შინაური კაცი იყო დიდ მთავრის სახლში, და მეორე, ხელმწიფის წევრისაგან დატოვება კავკასიის მხრისა თავის-თვალ დასაკლისი. იყო

<sup>1</sup> წერილი 24 აგვისტ. 1879 წ.

<sup>2</sup> წერილი 6 იანვ. 1859 წ.

ქვეყნისათვის. თბილისს კარგად ახსოვს ის მშვენიერი გაზაფხულის დღე—26 მაისი—როდესაც მთელი ქალაქი ორ წელიწად გამწკრივებული სიონის სობოროდან რკინის გზის საფეხურამდის მოუთმენლად ელოდა დიდი მთავრის გამოვლას გამოსათხოვებლად. ეტლი გამოჩნდა და მასზე დიდი მთავარი და მის გვერდით გრიგოლ დიმიტრიჩი. პოეტმა ჯერ სიტყვა უთხრა სასახლეში კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალს კავკასიის მხედრობის სახელით და შემდეგ გააცილა იგი ვაგზლამდი (კორპუსის კამანდირი დეველი მეორე ეკიპაჟში იჯდა დიდი მთავრის შვილებთან). აუწერს რა ამ გაცილების პოლკოვნიკ ერმოლოვს, პოეტი სწერს, სხვათა შორის:

„...დიახ, ძმაო ჭლადი, ეს იყო ჭეშმარიტად იმპერატორის შვილის ღირსი გაცილება და არა გაცილება გენერალი მურავიოვისა, რომელსაც თან ახლდა— სათქმელადაც-კი სირცხვილია—მხოლოდ ივან მინაიჩ მირზოვი, ისიც მხოლოდ ანანურამდის. აი, როგორი მოწიწებითა და პატივით ეპყრობა აქაური სალი საიმპერატორო გვიარეულობის დიდებასა!“<sup>1</sup>

დიდი მთავრის წასელის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს ამ სტრიქონის მწერალს შეხვდა ყოფნა პოეტთან-ლაპარაკი, რასაკვირველია, მთავარ-მართველზე ჩამოვარდა. დიდი ხნის მუსაიფის შემდეგ იმან ჩვეულებრივი თვისი მხიარულებით სთქვა: ეჭ, რაც იყო, იყო! „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა!“

ჩვენ ძალას ვატანთ ჩვენს თავს, რომ შევწყვიტოთ აქ პოეტის პირების გაღმოწერა შესახებ სხვადასხვა პირთა და გარემოებათა. მისი წერილების რიცხვი გამოულეველია და ამ წერილში არის გამოულეველი სიმდიდრე გონებისა, გრძნობისა, დაკვირვებისა და კაცს ყოველთვინ გინდა იმათი კითხვა. მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს, ყველაფერსა აქვს თავისი დასასრული და ჩვენ, უამისოდაც უსისტემოდ მოლაპარაკენი შემდეგ პოეტის იუბილეისა, თავს ვანებებთ პოეტისგან დაწერილი ნეკროლოგების ამოწერას, რომ გადვიდეთ თვითონ პოეტის ნეკროლოგზე...

მაგრამ ჯერ კიდევ ერთი გარემოება. პოეტის ბიოგრაფია არ იქნება სრული, თუ რომ იმის ბოლოს—სანამ კაცი ჯერ ისევ ცოცხალია—არ ვილაპარაკეთ იმის წასიათზე, ჩვეულებაზე, გემოვნებაზე, შინაურ ცხოვრებაზე, ესე იგი საზოგადო ასპარეზზე მოღვაწის აღწერის შემდეგ თუ არ აღვწერეთ კერძო კაცი სრული თვისის ლირსებითა და ნაკლულევანებით. ამ საგანს გვინდა შევწიროთ ორი შემდეგი. თავი.

<sup>1</sup> წერილი 20 ივნ. 1881 წ.

## XVIII

ჩვენში და საზოგადოდ რუსეთში კრიტიკა და ბიოგრაფია, რა-  
ლაც გვარ სალიტერატურო ზრდილობის ბრძანებით, შინაური ცხოვ-  
რების აღწერაში ერთობ ხელმოჭერილია. „ჩემს ოთახში ვის რა ეკი-  
თხვის რა ხდება“ — აი საფუძველი ამგვარი დარბაისლური საქციე-  
ლისა, რომლითაც ჩვენ თავი მოგვაქს და ვგმობთ განუსჯელთა და  
ენაჭარტალა ევროპის მწერალთა, რომელნიც — აქ პატივი მომით-  
ხოვია — იმასაც კი გვატყობინებენ, რა ჰქვიან სახელად სარჩა ბერნა-  
რის გოგოს (ჭელისი), ან რა ერქვა იმ ცხენებს, რომელთაც მიჰქონ-  
დათ საფლავზე ვიქტორ ჰიუგოს ცხედარი (ჭანჭარი და ჭლორელ-  
ლა). ჩვენ უნდა ვულალატოთ ამ შინაურს დარბაისლურ ზნეს და მო-  
ვიყვანოთ აქ სულ ყველაფერი, რაც კი ჩვენ გაგვიგონია, ან თვითონ  
ვიციოთ გრ. ორბელიანის პიროვნების შესახებ. „საყვარელი კაცისა  
ჩვენ სულ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“ — აი საფუძველი ამგვარი  
უსაზღვრო ცნობისმოყვარეობისა.

თუ თბილისში. გიცხოვრიათ, რასაკვირველია, გეროდინებათ,  
სად. რა ალაგის არის გრიგოლ ორბელიანის სახლი<sup>1</sup>. ძვე-  
ლიდანვე ამ სახლის. არე-მარე შეადგენდა ორბელიანთა გვარის  
სამყოფ ადგილს და იშოდებოდა ორბელიანთ უბნად. აულად. ამ აულში  
ცხოვრობდა სარდლიანთ ოჯახი, ასლანის ოჯახი, გიორგის ოჯახი, ზუ-  
რაბ — პოეტის მამა და სხვ. ზურაბის დიდი, ორსართულიანი, ფართო  
მოაჯირით შემოვლებული სახლი ისევ ისე დარჩა პოეტის ცხოვრება-  
ში, როგორც იმის მამის დროს იყო. ადამის დროული არხიტექტურა,  
ფართო, ყოველს მცენარეს და ყვავილებს მყელებული ეზო, შეულესელი  
უშნო გალავანით და ალაყაფის კარებით; გაღაენის ერთ ყურეში წვიმი-  
სა და მზისაგან გახუნებული ფიცრის საჯინიბო, სახლის გვერდით სასა-  
ხლის ეკლესია, — აი რა შეადგენდა სასხლის გარემოს. პოეტს ამ უნ-  
დოდა სიძვეული მოსულ სახლის განახლება.

„Для меня дорог по воспоминаниям этот старый, невзрач-  
тный дом, в котором жили и умерли мои родители, мои братья,  
и, признаюсь, для меня было бы невыносимо его обновление“ —  
უწერდა პოეტი გრიგოლ ბატონიშვილს<sup>2</sup>.

სახლის შესასვლელი ეკლესიის პირდაპირ იყო; კარებზე არც  
რიგიანი ჩარი, არც მოსამსახურე რომ შეაღებდი კარს — მე ვამბობ  
იმის ცხოვრების საჩ თოხ უანასკნელ წელზე, როდესაც მე მქონდა  
ბედნიერება იმის ცნობისა — წინა ოთახში გხვდებოდა ოთფიანი სალ-  
დათი — ნაშთი ძველი დიდებისა — რომელსაც არაფერი ეკითხებოდა  
შინაურობისა (რაღგანაც იცვლებოდა საათობით). შედით, პალტო  
გაიხადეთ, ჩამოკიდეთ კედელზე და შეალეთ დარბაზის კარები. არავინ

<sup>1</sup> დაწერილია 1885 წ.

<sup>2</sup> წერილი 11 სექტ. 1875 წ.

არის. ვეებერთელა ზალა სკამებით გარშემო შემომწერეული, რომელშიაც არც სტოლი დგას, არც დივანი, არც ტახტი. თუ კარების ხმამ გააგონა ვისმე მოსამსახურეს თქვენი შემოსვლა, ხომ კარგი, თუ არა და გასწით პირდაპირ და შეაღეთ ის დიდი კარები, რომელიც გზაზე დაგიხვდებათ. ამ კარებს შეყავხართ თქვენ პოეტის კაბინეტში..

კაბინეტსაც ატყვია სიძველე, ნამდვილი ქართული სიძველე-მარჯვენა კედელზე მიკეთებული თაროები სავსეა წიგნებით, რომელთა ტყავის ყდაზე იყითხება წარსული პერიოდი წიგნის შემკვრელთა ვინაობისა. სტოლები მარჯვნივ და მარცხნივ, თვითონ სამუშაო სტოლი, ფანჯრები და ბუხრის თავი სავსეა არეულად დაყრილი, მტვრიანი ქალალდებით, გაზეთებით, წიგნებით, სურათებით, კარტებით. კედლებზე რამდენიმე ნაცნობი სურათები: ვარანცოვისა, ბარიათინსკისა, შამილისა, სამეგრელოს დედოფლისა. არაფერს არ ეტყობა ხელოვნება, კაბინეტის ლამაზად მორთვის სურვილი, არსად არა, ჩასა ქალის ხელი.

რომ შეხვედით პოეტთან, წიგნის კითხვაში ან წერაში გართულმა მასპინძელმა წამოჰყო თავი, ფართოდ გაშალა ორივე ხელი, ერთი შესძახა ჩვეულებრივი პოო! — ნიშანი კმაყოფილებისა, წამოდგა, მოგეგება, მოგავლო ხელი და დაგსვა პატარა, მრგდალ სტოლთან, თავის პირდაპირ.

— აბა, ბატონო, სადა ხართ, რასა იქთ? ასე დავიწყება იქნება? რა ამბავია? ბულვარზე ვინ არის, მიხეილ ერისთავისა და საგინოვის გარდა?

და მოპყქებოდა მუსაიფს, მაგრამ რა მუსაიფს. არა, ვისაც არ უნახავს გრ. ორბელიანი გულდამშვიდებით, ტკბილად მოსაუბრე ნაცნობ-მეგობართ შორის, ის თავის დღეში ვერ შეაღგენს პოეტზე დაახლოვებულ აზრსაც. მარტო იმის ახლო, იმასთან ლაპარაკის-დროს, როდესაც ის თავის მოსაუბრეს მაღლიანად შეხედავდა და გულიდან გარდომოფენილს ნათელში გაახვევდა, რწმუნდებოდა კაცი, რა გამოულეველი წმინდა, მოგაშკამე წყარო იყო ეს კაცი კეთილგონიერებისა და შალალი გრძნობის. არცერთი საგანი, არცერთი კითხვა არ იყო კავკასიაში, რომელზედაც მას არ შესძლებოდა ლაპარაკი en maitre, არა ერთი კაცობრიობის გონების მაღლევებელი კითხვა არ იყო, რომელზედაც იმას არ შეეღგინა თავისი, ქართული, აღმოსავლეთის ქრისტიანის აზრი. და რა სიტკბოება უნდა ჰქონოდათ პოეტის ბავეთ ლაპარაკის დროს? ყოველ ხელობას, ყოველ არაკს თავის ენით ემუსაიფებოდა, თავის გრძნობით უსმენდა. ეს იშვიათი ნიჭია, რომელსაც შემოქმედი აძლევს მხოლოდ რჩეულებს. საშუალო კაცი სათვის, შეტაღრე მი ხუცებულობაში, დახშულია გულიც, ყურიც სხვა-

არაკისათვისაც და სხვა ხელობისათვისაც, — ის მხოლოდ თავის ხელობას ხედავს და თავის არაქს. რამდენად მჭრელი გრძნობა პქონდა ორბელიანს და რამდენად გახსნილი იყო იმისი გული ახალი შთაბეჭდილებისათვის, ამას შემდეგი ამბავი გვაჩვენებს, რომელიც თვით პოეტისაგან გაგვიგონია:

— ერთხელ ჩემთან მოვიდა, — გვიაშო პოეტმა, — სიმთვრალის გამო სამსახურილან გამოვდებული იფიცერი, კარგი ოჯახის შვილი, დიდად განათლებული, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი სამსახურში ყოფნის დროს. იმას ყველაფური გაეყიდნა, რაც რამ ვააჩნდა, და თითქმის პერანგის ამარა მოვიდა ფულის სათხოვნელად. მე დიდად მეწყინა იმის დანახვა, დავტუქს კარგად, ვაჩუქე რაღაც. და დავით-ზოვე. ჩემგან რომ წავიდა, ბიჭებისთვის ეთქვა:

— ეჭ! კნიაზმა რა იცის, რა დიდი ნეტარებაა, როცა დილა ადრიანად დუქნის წინ დგეხარ. კაცი, კარების გალებას ელი და გაალებენ თუ არა, იმ სიცივეში გარდასცეცხლავ ერთ ჭიქა არაყსაო.

ჭეშმარიტად, ეს სიამოვნება ჩემთვის მიუწვდომელია, თუმცა კი, ვინ ციის, ეგებ მართლა ნეტარება იყოს ამ ამბოთ არყის დალევაო, სთქვა პოეტმა. იმას თითქო ენალვლებოდა, რომ ეს გრძნობა გაუგებარი იყო მისთვის.

პოეტი ყოველი ლონისძიებით ცდილობდა გაერთო თავის სტუმარი, რაც უნდა აბეჭარი ყოფილიყო იგი. დალესტანში ყოფნის დროს მასთან მოდიოდა ყოველდღე, დღიურის რაპორტით, თემირ-ხან-შურის კამენდანტი და ეს კაცი ერთობ დიდხანს რჩებოდა თავაზიან მასპინძელთან: განსვენებულმა დავით ჭავჭავაძემ გვითხრა: ერთხელ მე გრიგოლს ვახლიდი და მოსამსახურებ კამენდანტის მისულა მოახსენაო.

— ეხლა მოვა და აღარ გაათავებს, აღარ წავა! — სთქვა. სიძრა-რით პოეტმა.

— ბატონო, უბრძანეთ და წავა.

— აბა, როგორ ვუთხრა, თვითონ უნდა მიხვდეს. მასპინძელი ვარ, სტუმარი როგორ დავითხოვ? ეჭ, მახლას! დრისით!

მეორე მაგალითს თითონ პოეტი სწერს ერეკლე ბატონიშვილს:

„...ახ! ნეტავი-იცოდეთ, ეს წერილი ვინ გამაშვებინა და მომაც-დინა მთელი დღე? აი ბედი!

— ბატონო, მომახსენა ჩემმა სოლომონკამ, ვიღაცა ჲ...ვი გია-ხლათ და ჰსურს თქვენი ნახეა.

— მობრძანდეს! — მაგრამ ცუდად, უგემურად დავიბლარჯე.

და შემობრძანდა მორთული მონადირის ტანისამოსით<sup>1</sup> თქვენი

<sup>1</sup> წერილი ტაბახმელიდან არის.

საყვარელი ზ...ვი! — დიახ კარგი, მე არ გეცილებით ამას, იყოს თქვენი საყვარელი; მაგრამ, შაგრაძე ჩემი რა ბრალია, რომ მე, ვითარცა მასპინძელსა; მაქვს მოვალეობა, რომ გაფანებივრო, გავაგრილო, შევაქციო სხვა და სხვა ანეგდოტების მოგონებითა ეს მოულოდნელი სტუმარი, რომლისა ნახვა, სწორედ მოგახსენო, და ან რა მოგასენო? მახლას, ეს დღე ჩემთვის წავიდა შხამად და ბრაზად. არც ანლა. შემიბრალებ!

სხვადასხვაობა სალაპარაკო საგნისა გამოულეველი იყო პოეტისათვის. იმან ყველაფერი იცოდა, იცოდა სხვაზე ადრე, სხვაზე უკეთესად. უფრო ხშირად კი იმის ბაასი ტრიალებდა, — ეს ზემოცა ვთქვით, — თავად-აზნაურობის წალმაუკულმართობაზე, იმისი გვაროვნობის დამცირებაზე, სომხების დაწისაურებაზე. როცა ამ საგნებს შეეხებოდა ლაპარაკი, პოეტი იცვლებოდა პირისსახეზე; თვალები აენთებოდა, იმის ხმას ნაღველი გადაეკვროდა და ენა დაიწყებდა ლაპარაკს წამლეკავის, წარმტყვევნელის სიმჭვრით.

„ეჰ! იღუპება, იღუპება საქართველოს თავად-აზნაურობა! საცაა მოვა წარლვნაც და შთანთქავს ყველას. იქნეა ერთი-ორი ბედნიერი-ოჯახი მოპყვეს ნოეს კიდობანში, თორემ სხვა ერთიანად უნდა განკერეს დედა-მიწიდამ, ღვთის რისხვა არის ჩვენზე შოსული, ღვთის რისხვა!

ან როგორ უნდა არ გამქრალიყო ამა სოფლიდან ბეჩავი ქართველი, რომელსაც ასე უწყებოდ სდევნიდა ხვედრი. ნახევარი საქართველო პრიკაზისა იყო, ნახევარი—სომხებისა.

როგორც ნამდვილი ძველი ქართველი, გრ. ორბელიანი არ იყო მტერი სომხებისა. სომეხთ შორის იმას არა ერთი. გულით საყვარელი შეგობარი ჰყავდა, როგორიც იყვნენ, მაგალითად ტერ-ლუკასოვი, ლაზარევი, ლორის-მელიქოვი და სხვანი მრავალნი ბებუთაანნი, თუმანიანნი, ყორლანიანნი, არლუთაანნი. მაგრამ წრეს ჭაღასული ანგარება ამა ხალხისა ჰბადებდა შასში ანტიპატიას იმ წოდების შესახებ, რომელიც ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით ცხოვრობს და რომელსაც მთელი კახეთი დაგირავებული ჰქონდა. იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ დამდიდრდნენ ზოგიერთი სომხებს ქართველების ოფლით, პოეტმა გვიამბო ერთხელ შემდეგი გასაოცარი ამბავი.

— როცა თბილისის გენერალ-გუბერნატორად ვიყავი — სთქია პოეტმა — ჩემთან მოვიდა ერთი კუმისელი გლეხი და შემეხვეწა, გამომეხსნა ის უღმერთო მოვალე სომხის ხელიდან, რომელიც ათ თუმან ფულში ერთ ურემ ღვინოს ართმევდა სარგებლად ყოველ წლივ. ეს

<sup>1</sup> წერილი 3 აგვ. 1873 წ.

სარგებელი იმ ზომამდის გარდამეტებული და დაუკერებელი იყო, რომ მე დავიბარე მოვალე სომეხი.

— ღმერთი არ არის შენში, ძმობილო, რომ ასეთ საშინელ სარგებელს ართმევ ამ საწყალ კაცს? არა გრცხვენიან?

— რა ვქნა, ბატონო, ნალდი ფული მიმიცია; თქვენც მოწმე ხართ, ფულს სარგებელი უნდა.

— როგორ თუ მე მოწმე ვარ! ამისთანა ულმერთო სარგებლის მოწმე მე რად ვიქნები?

— აი, შენი ჭირიმე, ნახეთ, თუ თქვენ არა გაქვთ მოწერილი ხელი.

ამ სიტყვებით მოვალემ გამომიშვირა თამასუქი. გავხსენ და გულს ელდა მეცა! ჩემგან ხელმოწერილი კი იყო ეს ქალალდი, მაგრამ როგორ? „პარუჩიკი თავადი გრ. ორბელიანი“. პორუჩიკიდან მე გენერალ-აღიუტანტი გაუხდი. მთავარმართებლის მოვალეობის აღმასრულებელი შევიქნ და საწყალი გლეხი კი სულ ყოველ-წლივ იხდიდა ათ თუმანში ერთ ურემ ღვინოს. მე ავენთე, ცეცხლი მომეკიდა და ფხრაწ! ფხრუწ! დავხიე ის თამასუქი, პირში მივაყარე იმ სომეხს სიტყვებით: „წატი, მიჩივლე საცა გინდა, შე ულმერთო“ და გავაგდე ჩემგან! ახლა თქვენ იანგარიშეთ, რამდენი ათი თუმანი წაილო იმ სომეხმა 25—30 წლის განმავლობაში.

ორბელიანის გვარზე ლაპარაკს ერთხელ შევესწარ პოეტან და არ შემიძლია არ ავსწერო მთელი სცენა. ერთ სალამოს, მე, რომ ვიყავი ისე, შემოვიდა პოეტან გენერალი საგინოვი.

— წაიკითხეთ, კნიაზო?

— რა?

— ტიფლისსკი აბიავლენია:

— რაო?

— აი, ჩვენ... X... ზე რომ დაუწერიათ?

— ვინ X...ზე?

— ჩვენს ო-ზე.

— რაო?

— სუდებნი პრისტავმა ცხენი უნდა გაუყიდოსო.

— რათა?

— ვალი მართებია და იმის გასასტუმრებლად.

— აჲ! ეგლა აკლდა ჩვენს ოჯახს! გზაზე პრისტავი დაუხვდეს ჩვენს გვარის კაცსა და ცხენიდან ჩამოჟვას! ვაი, სირცხვილო!

ესა პსთქვა და პოეტი წამოდგა თავის სავარძლიდან. მეტის-მეტი მღელვარებისაგან იმან დაიწყო ოთახში სიარული ჯერ წყევითა და გინებით, მერე ხმაგაქმენდილი, დაღუმებული. ერთხანს და-

დიოდა ასე და მერე მოგვიახლოვდა ჩვენ და ნაღვლიანად, ამოოხ-  
ვრით სთქვა. პუშკინის პოემიდან:

Так вот судьба твойх сынов,

О, Рим, о, громкая держава!

მივდიგართ ორბელიანნიც. საშველი არსით არის, მივდიგართ!  
მახლა!“

მაგრამ ყოველ ამგვარ სამწუხარო მოგონებას ან გაგონებას, ყო-  
ველ სულიერ კვეთებას პოეტი რალაცნაირის მაღლით, მარტო მის-  
თვის მინიჭებული მაღლით, რალაცნაირის მანქანებით ერთბაშად გა-  
ნაქრობდა და ერთი-წამის წინად მოლრუბლულ სულს ეფინებოდა  
მხიარულების სხივი, მოლვრემილი შუბლი სწორდებოდა, პირისახე  
იშლებოდა და ტუჩები შეიქმდენ ღიმილს.—რუსთაველი სწორედ ამ  
გვარს კაცსაა რომ უწოდებს „სევდისა მუფარახად“. უსიამოვნო  
ლაპარაკს გულთმისანი მოშაქრიდა სხვადასხვაგვარის სასაცილო  
ამბებით, ანეჯლოტებით, ხუმრობით.

მისი ხუმრობა, მასავით კეთილი, უწყინარი, ლაშათიანი, არ იყო  
გესლიანი, არც მწყვლელი. ერთ ნათესავ ქალს, რომელიც ხში-  
რად ნატრულობდა პარიუის ნახვას, პოეტი ეუბნება:

— ძალუა, რა დაგემართა, სულ პარიუი, პარიუი. ჩვენი პარიკმა-  
ხერი ბერლემონი ხომ გინახავს? წარმოიდგინე ერთი მილიონი ბერ-  
ლემონი და მაღალი, ძალიან მაღალი სახლები და ვითომ პარიუი  
გინახევს.

მეორე ძალუას, რომელიც საზღვარგარეთ იყო, ისა სწერს:

„... გეყოფათ, კარგია, მაგდენი ტანტალი. რით ვერ შეიტყეთ,  
რაც ვენა არის, ის არის პარიუიც, მილანიც, უენევაც, ბერლინიც,  
რომიცა! განსხვავება არის ისა, რომ ზოგი დიდია, ზოგი პატარა და  
უენევაში არის ტბა, როგორც ჩვენს კუმისში, პარიუში არის ტულიე-  
რი, რომში სობორო პეტრე-პავლესი, მილანში თეატრი, სკოლა, სულ  
დიდრონნი შენობები, და რა უყოთ? მაგაზინებიც ერთი და იგივეა.  
გეყოფათ, წამოდით. აქედამ მილანამდის იარე, იარე და კუმისის  
ლელვი კი ნახ; აბა რას დარბიხარ ტყვილად“.

ათასში ერთხელ კი მისი ხუმრობა საშინელ სატიროდ გადაეკ-  
ვროდა ჩვენს საზოგადოებას,

ერთი მაგალითი მრავალთაგანი:

ჩვენი ყმაწვილი კაცების უთავბოლო სწავლას და ნასწავლის ცხოვ-  
რებაში გამოუყინებლობას პოუტი სასოწარკვეთილებაში მოჰყავდა. ერთ  
ყმაწვილ კაცს, რომელიც რუსეთში აპირობდა წასვლას, პოეტი ეუბნება:

— წადი, შვილო, ღმერთხა ხელი მოგიმართოს, მაგრამ, გეთაყ-  
ვა, ავრონომი ნუ მოხვალ.

ორბელიანის მიწერ-მოწერა სავსეა ამგვარი ოხუნჯობით. შორს რომ არ წავიდეთ, გადმოვწერთ აქ სამიოდ-ოთხიოდ ნი-შუშს.

ნაწყვეტი ბაბალე საგინოვთან მინაწერის წიგნიდან:

„... მოვედი ზაქათალას და დამზღვდა სამხიარულო ამბავი: ილიკოს ორი ვაჟი- ეს მე არ მიკვირს: მე რომ ცოლი შევირთო, სამ ვაჟს ვაყოლებდი...“<sup>1</sup>

ლევან მელიქოვთან მიწერილ წიგნიდან:

„... ეყოლა ვაჟი იაკინთეს ქალსა. ეყოლა ვაჟი ჩემს დისტულ ჩინუცასა და სხვათა ცხრათა სულ ვაჟები. დიდი ომიანობა უნდა მოხდეს ამ ანგარიშით...“<sup>2</sup>

ამასთანავე მიწერილ წიგნში, როდესაც პოეტი იყო სამოცდა-სამი წლისა, ჩენ ვკითხულობთ:

„რაც შემიძლიან, ვარშიყობ; მთავარმართებლობას თურმე ასე სცოლნია“<sup>3</sup>.

ის სწერს პოლკოვნიკ ერმოლოვს, პეტერბურგს:

„... გვიცნი შენც და შენ ბავშვებსაც, 18 წლის ქალიშვილსაც-კი, არა უშავს-რა, შეიძლება სამი ათასი ვერსის მანძილზე მხურვალე კოცნის გაგზავნა, რად-გან გაცივდება, გაიყინება, ვიდრე მისს თვალებამდე მიაღწევდეს.“<sup>4</sup>

გრაფინია ოლგა ლევაშოვისას:

„... გრაფინია!... თქვენ ეკუთვნით იმ იშვიათ არსებათ, რომლებსაც—ერ-თია სამხედრო დიდების მუზარადს ატარებენ, იუ უბრალოდ ვარდი აქვთ გულზედ მიმარტებული—დაბადებითვე დაჲყებათ ხოლმე ნიჭი მიზიდვისა, მორჩილებისა, ბრძანებისა. არ ვიცი, ყველას უყვარხარ თუ არა, მაგრამ ის-ვი ვიცი, რომ ჭეშ-მარიტად პატიკს გცემეს და თქვენს მაღალ გონიერასა, კეთილს სულსა და მომხიბ-ლველ ძალას, რომელიც უხილავად თუ წილულად გარს გაწვევით, ყველა მორჩი-ლებს. ხოლო რაც შემხება მე, შემიძლიან დანამდვილებითა ვსთქვა, რომ აქაც, მთებს აქეთ და იქაც, ზღვების იქით, ყველგან და ყოველთვის თქვენი ერთგული გახლავართ. მაგრამ, არა, ეგ როდი მინდა ვსთქვა სრულიადაც, ერთგულობა რა არის? სრულიადაც ვერ გამოპატავს მას, რის თქმაც მე მინდა. მაგრამ მეშინიან, გაუბედავობა მძლევს: მამა—პანინია, ქმარი—ლევაშოვი, რომელსაც საუენის სიგანე გულ-მკერდი აქვს. ეჭვი არ არის, ბრძოლა უსწორო იქნება. უნებურად ისევ ამ ტუტუცურსა და უბრალო სიტყვა „ერთგულებაზე“ უნდა შევსდგე:“<sup>5</sup>

შასვე:

„... ჩემმა დამ ვარინკამ გადმომცა შარშან, რომ კაბინეტისათვის პატარა ხანჯალი გდომებიათ... ვისწრაფე მოგართვათ და თან ჩემი ერთგულებაც გამო-ვიცხადოთ... მიიღეთ და უფლობდეთ, მაგრამ ქარქაშიდან კი ნუ ამოიღეთ.“

<sup>1</sup> წერილი 28 ოქტ. 1853 წ.

<sup>2</sup> წერილი 1862 წ.

<sup>3</sup> წერილი 19 ნოემბ. 1862 წ..

<sup>4</sup> წერილი 19 იანვარს, 1872 წ.

<sup>5</sup> წერილი ურიცხვო არის.

მაგრამ უნებულად აღშეძერის კითხვა: რად გინდათ, ჩემო დედოფალო, ხანჯალი? გასაგმირად ხომ უფრო საშიში და უფრო მძლავრი იარალი სხვა გაქვთ. ეს გახლავთ თქვენი ბრძანებლობითი, მეფური წარმოსადეგობა და ცხოველ მყოფელი ნათელი თვალები, რომლებიც ყოველსავე გიმორჩილებენ და დამორჩილებულნი ბედსა თვისისა კურთხევით იხსენიებენ. ხანჯალი რაღად გინდათ?

ხანდახან პოეტის ხუმრობა რაბლეს დაწერილიდან ამოღებული კალმით არის დაწერილი. ერთ ნათესავ ქალს, რომელიც წყლებზე იყო წასული სასიმრთელოდ და რომელმაც მოიწერა ქალაქს, ახალგაზრდა პროფესორ მწამლობსო, პოეტი სწერს:

„... აბა, რა საკურველია, პროფესორი, ყმაწვილი კაცი, გვარითაც ობოლენსკი, კარვი მოსაწონი ჰაქიმი იქნება, მეტალრე დედაკაცური სნეულებისა. ოჭ! რა სიამოვნებით გადაწექ და უჩვენე ყოველივე სხვათათვის დაფარული. ფუ, ფუ, თქვე უნამუსო დედაკაცებო“<sup>1</sup>.

გულკეთილ ხუმარას, პოეტს, გულიც ჩვილი პქონდა ეხლა და თავიც მდაბალი. ის ულმობელი დრო ბრძოლისა და აბრეკობისა, როდესაც ავარიის ხანი შეუბრალებლად აჭრევინებდა დამნაშავეთა თავებს, წავიდა და ბუნებრივთა მიღრეკილებათ თვისი საკუთარი თავისუფალი გზა იპოვეს. ის იყო „შეწქებულთა და გაჭარვებულთა ნუგეშინის მცემელი“ (მე შემიძლიან გრძელი სია შევაღვინო იმ პირთა, რომელთაც ეწეოდა პოეტი ან ფულით, ან მთავრობასთან რეკომენდაციებით), იყო ლმობიერი, ზრდილი, თავაზიანი—თავაზიანი იმ ზომამდის, რომ ეძნელებოდა პირში სიმართლის თქმა, თუ ეს სიმართლე საწყენი იყო ვისთვისმე. ამიტომაც ერთმა ჩვენმა პოეტმა „ქალაჩუნა“ დაარქვა იმას. ეს თავაზიანობა—მე ვამბობ იმ ზნეობის თვისებაზე, რომელსაც რუსულად ეძახიან დელიკათხეის—ამხილებდა ორბელიანში ნამდვილ განხორციელებულს არტისტსა, რომელსაც არ უყვარდა რა არცა უზრდელი, არცა უშვერი, არცა უთლელი,— ქცევა და საგნები, რომელთაც იმავე რუსულ ენაზე დასახვენ სიტყვითა ჯრცბაი“. იმის ხასიათს იმდენად სკარბობს მორიდებულობა, რომ იგი სწერს ბართნ ნიკოლაის, რომელმაც თხოვა დასაბეჭდად იუბილეიზე წარმოთქმული მისი სიტყვა.

„... Признаюсь, мне всегда казалось щекотливым подвергать невольно Суду выражение задушевных чувств“<sup>2</sup>.

ამ წუთისოფელში ყოველ კაცს ემძიმება ვალის გადახდა, ორბელიანს კი... გადახდევინება. რას ვამბობ გადახდევინება? მოთხოვნაც-კი, მოგონება, რომ იმისი ფული მართებს ვისმე. ერთ დიდს,

<sup>1</sup> წერილი 31 ივლ. 1882 წ.

<sup>2</sup> წერილი 21 ივნის 1871 წ.

დიდს მოხელე პირს — რუსთაგანს, რომელსაც პოეტის ფული მართებდა, ისა სწერს:

„... ვზივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ დიდ-ხანსა, როგორ მოვახერხო ისე, რომ წერილი ესე უწყინრად და რბილად როგორმე შევადგინო ისე ნაზად, რომ მისმა წაკითხვამ თავისი მოულოდნელობით მყუდროება არ დაგირღვიოთ, წარბები არ მოგიღუშოთ და არ წაგინდინოთ მადა, რომელზედაც კოჯირის ჰაერი ასე, კარგად ჰმოქმედებს! — მაგრამ ვვრძნობ ამასთანავე ღრმადა, რომ შეუძლებელია; ადამიანის ძალას ადემატება, ვინაიდან თვითონ ბუნება ჩემი თხოვნისა იქამდის უწყალო და სასისილარია მთელი ადამის ტომისათვის, რომ მისი როგორმე თვაზიანად მიღება შეუძლებელია! მოგახსენებთ... ე. ი. განზრახვა მაქვს მხოლოდ მოგახსენოთ, — მაგრამ... როგორა ვსთქვა... დამიბრუნეთ ჩემი ფული უკ, ძლივს არ მომეშვა ლოდივით!...“<sup>1</sup>

თავისი ახლო ნათესავი ქალი რა არის, პოეტი იმასაც არ მისწერს ბრძანებით: შემომითვალე, ჩემმა ძმისწულმა ეგზამენი როგორ დაიჭირაო. არა, ის ისეთ ფორმას იპოვის თავის წერილისას, რომელსაც სხვა ლირსებათა შორის მაინც და მაინც ის თვისება ექნება, რომ არ მოაწყენს მკითხველს. თითქო პოეტი ერთი თვალით მის წინაშე მდებარე ქალალდს უყურებდეს და მეორეს თვალით ადრესატის პირის სახეს. იმის კალამი სულ იმას ცდილობს, მკითხველის პირის სახეზე ერთი ხაზიც არ დააჩნდეს უკმაყოფილებისა. აი ამ წერილის დასაწყისიც:

„მეგობარო ჩემო ბარბარე! მაქვს პატივი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პატივი მაქვს თქვენს ჯანმრთელობას 300 მან. ვაახლო და წერილიც გავათავო ამით, მაგრამ უცნაურია სწორედ, არ ვიტ, საიდან მებადება კითხვა: გინძავს თუ არა ცხენის დოლი, როდესაც ერთი იმედიანად მიჭერის ქარივითა და ერთს წამში გაირებენს წრესა, ხოლო მეორე ამ დროს ოფლში გაქაფებული, ქაქანრთ მისდევს ჯანჯალითა, მაგრამ მაინც მიაღწევს დოდეს მიზანსა! მინდა გკითხო ამ შედარებით: გაირბინა გიორგიმ ეგზამენებისა წრე, თუ ჯანჯლობით მიაღწია ბორბიკით 4-ისა და 5 ნიშნამდე“<sup>2</sup>.

ეხლა კი დაფაკვირდეთ შინაურ ცხოვრებას.

მაგრამ... ჯერ ნება მიბოძეთ წარმოვუზგინო თქვენს სულგრძელებას: ნინიკა, ზახარკა, სოლომონ, პოეტის თავდადებით ერთგული მოსამსახურენი — უცოლ-შვილო კაცის ცხოვრებაში მოსამსახურეს, მეტადრე იმისთანა მოსამსახურეს, რომელიც განუშორებლად ახლავს კაცს მთელი მისი სიცოცხლე, დიდი ადგილი უჭირავს. ნებით თუ უნებლივეთ ასეთი კაცი ეშორჩილება მოსამსახურის გავლენას. თუ მართალია ეკროპიული ანდაზა „შითხარი გისი მოყვარე ხარ და მე გეტყვი რა კაცი ხარო“, ისიც უნდა მართალი იყოს „შითხარი რა მოსაძსახურე გყავს და მე გეტყვი ვინც ბრძანდები“, ან უფრო

<sup>1</sup> წერილი 8 აგვ. 1873 წ.

<sup>2</sup> წერილი 24 თებერვ. 1874 წ.

ჩეენებურად რომ ვსაქვათ: როგორიც ბატონი, ისეთი შსახური. ორბელიანისათვის მოსამსახურენი ნამდვილი მეგობარი იყვნენ, რომელთაც ის სიტყვას უგონებდა, რომელიც ისე დააბლოკებულად გრძნობლნენ თავს პოეტთან, რომ ზოჯერ უჯავრდებოდენ კიდევ.

უზუცესი მათგანი, ნინიკა, უკველია, მკათხველებს ეხსომებათ პოეტის დლიურიღან—ემსახურებოდა ორბელიანი, როდესაც იგი იყო რუსეთში როტის კამანდირად. მას აქეთ ორმოცდაათი წელიშადი ის ერთგულად ემსახურებოდა თავის ბატონს და ბატონსაც კარგად უყვარდა იგი. იმის, წერილებში ხშირად შეხვებით ნინიკას ამბავს „ჩემი ნინიკა დაიჭრა“, „ჩემს ნინიკას ჯვარი დავსწერა“, „ჩემი ნინიკა ავადი მყავს“ და სხ. ამგვარები. —ზახარია ემსახურებოდა პოეტს ლეკების დროიდან. ამას წილად ხვდა შამილთან შიწერას. წაგნში ხსენება და დარღოში წასვლა დატყვევებულებთან. —უმრწერესი, სოლომონ იყო ხელზე მოსამსახურე ბიჭი პოეტისა სიბერის დროს რომელსაც ის უწოდებდა თვისდა ნუკეშად. „მე ვარ დავჩდომილი, რომელსაც არ გამოადგა არც და, არცა რძალი, არცა სხვა ვინმე—სწერდა პოეტი ხუმრობით თავის რძალს ქუთევან ორბელიანს—და დამრჩა ჩემ ნუკეშად ჩემი სოლომონკა. ღმერთმა მიკუცხლოს; ესეცა კმარა ჩემთვის“<sup>1</sup>. საზოგადო შენიშვნა: ორბელიანი თითქმის ერთად ერთი ქართველი კაცი იყო ქალაქში, რომელსაც იმერელი მოსამსახურე არა ჰყოლია.

ყოველ-დლიური ცხოვრება პოეტისა წინდაწინ დადგენილ გზაზე მიღიოდა დიდი ხნიდან. ადგებოდა თუ არა დილა-აფრიანად— შესთან ერთად გამოდიოდა დილის ნავწე. შინელ-წამისხმული და დიდხანს დადიოდა აიგანზე, საიდანაც ერთი მხრით იმას თვალთა წინ იშლებოდა მშვენიერი სურათი გრძლად აღმართული კაკასიის მთებისა.

დაძინებული ქვეყნის გამოღვიძება იმდენად სასიამოენო იყო იმისთვის, რომ გულგრილად არ შეეძლო დილით მძინარეებას დანახვა. თავის დისტულს ნიკოლოზ ერისთავს, რომელიც ხშირად ნაშეაღმევის სამ-ოთხ საათზე მოღიოდა კლუბიდან, პოეტი დილა-ადრიანად აღვიძებდა.

— დიდო ერისთავო, ადექ, ნუ გძინავს; გამოიხევ, ღმერთი ქადა-პურსა ჰყანის! ამ სიტყვებით დაუბრახუნებდა მაგრად ფანჯარას და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ არ გამოაღვიძებდა. შემდეგ განაგრძობდა აიგანზე სიარულს, რომელსაც არ შესწყვეტდა უოუოდ დანიშნულ დრომდის. რომ აღრე ეთხოვნათ მისავის ქვემოთ ჩამო-

<sup>1</sup> წერილი ქეთ. ორბელიანთან 23 ივლ. 1882 წ.

სელა, ტყუილი იქნებოდა „მოიცა, შვილო, აი-აი ხომ ხედავ ამ თითებს, ხუთჯერაც გავივლი და ჩამოვალ“.

სეირნობის შემდეგ პოეტი ჩამოდიოდა თავის კაბინეტში, საცა-სვამდა ჩაის.

— ბიჭო, სოლომონ, აბა მოიტა ის რაღაც არის ცხელ-ცხელი.

ჩაის დროს გადაათვალიერებდა უკანასკნელი წლების კედლის კალენდარს, რომელშიაც პოეტი დღითი-დღე სწერდა სახსოვრად. სხვადასხვა დღიურ შემთხვევას, ამინდის მდგომარეობას, თავის სიმრთელის ამბავს და იქვე სწერდა იმასც, თუ წინა დღით რა-მოხდა (მოხუცებულობამ უწინდევლი დღიური ამ კალენდარზე მოაგ-დო). მერე მოჰყვებოდა გაზეთების კითხვას წითელ-ლურჯი კარინ-დაწით აღჭურვალი. ფქრადი ქარანდაში ხვდებოდა უმეტეს ნაწი-ლად ქართულ გაზეთს „დროებას“. რომ არ მოეწონებოდა იმას რამე აზრი, ან სიტყვა, ან სიტყვების შეთანხმება, სტრიქონს ქვემოთ ხას-დაუსგამდა და განხევ დაუწერდა: „ეს ასე არ არის“, „ეს რა ქართუ-ლია“, „თუ ეს ქართულია, მე არა მცოდნია რა“ და სხ. აღვარები, რომელზედაც ჩენ ვილაპარაკებთ ქვემოთ, როდესაც პოეტის ნაწე-რებზე გვჩქნება ბაასი. გაზეთებს შემდეგ პოეტი სწერდა წერილებს-ჯერ შავად,— რომ პირი დაყრჩინა სამხსოვროდ,— და შემდეგ თეთ-რად.

სხვადასხვაგვარობა ამ წერილებისა გამოულეველია, თუ ვისმე ესიყველურება რასმე, ის ასე იწყებს თავის წიგნს: ასე არ უნდა, ალექსანდრე, თორემ შენ იცი; თუ თვითონ არის ვისმესთან დამნაშავე, ის აზობს ნაწერში: ვსცოდე ცად მიშართ და წინაშე შენსა, დავრჩი პირშავად; თუ ვისმეს ქართველთაგანს უნდა შეაბრა-ლოს მთხოვნელი, ის ამგვარად იწყებს რეკომენდაციის წერილებს შეწუხებულთა და გაჭირვებულთა ნუგეშის მკემულო.— რუსულს პო-ეტი ჩინებულად სწერს. მგორია თვით ტურგენევი არ დაწუნებდა მისი წერილების. ხელის მოწერას. ხანდახან კი განვებ ამ ნაწერეს ქართული კილო გადაპქრავს. საცა ამდენი გაღიციზმი და რუსიცი-ზია, რა იქნება ერთი ორი გრუზინიზმიც იყოს. თავადი მისკი რომ გადავიდა რუსეთში, პოეტი სწერს იმას: Что, брат Дмитрий, уехали и уехали, წањуеши отца и да წაњуеши отец. ეხ! Тебе да твоя Россия! ეს გრუზინიზმი ხანდახან ლაპარაკშიაც აქვს პოეტს. ერთხელ, როცა იმას, თვალით ავადმყოფს, რუსის ქალები ნახავენ და ავადმყოფ-ბის მიზეზს კითხავენ, ის ეტყვის: ...Это так... ходит—ჩენებში რომ იტყვიან—დადისო.

წერილები, რომელთაც უფრო საზოგადო ხასიათი პქრნდა, ვიდრე კერძო, ნამდვილ მოთხოვნილებად შეექმნა იმას მოხუცებუ-ლებაში. ყოველს ლირს შესანიშნავ შემთხვევის შემდეგ სიტყვიერი-

სჯისა იგი სჯიდა კალმით. სხვა კაცი, სხვა პირობაში მყოფი, ან მემუარებს დაუწყებდა წერას მის ადგილზე, ას გაზეთების სტატიებს. ეს კი ცოცხალ კაცს სწერდა ცოცხალ საგანზე. არც ერთი მაღალ ხარისხზე მდგომი პირი არ დარჩენილა, არც კავკასიაში და არც პეტერბურგში, რომელთანაც იმას არ ჰქონდეს პირაბსნილი ნიჭერ-მოწერა და ვინ არ იცნობდა იმას, ვის არ უშასურნია იმის ხელ-ქვეით კავკასიაში, ვინ არა გრძნობდა მისდამი ორმა პატივის-ცემას, მისნი ახლო ნათესავნი და მეგობარნი, იმის წერილებით გა-ნებივრებულნი, ავგაროზივით ატარებდნენ მის ბარათებს. 1883 წ. იყო თუ ოთხს, არ მასხოვს კარგად, დიმიტრი ჯორჯაძემ გადმოკა-სამოციოდე წიგნი პოეტისაგან მინაწერი, რომელთა შორის ამგვარი წერილიც შეუნახავს განსვენებულს: „ჩემო ბატონო დიმიტრი! გთხოვ ხვალ, ესე იგი სამშაბათს, მობრძანდეთ ჩემთან საღილად სამ საათზე ქართულს ჩიხილთშაზე. თქვენი მარადის ერთგული გრ. ორბელიანი“<sup>1</sup>. ბევრი წიგნი აქვს პოეტს მინაწერი ბარბარე ორბელიანთან, ლევან მელიქიშვილთან, ნიკო ჭავჭავაძესთან, დიმ. მირსკისთან, ეკატ. და-ლიანთან, საგინოვებთან, ოგლობეკიოსთან. პოეტს უყვარდა დალა-ვებული, „თავიდამ დაწყებული“ წერილები“, გატენილი ახალის, „ნემსიდამ ამოლებულის“ ამბებით. თუ სხვა მისაწერ ამბავს ვერ იშოვიდა, ის საზოგადო საგაზეთო ამბებით იყრიდა წერის ჟინს. „მიხაილოვის ხიდზე დაიწვა მირზოევის დუქნები—სწერს იგი ნიკო ჭავჭავაძეს. ესეკ ერთი ამბავია და ამხელად იკმარე... შემდეგ ლმერ-თი შეგვეწევა“<sup>2</sup>. სამაგიეროდ მეგობრებისაგანაც ითხოვდა პოეტი ვრცელ ამბებით სავსე წერილებს და ჯავრობდა, თუ ბარათი ამბავს არ მოუტანდა. „ილიას წიგნი მომიღიდა,—სწერდა“ ის თავის ძმას ზაქარიას—რომელიც ისევ უკან გაუგზავნე, იმიტომ რომ ერთი თაბახი დაბლარჯული სულ ცარიელი ხოხოროს და ბოხოროს იყო, — მოღნის სიტყვები გახლავსთ ქალაქში. თითქოს არც სახლი გვქონ-დეს, არც საქმეები, რომლისაც შეტყობა ჩემთვის საჭირო არ იყოს. რა უყო! ქართული ანდაზაა „ხევრე და ხევრე“<sup>3</sup>. როგორც ნამდვილ ევროპიელს, პოეტს არ უყვარდა, როცა წერილს დაუგვიანებდნენ. „რა წამს ეს წიგნი მოგივიდეს—სწერს ის ანტონ ორბელიანს—მა-შინვე მომწერე... ამას ნუ იტყვი, ხეალ მივწერ, საღილს უკან დავ-წერ, აბანოდამ რომ მოვალ, მაშინ მივწერ; ამაში დღეები გავა, დაგვიანდება და მას უკან იტყვი: ეჲ, რალა მივწერო“.

<sup>1</sup> წერილი ურიცხვო.

<sup>2</sup> წერილი 18 მაისს 1877 წ.

<sup>3</sup> წერილი ხუნძახიდან ურიცხვო.

წიგნის დაგვიანების გამო ის სწერდა ერთ დროს თავის ძეის-შულს გიორგი ორბელიანს:

„... ნება მომეცით, ვკითხო თქვენსა ჯანმრთელობასა, რა მიზეზია, რომ წერილს არა მწერ? შენს ბარათხე ხომ სრულიად უარი ვსთქვი. სამსახური? უთუ-ოდ დროს დიდს გაკარგვინებს, მაგრამ არა მჯერა, რომ სამხედრო სამსახურისანი ყველანი, ე. ი. მოელი რესეტის მილიონი მხედრობა. სამსახურისა და დროს უქონლობისა გამო, არასოდეს არავის არასა სწერდეს. მაშ, თუ აგრეა, წერას რა-ლად ასწავლიან, თუ-კი არასოდეს წერა არ შეუძლიანთ“<sup>1</sup>.

## XIX

წერილი გათავებული არ ექნებოდა, რომ დაიწყებოდა ვიზი-ტები<sup>1</sup>, რომელშიაც ახალი აშები ითქმოდა მსგავსადვე თავიდან, დალაგებით. ვიზიტს მოჰყვებოდა სამაგიერო ვიზიტები, სარეკომენ-დაციოდ ვისთანმე წასვლა, საზოგადო საქმის გამოსარჩევა.

ამ სიარულში პოეტს არა ერთი უსიამოვნება შემთხვევია.

ერთხელ დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მოახსენა პოე-ტმა ტფილისის სამღვდელოების ველრება: სასულიერო სემინარიაში ქართული ენა მოსპეს და უბრძანეთ ხელ-ახლა შემოიღონო. მთავარ-მართებელს ეს განკარგულება დიდად ეწყინა და იღუთქვა დახმა-რება.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც პოეტი ხელ-ახლა მივიდა მთავარმართებელთან, დიდმა მთავარმა უბრძანა:

— კნიაზო, მე ვნახე ექვარხოსი და მითხრა, რომ ქართული ენისათვის სემინარიაში ხელი არავის უხლიაო. როგორ მოხდა, რომ თქვენთვის ტყუილი მოუხსენებიათ?

— თქვენ უმაღლესობავ, მაშ მეც და მთელი ტფილისის სა-მღვდელოებაც მტერი ვყოფილვართ ქართული ენისა.

— არ ვიცით, რა ყოფილხართ, მაგრამ ესე კია და, — უპასუხა მთავარმართებელმა, აშეარად გულნატკენმა და შემდეგ, რომ უფრო უგრძნობინებინა ორბელიანისათვის თავისი უქმაყოფილება, უბრძანა თავადს ტრუბეცკოის ლაპარაკის შესაცვლელად:

— კნიაზო, ხვალ დილას ყველათერი მზად იყოს სანადიროდ.

მეორე შემთხვევა ამაზე უარესია. ერთხელ პოეტთან მივიღნენ ვაშლოვანის და კუმისის გლეხები და სთხოვეს: საქართველოს სამხე-დრო გზაზე გავყავართ სამუშაოდ, გვიშველეთ, ნუ გაგვიყვანენო. პოეტმა იფიქრა: კავკავის გზა სახელმწიფო ხარჯით ინახება, გლე-ხებმა მუქთად რად უნდა იმუშავონო, და გლეხები რომ იყვნენ, ისე

<sup>1</sup> წერილი 11 დეკ. 1878 წ.

<sup>2</sup> დარბაზობა — რედ.

დაიბარა ერთი მოხელე პირი, რომელსაც მიჩეზი ჰყითხა. მოხელებ მოახსენა:

— Ваше Сиятельство, к сожалению, тут ничего нельзя сделать, они вызываются по примеру прежних лет.

— Ага, ზეილებო, ხომ ხედავთ по примеру прежних лет-то, რა გიყოთ, როგორ გაშველოთ, მაგრამ მე მაინც წავალ და „ველიკი კნიაზს“ მოვახსენებ.

როცა პოეტი შევიდა დიდ-მთავართან, იქ დაუხვდა იმას ბარონი ნიკოლაი, თავის ამღვრეულის პირის-სახით. პოეტმა მოახსენა თავის საჩივარი დიდ მთავარს, რომელმაც ეს თვითონ გაიკვირვა და ბარონს ჰყითხა მიზეზი. ბარონმა თავის აუჩქარებელის ხმით პასუხად უთხრა:

— Ваше Высочество, по таким делам единственным докладчиком при Наместнике Кавказском состою я, остальные только доносчики.

ორბელიანი ავად გახდა. მითხრეს, ერთი კვირა ლოგინად იყოთ ამის შემდეგ.

ვიზიტებს მოჰყვებოდა სადილი. მისი სადილები არ იყო ნაკრები სტუმრებითა და წვეულებით. ზოგნი იტაქიან მყუდროების და თავისუფლების მოყვარეობით, ზოგნი ხელმოჭერილობით. მის ხელმოჭერილობის ნიმუშად რამდენჯერ უამბნიათ ჩემთვის შემდეგი სცენა: ბიჭი შემოდის კაბინეტში.—ბატონო, ლვინო არ არის,—პოეტი ხმას არ იღებს.—ბატონო, ლვინო დაილია! რაო, რაო? ლვინო დაილია! აი თქვე ასეთებო და ისეთებო, სულ დაილია, დაილია, სულ ფული, ფული. ჰა, გადაგიწყდეთ, წალით, იყიდეთ.—ბატონო, მე რათ მაგინებ, მე ხომ ჩემთვის არ მიმაქვს ეს ფული.—ვაა, ფულები მოვცე და არ შეგავინო? შენ კიდევ წალი და იმას შეავინე, ვისაც ამ ფულებს მიუტან!

სადილი რომ გათავდებოდა, ის ეტყოლა მოსამსახურებს: „აბა, ბიჭო, მოიტა ახლა ის რაღაც არის“. ეს „რაღაც“ იყო ან მონო-ხორმი, ან შარტრეზი ან სხვა რამე ლიქიმი. პოეტი დალევდა ან სასმელს და გაშლიდა სტოლზე „დიდს პასიანტს“.

— აბა, კოლა, ერთი იფიქრე რამე! თუ ამოვიდეს.

და თუ ქალალდი არ ამოვიდოდა:

— ეპ, არ მოდის! რა იქნება, რომ ეს ერთი ქალალდი მოვიპაროთ, ხომ არავინ გვიყურებს. ოპ, ოპ, ეხლა კი მოვიდა და მოვიდა! დახე, დახე!

ორჯერ ითამაშებდა ამგვარად პასიანტს და შემდეგ თვალებდამძიმებული ეტყოლა თავის ბიჭს სოლომონს ბარათაშეილის ლექსებით:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა“ და დაიძინებდა. ძილს მოჰყვებოდა საღამოს პირზე აივანზე სიარული მედიდურად, თავმოწონებით.

სიცმაწვილის გაჭივრების ჯავრის ამოსაყრელად პოეტს დიდად უყვარდა, მეტადრე მოხუცებულობის დროს, დიდკაცურად, განცხრო-მით და ნებივრად თავის ჩენა.

პირველი ხარისხის სტანისლავი რომ მოუვიდა, იმას უნდა ქირ-შალამის ხალათზე დაიკეროს ერსკელავი და ქნიაზ პოტემკინსავით გრძლად და ნებივრად გაწევს დივანზე.

შემდეგ, მთავარმართებლის თანამთებობის ასრულების დრო რომ დაუდგა, იმას თავი სულ ზეცას მოუბჯენია. დიდი ხელმწიფის, „შვიდთა იყლიმთა მჰყრობელის“ ნაცვალი, თავი სამასი ათასი ჯარისა, პატრონი მთელი კავკასიისა, საცა ამდენი სამეფოები და სამთავროები იყვნენ, დღეში, ოდესმე ცხრა შაურიანი პარუჩიკი, თავ-მოყვარეობა ტაქმაყოფილებული, სახარების სიტყვისა არ იყო— ხსნილყოფდა რაიცა იყო სახსნელი და კრულყოფდა, რაიცა იყო შეკვრის ღირსი,— თავი როგორ არ უნდა აეწია მალლა!

— ყაფლან, ყაფლან, როგორა გვონია, ვინა ვარ მე, ვინ? — ეკითხება ამ დროს პოეტი თავის მეგობარს და ნათესავს ყაფლან ორბელიანს.

— ვინ უნდა იყო? ორშაბათის ყენი ხარ, თქვენშა მჰემ, თავი რა მალლა მოგაქვს?

— ჰეი, შენ ისე გვონია! ამ თითებს ხომ ხედავ, აი ამ თითებს (უჩვენებს გარჯვენა ხელის პირველ სამ თითს) ერთი მოვაწერო, რომ შიგ ციმბირში ამოგაყოფინო თავი, აი მე ვინა ვარ!

სპარსეთის ყენი რა იყო იმდსთან, ის თვით გარუნ-ალ-რაშიდი იყო.

— კაცი მთავარმართებელი ვარ, ერთი არ იქნება გარუნ-ალ-რაშიდივით არ გავიარო ქვეყანაში და ქვეყნის ამბავი არ შევიტყოო, — სთქვა თვერმე ერთჯერ პოეტმა და მარტოდ-მარტო, უაშალოდ, გასწია შუა-ბაზრისაკენ.

ეს რომ შენიშნა ერთმა პოლიციის მოხელემ, შორი-ახლო აედევნა მთავარმართებელს.

— აბა, გარუნ-ალ-რაშიდს რომ დესეტნიკები არ მოსდევდნენ ქუჩაში, მოდი და ლაშათი გასწიე ამ ქვეყანაშიო, — შესჩივლა პოეტმა ერთ ნაცნობ პირს, რომელიც გზაზე შემოეყარა.

მის აღნიდან დაჰყურებდა პოეტი ორბელიანთა ქალების კრებას. ამათ კრებას ის ეძახდა აკადემიას, ან ადგილისა გამო, საცა

ისინი იკრიბებოდნენ, კიბეს. რა არ ითქმოდა ამ კრებაში! დღის ამბავი, ნიშნობა, ჯვარისწერა, ახალი ტანისამოსი, წასვლა-მოსვლა, სხვადასხვა საიდუმლოები და სხვადასხვა. თვითონ პოეტი ასწერს ამ აკადემიას ამგვარად:

„სალამ-სალამოდ აკადემია ჩვეულებრივ გროვდება, ხან საყდრის კარებთან, სადაც დედოფლობს ელისაბედ, რომლის მარჯვნივ ჭის სოფით, მარცნივ მაიკო და პირდაპირ ნინო და მღვდელი, და ხან ესევე ყრილობა ჰსხედს სოფიოს კარებთან და ამის გამო მაშინ პირველობს სოფით. ლაპარაკის საგანი არის ეს ქვეყანა და მისი დაუსრულებელი სხვა-და-სხვაობა ამბებისა, ხანდახან გაკვრა-გადაკვრით, ითომ შეძრწუნებით, მოიხსენიებენ ოხრითა აწინდელის ქალების ყოფა-ქცევასა, და სხვათა ზოგიერთთა სახელდობრივ, რომელიც შარშანდელს კაბასავით დიახ ადვილად და გულუტყივრად თავს ანებებენ ქმარსა და დასდევენ ხან მამიდას, ხან ბებიდას და ამგვარს უმანკოს საუბარ-შექცევაში ატარებენ დროს“.

პოეტს დიდად უყვარდა ამათ ლაპარაკში გარევა, ამათი ამზების და მითქმა-მოთქმის მოსმენა.

ზშირად თვითონ შეიტანდა ამ კრებაში ჭორსა და წაჰკიდებდა ეროვნანეთთან ქალებს, რომ შემდეგ ეყურებინა თამაშასთვის და დამტკბარიყო იმათი კინკლაობითა. მოგვყავს აქ ნიმუშად ერთი მისი წერილი, რომელიც იმას სახავს ქალების საზოგადოებაში:

„ჩემო საყვარელო ტასია, შენგან მიკვირს, რომ აჰყოლიხარ დედაკაცების. ენა ტანტალობას, მეტადრე ს—ს. ჭორებით გასუქებულს.

„მარტო, ავადმყოფი, გამოყრუჯებული ვეგდე კაბინეტში. მეტად მომწყინდა და სევდების გასაქარვებლად შეველ ქეთევანისას, სადაცა დამხვდა გაჩალებული ბაასი! ვიღასაც სწყევლიდნენ. მე რომ დამინახეს, მაშინვე ზმა გაქმინდეს. მე, სწორედ მოგახსენო, ძალიან მეწყინა ამათი ერთბაშად დადინჯვება. ვკითხე ს—ს: ქალო, რათ გაჩუმდით? შენ ხომ არ ამოხვალ თუ არ გავსილი ამბებით, ახალი ამბავი, ახალი ამბავი რა არის თქვენს ქუჩაში?

„იმან მიპასუხა: ახალი ამბავი ეს გახლავს, რომ ჩემი და მიდის ვეჩერში პ—სას.— მე ვუთხარ, რომ პ. ვინა გდია, რომ ტასო იქ მიდის. ამ სიტყვაზე მომვარდნენ ოთხივე დედაკაცები წივილ-კივილით! დიდი ხანია, განა არ ვიცით, რომ ჩვენი აქედამ აყრა გინდა და ყოველს ჩვენს საქმეს გვიშლი.— ამისი არ იყოს, რომ ქვეყანაში დადიხარ და ლაპარაკობ, რომ ს. იმიტომ ავად გახდა, რომ ახალს სახლში გადვიდაო. შენმა რჩევამ ააშენებინა სახლი ს—სა, თორემ იმას ფიქრშიაც არა ჰქონდა. ახლა ქვეყანაში იმას ლაპარაკობ, რომ რატომ ს. არ მიდის ტანდისა. მე გაზრუმდი, მაგრამ. ტ. და ქეთევან გამომესარჩენენ და შეიქნა ერთი დიდი ყიუინა და ხმლის ტრიალი. მე ავათ-მყოფი, მისუსტებული, წამოველ ჩემს დაყრუჯებულს კაბინეტში; გადავბრუნდი, გადმოგებრუნდი, ამტკიცდა თვალები; მოელი ღამე დავიტანჯე უძილობითა, მოდი და ამ ქუჩაში ლაზათი გასწიე.

„შენცა არ გებრალები და ყველრებასა მწერ! აბა რა ვქნა, ებლაც მეუბნებიან, რომ გაუთხოვარნი ქალები გროვდებიან ტოლეს მაღაზეინში, ყავსა სმენ ყმაწვილ კაცების საზოგადოებაში. ესეც დავიწუნე და რასაკვირველია ამაზედაც ბევრი დამწყევლეს.— შენი დაჩაგრული გრ. ორბელიანი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წერილი უთარილოა.

ახლა გადაკერით ლაპარაკი? პირში მოფერება? არაფერი არ აკლდა: „შშვენიერნო“, „თქვენს ერთგულს, თქვენგან და თქვენ-თვის დამწევარს“, გრ. ორბელიანს, როგორც ის თვითონ ამბობს თა-ვის თავზე<sup>1</sup>. ერთს თავის ნათესავ ქალს ისა სწერს:

„ჩემო ბაბალე! მერე: რომელიც რომ შენი ამბავი შევიტყევით დღეს დაპატიჟებისა ის პაზრი და იგავი ჩვენ კარგად გამოვიძიეთ და მივზვდით!!! მანდ სიტყვა ალარ არის!!! პეი, სუსტო დედაქაცებო და ამასთანავე სავსენო მანქანებითა, რას არ მოახდენთ და გის არ დააძინებო“<sup>2</sup>.

ამასვე სწერს ქუთიშის მთიღან:

„შენ გენაცვალნენ ყოველნი ბარბარეები, ო—რის ცოლიდამ მოკიდებული ჩვენს წელ-ნაზ თ-მდის, მაგრამ ჩვენი ვლადიკავკაზის კრასავიცა კი არ უნდა გენა-ცვალოს: ეგ სხვა ჯავაირია! სხვანი კიდევ ს—ბიცა, ტ—ბიცა—მაგრამ ერთის გარდა—შენ თავს შემოგვლენ. შენმა ციებ-ცხელებამ ისინი აცხლ-აკანკალოს. სხვა რალა გინდა?<sup>3</sup>

ღირს, რომ კაცმა კვალდაკვალ გამოიძიოს ორბელიანის აზრი ქალებზე. ფსიქოლოგისთვის აქ საინტერესო ის არის, რომ დედათა სქესის სიყვარული, ცოლის შერთვით დაუკმაყოფილებელი, ერთის შეხედვით თითქო უფრო მაგარფესვიანი და შორსგამტანია, ვიდრე ესევე სიყვარული ცოლიანის კაცისა ამ ცრუსა და მუხთალს სოფელ-ში; ქორწინების პოეზიას თითქმის მუდამ შინაური ცხოვრების პროზა მოსდევს და ძლიერი სქესი თუ არ პირველსავე თვეს, პირველსა-ვე წელში პკარგავს სიყვარულის ნეტარებას და დროთა განჭავლობა შის მწვავე სიყვარულს უახლოვებს გულგრილობას. უცოლო კაცი-სათვის კი ქორწინება არასოდეს არ პკარგავს თავის მაცდურს მშვე-ნიერებას. თუნდ გადასული იყოს, თუნდ არა ეს ქორწინების დრო, მისთვის ფინანზად ალთქმული ქვეყანაა, საცა კაცი ბეღნიერებაზე დგამს ფეხსა. ასეა ორბელიანიც. ჯერ სანამ სოფიო ბეჭაკისა იყო მის დანიშნულად, ჩვენ ვნახეთ, რაგვარად მოელოდა პოეტი იმ ბეღ-ნიერ დღესა, როცა იგი დაბრუნდებოდა რუსთიდან და მის საბე-ღოს შეეყრებოდა, მაგრამ სოფიო გათხოვდა სწორედ იმ დროს, როცა ორბელიანის ასაკში დადგა კრიტიკული დრო, ე. ი. როცა იგი გასცილდა 35 წელს და მერე სხვა ცოლის ძებნა ძნელი შეექმნა. ერთ წამს იმან განიზრახა გრიბოედოვის ქვრივის შერთვა, მაგრამ ვერც ეს მოხდა. 1841 წელს სამეგრელოს მთავრინას, ეკატერინას უნდოდა შეერთო იმისთვის ნიკოლოზ დადიანის ქალი მენიკი,— შემ-

<sup>1</sup> „ცისკარი“ სექტ. და ოქტ. 1874 წ.

<sup>2</sup> წერილი ურიცხვო.

<sup>3</sup> წერილი 21 აგვ. 1855 წ.

დეგზი მთავრინა აფხაზეთისა — მაგრამ ესეც ჩაიშალა. ამის შემდეგ ის გხედება უანგარო აშიკად ქორწინებისა და ეშხისა და მთელი ორმოცი წელიწადი ვიშობს ამათზე. ბებერი მარტო-ხელი ჯერ რო-სეთშივე გამოცხადდა. ერთს წიგნში ანტონ ორბელიანთან ჩვენ ვპო-ვებთ წიგნის ბოლოს პოსტ-სკრიპტუმს: „ანტონ, თუ ვისმე ჩუალ-ეარშიყები, ისიც მომწერე“<sup>1</sup>. მისი აზრით, სიცოცხლეს ლაზათი არა აქვს, თუ ეს სიცოცხლე არ არის გამომდარი არშიყობით, ეშხით, კურკურით. ცოლის შერთვის დრო რომ გადაუვიდა, თავის მეგო-ბარს დიმიტრი ჯორჯაძეს ეჩხუბება, რატომ ცოლს არ ირჩავო. კიკო ჩოლოყაშვილი ინიშნება ვახვახოვის ქალზე — სწერს იგი თავად ლევან-მელიქიშვილს, — ამას ვანგვებ დიმიტრისთვის ვწერ, რომ თვალი დაუდგა მაგას: ეს რაც კი ლამაზნი ქალი არიან, სულ გათხოვდნენ და ეგ მას უკან თუ გინდ მილიონის პატრონი შეიქნეს“<sup>2</sup>. ქალი ისე: არ გათხოვილა საქართველოში და პოეტს ვანსვენებულ ჯორჯაძის-თვის წიგნი ისე არ მიუწერია, რომ შიგ არ დაეგნახათ ეს სტრექო-ნი: ესა და ეს გათხოვდა. შენ კი თვალი დაგიდგა, ბაიყუშოო.

უცოლობას, ე. ი. უპატრონობას პოეტი სიბერეში უფრო ჰელოვობს.

„ბიძინა ჩოლოყავევის ცოლი წავიდა დილიუანს ქმართან, რომელიც თურმე-მძიმედ ავად არის, — სწერს პოეტი ტასო აგლობუიოს. — კარგია, ვისაცა ჰყავს ცოლი, ვისაცა ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულის შემატევარი და ჩემსავით არა გდია ოთხს-კედელს შუა და არ მოელის, როდის ინებებს სოლომონგა სანთლის ანთებას ჩემს ოთახში“<sup>3</sup>.

შეორე წერილში ქეთევან ორბელიანთან პოეტი სწერს:

„ჩემო ძალუავ ქეთევან! შენგან გამოგზაუნილი ნესვი მომივიდა, მაგრამ არ ვარგოდა; მომივიდა საზამთრო, იგიც ნესვზე უარესი იყო. ეს არათერი. ნესვი რა არის? საზამთრო. რა არის? სიტუაცია არის ხაოვნა, რომ მომივიდნე მე ობოლი, ოხერ-ტიალი, ცოლი არა, შვილი არა, უდაბურ წავკისში გადავარდნილი, გადაყრუებული. აბა, სიტუაცია ეს არის. ვგრძნობ და გმაღლობ სულითა და გულით“<sup>4</sup>.

პოეტის ნაწერებში ვერ იპოვის კაცი დალაგებით გამოთქმულ აზრს ქალებზე. შემდეგი, აქა იქ გამოთქმული აზრი თითქო უცრო ხუმრობით არის თქმულით:

დედაქაცების სიცოცხლე ჭორებია<sup>5</sup>.

<sup>1</sup> წერილი ურიცხვო.

<sup>2</sup> წერილი 8 ოქტ. 1860.

<sup>3</sup> წერილი 24 დეკ. 1878.

<sup>4</sup> წერილი 15 აგვ. 1875.

<sup>5</sup> წერილი ბარბარე ანდრონ. 27 იან. 1880.

დედაკაცისათვის მეგობრობაცა, სიყვარულიცა, ძმაცა სულ ერთი წამისა არის<sup>1</sup>.

არც ერთი დედაკაცი მთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ კაცმა ხახვარი ნეკი მოიჭრას შისთვის<sup>2</sup>.

ოლონდ კი დედაკაცი გავიდეს: თავის სახლიდან, ოლონდ კი სხვაგან იყოს და რაც უნდა დაემართოს, ყველას მოითმენს. „ვუი, ქაა! ეს რა მოგვივიდა“ — ამას იტყვის და დამშვიდდება. დედაკაცს მხოლოდ ძილისათვის უნდა სახლი და ცხოვრებისათვის და სიამოვნებისათვის გარეთ სხვაგან სადმე; იქ არის ბედნიერება, იქ უნდა თავის მოდნის ახალ-ახალი კაბაცა...<sup>3</sup>

ვატყობ, რომ ერთობ შორს წაგვიყვანა ქალებზე ლაპარაკმა. დავუბრუნდეთ ჩვენს ყოველდღიურ აღწერას.

„კიბიღან“ ქალებიც დაიტანტნენ; პოეტმა სალამოს მნახველებიც მიიღო, დაალევინა იმათ „ის რაღაც არის ცხელცხელი“ და შემ-ღიგ წავიდა ქალალდის სათამაშოდ ან ლევან მელიქიშვილთან, ან მირსკისთან, ან ოპოჩინინთან, ან ინგლისის კლუბში. მათთან თამაშობდა ის პრეფერანსს, ბოსტონს, აღმირალს. „ვკოშირობ და ხახდა ხან სტარიკა ერისთავსავით ეყვირი „ფუ, ჩორტ, ხоди в черви“, სწერდა ის დავ. ჭავჭავაძეს. აღმირალი სხვაზე უფრო მოსწონდა, „მეტადრე, როცა იგებდა“. ქალალდში მოგება ბევრ უბედურებას ავიწყებდა პოეტს, რომ იმას დაუჯეროს კაცმა. ერთ ნათესივ ქალს, რომელიც შესჩივოდა კბილები დავკარგეო, ისა სწერს:

„О зубах не грусти: я давно забыл о них. Все несчастье состоит в том, что красивые глаза уже не заглядываются на меня пристально. Что-ж? беды нет, лишь бы пришли четыре туза в адмирале“<sup>4</sup>.

და როცა ეს ქალალდები მოუვიდოდა, თითოეულის ტუზის ჩამოსვლაზე:

— გრიგოლ ყაფლანის-შვილი მქვიან!

— ესეც მე გახლავარ!

— ესეც!

და ერთის ამბის-ყოფით უთავებდა თამაშს.

თამაში გათავდა და ერთი ვიკითხოთ: რომელი საათია? — პოეტს თავის დღეში ჯიბის საათი არ ჰქონია. რამდენი ფული ჩაიდო, ან ამოიღო იმან პორტმანიდან? — არც პორტმანე როდისმე სდებია ჯიბეში.

<sup>1</sup> წერილი ტასო გაგარინთან 1 ივლისს 1881.

<sup>2</sup> წერილი ურიცხვო, რუსეთიდან.

<sup>3</sup> წერილი ტასო აგლობუიოს 1878.

<sup>4</sup> წერილი 13 სექტ. 1879.

რამდენადაც არის შინაურ ცხოვრებაში იმას შერჩა ნაშთი იქ აფიცირული უზრუნველობისა, რომელშიაც ის ჰპოვებდა ოდესშე ნეტარებას.

— ეჭ! უცოლშვილო კაცი ვარ, ოხერ-ტიალი, საათი ვინ მომცა, პორტმანე ვინ მომცა,—შეეძლო ეთქვა იმას ჩვეულებრივის თავისი ხუმრობით.

## XX

— კაცს ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს,—ამბობდა პოეტი და თვითონ პირველი ასრულებდა ამ მცნებას. ის განუშორებლად ცხოვრობდა ქალაქში თვითონ ქალაქში ზამთრობით; ზაფხულობით ქალაქს ახლო—ტაბახმელას, კოდას, წავკისს, კუმისს. ამათში ყველაზე უფრო ძვირფასი იყო ტაბახმელა, თამარ მეფის საზაფხულო სამყოფი.

„... ტაბახმელა, ოჰ, ოჰ, რა ტაბახმელაა, ამისთანა ტაბახმელა ხომ ქვეყანაზე არ არის!!—სწერდა პოეტი ტასო აგლობურის—ამისი ჰაერი, ამის წყალი უკვდავებისა, ამის გადასახედავი! აგერ ყაზიბეგი, აი მთა ბორბალო, ა-იჯ შილდის მთა, აი ემანდა ყარაია და დედოფლის წყარო, თითქო სულ მე მეკუთვნის, სულ ჩემი იყოს!<sup>1</sup>

და სხვა წერილებში ამავე ტაბახმელაზე:

„... ვცხოვრობ წყნარად ქეთევანთანა და ტასოსთან ერთად ტაბახმელაში და არასა ვწუხვარ, თუ სახლი ჩემზედ უარესად დახავსებულ-მოძველებულია. სამაგიეროდ ჰაერი სამოთხისებურია, წყალი უკვდავებისა, ახლა რა სანახაობა და გადასახედია?<sup>2</sup> თითქმის ნახევარი საქართველო სურათივით ჩემ წინ გადაშლილა. აი აგერა, თეთრწვერა ყაზბეგსა და მის ბუმბერაზ-ძმებს ღრუბლებიდამ თავი ამოუყვიათ და პირდაპირ ტაბახმელას დასცერიან, გრილ ნიავთან ერთად სუფთა და ცხოველსმყოფელსა, მშვენიერს ჰაერს მოგვბერვენ; იქ კი საადმირალო ანძალო-სავით (აშაშ) ამართულა თოვლის ნებისივით ჰაერში თუშეთის მთა ბორბალო; გასწვრივ მოსჩანან შავი მთები საგურამოსი, გომბორისა, ცივი, დედოფლის წყარო-საკენ წრე გაუვლიათ. ვხედავ ყველა მათ და ჩემნი მგონიან!<sup>3</sup>

„... ტაბახმელავ! ოჰ, ტაბახმელავ! ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად მხოლოდ ერთია ტაბახმელა“<sup>3</sup>

„... ჰაერი, ჰაერი ტაბახმელისა—სასწაულია მშვენიერებისა! მისი ცხოველ-მყოფელი, სუფთა და გრილი ჰაერი მყინვარ ყაზბეგიდამ მოპქრის და ჩვენც ლოთივით გაუმაძლრად ვეწაფებით და ვგრძნობთ, რომ ვსვამთ ჯანმრთელობას, ძალას, სიხარულსა და სულსა და გულს როგორლაც ეფონება, დიდი-ხნის დავიწყებული სურვილი კვალად იღვიძებს: მინდა ვმღეროდე, ესეირნობდე, ლამაზ მან-

<sup>1</sup> წერილი 1879 მკათათვე.

<sup>2</sup> წერილი ბარბ. ორბეგ. 8 ავგ. 1878 წ.

<sup>3</sup> წერილი იმასვე 29 აგვ. 1879 წ.

დილოსნების საზოგადოებაში ვიყო, ერთი სიტყვით, მეტად სამურ გუნებაზედა ვარ!..”<sup>1</sup>

### კოდაც კარგი რამ იყო.

„... მეტად კარგი რამ არის ეხლა კოდა თავის ჭაწმენდილის მშვენიერი ჰაერით და ამწვანებული მინდვრებითა გაზაფხულსავით! ვისაც სიმთელე უნდა, ამო-ვიდეს კოდაზე. კოდა სჯობია ყოველს დეკოსთას; მეტადრე, როდესაც მთვარე გა-ბადრული ამოდის მძიმედ, ხელმწიფურად შუქისა მომუნი. პაპ, პაპ, პაპ, პაპ, რა შეედრება!“<sup>2</sup>

ერთ დროს ბორჯომიც მისი იყო, მაგრამ ის დრო წავიდა. 1851 წელს ის სწერდა თავის ძმას ილიას:

„... ბორჯომი ჩემია; მე გამიშვევია მანდა ლაზათები მაშინ, როდესაც სახ-ლების მაგიერ გვედგა კარვები; მუზიკის ნაცვლად ჰეგალობდნენ ბულბულები; სა-დაცა არ იყო გზა და ჩვენცა ვიმალებოდით ჭალაკებში, ბუჩქებში... ეჭ, ქეიფი იყო და წავიდა ისე, ვითარცა წავა ყოველივე ამა სოფელში“<sup>3</sup>.

ამ საზაფხულო ადგილებზე, კოდა-ტაბამელას, მეტადრე ტა-ბახმელას, ქალაქის ხმაურობას და ვიზიტებს მოშორებული, მოხუცი პოეტი სტებებოდა ბუნების სიმშვენიერით და მარტოობით. მის ფეხქვეშ ფართოდ, ფართოდ გაშლილი იყო მისი საყვარელი თბი-ლისი, აი დიღუბე, აი მტკვარიც, აი სიონის ჯვარი, რომლის გამო წამებული იყო საქართველო, აი კრწანისის მინდორიც, საცა პაპა მისმა, მეფე ერეკლებ; დალია თვისი ვაუკაცობა... უნებლიერ მისნი ფიქრი რბოდნენ საქართველოს წარსულისაკენ. უნებლიერ აგონდე-ბოდა მას მისი გვარის შესანიშნავი სარდალი, განკაქმულნი ვაუკა-ცობითა და თავგანწირულებითა. რამდენი საუკუნე იმსახურეს მათ, რამდენი სისხლი დალვარეს მამულისათვის! შერე ცოტ-ცოტად ფიქ-რები მოსდიოდა აწინდელს საქართველოს მდგომარეობაზე, აწინდელს თავად-აზნაურობაზე, ორბელიანებზე, დავალიანებულებზე, დაცემუ-ლებზე და მწარედ, მწარედ ოხვრიდა.

თუ ვისმე დედა-მიწაზე ჰყვარებია ნათესავი, თუ ვისმე უნა-ცვლებია მისთვის თავი და გაუხდია იგი კერპად, სწორედ იშვიათი კაცი გრ. ორბელიანი იყო. ამ ნათესავების მოგონებით ვათავებთ ჩვენ ამ განყოფილებას. ეს სიყვარული არ იყო სიყვარული უცოლ-შვილო ბებრისა, რომელმაც აღრე თუ გვიან ბუნებისაგან მისდა შიცე-მული ნათესაობით სიყვარული ძალა-უნებურად ან ბიძაშვილზე უნ-და გადაიტანოს, ან ძმისწულზე. არა. ნათესავები გავიუბით უყვარ-და იმას, როდესაც იმას ცოლის შერთვის ვადა ჯერ კიდევ არ წას-

<sup>1</sup> წერილი იმასვე 20 ივლ. 1879 წ.

<sup>2</sup> წერილი ქეთ. ორბელიანი, 20 აგვ. წელი არ უზის.

<sup>3</sup> წერილი ტ ივლის 1851 წ.

ვლია. ჯერ კიდევ რუსეთში იყო იგი ყმაშვილ კაცად, რომ სწერს თავის ძმას ზაქარიას, რომელმაც მაშინ ცოლი შეირთო:

„ჩემო ზაქარია, ვინძლო პირველადვე ვაჟი გაგიჩნდეს, რომელსაც უნდა დაარქვა სახელი ლიპარიტ, რიბოჩალენიკ ნაშენ ფამილი, და უნდა მე გავზარდო“<sup>1</sup>. მეორე ძმა ილია—მსხვილ ბარელიანი ილია—რომ წაიყვანა ტყვედ შაშილმა, პოეტი სწერს „მოისეი ზახარიას“ არგუთინსკის:

„შენი ჭირიმე, კნიაზო, ცრემლებით გეხვეწებით ჩემის ძმის გამოხსნისათვის, მე გამყიდეთ, მე დამატყვევეთ, ოლონდ იმ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია... ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში—ღმერთი და თქვენა ხართ!!<sup>2</sup>

ძმების წარმატება თვითონ შისი საკუთარი წარმატება იყო და ბედნიერება. განა ზურაბის შეილნი არ იყვნენ სამნივე? მყვირალა ზურაბისა, რომელსაც ერთს წიგნში თავის ძმების წარმატებით გატაციაბულა პოეტი უწოდებს ზურაბ სარდლად! ძმები რომ მოშორდებოდნენ ერთმანეთს, პოეტი სწერდა იმათ: „ჩემო თვალის ჩინო ძმაო ილია, ჩემი შვილი ხარ“. „ჩემო ღვთის წყალობევ, ძმაო ზაქარია“ და სხ. შსგავსადვე უყვარდა პოეტს თავისი ბიძაშვილები და განსაკუთრებით თავისი საკუთარი ყაფლან. 1855 წელს ის სწერდა ამის:

„ჩემო თვალის ჩინო, ჩემო ოხვრის კვიპაროსო—ეს მეც არ ვიცი რას ნიშნავს—ძმაო ყაფლან! დიდი ხანია აღარა ყოფილა ჩემთვის სასიხარულოდ ისე, როგორც შენი წერილი გუშინ... ასე გაშინჯე, ერთს ტუსალს მურახასი უყავ; რომელიც იყო საციმბირო.

„მწერ, რომ შენი ავათ-მყოფობა შევიტყვე, იმიტომ მოგწერეთ. ოლონდ შენი წერილი, შენი ამბავი მომდიოდეს სშირად და თუ გინდა ეხლავ კიდევ დავწევები ქვეშაგებში კრუსუნხთა და ხენეშითა. ხომ იცი, რომ ზაქარია, ილია და შენ ჩემთვის იყავით ერთი და იგივე. და სამთავე ძმათა არა გვიამებოდა რა უშენოდ. ახლა მარტო შენდა მყევხარ ნუგეშად და ზოგჯერ წუმრობისათვის არ დამემდურო. სულ ყველა ძალუები შენ გვაცვალნენ!!!<sup>3</sup>

ამაზე აღრე 1846 წელს ის სწერდა ყაფლანს:

„ჩემო ყაფლან, ჩენო ოხვრას კვიპაროზო, —ეს მეც არ ვიცი რას ნიშნავს—ერთი შენის წიგნით გამახტე და! როგორ ხარ შენ თანამდებობაზი ანუ როგორ ატარებ დროსა, ანუ რომელ სოფელში ხარ, ერთი მომწერე და!“

ყაფლანის თანამდებობა იყო ზახელატლობა და პოეტი სულ იმის შიბში იყო „პალულში“ არ მიეცათ ის,—ამბობენ, ვერცხლის მოყვარე იყოთ. ამ პასუხის გებას კი გადაურჩა, მაგრამ ის ჩაიქრა

<sup>1</sup> წერილი რიგიდან 4 იგნ., წელი არ არის.

<sup>2</sup> წერილი 15 ნოემბ. 1855 წ.

<sup>3</sup> წერილი 1 ივლ. 1846 წ.

პოდრიადში, „ყაფლანს აულია ობილისიღამ გლადიავეკაზამდის სტანციები, საღაც უნდა მიტანონ ჭურავი და რაღა თქმა უნდა რომ სრულიად იღუპება—სწერდა პოეტი ლევან მელიქიშვილს. ახლა რა უყო? გაგონილა ამისთანა სისულელე? ბრაზებისაგან ყელში სისხლი მექსება, ვერა მომიფიქრია, თუ როგორ ანუ რით უნდა ეშველოს ამ ყოვლად უგუნურსა“<sup>1</sup>.

პოეტმა დიდი შრომა და ხარჯი გასწია, რომ გამოეხსნა ყველანი ამ გაჭივრებისაგან. შვიდი წლის შემდეგ ის სწერს ლევან მელიქიშვილს: „ყაფლან ამ უამად ჩემთანა სდგას, სოფლიდამ ჩამოსული და ორნივე ერთად ვუყურებთ ამის სახლის განახლებასა: ჯერ მხოლოდ ჭერი დახურა ქამიტით და ვნახოთ შემდეგ რა უამოვა, რადგანაც პადრიადჩიკი გაუკოტრდა და გაიქცა.—მეც ვეუპნები, „ყაფლან, ერთი პოდრიადჩიკი შენც იყავ და ვერ შეასრულე საქმე, მავრამ კი არავინ გახრჩობს და ითხოვ კიდეც ოცის წლით ასტროჩეას; შენცა მიეც ოცი წლის ვადა, ეგებ ავიშენოს“. ამ სისკვებზედ ძალიან ილანძლება და მაშინებს, რომ სხვაგან გადავალო, შენთან ცხოვრება არ შემიძლიანო“<sup>2</sup>.

პოეტი, ომელიც სულ იმას სტიროდა, არავინ გვებადება გვარშიო, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რაგვარაც შეიყვარებდა საკუთარ ძმისწულებს. ზაქარიას შვილი—ალექსანდრე—მისდა სამწუხაროდ, შალე მოკვდა, მაგრამ მისი მოხუცებულობის იმედიდ შეჩჩა იმას უმცროსი ძმის ილიას შვილი—გიორგი, რომლის სიყვარული გარდაებატებოდა ყოველ ზომას. ასწე მეტი წიგნი გიორგის დედისადმი მიწერილი, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ პოეტის ქაღალდებში, გვიჩვენებენ, რა დიდად ზრუნველა პოეტი თავის ძმისწულის აღზრდაზე და მომავალზე. საცა უნდა ყოფილიყვნენ გიორგი და დედამისი — შვეიცარიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში — პოეტი მათთან იყო სულით, გულით და მათთან ერთად აჩევდა სად და რა ესწავლა გიორგის, რომელ ქვეყანაში დამდგარიყო, რა საზოგადოებასთან დაეჭარო კეთილი განჭყობილება, რომელს დაპორებოდა, რა მიმართულება მიეღო მისს ხასიათს და სა. და. სხ.

ის სწერდა თავის რძალს:

„მომწერე ხოლმე, ღვთის გულისათვის, დაწერილებით ყველაფერი, რასა იქ როგორა ხარ, ყოველივე, რაც კი შენ შეგეხება. შენ და გიორგი მთელ ქვეყნად მიმაჩინიართ!“<sup>3</sup>

<sup>1</sup> წერილი 16 ნოემბ. 1863 წ.

<sup>2</sup> წერილი 14 სექტ. 1870 წ.

<sup>3</sup> წერილი 1 მარტს 1865 წ.

## და სხვ. წიგნში:

„იცი შენა, თუ რამ აზრი აქვს ჩემთვის სიცოცხლესა და რამ სიამეს. მოვე-  
ლი მისგან, რასაკვირველია, მხოლოდ თქვენ გამო, შენისა და გიორგისა!“<sup>1</sup>

## გიორგის უნდა ესწავლა კარგად:

„თავადი ორბელიანი უნდა უთუოდ ნასწავლი, ჭკვიანი, კეთილი და მტკი-  
ცე ხასიათისა იყოს. ცუდია უამათოდ თავადი ორბელიანობა“<sup>2</sup>.

მაგრამ მარტო სწავლა არაფერი იყო, კაცს უნდა სარწმუნოე-  
ბაც ჰქონოდა. მეცნიერება თვინიერ სარწმუნოებისა, ბედნიერების-  
ნაცვლად, სულიერ ტანჯვას ჰქვრიდა კაცს. 1866-ს წელს, როდე-  
საც გიორგის დედამ გააპირა ანგლიიდან პარიზში გადმოსვლა, პოე-  
ტი სწერდა იმას:

„დოთის გულისათვის, თუ გარდასწყვიტე ევროპაში გადმოსვლა, დასახლდი-  
ან შეეიცარიასა ან გერმანიაში, მაგრამ საფრანგეთში-კი ნურაფრის გულისათვის  
ნუ. მინდა გიორგის ნორჩი გული სარწმუნოებით იყოს გამსტვალული, ურომლი-  
სოდაც კაცი ამ ქვეყნად უბედურია. მსურს, ჩემი ძმისწული მართლმადიდებელი და  
ევროპის მეცნიერებით განათლებული, საფრანგეთის ახალ ფილოსოფიის ბიწიერ  
იდეებით წაურყენელი ქართველი იყოს. განსაკუთრებით იცხოვრეთ, რაც შეიძლება,  
პარიზზე შორს: ჩე დაუდევს ბინა ლმერთს გარყვნილებისა და გახრწილებისა-  
მთლად თავისი გრძნეული ცთუნებებითა“<sup>3</sup>.

ერთობ დიდხანს სკოლის გარეშე ყოფნა, დედისა და გუვერნიო-  
რის ამარა, პოეტის აზრით, ვაითუ მავნებელი ყოფილიყო მისი  
ძმისწულისათვის.

„დედისა და გუვერნერის ამარა სახლში მყოფი თოთხმეტის წლის ბიჭი-  
გამოყრულება, შეიქმნება თავის ქეიფა, ქალური ხასიათისა, ვერავისთან ველარ  
მოთავსდება; უამხანაგებოდ დარჩენილს, რომლებთანაც შესძლებოდა აზრის გაზია-  
რება, ნიჭი შეტყველებისა სრულიად დაეხშობა, ვინაიდან ენასაც ვარჯიშობა უნ-  
და, უნდა მიჩვევა, რომ საჭიროების დროს აზრის გამოსათქმელად სიტყვას უცდა-  
და ჰპოვებდეს, მიჩვევა უნდა თვით ხმასაც-კი; და გარდა ამისა, უამხანაგებოდ  
ბაგშის ყოფნა მოსაწყვინც არის; რას ემგვანება, აბა, რომ ბებერი, დარბაისელი  
ხალხის მეტს გარშემო არავისა ჰქედავდეს; მაგრამ ყველაზედ მავნე-კი ის არის,  
რომ თავისი უკეთ მოსწავლეს ბაგში არავის უნდა ჰქედვიდეს. სასწავლებელში  
კი სულ სხვაა: მისი ნება, აზრი, შეხედულება და სურვილი თითოეულს ფეხის გა-  
დადგმაზედ სხვა ამხანაგების ნებასა, აზრსა და შეხედულებას უნდა დაუპირდა-  
პირდეს და შეებრძოლოს. აი, სწორედ ეს წინააღმდეგობა და დაუსრულებელი შე-  
ტაკებაა ცოცხალი სიტყვისა და აზრისა ის უბილავი ძალა, რომელიც ბავშვს ხა-  
სიათს შეუმშავებს, თავის დროზედ პრაქტიკულ ადამიანად აქცევს“<sup>4</sup>.

სკოლაში რომ შევიდა გ. ორბელიანი, ბიძა ითხოვს ძმისწუ-  
ლისაგან სასწავლებლის შესრულებას და დიპლომის მიღებას.

<sup>1</sup> წერილი 12 ივნ. 1871 წ.

<sup>2</sup> წერილი 23 აპრ. 1865 წ.

<sup>3</sup> წერილი 8 იანვ. 1866 წ.

<sup>4</sup> წერილი ბარბარე ორბელ. 23 ნოემბ. 1866 წ.

„წავიდა ის კურთხეული დრო, როცა ადამიანს საზოგადოებრივს ცხოვ-  
რებაშიაცა პქონდა მნიშვნელობა და სახელმწიფო სამსახურშიაც, თუ თავშედ ხელ-  
ალებული ლოთი ან სახელგავარდნილი ქურდი არ იყო. ასე იყო რუსეთში ყი-  
რიმის ომამდე და საფრანგეთში სედანის დამარცხებამდე. ეს საუარო ღირსებები-  
აპლა ალარავის ამალებენ. ყველასაგან დიპლომსა და მოწმობასა თხოულობენ.  
სად რა უსწავლია. შეიძლება ვეთანხმებოდე კიდეც გიორგის, რომ ერთი მხრივ ეს  
შევიწროებაცაა ახალი თაობისა, მტარვალობა და სხვა არაფერი, მაგრამ რას-  
ვიზამთ, აბა, როცა დარწმუნდა ჟმთელი ქვეყანა, რომ უსწავლელი კაცი თითქმის-  
რომ უსარგებლო, გამოუსადეგარი არსება? რას იზამთ, აბა, როცა უდიპლომოდ  
სამსახურში ადგილს აღარავის აძლევნ, საზოგადოებაში პატივისცემა აღარა  
აქვთ? რასაკვირველია, ერთი-ლა დაგვრჩენია, ვისწავლოთ და ვისწავლოთ, რომ  
დროის მოთხოვნილებას არ ჩამოვრჩეთ! მესმის სრულიადა და თანახმა ვარ  
გიორგის აზრისა, რომ სწავლა მეტად ძნელი და მოსაწყვენი რამ არის, მაგრამ რასა-  
ვიქმთ, აბა, როცა დაწყევლილმა ნემეცებმა დაარწმუნეს ყველა, რომ მხოლოდ  
სწავლას შეუძლიან ქვეყნის მართვა, რომ საფრანგეთის მარშლები გერმანიის  
სოფლის მასწავლებლებმა სძლიერ? და ქვეყანაც დაემორჩილა ამ ნემეცების მიერ  
აღიარებულ ჰეშმარიტებას; დაემორჩილე შენც, ჩემო ბიძია გიორგი, გადაიშე-  
რე პირჯვარი და გაკვეთილებს ერთგულად შეუდევი...“<sup>1</sup>

დიდხანს უცხოეთში ცხოვრებას და სწავლას ბევრი ხარჯი  
უნდოდა, მაგრამ (გიორგის თავისი რენტაც პქონდა და ბიძასაც  
ყოველი თვისი საცხოვრებელი იმისთვის უნდოდა) ოლონდ კი იმას  
არა დაპკლებოდა რა და თვითონ პოეტი მოითმენდა გაჭირებას.  
ამბობენ, ერთხელ ნინიკამ თავის ბატონის ტანთ-ჩაცმის დროს შე-  
მოძველებული პერანგი შემოახია იმას. ამ საყვედურით: „გიორგის  
შეუნახე, გიორგის შეუნახე“. ვინ ჩამოთვლის, რამდენი წყვილი ათა-  
სი და ათი-ათასი შანეთი დაუხარჯავს პოეტს ძმისწულისათვის? და-  
ვითომ ან დაეყვედრებინოს როდისმე ეს ხარჯი ან დაპხარებოდეს  
იმის გამოღება? ამ შადლიანი კაცის ხელში ყველაფერს ლაზათი  
პქონდა, თვითონ ფულის გაცემასაც. აი ერთი ნიმუში ათასთაგან-  
ფულის გაგზავნისა.

„ჩემო მეგობარო ბარბარე! ტფილისიდან წასვლის შემდევ აქ დაგრჩენიათ  
მეფისწულის ნაქონი ქართული წიგნები და გიორგის პალტო. ჩემს პატივცემულ  
ბიძია გიორგის რომ წიგნები დაპკირებოდა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ზამთარში  
რომ კაცმა პალტო დაივიწყოს და დანაკარგს არა პკრძნობდეს, ეს შეუძლიანთ  
მხოლოდ ფილოსოფიურ თეორიებში ღრმად გაბმულ ადამიანებს, რომელთა  
რიცხვსაც, ვგონებ, იგი არ ეკუთვნის. ვიფიქრე, ვიფიქრე და გარდავწყვიტე ასე:  
წიგნები აქ დარჩეს, ვიდრე მოითხოვდეთ, და შევინაზო, როგორც განძი, ძელი  
საქართველოს ნანგრევებიდან მონარქენი, ხოლო პალტოს მაგივრად გიორგის შესა-  
მოსად ათასი მანეთი გამოგიგზავნო. ვგონებ, პალტო მეტი არ უნდა ღირდეს!..“<sup>2</sup>

გიორგიმ შეასრულა. პაჟების კორპუსი და სამსახურებლად  
განწესდა ლეიბ-გუსარის პოლკი. მალე ასტყდა ამის შემდეგ ომი

<sup>1</sup> წერილი 10 ივნ. 1872 წ.

<sup>2</sup> წერილი 5 ნოემბ. 1871 წ.

ზა პოეტის ძმისწულს შეხვდა ლაშქარში წასკა მცირე აზიას, საცა ის „კამანდრობდა ახოტნიკების სოტნას“. პოეტს ძლიერ ეშინოდა, რომ ამ ღმს არ წაერთმია შისთვის ერთდღ-ერთი იმედი იმის ოჯახისა.

„გვითხავდი ძალუას ვარინჯასა — სწერდა ის ამ ფროს პრინცესა მიურატისას — გიორგის ამბავსა და ისიც ალექსანდრეპოლიდამ მიპასუხებდა ასე: გუშინ ცოცხალი იყო და დღეს კი არ ვიცი. და ვიყავ გაჩუმებული შიშისაგან და აღარ მქონდა თავი არც წერისათვის და არცა თუ სხვა რაიმე ფიქრისათვის...“<sup>1</sup>

ამი ვათავსა და ძმისწული დაუბრუნდა ბიძას ლაშქარში შეჭენილი ალაფითა. ღმერთშან აცოცხლა ხმალი მყვირალი ზურაბისა! იმას დიდად უხაროდა გიორგის წარმატება და უნდოდა, რომ იგი არ მოჰქონდოდა სიკვდილის დღემდის, რომელიც შორს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამსახურისაგან გიორგი ხელ-ახლა პეტერბურგს წავიდა და ხელ-ახლა წერილზე მივარდა საქმე. ძმისწული კი დიდად ხელმოჭერილი იყო წერილებზე და ეს სწყინდა პოეტს. ერთს წერილში ის აყვედრის წიგნის მოუწერლობას: — წერას რად სწავლობდი, თუ კაცს წიგნს არ მისწერდიო, — ეუბნება ის.

მაგრამ, ემ! ვხედავ, შორს გამიტაცა პოეტის ტკბილსიტყვაობაშ! ტყუილად არ უთქვამთ, გაუმაძლრობა მომაკვდინებელი ცოდვა არის. მე სულ მინდა და მინდა პოეტის წერილებიდან საუკეთესო ნაწყვეტები ვაგემო მკითხველებს და იმას კი არ ვუყურებ, რომ ასე გრძლად ლაპარაკი ერთ საგანზე ვნებს თხზულების გევმას. მაგრამ ესეც არის, რა გულით და სინდისით აუარო მშვენიერებას, რომელიც მაგნიტივით იზიდავს კაცის ყურადღებას.

კერძო კაცზე ლაპარაკის მოსათვებლად ჩვენ უნდა მოვიგონოთ აქ ორბელიანის სიყვარულიც ყოველგვარი სპორტისა, ე. ი. ყოველგვარი. სეირის: ცხენის ჭენებისა, ნადირობის, ჭიდაობის, მუშტი-კრიკისა და სხვა ნაირის გართობისა.

მისი ცხენები საუკეთესო ცხენები იყვნენ თბილისში და დიდუბის დოლზე იგებდენ პირველ პრიზებს. ყველას ახსოვს მისი არაბი „მერცხალა“, რომელიც პარდაპირ ნაღირ-შაპის ჭავა-ცხენისა იყო ჩამომავალი. ხანდახან თუ ვერ მოღიოდნენ პირველად მისი ცხენები, ეს იმიტომ, რომ იმათზე გამხმარი და ლონიერი უკუკეს მაგიერ „მისი ათ ფუთიანი ზახარქა“ იჯდა, რომლის სიმძიმისაგან ცხენს ზურგი შუაზე ჭქონდა გაღუნული. შემდეგი სტრიქონები, ყაფლანთან მხნაწერი, დაგვანახვებენ, რამდენად უყვარდა იმას ცხენები:

<sup>1</sup> წერილი 12 ოქტ. 1877 წ.

„იყო ცხენების ჭერება; კიდევ „ჯანი“ მოვიდა პირველი და ჩემი „ტაბასა-ანი“ მეორე. მაგრამ ცოტას გაშედა, რომ შაბულალას შეილის ცხენმა არ გაას-წრო ჩემსას. ოპ, ყაფლან! რა გითხრა. ანგლიურის ჭავის ცხენის სიმშვენიერე? იმის-თვალები, პატარა—პაჭაჭა გამხმარი თავი, ყელი აგერ აიქამდის წასული, ლერ-ჭამი უეხები, ვება გავა, დაპანადეიმ? მერწმუნე, დიდს ყაენსაც არ უყოლება ამის მსგავსი ცხენი! და რომ წამოვიდა და წამოვიდა ფრენით, ასე გასინჯე, ცალი ფერითაც კოჭლობდა, მაგრამ მოდიოდა, რა მოდიოდა, სწორედ ჯეირანი იყო! ვერსტი გამოირბინა ხუთ მინუტს ნახევარზე და რა საკვირველია, სხვანი გილე-ბისაც ჭავი ცხენები სულ ერთიანად პირველს გადმოხტომაზედევ უკან და-რჩნენ“<sup>1</sup>.

მისი მწევრებიც განთქმული იყვნენ. 1865 წელს იმან ანალი-რა ყარაიას ლორწი ჰამილტონი, დიდი-მთავრინას ნათესავი, საკა-შისმა მწევრებმა—დამკა, რეიდა, ერკეკ—დიდად მოაწონეს თავი სტუმრად მოსულ ინგლისელს.

შუშტი-კრივი, ჭიდაობა, სმა, ლხინი—ქართული სპორტიც ეს არის—პოეტის სიცოცხლე იყო. განთქმული ლოპიანა და მირზა-ჯანა მისნი მეგობარი იყვნენ და მისგან ნაქებნი ლექსად. გლდა-ნელსაც ერგო რამდენიმე სტრიქონი მის წერილებში. „ვიღაცა ერთი გლდანელი ბიჭია, არ იქნა ვერა რომელმა დასცა ესე; სულ ყველას მოერია; წასულს კვირასაც ამილახვრის ფალავანი, განგებ ქართლი-დამ მოყვანილი, დაამარცხა და დარჩა ბურთი და მეიდანი ამ გლდანელს ბიჭსა“<sup>2</sup>.

ეხლა ლხინი? დარღიმანდობა? კინტოების ფართიფურთი აი როგორ აუწერს ჭოეტი ერთ „ჩასხდომას“ ტასო აგლობეიოს:

„... ამას წინად შევიყარენით სულ ყაშვილი კაცები. მე, ჭილავე, გიორ-გი მუხრანსკი, შახავსკო, მისრსკი, ლევან, ისაკ, ჯორჯაძე, სულთან გირე, სოსი-კო, აღალაროვი, სტაროსელსკი—ამ ყმაწვილ კაცებში ყელაზე უფრო ყმაწვილი. 60 წლისა მაინც იყო—და წავედით საღამოზე ორთაჭალას და მტკვრის პირზე ჩავსტედით ზურნით, ჭინანურ-თარით და ლაზათიანის მომღერლითა და იყო ჰაერი მშვენიერი, ღამე მთვარიანი. ამ ღროს სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტიტა და სწორედ ჩენ პირდაპირ შუა მტკვარზე დადგა.—მოთავემ დაი-ძახა: წმიდა სანთლები აანთეთ! და აენთო ნავის გარეშე წმიდა სანთლები ჩირალდნად! დაიძახა: გაშალეთ სუფრა! და გარშალა სუფრა. მოართვეს მოთავეს თეფში ოთხის სტაქნებით და დალია ოთხივე დიდის მოხდენით; მერე თითონ აავსო ოთხივე და ჩაურიგა რიგზე ყველას ოთხ-ოთხი და ამით გაჩალდა ლწინი, ჩენი აქედამ, იმათი—შუა მტკვრიდამ. გამოჩნდა, რომ ნავის აღმირალი იყო: კუნძულის ძმა, ყასაბი. შუა ლხინში რომ შევიდნენ, დაიძახა აღმირალმა—ასე და-ვარქვით მოთავეს—ახლა მწვადი მოვიდეს! ამ სიტყვაზე ერთი ნავიდამ გადმოვიდა მალაყსა, ჯერ ჩაიღუბა და მერე მძოვარით ამოვიდა, მოუსეა ვეება მკლავები და გამოვიდა ტიტველა მიკიტნის დუქანთან, საიდამაც ცხელ-ცხელი შამფურები

<sup>1</sup> წერილი უთარილოა.

<sup>2</sup> წერილი რევაზ ერისთავს 8 ივნ. 1882 წ.

პუტნალალით გაიტანა ნავში და შეიქნა ახალი ჩამორიგება ოთხ-ოთხის სტაქნებისა ერთად. ჩვენის საზანდრების სიმღერაზე ისინი ძალიან იტრაკებოდნენ და ხშირად იძახდნენ: „ერთი კიდევ, გეთაყვა! ჯანუმ, გოზუმ! დიდის სიამოვნებით უყურებდა შახავსკოი იმათ დარბაისლობის შექცევას. პირველს საათზე ჩვენ აქერდამ ავიყარენით და იქიდამაც იმათი ნავი ნელ-ნელა ცურვით წავიდა ზევით ხიდისაკენ<sup>1</sup>.

ამისთანა ხალხს, ამისთანა ქალაქს კაცი როგორ უნდა მოშორებოდა.

## XXI

„ზენა-სჯული“, რომელსაც ასე „უშიშრად“ ელოდა პოეტი იუბილეის დღიდან, აღსრულდა: 21. მარტს (2 აპრ.) 1883 წ., დღესა რჩაბათს, ორბეჭიანი გარდაიცვალა.

ავადმყოფობა მისი არ გაგრძელებულა დიღხანს. ის შეიქნა შეუძლოდ შუა თებერვალს, შემდეგ ერთი საათის სეირნობისა დიდუბეს, საცა, ამბობენ, ვიღაცისაგან გაჯავრებული წასულა ის „სევდიანი, ფიქრთ გასართველად“. ამ სეირნობაში პოეტი გაციებულა და იმას გაუჩნდა ნაწლევის ანთება. სწამლობდა მისი შინაური ექიმი, დოქტორი გასპარიანცი: უეჭველია, გასპარიანცი კარგი ექიმია, მაგრამ იმ ანდაზისა არ იყოს „ერთი ჭკუა კარგი და ორი უკეთესიო“, რიგი იყო ნათესავებს მოეწვიათ სხვა ექიმებიც შესანიშნავი ავადმყოფის სანახავად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და ერთი თვის შემდეგ, შუა მარტს—ვინ იცის, ეგებ გასპარიანცის მიუხვდომლობით—უეცრივ ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ორბეჭიანი სიკვდილის პირზე არისო. გაზეთმა „მშაკმა“ პირველად დაბეჭდა ბიულეტენი ამის ავადმყოფობაზე, შემდეგ „დროებამ“ და „კავკაზმა“. 18 მარტს „კავკაზმი“ დაბეჭდილი იყო შემდეგი ბიულეტენი:

„У князя Григория Дмитриевича брюшной тиф. Вчера, 16 марта, был 34 день болезни. В 10 часов вечера температура 38,1, 96 пульс; качественно пульс удовлетворительный; дыхание 24; кашель незначительный; в правом легком застой крови; так как больной больше лежит на этой стороне; общее состояние здоровья, равно как и питание, удовлетворительное и; за исключением глубокой старости, не представляет опасности; больному по формулярному списку 83 года. Д—р Каспарьянц“.

მალე პოეტმაც იგოძნო აღსასრულის მოახლოება. სიკვდილის წინა დღეს მან მიიღო წმინდა საიდუმლო ზიარებისა, თვითონ წაი-

<sup>1</sup> წერილი ტასო აგლობუისთან 13 ივნ. 1875 წ.

კითხა ლოცვები და ერთხანს ემუსაიფა თვის მოძღვარს, მღვდელ ბესარიონ ზედგინიდეს. მისმა ჩვეულებრივმა კარგმა გუნდამ არ უმტკუნა მას სიკვდილის სარეცელზედაც. იშვიათ მნახველებს, რომელთაც შეეძლოთ პოეტთან შესვლა, ის მიიღებდა მისთ მუდმივი თავაზით და ხუმრობით:

— ე! მახლას, ბაბალე, მივდივარ! — ეუბნება ის ქ. ბაბალე ბარათაშვილისას, რომელიც მოვიდა. იმის სანახავად რამდენიმე დღის წინათ სიკვდილამდის.

21 მარტს დალის 9 საათზე დაიწყო ავადმყოფის სულთაბრძოლა. ამ დროს — მე თვითონ ვნახე ჩემი თვალით — მისი განსასვენებელი ადგილი წარმოადგენდა შემდეგ სურათს: სულთ-მობრძავი იწვა ქვემო-სართულის დიდ-დარბაზში, მარცხნა ოთახის კარებთან. მის თავთან ანალოიზე ესევნა მაცხოვრის ხატი, რომლის წინ ენთო წმინდა სანთელი და მოშორებით დაბალის ჩაწყვეტრლის ხმით დიაკვანი კითხულობდა რაღაც სამღვთო წიგნს. პატარა ოთახში, ვვერდით, ირეოდნენ პოეტის ნათესავნი ქალნი, რომელთა პირის-სახეზე და თვალის გამომეტყველებაზე — ისატებოდა ნამდვილი მწუხარება. პოეტის ერთგულნი და მოსამსახურენი, პოეტის მოძღვარი სასოწარკვეთილებით დაჰყურებდნენ მომაკვდავს, გარეშე ნაცნობნი განუწყვეტლად მოდიოდნენ, ან გზავნილენ კაცს ავადმყოფის ამბის შესატყობად. აი, სხვათა შორის, გენერალი ტრუბეცკოი. ვხედავთ, ის მოუახლოვდა. სახლს და რა შეიტყო ავადმყოფის სულთა-ბრძოლის დაწყება, მუხლი მოიყარა ეზოში, პირსჯვარი გადაიწერა, თაყვანი სკა სახლს და განშორდა. თვითონ სულთ-მობრძავი ზეწარგადაფარებული გაწოლილი იყო ფართო კრაოტზე და ძალზე ხვეჭოდა. მის ფართი შუბლს ხვითქიერით გაღმოსდიოდა გაჭივრების ოფლი. ვეებერთელა ტანი დავარდნილ-იყო; პირი დასწმენდოდა; თვალებს დაჰკარგოდა გამომეტყველება, თუმცა კი მომაკვდავი გაშტერებულად იყურებოდა აქეთ-იქით და ხელის მოძრაობით თითქო გვანიშნებდა, რომ გრძნობა და მოსაზრება ჯერ სრულიად არ დაპირგოდა იმას. მუდამ მოპარსულ ნიკაპზე თეთრი წვერი გასწორებოდა ბაკენბარდებს და მისი პირისსახე ერთის შეხედვით ძნელიად საცნობი შეექმნა... მთელი დღე გასტანა სულთა-ბრძოლამ. მხოლოდ 4 საათზე და 35 წამს განუტევა მომაკვდავმა თვისი სული.

პოეტის გარდაცვალების ამბავი მოეფინა მსწრაფლ მთელს კავკასიას და, რასაკეირველია, ყოველგან დიდი მწუხარება აღძრა. ტელეგრაფს ყოველგნით მოჰქონდა განსვენებულის მემკვიდრეებთან, თუ „დროების“ რედაქციაში სამძირის დეპეშა და ყოველგან საქართველოში და საქართველოს გარეც, საცა ქართველები იყვნენ,

გაიმართა პანაშვიდები პოეტის სულის განსასვენებლად, პანაშვიდი გადაიხადეს, სხვათა შორის, პეტერბურგშიაც დიდი მთავრის მიხაილ ნაკოლოზის ძის სასახლეში, საცა დაესწრნენ, სახლისუფალის სურვილისამებრ, პეტერბურგში მყოფნი ქართველნიც და პანაშვიდის შემდეგ ადრინდელმა კავკასიის მთავარმართებელმა სამძიმრის დეპეშა გამოუგზავნა განსვენებულის ნათესავთა: მთავარმართებელმა ი. დონდუკოვ-კორსაკოვმა, რომელიც ამ უამატ პეტერბურგს იყო, სამძიმარს გარდა, მოსწერა მის მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტს სტაროსელსკის, განსვენებული დაესაფლავებინათ სრულის პატივით, რომელიც შეეფერებოდა მის სახელს და მაღალს ღირსებას. 23 მარტს. ტელეგრაფმა მოიტანა თბილისს ხელმწიფე იმპერატორის სამძიმარიც ლევან მელიქიშვილის სახელზე. აი თვითონ ეს დეპეშა:

Обращаюсь к вам с просьбою передать семейству князя Григория Димитриевича Орбелиани мое искреннее соболезнование в их чувствительной утрате; глубоко сожалею о смерти столь благородной иуважаемой личности. Александр.

თვითონ ქალაქში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტის გარდაცვალებამ. სამხედრონი, სამოქალაქონი, სასულიერონი, რუსნი, ფრანგნი, ქართველნი, სომეხნი, ყოველი წოდება, ყოველი ხელობა წეაწუხა მისმა სიკვდილმა. დღიდან გარდაცვალებისა დასაულავებამდის განსვენებულის ეზო აღდგომის ღამესავით გადაჭრელებული იყო პანაშვიდისათვის ანთებულ სანთლებისაგან. საქართველოს ექარხოსი პავლე და სხვ. მაღალი მართლმადიდებლობის სასულიერობა ყოველ საღამოს უხდილენ განსვენებულს პანაშვიდს, რომელზედაც შთელი თბილისის მაღალი საზოგადოება დაჭიოდა უქლისად. საზოგადო მანიფესტაციის მივიდა, რომ ერთ პანაშვიდზე მაღალი წოდების ქართველ ქალებმა ქართული გალობის ხორთ გამართეს. ურიცხვთა გვირგვინთ ავავილებისა — თაყვანისაცმის და პატივის-ცემის ნივთიერთა ნიშანთა — სულ ერთიანად დაჰფარეს განსვენებულის კუბო!

გასვენების დღედ დაინიშნა შაბათი, 26. მარტი. დასაფლავების ცერემონიალის შესადგენად დაწესდა კომისია, რომლის წევრნი იყვნენ: ნიკო ჭავჭავაძე, ნიკა ამილახვარი, ილია ჭავჭავაძე, თავალ-აზნაურთა წინაშძლოლი დ. სუმბათაშვილი, კამენცატის თანაშემწე რეიტერი, ქალაქის თავი ბ. მატინოვი, მთავარსამმართველოს კანცელარიის უფროსი ბ. იაკიმოვი და ამ სტრიქონების მწერალი. დასაფლავების წინა დღეს კომისია შეკრბა ნიკო ჭავჭავაძესთან „ქავკაზის“ სასტუმროში და შემდეგ ერთი საათის ბასესა, დაადგინა თავდა-

რიგი მიცვალებულის გასვენებისა: რა ქუჩები უნდა გაევლო პროცესიას, ვის რა ადგილი დაეჭირა კორტეჯში, სად წარმოეთქვათ სიტყვები და სხ. რაღაცანაც სიონის სობოროს ამ ეამად ახალს რატაქს უკეთებდნენ, განსვენებულის მოსახსენებელი წირვა გაღასწყვიტეს მომხდარიყ ანჩისხატის ეკლესიაში. ერთ დროს დააბირეს კორპუსის ეკლესიაში გასვენება, მაგრამ, რაღაცანაც ეს ეკლესია ერთობ ახლოს იყო პოეტის სახლიდან და პროცესია ამ პატარა ადგილზე ვერ გაიშლებოდა, ეს აზრი დაუტევეს. დასაფლავების ადგილად, ნათესავების სურვილით, დაინიშნა ქაშვეთის ეკლესია, საცა დამარხულია პოეტის ძმა ილია. განსვენებულის სურვილი რომ ხსოვნებოდა ვისმე ან კოშისიაში, ან ნათესავებს, ის შეიძლება, ქაშვეთის ნაცვლად, კუმისის სამების ეკლესიაში დაემარხათ, რაღაცანაც მის ძმის ზაქარიას სიკვდილის გამო პოეტი სწერდა ერთ დროს თავის რძალს ქეთევანს: „ზაქარია კუმისის სამებაში დაასვენეთ და მეც იქ დამმარხეთო“...<sup>1</sup>

დასაფლავების დღისათვის ქალაქში დიდალი ხალხი ჩამოვიდა ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, ქუთაისიდან მოვიდნენ, სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავი, გაზეთი „შრომის“ რედაქტორი, „ქალების ბიბლიოთეკის“ რედაქტორი—სულ ყველანი ყვავილებითა და გვირგვინებით. გორმაც გამოგზავნა თავისი ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი.

დასაფლავების წინა ღამეს ცოტა იწვიმა, მაგრამ ცისქარზე ცა ერთბაშად მოიშმინდა და რიერაუზე პოლიციის უფროსის რასინსკის განკარგულებით ორას-სამასშა მუშამ მსწრაფლად გასწმინდეს ის ქუჩები, რომელზედაც უნდა გაევლო სამგლოვიარო კორტეჯს. ათი საათისათვის ქუჩები თითქმის სრულიად გაშრა.

დილის რეა საათიდან დაიწყო ქალაქში ხალხმა რევა. ყოველ უბნიდან გამოეფინა ქალი და კაცი, როგორც დიდ დღესასწაულებში გინახავთ. უბრალო ხალხი მიეჩარებოდა სახელოსნო გამგეობაში, საიდანაც უნდა წასულიყვნენ ამქრები ბაირალებით. მოქალაქენი, მოხელენი, სამხედრონი, სასულიერონი, მოზარდი თაობა, სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების და ქალაქების წარმომადგენელნი მიეშურებოდნენ განსვენებულის სახლისკენ. საათის ცხრიდან ყველა ქუჩები, საცა კი უნდა გაევლო პროცესიას, აივსო მაყურებლებით, აგრეთვე აივნები, ფანჯრები, სახლის სახურავები. ბოლოს

<sup>1</sup> წერილი 9 დეკ. 1847 წ.

შიგიღნენ სახლთან ამქრები და ჯარი ზარბაზნებითა, როგორც წესია გენერალ-ადუტანტის დასაფლავებისა.

მეათე საათზე ფოტოგრაფმა ფილიპოვიჩმა გადაიღო განსვენებულის სახე ყვავილის გვირგვინებით გარშემორტყმული და მთავარსარდლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალმა ჯომარჯიძემ დასდგა კუბოზე გვირგვინი „კავკასიის ჯარებისაგან“ შესაფერის სიტყვითა. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მაჲმადიანების დეპუტაციის წევრმა პუსეინ გაიბოვშა. და საქართველოს ექსარხოსმა ჩამოილოცა მცირე პანაშვიდი.

ათ საათზე პროცესია დაიძრა.

პირველად გაემართა ცხენოსანთა კამანდა, რომელთა მორთულობა წითელ-ყვითლად ელვარებდა მჩის სხივისაგან; იმათ მოჰყვა ხორუგვები და გვირგვინები—რიცხვით ორმოცდაათამდის—სხვადასხვა ქალაქებისა, ქველმოქმედ საზოგადოებათა, რედაქციებისა, სკოლებისა, გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების მოსწავლეთა, ხელოსნებისა, თავად-აზნაურობათა, კლუბების და სხვათა და სხვათა, სხვადასხვავარის წარწერილობით, უმეტეს ნაწილად განსვენებულის ლექსიდან. უკანასკნელად მიჰქონდათ ორბელიანთა გვარის ვერცხლის გვირგვინი, მშვენივრად მორთული. გვირგვინებს მოსდევდნენ პოეტის ორდენები, რომელიც ექვს თუ შვიდ აფიცერს მოჰქონდა შაყვლის-ფერ ხავერდის ბალიშზე დაკერებული. შემდეგ ტოლიოდა უკლისად მთელი თბილისის სამღვდელოება საქართველოს ექსარხოსით და არქიმანდრიოტებით. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ თუმცა მოწვეული იყო, ვერ დაესწრო პოეტის გასვენებას, რადგანაც ვიღაც ჯაფარიძის გასვენებაზე ყოფილა შეპირებული. შემდეგ შოჰქონდა ხალხს კუბო, რომელიც სახლიდან გამოასვენეს გენერლებმა: ნიკო ჭავჭავაძემ, ზაქარია ჭავჭავაძემ, ივანე ამილახვარმა, ა. საგინოვმა, ნ. წერეთელმა, ვეზიროვმა, მ. ერისთავმა და სხვ.

კუბოს მოსდევდნენ პოეტის ახლო ნათესავნი და შემდეგ გენერლობა, თავად-აზნაურობა, ქალაქის წარმომადგენელი, ამქრები, სოფლიდან ჩამოსული ხალხი, ქალაქის მუშები და დასასრულ—ჯარი და ზარბაზნები. პროცესია თითქმის ნახევარ ვერსზე გაიშალა. ქალაქს დიდი ბანია არ ენახა ასეთი დიდებული დასაფლავება. პროცესის გზა ჯერ მიღიოდა მაღათოვისა და ბარიათინსკის ქუჩებით, მერე გოლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით, ერევანსკის მოედნით, შუა ბაზრით, პატარა პრიკაზის ქუჩით და გუბერნატორის მოედნით. ამ მოედანზე გიწროობისა გამო პროცესია შეჩერდა და გზა მისცა მიცვალებულს და ნათესავებს. სანამ წირვა გათავდებოდა, რაც ხალხი ვერ დაეტია სიმცირისა გამო ანჩისხატის ეკლესიაში, გაჩერებუ-

ლი იყო ეკლესიის გალავანში და მოედანზე. წირვა რომ გათავდა, სამი სიტყვა წარმოითქვა ეკლესიაში: ერთი მღვდლის ჯანაშეილისა-გან განიცადება, მეორე—არხიმანდრიტის გრიგოლისაგან და მესამე— ექსარხოსისაგან. შევენიერი სიტყვა იყო ექსარხოსისა. შეიძი სიტ-ყვისაგან, რომელიც წარმოითქვა ამ დღეს რუსულსა და ქართულ ენებზე, ის იყო საუკეთესო...

ანჩისხატიდან პროცესია იმავე რიგით და იმავე ქუჩებით დაბ-რუნდა გოლოვინის პროსპექტზე, საიდანაც შეუხვია ქაშვეთის ეკლესიაში.

ქაშვეთის გალავანში, ეკლესიის კარების წინ ორბელიანის კუბო უკანასკნელჯერ დაასვენეს მიწაზე და დაიწყო გამოსათხოვარი სიტყვები. პირველი სიტყვა იყო კორპუსის კამახდირის დეველისა. მოკლე იყო ეს სიტყვა, მაგრამ ისეთი გრძნობით თქმული, რომ მაყურებელთა ცრემლები ვერ შეიკავეს, როდესაც კორპუსის კამან-დირმა მაღალი მთრთოლვარე ხმით დაიქცა:

„მძიმეა და სამწუხარო, რომ მზოვანი მეომრის გვამს, რომლის ხრწნიად ძლებებზედაც ღრმად. არის ნაჭდევი 62 წელი პატიოსნურად გატარებულ ოფიცირის სამსახურისა, წუსულოსა ვხედავთ. ნახევარ საუკუნეზედ მეტი უზყველად იდექი კავ-კასიის უძლეველ შევდრობის წყებებში, მისი სახელი შენ სახელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული... და, ჰა, ამ სამწუხარო წამებში მთელი ჩვენი შენდამი პატივის-ცემა და სიყვარული ცივ სამარეში უნდა ჩაიტანო. დიახ, აღარ მოგვცემ პასუხს ჩვენს გულწრფელ სალამება და ვეღარც ჩვენ მოვისმენთ ჩვენი ღუროპირის საამო სიტყვებს! მოისპო შენი სიცოცხლე ჩვენთვის, ვინაიდან აუცილებელი უკვე მოხდა!

„მშვიდობით, მაშ, მხცოვანო მეომარო! მშვიდობით, კავკასიის ყველა ჯა-რების სახელით, რომელთა შორისაც დიდად პატივცემული მეომარი და საყარე-ლი კაციც იყავი. მაგრამ ჩვენს შენდამი ანგარიშებს ამ გამოთხვებით როდი ვა-თავებთ! არა, თავადო გრიგოლ! კეთილსა და სამარიდისო ხსენებას შენსას არასო-დეს კავკასიის მხედრობა არ დაივიწყებს!“

შემდეგ ილაპარაკეს: ილია ჭავჭავაძემ, აკაცი წერეთელმა და ნიკო ყიფიანმა. სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ ვიტყვი იმათ სიტყვებ-ზე. ორმა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა, ჩემის ფიქრით, ვერ გაიგეს ამ მომენტის მაღალი მნიშვნელობა ჩვენი პატია ხალხისა და მწერ-ლობისათვის. ასაფლავებდნენ კაცს, რომელსაც დასტიროდა მთელი საქართველო, რომელმაც ქართველის სახელი და ქართული სიტყვა აღიყენა იმ სიმალემდის, რომელსაც არავინ შესწედენია არა მარ-ტო ამ საუკუნეში, და ნაცვლად იშისა, რომ წარმოეთქვათ მამულის სიყვარულისაგან ნაკარნახევი და გულის სილრმისაგან გამოსული სიტყვა, წინდაწინ საქრესტომათიოდ განმზადებული, რომელშიაც გამოეხატათ პიროვნება და მნიშვნელობა გარდაცეალებულისა, პირ-ველმა მათგანმა პოეტის ნაწერებიდან ამოღებული სიტყვებით რა-

ლაცგვარი ფელეტონური სიტყვა შეთხზა, რომელშიაც საკუთარო  
მარტო ის აზრი იყო, რომ პოეტის ნიჭი სიტყვასაც საქმედ შეიქმ-  
და... თითქო განსვენებულის 83 წლის ცხოვრებაში აშ საპარადოქსო  
აზრის მეტი სხვა არა ყოფილიყო რა; მეორემ... მაგრამ, ეჭ! სჯობს  
მეორესაც თავი ვანებოთ და მესამესაც. არც ერთი არ იყო შესაფე-  
რი სამწუხარო შემთხვევისა.

მეოთხე საათზე სიტყვები გათავდა და გოლოვინის პროსპექტი-  
დან მოისმა იქ გამწკრივებული ჯარის თოფის გრიალი. თოფებს ბანი  
მისცეს მტკვრის პირიდან ზარბაზნებმა და კუბო ჩაეშვა სამარეში..



ნიკოლოზ ბარათაშვილი



ნიკოლოზ ბარათაშვილი  
(მ. თუმანიშვილის ესკიზი)

## ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ჭუბლვნი ნიკოლოზ  
რევაზის-ძე ერისთავი

ბარათაანთ გვარს შესანიშნავი მწერალი ემართა. იმ შოდგმათა რაზმს, რომელიც მოჰყვა ბარათას და ჯამბაკურის ჩამომავალთა მას შემდეგ, რაც ესენი ძველთა-ძველად გადმოსახლდნენ საქართველოში კვიდრე ხუთი ათასითა ოდენ მეკომურისა კაცითა”, იმ მდიდარს და პოხიერ სისხლს, რომლის შორეულმა ტალღამ მისცა ჩენენ მწერლობას ნიკო ბარათაშვილი, არა ერთი კაცი გამოუჩენია საქვეყნოდ განთქმული სამშობლოს ერთგულებითა და ვაჟკაცობით. დრო იყო, როცა თითო ბარათაშვილი თითო ჯარად ულირდა საქართველოს. მაგრამ სამწერლო სარბიელზე ამათში მხოლოდ ოჩბელიანთ გვარს ჰქონდა შეკვლეული გზა. ბარათაანთ სახელი ამ ასპარეზზე პირველად იმან შეიტანა, რომლის ცხოვრების აღწერას ეკუთვნის ეს მცირე შრომა. ეს გვარის დამაშვენებელი კაცი არის ჩენი სასიქადული პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

### I

ბარათაშვილის დედ-მამა.—მისი დაბადება.—პირველ-დაშვებითი სწავლა კალოუბნის სასწავლებელში.—კეთილ-შობილთა სასწავლებელი.—პოეტის მასწავლებელნი და ამხანაგნი.—სხვა და სხვა მოგონებანი სასწავლებლის ცხოვრებიდან.

ნიკოლოზის მამა, მელიტონ პარათაშვილი, კავკასიის მთავარ-შმართველების ერმოლოვის და პასკევიჩის<sup>1</sup> დროს მთავარსამმართველოს თარჯიმანი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად ჩამოთესილ მთავრობასა და საზოგადოებას შორის თარჯიმანს დიდი ადგილი ეჭირა, —ჩვენში ჯერაც არ დავიწყით სახელგბი იმ დროს თარჯიმნებისა: ბებუთოვის, ენიკოლოფოვის და ფალავანდოვისა<sup>2</sup>. შემდეგში მელიტონ ტფილისის მაზრის მარშალი იყო და ხშირად გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძლოლიც. მისი ოჯახი ფართოდ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ლონეზე გადამეტებულად მდიდარი

<sup>1</sup> ერმოლოვი იყო მთავარშმართველად 1816—1827 წლ., ზოლო პასკევიჩი 1827—31 წლ.

<sup>2</sup> ივაშე მუხრან-ბატონისაგან განაგონი.

და ნაქები მთელ ქალაქში<sup>1</sup>. ხშირმა სტუმარმა და წვეულებამ თან წარიღეს მისი ავლადიდებაც. მელიტონი ჩავარდა დიდ, გადუხდელ ვალში, რომლის გამო პოეტიც ნაკლულევანებაში იყო მთელი სიცოცხლე.

მის ზნეობით ვინაობაზე ბარათაშვილის ამხანაგი და ცხოვრების ამწერი კამისტანტინე მამაცაშვილი სწერს: „მელიტონ იყო ქართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმი-წევნით მცოდნე ქართულ ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულს ქართველებს. იმათ შორის თითქმის ყოველ-დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეკვატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფავლენიშვილები, სოლომონ მეითარი—თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები და ბევრნი მაშინდელს დროს განათლებულნი ქართველნი“<sup>2</sup>.

ყველა სხვა ლირსებასთან მელიტონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა: მეტის-მეტად ანჩხლი იყო და მყვირალა. ივანე კერესელიძემ გვიამბო: მელიტონ თვის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესროდაო, კანტორის პირდაპირ. მის გულფიცხობისაგან მის სახლობას არა ერთხელ ცხაოე ცრემლი ულვრია და მწარე პური უჭამია. ერთხელ, მაზრის მარმლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რალაც ქალალდის მოძებნის უარი უთხრა.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, ის სამგზის კურთხული დედა, რომელმაც, როგორც მუხამ, სულთ-უდგა მის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა საუკეთესო ლექსი ქართული მწერლობისა „ჩემს დას ეფემიას“, რომლის ალერსი უხაროდა შორით მის დიდებულ ძმას და იზიდავდა მისდამი ყოველთა პატივისცემას. „ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზრდილი“, ამბობს კონსტანტინე მამაცაშვილი. ის იყო საშუალის ტანისა და პირხმელი, —დასძინა ივ. მუხრან-ბატონმა.

მელიტონ სახლობით ჯერ მუხრანიანთ ხიდს ახლო იდგა და შემდეგ ანჩისხატის უბანში, იქ, საცა აბხაზი იდგა, დეკანოზ დიმიტრი ნესხიშვილის სახლის პირდაპირ.

ბარათაშვილი—შინაურობაში ტატო, ნათლობის სახელით ნიკოლოზ—დაიბალა ქ. ტფილისში 15 (27) დეკემბერს 1817 წელს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გენერალ ალექსანდრე საგინაშვილისაგან განაგონი.

<sup>2</sup> „დროება“, № 206, 1881 წ.

<sup>3</sup> ბარათაშვილის დაბადების თარიღის შესახებ იხ. შენიშვნებში (გვ. 211).

ამ დროს ჯერ ისევ არსებობდა ტფილისში სამრევლო სასწავლებლები, საცა თითო ოროლა ანაბანას სწავლობდნენ ყველა ჩვენი შესანიშნავი კაცნი წარსულის დროებისა. შვიდი წელი რომ შეუსრულდა ტაროს, დედამ ასწავლა იმას წერა-კითხვა და მიაბარა კალოუბნის სასწავლებელში, საცა 10—12 წლის წინათ სწავლობდა გრ. ორბელიანი. აქ დაუდვა იმან პირველი საფუძველი იშ კარგენას და წერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყველაფერი, რაც რამ დაუწერია მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითნი, ფამნი, სამოციანულო, სახარება, გ. ი. ათასი წლის ქართული ენა, რომლითაც გულახურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემომქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა, შეიქმნენ ქვა-კუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობისადმი. ნუ დავეძებთ იმას, თუ როგორ, ან რას ასწავლილენ ამ სკოლაში, რადგანაც მხოლოდ პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო პოეტმა აქ. ასწავლილენ აქ სამღვთო ჭიგნებს, სიტყვიერებას, ასწავლილენ მამა-პაპურად, პატრიარბალურად. ბარათაშვილის ცხოვრების ამწერი ზ. მთაწმინდელი<sup>1</sup>, რომელსაც არა ერთი საინტერესო ცნობა გამოიჩინება პოეტის ცხოვრებისა, წერს ამ კალოუბნის სკოლაზე: „სკოლა სწორედ ახლანდელს კალოუბნის ეკლესიის შახლობლივ ყოფილა, შეგირდები თურმე ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში—დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ უიდულოდნენ, შეგირდები რომ პურს მიიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადლისას დაუძახებდა შეგირდებს: სათითაოდ ზოგს კოჯას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმაწვალებს წყალზე წასასვლელად და თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყებოდა“<sup>2</sup>.

რაც უნდა იყოს, მაღლი იმ სასწავლებელს, რომელმაც ქართული ენის სიყვარული ჩაუნერგა გულში ორ ისეთ მწერალს, როგორიც არიან გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. ბარათაშვილს ამ დროებაში, თუ დაუჯერებთ იმავე ავტორს, ქართული ტანსაცმელი სცმია, „თეთრი მაუდის ჩერქესება, თავადური პატარა ლურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი და ვერცხლის ქამარი, ბუზმენტიანი“<sup>3</sup>.

1827 წელს, სექტემბერს, ბარათაშვილი შეიცვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი შედევგში გიმნაზიად გა-

<sup>1</sup> ზაქ. ჭიგინაძე.

<sup>2</sup> „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ზ. მთაწმინდელისა. 1885 წ., გვ. 5.

<sup>3</sup> ibidem, გვერდი 6.

დაკეთებული, იყო მოთავსებული ეხლანდელ დამფუძნებელი კრების ქუჩაზე, იქ, საცა ამართულან ამ ქამად ვეებერთელა სახლები ლა-ლავეის (ყოფილი ზუბალაშვილისა) და ერისთავისა (ყოფილი სარა-ჯიშვილის). სკოლასთან პანსიონიც იყო, საცა იღგნენ 150-მდის ყმა-წვილი და ბარათაშვილიც ამათ რიცხვში მიაბარეს<sup>1</sup>.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმე-ტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარული ხასიათით, სიმარტით. პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლექურისა, ყველა-საგან საყვარელი ამხანაგი“, — სწერს ტელეგრაფულის სტილით კონ-სტანტინე მამაცაშვილი<sup>2</sup>. ამავე სტილით რომ შევავსოთ ეს ცნობა, უნდა დავუმატოთ: იყო დიდი ცელქი, დამცინავი, ჩქარი, მაგრამ კე-თილი, კვეიანი, ამხანაგებისა და თავის მოყვარე:

მასწავლებლები დიდად აფასებდნენ ნიჭიერ შეგირდს. ქარ-თულ ენას და ლრაპატრიკას ასწავლიდა იმას ჯერ დოდაშვილი, სანამ ამას არ დაიჭირდნენ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის და არ გააგ-ზავნიდნენ რუსეთს, და შემდეგ ყორლანოვი, რუსული ენის მასწავ-ლებელი. დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის ლრამა-ტიკა—გრეჩის წიგნი გადმოაკეთა — და დაბეჭდა თუ არა, გასცა კლა-სებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ აღა-სრულა ბარათაშვილის გარდა. ამას ფული ვერ ეშოვნა. როცა ავტო-რი — მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფილებით გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჭირიმე.

— მაშ, რატომ წიგნი არ უყიდნია? წალი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონია, კლასში არ შემოგიშობ.

მეტი რა ლონე იყო, ამ ულტიმატუმში შეაშინა პოეტის მაშა და აყიდვინა იმას ერთი ვაი-ვაგლახით დოდაშვილის სწორმეტყ-ველება<sup>3</sup>. დოდაშვილის შემდეგ ლრაპატრიკას იმისვე წიგნით ასწავ-ლიდა ყორლანოვი, კაცი დიდად უნიჭო. ამის უბედურება ის იყო,

<sup>1</sup> ტფილ. კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წ. სექტემბრის 2-ს (14) ქართველი კეთილშობილი ახალგაზრდობისათვის. 1803 წ. დაიკეტა და ხელა-ლა გაიხსნა 1804 წ. მარტში. გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წ. აწინდელ ბინაზე (პირველი საშ. სკოლის შენობა) გადავიდა 1833 წ. რედ.

<sup>2</sup> იხ. „დროინება“, № 206, 1881 წ.

<sup>3</sup> ლევან მელიქიშვილისაგან გაგონილი.

რომ ლრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა, ამის გამო მთელი წელი-წადი სულ ამას იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვე-თეთ“, და შეგირდებიც სულ ზმნამდის ზეპირობდენ<sup>1</sup>. ეს პატიოსანი კაცი რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში, იმ „რაზღოვორე-ბის“ საშუალებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართული. განსვენებულ ალექსანდრე საგინაშვილისაგან გა-მიგონია, ყორლანოვმა ხელის შლაც იცოდა და პრტყლად ლაპარა-კიო. ის რომ ხმა-მალლა იტყოდა: ჯარკი, იყენე ჯარკი—„ცხელა, ძლიერ ცხელა“, მთელ კლასს უნდა გაგვემზორებია მისი სიტყვები.

რუსულ ლრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც ცოცხალია<sup>2</sup> და იმ-ყოფება ქალაქ ტფილისში. ამან კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისშა შეგირდებმა—მათ შორის ბარათაშვილმა—ჩინებულად ისწაკ-ლეს რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უქებდენ ამ მასწავლე-ბელს. რასაც გვასწავლიდა, ისე კარგად გვასწავლიდაო, სთქვა ლუ-კა ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკმას გვიდებდაო, მაგრამ თუ ვერ გავიგებდით და კითხვაზე ჯეროვან პასუხს ვერ მივცემდით, გაგვიჩერდებოდა და გვეტყოდა: ჩყ ყთი, ლინიი! და გაჯავრებული-ხელ-ახლა აგვიხსნიდა საგანს. მეტადრე კარგად კითხულობდა თურ-მე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნა-თარგმნს. ქართულ კატეხიზმოს ასწავლიდა სკოლაში ეფრემ ალექ-სი-მესხიშვილი, ზედმიშევნით მცოდნე ქართული ენისა, რომელმაც უფრო განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგი ქართულისა.

ბარათაშვილი ყველა საგანს კარგად სწავლობდა. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქიშვილს, განეგრძოთ მეტეოროლოგიური დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მინდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს ტერმომეტრი არ გაუტყ-და. იმას უნდოდა სხვა ტერმომეტრი ეყიდა, მაგრამ ფული საიდან უნდა ეშვენა და პირშავად დარჩა თავის მასწავლებელთანაო,—გვითხ-რა ლევან მელიქიშვილმა.

სხვაზე უფრო დაწინაურებული იყო ბარათაშვილი ცეკვითაც. სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და პქონდა-საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოღიოდა სასწავლებელ-ში ოსტატი ალდადანოვი, რომელიც სხვათაშორის ლექტრისაც ას-

<sup>1</sup> იასე ანდრონიკაშვილისაგან გაგონილი.

<sup>2</sup> 1893 წელს, ამ ნარკვევის დაწერის დროს.

წავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლექურე, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში.

როგორც ამბობს ბ-ი მთაწმინდელი, 1832 წ. ორივე ფეხი მოიტეხა და დიდი ვაის-ყოფით მოიჩინა თავი და კოჭლად. დარჩა მთელი სიცოცხლე.

მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენაშახილი ბარათაშვილი იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მის ეპიგრამებს.

მაგრამ ყველანი არ ურჩებოდნენ მის დაცინებას. ერთხელ, როდესაც ქართული მწერლობის სიყვარულით გატაცებულნი, გიმნაზიის მოწაფენი სწერდნენ და თარგმნიდნენ ქართულ ენაზე რუსულ ლექსებს. ერთ შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი თნევინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правил:

Когда не в шутку занемог...

ვარლამოვს თარგმანი არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მაღავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლი-ტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს ეს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

— სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ვარლამოვმა ყურები სცევიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამალლა:

„ბაბა ჩემი დიდთა პატიოსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა.“... თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს. მასწავლებელი, რომ არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ბარხარში, რომელიც ატყდა აზის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ-პოეტს<sup>1</sup>.

მეორე ხუმრობისათვის ბარათაშვილი კინალამ არ გამორიცხეს სასწავლებლიდან.

ერთხელ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველმა შეგირდობამ კონცერტი გამართა სასწავლებლის დარბაზში. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა

<sup>1</sup> ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი.

სასაცილოდ აიგდეს წარმოდგენის მონაწილენი. ეს რომ ბარათა-შვილმა შეიტყო, ჯავრის ამოსაყრელად, სატირა დასწერა სომხებზე, რომელშიაც სხვათა შორის ზოგიერთი ქართველიც შეამკო. ეს ლექ-სი ასე თურმე იწყებოდა:

„კონცერტებში დაგვპატიუეს, დაგვათვლევინეს ფულები“...

ბარათაშვილის ამხანაგებმა ჩასდეს კონცერტში და ფანჯრიდან ქუჩაში გადააგდეს. ერთხელ უცადეს ეფექტს, მაგრამ რომ არ გა-მოვიდა რა, ხელახლა გადასწერეს ლექსი—ლევან მელიქიშვილმა გადასწერა—და როცა სასწავლებელში მოვიდა თოსტის დამტარე-ბელი, ლექსი „კნილაში“ ჩაუდეს დაბეჭდილი პაკეტით. პეტრე ბაგ-რატიონმა ჩაწერა ამ „კნილაში“, რომ პაკეტი მიოთმეოდა თავად-აზნაურობის წინაშძლოლს თ. ფალავანდიშვილს. ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულიყო ამ ლექსში, რომ მთავრო-ბამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია იმას, რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლექსი, ბეჭედზე დაწერილი გვარი დაემახსოვრები-ნათ—ეს ბეჭედი ბარათაშვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო—და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვი-ლასთვისაც და წიგნი მონასტირსკის ბეჭედით დაებეჭდა, ფოსტამ—რომელიც გაფრთხილებული იყო—ბეჭედი იცნო, მჩუდებელი დაიკი-რა და მთავრობას წარუდგინა. იმავე საღამოს სასწავლებელში მო-ვიდნენ უეცრივ: ეანდარმის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფ-როსი. შეიხმეს ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანავე-ბმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, ღამ-ლამე შინ მიძიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაცოლოვდა: მთავარმართებლის გოლოვინის<sup>1</sup> ბრძა-ნებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი, გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახ-მაჲ, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია აძრიგად მჩ-დიოდა: წინ მიღიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა ვუერნიორი და გრივერნიორს დარაჯი „როზგით“. და დაუწყეს წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოლტერს თავის სატირისათვის. იმის სინარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინალამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა.

ბარათაშვილმა დაასრულა გრძნაზია 1835 წელს. იმასთან ერ-თად შეასრულეს სწავლა: გასპაროვმა, ხორუენჯომ, ილია ორბელი-ანმა და ლევან მელიქიშვილმა. „გასპაროვი ჩვენზე მდიდარი იყო და სულ იაღლოს გვაჭმევდაო“, გვიამსო სხვათა შორის ლევან მელიქიშვილმა, ამ დროების მომენტში.

<sup>1</sup> გოლოვინი იყო მთავარმართოველად 1837—42 წლ. რედ

## II

ბარათაშვილის სამსახურში შესვლა.—Экспедиция суда и расправы. თანამედროვე ქალაქის ქართველი საზოგადოება.—ბარათაშვილი სულით ობოლი.

გიმჩაზის შესრულების შემდეგ ბარათაშვილმა ჯერ სამხედრო სამსახურში შესვლა დაპირა. ეს ისეთი ღრო იყო, რომ მთელი კავკასია და ოუსეთი ლეკებთან ბრძოლას ეძებდა და შამილის დაცერას ფიქრობდა სიზმარში თუ ცხადად. ამასთან სამხედრო ასპარეზი, რომელშიაც იღვწოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ თრბელიანი, აღრიდგანვე შეადგენდა მისი სურვილის საგანს. მაგრამ ეს სურვილი არ აუსრულდა პოეტს; დედ-მამამ თანხმობა არ მისცეს: „შვილო, კოჭლი ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში რაღ ივარგებო“, უთხრეს იმათ. მაშინ ოცი წლის ყმაწვილმა ითხოვა უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ თანხმობა არც ამის მიიღო. ბარათაშვილი დამორჩილდა თავის ბედს, დარჩა ქალაქში და სხვა რომ ვერა მოახერხა რა, შევიდა ჩინოვნიკად კავკასიის უზენაეს სასამართლოში, რომელსაც ერქვა Экспедиция суда и расправы.

თვითონ პოეტი აუწერს თავის მდგომარეობას ბიძამის გრიგოლ თრბელიანს ერთ წერილში თებერვლის თვითან 1837 წლისა.

„საყვარელო ძიავ! აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმჩაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, როდენობის და მეტად გამოიყენდა აღვიარებული სამსახურის სამსახურში, რაც მეტად გადატანდა მაგრამ თავის მიზანი და არც მეტად გადატანდა მაგრამ თავის მიზანი. წარდგენილი ვიდეო შთამომეგარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიზალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურად კიდეც ვხტი: და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ, რაღგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსოხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შეძისრულეს. უბედურებისაგამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც-კი გავაწიო ამ სხეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამას შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა.

მამა ჩემი თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს შავულში. განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბეღსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით დავპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბეღი და ან ჩემი სურვილის ალსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიშვონადი: უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც-კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შეოლა; ეს არის რომ კრუ чиновников ნე ვიგოდენ დლი ინაგანი მრავალი მართალი ითქვას, რომ ეს თავიზედ არის დამოკიდებული».

„ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ლმერობმა დამიფაროს! ეგ თეისება სხვისაც მეჯავრება. კეშვარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაწყობა სოულას ბრუნვას...მანლაქ!“...

ბარათაშვილი გამოვიდა ამგერად ცხოვრებაზი, გახდა ჩინოვნიკად, საზოგადოების მოსამსახურე პირად. ის ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო, „პროტოკოლების“ და აქტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სიტყვიერების თეორია სჭეროდა ხელში, მაგრამ, იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა და ესეც დამორჩილდა ამ მკაცრ ბეჭა. იმას სწყუროდა სამხედრო დიჟება, უნდოდა ცხოვრება, საესე ყიფინითა და ძლევის ხმით, და ხაცვლად ამისა ხვეურმა შეაბა კანცელარიის ყოველდღიურ მუშაობას, იმ უმაღლო და წელის მომწყვეტ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თვეში ხუთი მანეთი პქონდა გაჩენილი ჯამაგირად.

ამაზე უარესს პირობაში არ ჩაერდნილა არასოდეს არავითარი პხალგაზრდა პოეტური ტალანტი. კაცს ჯერ თერები არ დაულევია, როგორც ამბობენ ჩვენი მამები, ქუთაისამდის გზა არ გაუვლია, ზღვა არ ენახა და ბედმა-კი ამ ნიჭიერ ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუმწყვდია. იმ მიეცებისა არ იყოს, რომლებიც ზამთარში თავისი ფეხების წოვით ირჩენენ თავს, ბარათაშვილსაც თავის სულიერი საუნჯისაგან უნდა ესაზრდოებინა თავისი ნიჭი და სარწმუნო ყოვილიყო იმ მცირედით, რასაც აძლევდა ამას ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისათვის? საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყაფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ

საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა ტფილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის.

„იმ დროს ტფილისში, — განაგრძობს თავისებურად კონსტანტინე მამაცაშვილი — არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, — ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბალებში.

„ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენა გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქალალდს თამაშობდა, ნარდს, ჭაღრაკს, ქალალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც“.

სხვა სიცუკებით რომ გამოვხატოთ ეს ჩვენება, ისეთი სანდო მოწმისა, როგორიც არის კ. მამაცაშვილი, ჩვენ დავინახავთ, რომ რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ცხოვრებაში გამოსულ კაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს მოსწავლე ყმაწვილს სკოლა, ამ დროს არ არსებობდა ტფილისში. არც იყო აქ ერთი მჭიდრო ორგანიული ქართული საზოგადოება, ქართული საზოგადოებრივი აზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა, არ იყო მაღალი სასწავლებელი, — ერთი სიტყვით, არ იყო არაფერი, რისგანაც დღეს შემდგარა თვით აზრი განათლებულ საზოგადოებრივს ცხოვრებაზე. ის ცხოვრება, რომელსაც აგვიწერს მამაცაშვილი, იგივე სკოლის ცხოვრება იყო. ყმაწვილი კაცების სკოლის ამხანაგები შეიკრიფებოდნენ ერთად, საღილ-ვახშამს შეექცეოდნენ, ილაპარაკებდნენ სხვათა შორის სალიტერატურო საგანზედაც, ერთხანს ნარდს ვაუთამაშებდნენ ან ჭაღრაკს და შემდეგ მთვარიან ღამეში სასერნოლ წავიდოდნენ ქუჩებში და ბალებში. მაგრამ ასე აომ სკოლაშიაც უტარებიათ ამათ დრო, ასე ხომ დღესაც ატარებენ დროს ჰეგირდები, და ისიც თუ იკადრებენ ამგვარ უცრალო დროს გატარებას, თუ არიან ხოლმე ოპერებში, ბალებში ან სხვა რამე იმ დროისთვის უცნობ განცხრობაში. სად იყო ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება!

თუ კერძო ოჯახი საზოგადოების ცოცხალ შევრად იჩენდა ათავს, ეს იყო ან დღეობაში, ან ქორწილში, ან სხვაგან საღმე ლხინ-ში, საცა სალამოდან ცისკრამდე მხოლოდ „დალიე“ ისმოდა და მრა-ვალ-ეამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

თვით პოეტი აგვიშერს ამგვარი საზოგადოების ფუჭ ცხოვ-რებას ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანთან.

„თუ ქალაქის ამბავი გინდა,—სწერს ის, — ჰსწორე გრთხრა, ბევ-რი ჭორიანობა და ჭირიანობაა, თრივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუი-ლია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, — დიდი დაძგერებაებია ქალე-ბისა; დიდი აყალმაყალი, დიდი ტირილი; დიდი ლამის-თევაები; დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“...<sup>1</sup>

მეორე წიგნში იმავე ორბელიანთან ბარათაშვილი უფრო მოკ-ლედ და კატეგორიულად სწერს: „ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარ-გებლო გონებისა და გულისათვის“<sup>2</sup>.

ამგვარ უსარგებლო ქალაქში, საშუალ აპატიურის საზოგადოე-ბისა, არგუნა ბედმა ცხოვრება ბარათაშვილს. არც ოჯახში, სადაც მტარეალობდა მამა, არც სამსახურში, სადაც თავიანთი მუდამ მოლ-ვრემილი და ჩამოშვებული ცრკირ-პირით ჩინოვნიკობა უმწარებდა სიცოცხლეს, არც საზოგადოებაში, საცა მისი ტოლ ამხანაგი არ იყო, საცა სატრფო, ან, როგორც ის ამბობდა, „საგანი“ არ უნათლებდა და არ უთბობდა გულს, სადაც კაცად-კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სმა-ჭამაზედ და გამოიღრებაზედ, ახალგაზრდა პოეტი ვერ პპოვხიდა თვის ხვედრს, რომელსაც ეძიებდა სიყრმიდან. იმასაც სწამდა თავისი ვარსკვლავი, იმაშიც ცხოვრობდა დემონი და ლალადებდა იდუმალი ტმა, რომელიც ეტყოდა მას:

ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!

(ეს მისი სიტყვებია), მაგრამ ცხოვრებამ იმედები გაუმტყუნა და ის ეტყვის ნალვლიანად ამ იდუმალ ტმას:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მით კავშანს ვერდა ვიშორებ!

ოჳ, რა დიდი მზღვარი დასდევა ბედმა პოეტის იდეალებსა და ცხოვრებას შორის. ის კას იქით ეძიებდა სამყოფს:

გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

ეუბნებლდა ის სამყაროს და ამის წილ მხვედრმა ის კანცელია-რიას მიაკრა მაგარი ჯაჭვით. უნებლიერ ის შეიქნა ცხოვრების უკ-

<sup>1</sup> წერილი 28 მაისის (9 ივნისის) 1841 წ.

<sup>2</sup> წერილი 18 (30) ოქტომბ. 1841 წ.

მაყოფილო კაცი, სულით ობოლი, სულით მარტო. ყოველ მის საქ-  
ციელს, ყოველ მის ნაწერ-ნალაპარაკევს ამის შემდეგ ცხოვრების  
უკმაყოფილების ბეჭედი ამჩნევია.

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩემულებრივმა მოწყინებაშ,— სწერს პოე-  
ტი ერთს ნათესავ ქალს: ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება  
რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ  
იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე გამძლებია ამდენის მარ-  
ტონბით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეო-  
ბისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათე-  
სავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰყარებია, მაინც კიდევ ობოლია  
ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი  
მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას  
სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას  
არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლი მეგონებოდენ ცრემლად  
სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფი-  
ლან ნიშანნი ცბიერებისა, წევთნი საშინელის საწამლავისა! სად გა-  
ნისვენოს სულმა? სად მიიღრიკო თავი?“<sup>1</sup>

ერთი სიტყვით, ის შეიქნა:

„კუთ ურწმუხო, გულით უნდო, სულით მახვრალი“...

რომელიც თუმცა კაცების საზოგადოებაში იყო, მაგრამ მეგო-  
ბრებს კაცს-გარეშე ეძებდა: არშიყობდა მთვარიან ლამეს, ამცნობდა  
გულის საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთა... შეეტრფოდა, ვით მეგო-  
ბარს, მთაწმინდის წყნარ საღამოს და გაირთობდა სევდის მტკვრის-  
ნაპირებზე...

იი ამ დროს ბარათაშვილი კარგს წრეში რომ ჩავარდნილიყო,  
რომ რამე მანქანებით მის გარშემო საზოგადოებაც გაჩენილიყო გა-  
ნათლებული, მწერლობაც განვითარებული, იმისგან მეტად შესანიშ-  
ნავი პოეტი შეიძლებოდა დამდვირიყო. მაგრამ სად იყო იმ დროს  
ან მწერლობა, ან მკითხველი საზოგადოება, ან ზნეობითა და გონე-  
ბით გაჩალხული, განათლებული წრე საზოგადოებისა? ქვეყანაშ, ცხოვ-  
რებამ, ნაცნობ-ნათესაობამ, ყოველდღიურმა პროზამ, რომელთაც ბა-  
რათაშვილზე უფრო ძლიერი ხასიათი შეუმუსრავთ, პოეტი გაიტა-  
ცეს, ჩაითრიეს ამ სოფლის დაუდგრომელს პროფესიაში და ეს ბუნე-  
ბისაგან უჩვეულოდ დაჯილდოებული არსება შეიქნა ჩემულებრივ  
კაცად, რომელიც, რუსული ანდაზისა არ იყოს, ქვეყნად იყო და  
ქვეყნიურს ამბებს ჩადიოდა.

<sup>1</sup> წერილი 31 ოქტომბ. (12 ნოემბრის) 1842 წ.

### III

ბარათაშვილი სოფლის ამაღებაში გართული.—მისი დაგეროტიანი.—პირისახე.—შისი „საგნები“.—დუელი ილია ორბელიანთან.—სამსახურის ბეჭითობა.

ბარათაშვილი გაერთო ამ სოფლის ამაღებას. არც ერთი ქორწილი, ლამისთევა, ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომლენლად და შეძარცვერად. ყმაშვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შეილი, მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლექურე, მეჩინგურე, შეთარე, ქალალდის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწოდი, ყოველგან შინაური კაცი, ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცები. სალამო ისე როგორ გაიღლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწვეოდა ის, ამბები და ქორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა... დროუკის ფულები არ ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იკოდა (ეს ლ. მელიქიშვილისაგან გამიგონია). ოჯახებში ხშირ-ხშირმა სიარულმა იქამდე მიიყვანა ის, რომ (ვთქვაა?) ორ სამ ალაგას, იმ ანდაზისა არ იყოს, რომელიც დილის ოქროს სალამოს ვერცხლადა ჰერის, ბარათაშვილს ხანდახან „შინ არ ბრძანდებიან“-საც ეუბნებოდენ<sup>1</sup>.

მაგრამ საზოგადოდ კი მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მადამ რეჯამიესთან, რომლის სალონში იკრიბებოდა, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და გემოვნებისა ათას რეას ორმოც წლებში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათანთში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციცი-შვილებში ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შემტანი მოძრავი გონებისა და მხიარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა.

სიყვარულისა და ცოლის შერთვის დროც დაუდგა პოეტს, მაგრამ წარმატება არსად იყო...

ბარათაშვილის პორტრეტი არსად იპოვება<sup>2</sup>, ერთდერთი მისი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენია მის დას ნინო ბარათაშვილს, და-

<sup>1</sup> ბიძინა ჩოლოყაშვილისაგან გავონილი.

<sup>2</sup> ბარათაშვილის ტრადიციული პორტრეტის სიყალბე და ნამდვილის დაღუშევა საბოლოოდ დადასტურებულია. 1916 წ. გამოქვეყნებულ მ. თუმანიშვილის ესკიზზე წარწერით „ნ. ბ.“ მხოლოდ ეჭვობდნენ. უკანასკნელ ხანებში ირკვევა, აღნიშნული ესკიზი პოეტის ნამდვილი მონასახი უნდა იყოს.

რუპტულა იმ საშინელ ცეტლში, რომელმაც გადაბუგა, არ მახსოვე რომელ წელში, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც (ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისათვის ილია ჭავჭავაძეს).

გაგონებით ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. მისი ხშირი წარბები, ერთმანეთთან გადაღობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხილებდენ მასში ოდესმე, ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართ ჩამომავალს. წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე, შორისან ლაზათიანი, ახლოდან ცოტა დაკყანული იყო. პოეტი პალატაში მსახურობდა და მის დროს, ნიკოლოზ ხელმწიფის დროს, მთელ რუსეთის ჩინოვნიკობას პირზე. საგარეობელი დასტრიალებდა. ჩვენშიაც ისე ფიცხლად ასრულებდენ ამ ბრძანებას, რომ (ზოდიშს ვიხდი გზის გადახვევისთვის). როცა 1837 წელს ხელმწიფე ჩამოვიდა საქართველოში, იმათაც კი დაიპარ-სეს წვერ-ულვაში, ვინც საზოვადოების არჩევანით მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფულან თრბელიანს ჩამოაცალეს წვერ-ულვაში: საწყალი ზასუდატელი თურმე იყო! გაგეგონებათ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანჩე: ღმერთო, ე რა დღეს მოვესწარით, ჩვენი დედ-მაშები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურადს, თუ ეს ულვაშები მასხიაო, და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცამ.

ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დაუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოჭ-ლი იყო, თქვენ სრულად დარწმუნდებით, რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება.

სუყვულა ეს ისეთი მიზეზებია, რომელთა გამო ბარათაშვილს არ უნდა ჰქონოდა დიდი წარმატება ქალებს შორის. პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო—ის ქალი, რომელსაც უძღვნა ლექსი:

მიყვარს თვალები, მიბნედილები...

მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალი გრძნობა ამ ქალისაგან, არავინ იცის. მეორე მისი საყვარელი იყო მეტულქე ფრანგის ლაბიე-ლის ქალი დელფინა. ამას უძღვნა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, მაგრამ ამ ლექსშიაც უფრო მრისხანებაზე და წყრომაზეა ლაპარაკი, ვიდრე სიყვარულზე. ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევ-ნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრელ აფიცრის<sup>1</sup> დეზებზე...

მაგრამ არშიყობასა და ქალებთან დროს გატარებას ის მაინც არ იშლიდა. როგორც ბიძა მისი გრიგოლ თრბელიანი, ბარათაშვი-

<sup>1</sup> ჟონსტანტინე დადიანი იყო ის ოფიცერი—ს. ვ.

ლიც დიდად მოყვარე იყო ქალების საზოგადოებისა. ის იმათ აჯავ-  
რებდა და ხუმრობით თუ ბოროტ-განზრახეით წაპეიდებდა ერთმა-  
ნეთს, იმათთან უყვარდა ყოფნა, შუსაიფი, ხუმრობა, ცელქოჩა, ბუ-  
ტიაობა. იმან ყველაზე წინ იცოდა, ვინ ეის ეაჩშიყებოდა, ვის ვინ  
მოსწონდა, ვის ვინ უნდა შეერთო. და ან მხარს მისცემდა მათ, ან  
წაპეიდებდა. გრა ქართველ თავადიშველს, რომელსაც ცეცხლი ეკი-  
დებოდა ივ... ის ცოლის სიყვარულისაგან, პოეტი ეუბნება ერთს  
სალამოს:

— ზაქარია, ზაქარია! კატოს თვალი უკირავს შენზე, კიბა გაის-  
წორე და მარჯვერ დაჯეჭი.

საბრალო ტრუიალი რომ დაიმშვენებს თავს, ის მოუბრუნდება  
ივ... ის ცოლს.

— კატო, კატო! ზაქარიას შენზე თვალი უკირავს.

— თვალები იმას დასიგომია! რა უნდა ჩემგან, რას გადამკი-  
დებია, უთხარი, თავი დამანებოს<sup>1</sup>.

და, ამგვარად, დაახლოების მაგიერ იმან დააშორა კაცი და  
ქალი ერთმანეთს.

„დედაკაცები ისევ ისინი, — სწერს პოეტი გრ. ორბელიანს — ჩე-  
ნი ყმიშვილები და ხახვების<sup>2</sup> ფრანტები სულ შამილის დასაჭრად  
წამოვიდენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოქეა-  
ნე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია<sup>3</sup>.

1845 წელს, როცა ბარათა შეიიღო სამსახურშა დააშორა ქალა-  
ქის საზოგადოებას, ის სწერდა ერთს ნაცნობ ქალს ნახევანიდან:

„აი, სამი თვევა აქა ვარ და ძალლად არავინ მახსენა; ეჭ! მა-  
გის დარდსაც გაუძლებ, ალარც მე მცილიან ვის თვის მე... დიახ, ნუ  
რა ვის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძა-  
ნებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო!

ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩეენ წელს ოცდა  
ექვსისა შევსრულდით<sup>4</sup> და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება  
გვიძებე! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და ალარც არას  
ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!“<sup>5</sup>

ქალაქს გარედანვე სწერს ამავე ქალს იმავე კილოთი: „ახალს  
დანიშნულს, თუ პატარალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი

<sup>1</sup> ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი.

<sup>2</sup> ხახვებს ჩრდილოელებს ეძაბოდნენ.

<sup>3</sup> წერილი 23 მაის. (4 ივნისის) 1844 წ.

<sup>4</sup> ოცდარვა უნდა იყოს, ნაკლებს განვებ ამბობს.

<sup>5</sup> წერილი 9 თებერვ. (21) 1845 წ.

ზონარი ჩა ჟყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ  
ჩქარა გამიკვით; ვინც მე ზონარს მომცესოვს, აგრე ჩქარა გათ-  
ხოვდება<sup>1</sup>.

ერთ წერილში მიხეილ თუმანიშვილთან ის სწერს:

„Скажу тебе новость, туже арх гаражуридеბი. Я еду сегодня ве-  
чером в д. Мцкнети— зачем? — А затем, что она там. Мать ея про-  
сила меня привезти с ними несколько дней. Каковы должны быть  
эти дни? Ах? ماش მოვკვდი, ბზ!<sup>2</sup>“<sup>2</sup>

როგორც სკოლაში, ისე ცხოვრებაზი ბარათაშვილი დარჩა მო-  
უსვენარი, ცელქი, დამცინველი. სრული მისი ხასთათი იხატება იმ  
ბუზის ბზუილში, რომელიც მოპყავს პოეტს თუმანიშვილთან მიწე-  
რილ წიგნზი. მხოლოდ ხშირად ეს ბზუილი ფუტკრის ბზუილს ემსგავ-  
სებოდა და ერთჯერ მისმა შხამიანმა სიტყვამ კინაღამ არ შეამ-  
თხვია მას უბედურება.

თავისთავად სულ უმნიშვნელო ეს შემთხვევა, მაგრამ რაკი  
ჩემადი მოაღწია, არ შეჩიძლია ბიოგრაფის მოვალეობას ვუმტყუნო  
და არ გააჩბოთ, რაც მოხდა.

იმ ხშირ საღამოებს, რომელებსაც ოჯახებში ატარებდა იმ დროს  
ქალაქელი ჭრებატრო და უტვინო საზოგადოება, ბარათაშვილი ხედე-  
ბოდა ხშირად ერთ თავის აძხანაგს მაღალაშვილს. ეს შაღალაშვილი  
ენამახვილი კაცი თურმე რყო და ხშირად დასკინოდა პოეტის ბი-  
ძას ილია ორბელიანს. დაკინვაში ხანჭახან ბარათაშვილიც წაეხ-  
მარებოდა მაღალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაკინვა,  
გაგრამ ბოლოს მოთმინებიდნ გამოსულმა გადასწყვიტა პირველსაუე  
კრებაში ჩხუბი აეტეხნა იმათვის და მაღალაშვილი გამოეთხოვა  
ხმალში. საუბედუროდ, პირველ კრებაზე მაღალაშვილი არ შოვიდა  
და ორბელიანმა ურნი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისტულობით  
არ დაერიდა იმ უკანასკნელს და დუულში გამოითხოვა. იქ მყოფ  
ამხანაგებს, სხვათა შორის ლევან მელიქიშვილს, უნდოდათ ხუმრო-  
ბაში გადაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა  
შერიგება, სეკუნდანტები აირჩიეს, ილია ორბელიანმა ყაბარდოელი  
ატარუინი და ბარათაშვილმა შაღალაშვილი. დანიშნეს დრო, ად-  
გილი და გაემგზავრნენ ორივე დუღლიანტი და მათი სეკუნდან-  
ტები ერთად, ფეხით. პირობა დასდვეს, ვინც ცოცხალი და უვნე-  
ბელი გადარჩებოდა, იმას უნდა დაზიანებული მიეყვანა ჭირისუფლე-

<sup>1</sup> წერილი 10 (22) აგვისტოს 1845 წ.

<sup>2</sup> წერილი 6 (18) აგვისტოს 1838 წ.

ბისათვის ან შეკვარი ან ცოტალი. გზაზე ლეგან მელიქიშვილმა დაუწყო გამხნევება ბარათაშვილს. ეს ორმ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მეგობარს:

— მე კი არ გებრალები, ლევან?

— არა, არ მებრალები, იმიტომ რომ შენ ხაზ მიზეზი ჯე დუღლისა,—უპასუხა მელიქიშვილმა.

მივიღნენ დანიშნულ აფგილზე, გაზომეს ნაბიჯები, გატენეს დამბაქები და დააკენეს მოპირდაპირენი.

ილია ორბელიანი შალალი, მაღალ აფგილზე, ბარათაშვილი დაბალი,—უაბალ ადგილზე და სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი—მოწინააღმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრიალა ბარათაშვილის დამბახამ, ორბელიანის ფალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს, და ჩაპერა სული დამბახას. მაგრომ რა ნახა გატენილი იყო, მოითხოვა ხელახლა გაეტენათ. მეორეჯერ გავარდა დამბახა და ბარათაშვილი წაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა და სასოწარკვეთილი მივარდა თავის დისწულს, დასწვდა და შიშით წალებულმა მოავლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლო.

— აი! ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ იმომაჯალო! — დაიძახა უეცრივ განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უი, შენ დაგწყევლოს... შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეოვო, — იყო ხმა ორბელიანისა<sup>1</sup>.

თურმე სეკუნდანტებს, როცა ორბელიანმა თავისი აზ დაიშალა, ერჩიათ დამბაქები უტყვიოდ გაეტენათ და პირველი სროლის შემდეგ. რომ საიდუმლო არ გამოაშარავებულიყო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: მოხვდებოდა თუ არა ტყვია, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მაღლობა ჰესწირა, რომ ასე ბედნიერად გადურჩენ სიკვდილს ორნივე ბიძა-დისწული.

მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტუმრცნა ბარათაშვილმა პლატონ იოსელიანს. ერთ საზოგადოებაში ვიღამაც თურმე იქითხა:

— ე, ბერძენ—რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიკოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ-ასლოვიო<sup>2</sup>, — მიუგო რუსული ზმით ბარათაშვილმა და მიუშეირა ხელი იოსელიანს.

როცა ქალების საზოგადოებაში არ იყო ბარათაშვილი, ტოლამხანაგებში ატარებდა ღროს საღმეორთაჭალას ან ეერაზე, სადაც გაისმოდა სათარას ტკბილი ხმა. სათარა პირველი მომლერალი იყო

<sup>1</sup> გაგონილი ლევ. მელიქიშვილისაგან და ნიკო ერისთავისაგან.

<sup>2</sup> ბოლასლოვი არის ქართულად ლვილისმეტყველი, ზმით გამოდის „ვირების ღმერთი“.

შისი დროისა, ბარათაშვილი მისი პირველი თაყვანისმცემელი. დი-  
მიტრი ვეზირიშვილისაგან გამიგონია, პოეტს ქართლში სადღაურ-  
ეკლესის კარზედ დაუწერია ამ მომლერალის ქებათ. როდესაც ახალი  
მომლერალი გამოჩნდა ტფილისში, ჯაფარად წოდებული და საზოგა-  
დოებამ იმისი ქება დაიწყო, ბარათაშვილი დიდი წყენით სწერს  
ერთ ნაცნობ ქალს:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა,  
მაგის ქება ეწერა... ეგ რომელი ამბობს რომ სათარასა სჯობსორ  
ეტყობა, კარგი სმენა ჰქონია. მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სა-  
თარაზე, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუკიდ და თანაც დაუ-  
ტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებათ ერთი ორივეს სახე  
ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალაა“<sup>1</sup>. ეს მოქეიფვა  
დარღიმანდი ყაზვილი კაცი, ეს მოუსვენარი ჭიანჭველა, როგორც  
ის უწოდებს თავის თავს ერთ წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, სამ-  
სახურში ზედგამოჭრილი გერმანელი იყო. 1842 წ., როდესაც სამ-  
ხედრო მინისტრმა (ჩერნიშოვმა) რევიზია უყო ტფილისის სამოქალა-  
ქო დაწესებულებათა, პოზენშა<sup>2</sup> ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის  
წარმოება, რომ, იმის მეოხებით, ბრძანება გამოსცა ქართველობას.  
უპირატესობა მისცემოდა საშსახურში<sup>3</sup>.

მეორე მაგალითი ბარათაშვილის ბეჯითობისა გვიამბო გრ.  
ორბელიანმა.

პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოქამდა, რომ მისი  
სტოლოხაჩალნიკი ასე ბევრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო.  
მაგრამ რა დაინახა ყველაფერი სწორად ჰქონდა, უთხრა:

— В таком случае продолжайте бегать, сколько вашей душе  
угодно.

ეს კაცი ისეთი დიდი აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭე და  
მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურმე:

— Баратов на моем месте будет сидеть...

ამას უნდა პლატონ იოსელიანის აზრიც დავუმატოთ. იმ ოლიმ-  
პიურის სიმაღლიდან, საცა განისვენებდა ეს უებრო ღვთისმეტყვე-  
ლი, ის იტყოდა ჭაპუკ პოეტზე:

— ეს კარგი გამოვაო<sup>4</sup>.

<sup>1</sup> წერილი 9 (21) თებ. 1845 წ.

<sup>2</sup> ჩერნიშოვის ახლდა პოზენი, რევიზია მოახდინეს 1842 წ. რედ.

<sup>3</sup> ლევან შელიქიშვილისაგან განაგონ.

<sup>4</sup> გრ. დადიანისაგან გავონილი.

## IV

ბარათაშვილი მახრის უფროსის თანაშემწე ნაწიჩვანში და გაწჯას.— გარდაცვალება და დასაფლავება შეოსნისა განჯაში.—თუმცა ორბელიანის და ლევან მელრქიშვილის წერილები პოეტის გარდაცვალებაზე.—განჯის ეკლესის სასაფლაო.—პოეტის საფლავზე დადგმულ ქვაზე ზედ-ჭარწერა.

ასე ამგვარად მიმღინარეობდა ბარათაშვილის ყოველდღიურ ცხოვრება. ის ყელამდის ჩაფლული იყო ისეთ სფეროში, რომელსაც არ შეეძლო მისი განსხვავება არც ზეობრივად, არც გონიერობად, მაგრამ ის ლვთაებრივი ნაპერწყალი, რომლითაც ის დაჯილდოებული იყო ზეგარემო, მაინც არ გაჰქრობოდა მას სრულებით. მაინც ცოცხლად გრძნობდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო შექმნილი, სულ სხვა საზოგადოების ლირისი, და სწერდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, ხელი მიეცა მისთვის, გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ის არ დაერიდა თავის ბიძას, რომელიც უყვარდა, კრძალვით მიეწერა საყველოით სავსე წიგნი.

„საკურველია—სწერდა იგი გრ. ორბელიანს—რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორს მხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვერდებიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებულობა და ხმა ერსა შორის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ბრა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება რომ შენ არ ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ლრე კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდედ მოჰქრის. ეცალება რომ რენენკამწოდან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“<sup>1</sup>.

რენენკამფი დაღისტანში მსახურობდა. მაშინ დიდების და განსხვავების გზა კავკასიაში დალესტანზე მიღიოდა, არლუთინსკის, გრიგოლ ორბელიანს, ლევან მელიქიშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს, გასილ სარაჯიშვილს, ნიკო ჭავჭავაძეს დალესტანში უშოვნიათ დაწი-

<sup>1</sup> წერილი 21 აგვისტოს (2 სექტ.) 1843 წ.

ნაურება. იქითკენ მთილეშოდნენ ყველა ნარიშვინები, ყველა სალტი-კუვები, ყველა იუსტიციები, რომ მოეპოვათ სახელი და დიდება. სამწუხაროდ, გრიგოლ თრბელიანმა ვერა მოუხერხა რა თავის დისტულს. დაუდევნელობით მოუვიდა, უეჭველია, ეს საქმე, თორებ ისეთი მაღალი ადგილი უკირა, რომ ადგილად შეიძლებდა იმის შემწეობას. ტყუილად არ სწერს პოეტი, ჭართველი თავისიანს არ გამოაღვებათ.

გრ. ორბელიანთან რომ ვერა გააწყო-რა ბარათაშვილმა, ხელი შოსკიდა ლევან მელიქიშვილს, რომელიც დროებით მაზრის უფრო საღ უნდა წასულიყო ნახევანს. პოეტს არ უნდოდა ამ ქალაქში ყოფნა, მაგრამ სამსახურში დაწინაურებისათვის იძულებული შეიქნა მჩერო მაზრის უფროსის თანაშემწეობა და 1844 წელს გაემგზავრა ნახევანს. აյ ის დიდხანს არ დარჩენილა. 1845 წელს ლევან მელიქი-შვილი წამოვიდა ქალაქს და იმასთან ბარათაშვილიც. ორასი მანათი თურმე წაეგო ქალალდში და მელიქიშვილს, რომელმაც იცოდა მე-გობრის ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩიარა ქალაქს, თორებ მერე გზის ფულსაც ვერ იშვიო, და ჩიმოეყვანა ტფილისში. ქალაქიდან ბარათაშვილი ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანაშემწის ადგილზე. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა კიდეც და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაეყვანა განჯას თმავე 1845 წელს.

ეს იყო უკანასკნელი წელი პოეტის ცხოვრებისა. დიდების მა-გიერ, სამწუხაროდ, ბარათაშვილმა პოვა აქ უდროო სიკვდილი, ის მოკვდა 9 (21) ოქტომბერს 1845 წელსა ქ. განჯას და დასაფლავდა აქვე მართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში „დაუტირავი ჩვენ-თაგან, ჩვენთვის კი დამიწებული“. თითქო თავის თავზე დაუწერიაო მას წინასწარმეტყველური სიტყვები:

- ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
- ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
- ნუ დამიტოროს სატრფომ გულისა,
- ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ამბობენ, პოეტი მთაში საღლაც წასულა ყაჩალების დასაჭერად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად, რადგანაც უდროო დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დაელია. ეს იმბავი გაუგონია განჯის ეკლესიის მღვდელს მშინარაშვილს ბარა-თაშვილის განჯელ მეგობრისაგან, რომელსაც იმისათვის ის ადგილიც უჩვენებია, საცა იყო დასაფლავებული პოეტი.

Зოეტის სიკუდილმა დიდად შეაწუხა ქალაქის მაღალი საზოგადოება, რომელშიც უმეტესი ნაწილი ან ნათესავი იყო მისი, ან ნაცნობი და მევობარი. ილია თრბელიანი ამ სიტყვებით ატყობნებდა გრიგოლ თრბელიანს ტატოს სიკუდილს.

„ამ საწყლების—მელიტონის და იმის ცოლის—უურებისათვის ვერ გამიძლია, გალს ცეცხლი მეკიდება და აღარ შესმის ჩა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯისა და იფიქრე ჩვენი ცხოვრება; ნეტაი შენა, რომ მელიტონს და უფერმიას არ ხედია! შენი კირიმე, გრეგოლჯან, ესე ამბავი ქრისტიანებრივი მოთმინებით მიმღებ და ნუ შეიწუხებ მაგ ავადმყოფობაში თავსა“<sup>1</sup>.

ლევან მელიქიშვილი, მეორე მასთ აშნავავი, სწერდა გრიგოლ თრბელიანს.

„Любезный Григорий, не знаю, как описать тебе то ужасное чувство, которым исполнено сердце мое смертию бедного Баратова. В нем потерял я не одного школьного товарища, но друга, которому с самого детства открывал я все изгибы сердца своего и дружественною взаимностью которого я пользовался. Тяжело, мой Григорий, тяжело потерять человека, который теплым сердцем и теплою душою мирил нас с людьми, с этим созданиемми ничтожными, слабыми, черными и злобными. Тяжело осиротеть душою! и не один я понес эту ужасную потерю, Грузия потеряла в нем человека любящего ее всею поэтическою душою и ставившаго эту любовь выше всех обязанностей своих: молодого человека с прекрасными и блестящими способностями, от которого ожидала более, чем от кого либо из нынешних своих молодых сынов. Родители лишились в нем единственной подмоги своей старости и всего их семейства, родственники его, доброго родственника; грузины одного из своих лучших соотечественников.

Может быть я грешу, но не могу не сказать, где эта справедливость свыше, которой ежедневно толкуют,—зачем было отнимать преждевременно у людей друга, у родины вернаго и любящаго ее сына и с блестящими способностями, у родителей—сына в цветущих летах и последнюю подпору,—скажи же мне, где тут видна справедливость?“<sup>2</sup>

<sup>1</sup> წერილი 29 ნოემბერს (11 დეკემბ.) 1845 წ.

<sup>2</sup> წერილი 19 (31) იანვ. 1846 წ.

დასასრულ, ერთ წიგნში გრიგოლ ოჩბელიანთან, რომელიც დაწერილია ბარათაშვილის დედისაგან, ჩვენ ვპოულობთ პოეტის დედის გოდებას:

„მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილს? რომლისაგანაც მოველოდი ყოველს სიხარულს. ვაი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალის დაბნელებას!“<sup>1</sup>

რამდენად უყვარდა ქართველ საზოგადოებას ბარათაშვილი და იყო პატივისმცემელი მისი ნიჭისა, ამას გვიჩვენებს შემდეგი აღგილი მელიქიშვილის ზემოხსენებულ წერილისა.

Теперь обрадую я тебя—სწერდა მელიქიშვილი გრ. ოჩბელიანს—признательностью всех знакомых покойника к нему и к способностям его.—14 января, в день именин Нины, нас несколько молодых грузин обедало у Реваза Андрониковá; в числе нас был Каплан, которого просили пропеть სულთ ბოროტო; но можешь себе представить, что ни он, ни один из нас не только не знал наизусть эти прекрасные стихи, но даже не имели их у себя и все душевно сожалели, что прекрасные произведения покойника пропадают. Тогда же предложено было напечатать все стихи покойника на наш счет. На другой день составили подпиську, которую просили родственников и знакомых покойника пожертвовать на напечатание как собственных его произведений так и переводов его на тот конец, дабы сохранить для потомства произведения покойника; из части вырученных за проданныя книги денег поставить ему памятник, а остальную отдать в пользу семейства. В пять дней 17 человек пожертвовало 1000 рублей серебр.; из этого можешь видеть, как сильна была любовь к нему его знакомых<sup>2</sup>.

ეს ფული, როგორც მიამბო ლევან მელიქიშვილმა, გადაეცათ განსვენებულის მამისათვის. ალბათ ამას დაუდვია პოეტის საფლავზე ის უბრალთ ფიქალი, რომლის ერთი ნაწილიც დღემდის შენახულა. დანარჩენის ფულით, გარემოებათა გამო, იმას შვილის თხზულება ვერ გამოუცია...<sup>2</sup>

<sup>1</sup> წერილი იგნისის 3 (15).

<sup>2</sup> არის შენახული პატარა ბარათი პოეტის მამისა, მღვდელთან მინაწერი 1845 წ. ოქტომ. 16 (28) თარილით, შემდეგი შინაარსის: „მაღალ ღირსო მამავო დეკანოს დიმიტრი! უძაბლესი გთხოვთ ახლად გარდაცვალებულისა ჩემი შვილის ნიკოლოზის პანაშვილი, წირვა გთხოვთ გარდაუხადოთ შესრულების შემდგომად“.

1884 წელს მე წავედი განჯას, იმ განზრახვით, რომ მენახა პოეტის საფლავი და შემექრიბა, რაც შეიძლებოდა, ცნობა იმის ცხოვრებაზე ან მაზრის სამმართველოს არქივში, ან კერძო პირთაგან.

მაზრის არქივში, რომელიც გუბერნიისაში გადაუტანიათ,— აუმცა ბევრს არაფერს მოველოდი იქიდან,— მე არ შემიშვეს, რადგანაც გუბერნიის მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა მომთხოვა და მე ის ნებართვა არა მქონდა.

კერძო პირთაგან ვნახე მხოლოდ განჯის ეკლესიის მღვდელი, შემა მძინარაშვილი.

ის ეკლესია, რომლის გალავანშიაც იყო დასაფლავებული ბარათაშვილი, მაღალ ადგილზეა, ქალაქის ბოლოს, საიდანაც თითქმის მთელი განჯა მოსჩანს. თვითონ ეკლესია არის პატარა, სულ 26 ნაბიჯი სიგრძით.

ბარათაშვილი იყო დასაფლავებული ეკლესიის კართან, ჩრდილოეთისკენ, იმის საფლავზე არავითარი ნიშანი არ იდო. თუმცა კი აღრე იმის საფლავზე ქვა ყოფილა დადებული. ეკლესიის მთავრობას, როგორც ეტყობა, აულებინებია ეს ძეგლი, რაღანაც უშლიდა თავისუფლად შესვლა-გასვლას ეკლესიის კარებიდან. ძეგლს გადარჩომია მხოლოდ ის მარმარილოს ფიცარი, რომელიც ქვაში ყოფილა ჩადგმული. ეს ფიცარი—სიგრძით რვა ჯოჯი, სიგანით ექვსი—დღესაც შენახულია ეკლესიაში. იმაზე წერია:

„აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავიდის გუბერნსკის სეკრეტრის, ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა, გარდაცვალებულისა 29 წლისა პასაკისა თვისისა 9 ოქტომბერს 1845 წელსა.“

## V

ბარათაშვილის პირველი ნაწერები.— ცემა—გიმნაზია.— ჯგუფი თანამედროვე მწერლობის მოყვარეთა.— პოემები „ივერიელნი“ და „ბედი ქართლისა“.— რამდენი უწერია ბარათაშვილს. — მისი თარგმანი ტრაგედიისა „Юлий Тарентский“.— წყარო მისი პოეზიისა.— რა გარემოში უწერია ბარათაშვილს.

ბარათაშვილის სამწერლო პიოგრაფია ისეთივე მოქლეა, როგორც, საზოგადოდ, მისი ცხოვრების აღწერა.

პოეტმა, როგორც ვნახეთ, სკოლაშივე დაიწყო ლექსების წერაორი მისი სკოლის დროული ლექსი დაბეჭდილია მის თხზულებათა კრებულში; უმეტესი ნაწილი კი თვითონ პოეტს არ უცვნია ღირსად ბეჭდვისა და არც ერთს ჩემგან ნახულ მისგანვე გადაწერილ ლექსთა კრებულში არ ჩაუტანია (მე მინახავს თრი ამგვარი ლექსთა კრება: ერთი განსვენებულ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინესი, მეორე—კნეინა ვეზირიშვილისა). ამ ლექსების რიცხვს უნდა ეკუთვ-

ნოდეს ის დიდი პოემაც „ივერიულნი“, რომელზედაც ამბობს ქ. მამაცაშვილი და რომელშიაც იყო „აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნეებისა“. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა პოეტს, „თუმცა ასეც მშვენიერი იყოო“, ამბობს მისი მეგობარი.

სკოლაში ლექსებს გარდა ბარათაშვილი პროზასაც ეწყობოდა. გიმნაზიის შეგირდებმა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით დაიწყეს ხელნაწერ უურნალის გამოცემა 1835 წელსა. ამ უურნალში, რომელსაც სახელად ერქვა „Цветок гимназии“, ბარათაშვილიც იღებდა მონაწილეობას. უურნალს ჰქონდა ბიблиოთეკა და ცოდნა ფორმა, რადგანაც ეს უურნალი იმ დროს მოდის უურნალი იყო.

მწერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგივრობას აქ უწევდნენ ის რამდენიმე მწერლობის მოყვარე პირი, რომლებიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, სოლომონ მალალაშვილი, საპერის ოფიცერი მატინოვი, საპერის ოფიცერი ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ზაქარია ერისთავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე სარაჯიშვილი, ქართული მწერლობის მოყვარე ზოგიერთი პოლონელი, როგორიც იყო ზაბლოცკი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვ. და სხვ. ესენი არ შეადგენდნენ ერთ მჭიდრო წრეს, არც წარმოადგენდნენ ერთ განსაზღვრულ სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერლობის სიყვარული დიდი იყო და უურნალის გამოცემის აზრი ფეხს იკიდებდა.

ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა და ზემოთნახსენები პირნი ერთად საღმე შეიყრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა იყო ქართულ მწერლობაზე და ისტორიაზე. ასე ამბობს ორივე, ბარათაშვილის ცხოვრების ამწერი, ესევე გამიგონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან და არა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყბელი იყოს. ამ დროს ჯერ კიდევ ზურგი მაგარი ჰქონდა ქართველ საზოგადოებას და რუსული ცხოვრების და მწერლობის უპირატესობას ქართველი ისე მაგრად და დამჩაგვრელად არ გრძნობდა, როგორც შეზღევში, როგორც ვიორგი მუხრან-ბატონის დროს, როგორც ეხლა (1893 წ.). მაშინ საზოგადოებას სწამდა და სარწმუნოებამან მისმან აცხოვნა იგი, მისცა ისეთი მწერლები, როგორნიც იყვნენ გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ

ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი.

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები — სწერს კ. მამაცაშვილი, — ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს ძე მელიქიშვილთან, ხან საღალად გარეთუბნის ბალებში... ხშირად გვერდი ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არ გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ V საუკუნიდან დაწყობილი, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინად და შემდეგ მე-V-ე საუკუნემდის<sup>1</sup>.“

პოემა „ივერიელნი“ და „ბედი ქართლისა“ არის ჩაგონებული ამ „ქართლის ცხოვრების“ სიყვარულისაგან. საქართველოს დიდებული წარსული, მაშინდელი მისი სისუსტე, მომავალი იმედები, ერთი სიტყვით „ბედი ქართლისა“ — აი რა იყო ახალგაზრდა პოეტის მუდმივი ფიქრი და ოხვრა.

„მახსოვეს, ერთს ივლისის ღამეს 1838 წელს, — სწერს მამაცაშვილი, — მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს (ეხლანდელი რუსთაველის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თვისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ მე-18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზე 1795 წელს, 14 სექტემბ. და სხვ...“

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცათ ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! — და ოხვრით დაუმატა: ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“<sup>2</sup>

ბედმა არ მისცა ბარათაშვილს ფართო ასპარეზი. ბარათაშვილი უცნობი, შეუნიშნავი, ქვეყნისაგან დავიწყებული, კანცელარიის სიბრძელეში აქრობდა ლვთაებრივ ცეცხლს, რომელიც ლამპარივით უნათებდა მას სულს, ბედმა უდედინაცვლა იმას და დალურსმა იგი „სტოლონაჩალნიკის“ სკამზე, სანამ არ მოილო მასზე მოწყალება და პრისტავის ფარაჯით შემოსილი არ ჩაუშვა უდროოდ სამარეში.

სამწერლო ბაღაჟი ბარათაშვილისა ერთობ მჩატეა. სკოლის შესრულებიდან სიკვდილამდე — ათს წელში — იმას დაუწერია სულ

<sup>1</sup> „დროება“, 4 ოქტომბ. 1881 წ.

<sup>2</sup> ibidem.

39 პატარა ლექსი და ერთი პატარა პოემა. მიზეზი ამისა იგივეა, რის გამოც ასე ცოტა უწერიათ გრ. ორბელიანს, ვახ. ორბელიანს, რის გამოთაც ასე ცოტას წერენ საზოგადოდ ყველა ჩვენი პოეტები და მწერლები. მიზეზი ის არის, რომ ჩვენში მწერლობა როგორც ხელობა არ არსებობს. ორ-სამ კაცს გარდა, რომელიც სვეტად შესდგომიან ქართულ უურნალ-გაზეთებს, ქართველი მწერლის ცხოვრება მწერლობის გარეშე მიმდინარეობს. წელიწადში ჩვენმა მწერლობა ორი-სამი თვე რომ სწეროს, ისიც ბევრია. არ მგონია, რომ ყველაზე უფრო ნაყოფიერი ჩვენი პოეტი აკაკი წელიწადში ამაზე მეტს სწერდეს, დანარჩენ დროს... დანარჩენ დროს ჩვენი მწერალი არაფერს აკეთებს მწერლობისათვის.

ბარათაშვილიც ასე იყო. სწერდა ის ათასში ერთხელ, როცა ქალალზების მორევში ჩაღუპული სტოლონაჩალნიკი დროს და მოცალეობას იშოვიდა, როცა რამე შემთხვევა შეიცავდა მას და გაიტაცებდა.

ამიტომაც არის, რომ პოზენისაგან სამაგალითოდ ქებულ „სტოლონაჩალნიკს“ ასე ცოტა. მონაწილეობა მიუღია ქართულ მწერლობაში. ამიტომაც „ავარიის მთავარსაც“ (გრ. ორბელიანს) ასე მცირე წიგნაკი დაუტოვებია შთამომავლობისათვის.

სული და გული კი მაინც მწერლობისაკენა ჰქონდა ბარათაშვილს. საბეჭდი ორგანო არსად იყო, მაგრამ ის ლექსებს სწერდა, თეატრი არსად იყო, მაგრამ ის დრამას ამზადებდა. სთარგმნიდა და ბავშვურის აღტაცებით ტაშს უკრავდა ტოლ ამხანაგთა მონაწილეობას ქართულ მწერლობაში. 18 (30) ოქტ. 1841 წელს პოეტი სწერდა გრ. ორბელიანს, რომელსაც ყოველთვის ანგარიშს აძლევდა სამწერლო საქმეში;

„ლიტერატურა ჩვენი, ლვოით, დღე და დღე შოულობს ახალ მოყვარეთა. მრავალი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი საშსახურითგან, შეუღროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუბთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრაფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ჰსძინავთ გონებით!“

იმავე წელს ისა სწერს ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა<sup>1</sup> გადმოთარგმნა რომეო და დეკლიანი, შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე იული თარენტსკი, ტრალედია ლეიბერვიცისა; თუ წაგიკოთავს „ბიბლიოთეკაში“ იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს.“

<sup>1</sup> დ. ყიფიანმა. რედ.

ეს თარგმანი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. საკვირველია, რომ ამ ტრაგედიაზე არაფერი იხსენიება იმ რეპერტუარში, რომელიც გიორგი ერისთავმა წარუდგინა ბებუთოვს 9 ნოემბერს (21) 1855 წელს, ეტუობა, ეს თარგმანი მაშინაც დაკარგული ყოფილა.

სამწერლო ბიოგრაფიის შესავსებად მოვიხსენით აქ ისიც, თუ როგორ იღვიძებდა შემოქმედებითი ძალა პოეტისა და საღ იბადებოდა სუჟეტი მისი ლექსებისა.

უმეტესი ნაწილი ბარათაშვილის ლექსებისა, როგორც მოგვითხრობენ მისი ამხანაგები, დაწერილია სახლს გარეშე. სახლში იმას ჯოჯოხეთი ჰქონდა ჩამდგარი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა და ყოველგვარ სულის სიმშვიდეს უმღვრევდა. მხოლოდ სახლს გარეშე, ნათესავებთან, ტოლ-ამხანაგებთან და უფრო ვერის წყლის პირას, მთაწმინდაზე, გარეთუბანში საღამ-საღამობით სეირნობის დროს, მთვარიან ღამეებში გადაეშლებოდა პოეტს გროვა პოეტური სახეებისა და აზრებისა. მისი წიგნებისა და მოწმობათა თანახმად, ბარათაშვილი გვეხატება ჩვენ თცნებისაგან გატაცებულ ახალგაზრდა რომანტიკოსად, რომელიც შეუვარებულია მთვარიან ღამისა და აჩრდილებისა.

„Я оживляюсь только по вечерам лунным — счастлив с огнём  
жизни туждабиშვილъ — так прекрасным в Тифлисе! Вчера, в  
один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе;  
вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смущаясь,  
когда я взглянул на это онемение: 11 часов ночи. Ни души. Кругом  
пустота вечная; луна тускло освещает могилы как догораю-  
щая лампада усопшаго. Тихо и медленно протекает Кура, как  
будто боясь нарушить покой в этом унылом мире!.. Ты теперь в  
раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, кото-  
рыя навело мне на душу это зрелище, небесно-земное! Но ска-  
жу, что прекрасное изобретение, кладбище, а это необходимо,  
чтобы смертный порою читывал бы по нему свою жизнь: утеше-  
ние несчастного конец счастию!

ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი სიუკარულისა და მშვენიერების. ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დელფინა და სხვანი ერთო-ერთმანეთზე უკეთესნი შეადგენდნენ მისთვის დაულეველ წყაროს პოეზიისას.

ლევან მელიქიშვილმა გვიამბო, სხვათა შორის, გენეზისი ერთი მისი ლექსისა.

ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან სალამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცადაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

„ლევან, ლევან! გავგიუდი! მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ლვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“. და იმ სალამოს სახსოვრად დასწერა ლექსი „საყურე“...

## VI

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან ტფილისს. — მისი დასაფლავება.—დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვები ილია ჭავჭავაძისა და აგარ წერეთლის. ლექსი ვაჟა-ფშაველასი.

„მერანის“ დამწერს იგივე ბედი ეწია, რაც ბედა ეწია „ფარისის“ დამწერს: ორნივე სამშობლოს გარეთ მოკვდნენ და სამშობლოს გარეშე დაიმარხნენ. მაგრამ დრონი იცვალნენ, სამშობლომ თავისი მოითხოვა და ორნივე სასიქადულო მამულიშვილნი იქმნენ. გადმოსვენებულნი — ჩვენი მგოსანი განჯიდან ტფილისს და პოლონეთის დიდება — პარიზიდან კრაკოვს და დასაფლავებულ იქნენ: ჩვენი — დიდუბეს, თამარ მეფისაგან განწმენდილ ადგილს, და მიცკევიჩი — კრაკოვის ტაძარში, საცა იმარხებოლნენ პოლონეთის მეფები და შესანიშნავნი კაცნი.

1893 წელს ბარათაშვილის ნათესავებმა, დებმა: ბარბარე ვეზირიშვილისამ, სოფიო სუმბათაშვილისამ და ნინო ბარათაშვილისამ, ბიძაშვილმა გიორგი ილიას ქ. ორბელიანშა და დისტულმა ნიკო<sup>1</sup> რევაზის ქე ერისთავმა ალძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა: ნება დაერთოთ მათების გადმოესვენებინათ განჯიდან ტფილისს მათი ოჯახის დამამშვენებელი შესანი.

ნებართვა რომ მიიღეს, მეოსნის გადმოსასვენებლად გაემგზავრნენ განჯას: გ. ი. ორბელიანი და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრნი გ. ნ. იოსელიანი და ა. მ. ჭყონია.

თუ როგორ იპოვეს ამათ ბარათაშვილის ნეშტი, აი რას მოგვითხოვობს მაშინდელი „ივერიის“ მოამბე<sup>2</sup>.

„მეკუბოვე შეუდგა მიწის მიყრა-მოყრას, კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავი ბუზმენტის რამდენიმე ნაწყვეტი. მისივე გაყოლებით ჩონჩხიც ესვენა უმთავრესი ნაწილებით ანუ სახსრებით, დაუმიწებელი. ტანთ-საცრელისა აღმოჩნდა

<sup>1</sup> პოეტის მეოთხე დის ეკატერინეს შვილია. რედ.

<sup>2</sup> „ივერია“, 1893 წ., № 88.

სერთუკის ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ უანგმოდებული და დამპალი მაუდის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მაუდის ნაფლეთთავანი, როგორც სჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მასზედ კი-დევ ფოლაქი. ფეხსაცმელისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალი საპირე ყელითურთ, როგორც სჩანდა, ძევჭებური ქართული სა-მოგვის წალისა, რადგან შესაკვრელი თასმები ზედვე ჰქონდა...

კუბო, ტანთსაცმელი და ჩონჩხის წვრილი სახსრები სრულიად გახრწნილიყო, ამის მიზეზად ამბობენ აკაკის ხეს, რომელიც იქვე ყოფილა დარგული და რომლის ძირშედაც დღეს პატარა ყლოჩტებილა ამოხეთქილი. აი ამ ხეს რწყავდნენ თურმე და წყალი-კი კუბოს თავს იწურებოდა, რის გამოც კუბოსა და გვამის გახრწნა მოსწრაფებულა ორმოცდარვა წლის წინედ შიცვლილის გვამ-თან შედარებით, და ხეს-კი ფეხსვები დაუყრია. ამოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა, ისე ქვედა ტანისა, გაუხრწნელი და შეუმუსვრელი იყო და განსვენებული მგო-სანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმშა სთქვა, მოსული ვაუკაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანავე საკმაოდ დიდი იყო. წვრილის სახსრებისა ზოგიერთი ნამტკრევი-ლა აღმოჩნდა. ძვლები რომ ამო-კრიფეს, მერმე ის მიწაც აძლილეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო, ყოველივე აღმოჩნდილი ნაშთი გვამისა, ტანსაცმლისა თუ კუბოს, დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორიოდე უბრალო ფო-ლაქი და აგრეთვე ის ფოლაქიც, რომელსაც სახელოს ოქრომკედის კანტი შერჩენოდა, ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა“.

ძეირფასი ნეშტი მგოსნისა წამოსვენეს განჯიდან ქალაქს 25 აპრილს, 1893 წ.

გაზეთი „ივერია“ აი როგორ აგვიწერს მგოსნის ქალაქში ჩა-მოსვენებას: „კვირა დილას, 25 აპრილს, დიდალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე... ვაგზლის არე-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგე-ნელნი ქართველი ინტელიგენციისა და მაღალი საზოგადოებისა, ლაფად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვადასხვა ქალაქე-ბისა და დაწესებულებათა გვირგვინებით პოეტის კუბოს შესამკობად. 91/2 საათზე მოვიდა მატარებელი და გავონიდან გადმოასვენეს კუბო

ძვირფასი ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ: პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდან სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი-სცა ღიღებული მგოსნის კედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარი გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებს, ხან ახალგაზდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა და გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისა, სასულიერო სემინარიის შეგირდებისა, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურსდასრულებულ შეგირდებისაგან მღვდელს ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ჰოვლადუსამღვდელოესობაში წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა მღვდელმა კ. ცინცაძემ.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლ. ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა და ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა თუმანიანცმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვათა<sup>1</sup>.

წარმოთქმულ სიტყვებიდან აქ მომყავს ორი სიტყვა: ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის და ერთიც „კლდიდამ გარდმომ-ქუხარი“ ლექსი ვაჟა-ფშაველასი.

#### სიტყვა ილია ჭავჭავაძისა<sup>1</sup>

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვერის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენშია. ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუღლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მაღლით ცხებულსა. როცა ადამიანს ჰსურს შეიტყოს ლირსება და დიდება ერისა, ყოველთუწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო-

<sup>1</sup> „ივერია“, 1893 წ., № 86.

ლირსებას და სიღიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს აღა-  
მიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია  
ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა,  
ლვთივ რჩეულთა. მაღლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის,—  
რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუშვე-  
ტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მაღლს, ამ ტვირთს დიდი ძალონე უნდა სულისა და ხორ-  
ცისა და ამიტომაც, როცა ლმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად  
და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათა შვილი, უცურთხა ენა მე-  
ტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის; ყურნი სმენისათვის, გულს  
ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრ-  
ძანა, წალი და კაცთა ნათესავს ამცნე უხენაესი მცნება ჩემი და  
სიტყვით გული აუნთეო. კიდევ ვიტყვი, პოეზია მაღლია, ნიჭია, მაგ-  
რამ, ხომ ხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის.

დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცშა და  
მას ყველაფერი ანაცვალა. ოლონდ ეგ ტვირთი დაულალავად ვზიდო,  
ოლონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განწირუ-  
ლის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულებამ გარდაცვალების ერთი  
წლის წინათ ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყვე-  
ლებად გადაექცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა  
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!  
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა,  
დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
მიგალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარ-  
ხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შეი-  
ლისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმაღილებელმა კაცმა  
და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი,  
მისი ნაშთი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი  
ნაში ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გა-  
დაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს მისდა განსასვენებლად და  
ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდა შვიდ წელიწადს შემდეგ და იქნება სთქვან გვიან არის, მაგრამ რა არის ორმოც და შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე აღრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰქრიბა წარმომადგენლობა მთელი საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერთ ამაღლებული სულითა და გულითა, რაღანაც მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულ-გაწმენდილმა კაცმა იცის ესე ლირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ-ბუნებოვან კაცისა.

დიდ-ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის  
ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენან თვლილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება....

დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითუული ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭრია რისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის ღადგმას, ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდ-ბუნებოვანობამ ჩვენს გულში აღავთ.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია. „სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვანი მყივარნი მივალალებენო“. ასრულდა ეს წინასწართქმული მისი მაშინ და დღეს-კი მის მტვერს, მის ნაშთს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელი საქართველოსი<sup>1</sup>.

### სიტყვა აკაგი ჭერითლიცა

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყეთა ფრინველნი და ვარდი.  
მინდა მზე ვიყო, რომ სხვნი  
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,  
საღამოს მისთვის შთავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო...

ეს ინატრა-აბალგაშრდა მჭოსანმა ამ ნახევარ საუკუნის წინეთ და ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს, სამშობ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1893 წ., № 85

ლოდან უცხო მხარეს, მხესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინვებულიყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიალ, არვის გეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბო ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც ოვით მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით აცხებული გულის-ძერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰქონის და მართლაც რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოეძებნიდით.

ბართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დიდუბე წმინდა წმინდათაა. აქ დაიდგა პირველად ძლევის გვირგვინი უპირველესში ჩვენმა საისტორიო მნათობშა თამარ მეფემ. მართალია, დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც ის ტაძარი, აღარც ის სასახლე, აღარც ის წალკოტია. უამთა მსელელობამ, ღრმოთა ვითარებამ ის გადასხვაფერა, მაგრამ დიდებული ხატი-კი მაშინდელი შეუცვლელად დარჩა საქართველოს ხსოვნაში. აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზე ძლევა-მოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით საკადრისი მისი მწერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ზატი, მეორე გვერდით ედვომება ბარათაშვილი. როგორც ამ შვიდასის წლის წინეთ დასავლეთ საქართველოდან, ესე იგი იმერეთიდან, მოვიდა ხალხი, რომ თაყვანი ეცა დიდებულ თამარისათვის და საზოგადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიეღო, დღესაც მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და განუყრელი ერთობისა დავადვათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისაგან, საგულისხმოდ იმისა, რომ შეოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა,—მთელი საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანც, რომელთანაც ერთად დაუეიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა<sup>1</sup>.

### ლ ე ჩ ს ი ვ ა შ ა - ფ შ ა ვ ლ ა ს ი <sup>2</sup>

#### ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს

ბშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,	დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ
ქართლისა წყლულთა მოხარე,	თვალზე ცრემლები მომგვარე!
ბშვიდობა, სულო ძლიერო,	არ დაივიწყა სამშობლომ
თავის სამშობლოს მოყვარე!	შენი მის ბედზე ტირილი,

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 92.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 119.

მედგარი სულის კვეთება,  
შავბედობაზე ჩივილი,  
დაუშრეტელი ნალველი,  
წყრომა და გულის ტკივილი.  
მადლი შენს თანა-მოძმეთა,—  
მიწა გახილეს მშობელი,  
შენი სატრფო და სადარდო,  
გულს ლახვარ-დამასობელი.  
შენი მერანი კვლავაც რბის,  
მისი ნავალიც შთენილა,  
უმაღლოდ არ დაკარგულა,  
თუ ოდეს ცრემლი დენილა.

მიიღე ჩემი სალამიც,  
გამოგზავნილი მთიდამა,  
„ჩენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,  
გადმომქუჩარე კლდიდამა;  
თვის „ატეხილი ჭალები“  
ცრემლით ატირა ცხარითა,  
სმენად გადიქცენ ისინიც,  
გრგვინვა რომ ესმათ ბარითა.  
ქედებმა თავი იდრიკეს;  
ფიქრით მოიცვნენ მწარითა,  
ამწვანებულნი მწვანედა,  
განათლებულნი მთვარითა.

\* \*

6. ბარათაშვილი დასაფლავებულია დიდუბის ექლესიის გალა-  
ვანში, საშუალ იმ ადგილისა, საცა განისვენებენ კონსტანტინე მა-  
მაცაშვილი, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ოქრო-  
მჭედლიშვილი, მიხეილ ყიფიანი და სხვანი საქართველოს მოღვაწენი-  
მის სადა ძეგლზე, რომელიც დადგმულ იქნა 1905 წელს, აწე-  
რია: „ნიკ. ბარათაშვილი 1816—1845“, და გარშემო მისი ლექსე-  
ბია, ერთს მხარეზე:

„გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,  
გარდამატარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამდე არ ემონა მას,  
არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

მეორეზე:

„რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული?  
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,  
ჭირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დამლერის!  
ესრეთ რას არგებს კაცაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?“

მესამეზე:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

და მეოთხე:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაიგლის  
ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

მე რომ დავსწრებოდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა-  
დაეწერათ 6. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, აზრს შევიტანდი,  
დაეწერათ ჩაილდ-ჰაროლდიდან სიტყვები:

И даже после погребения

Останусь жить с своею тоскою...

ମୁନ୍ଦରି ମାନ୍ଦରି

ජල. ३०३०३०१९१६

ი. მეუნარგიას ნაშრომი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ ფრაგმენტალური სახით იქნა აღმოჩენილი მის არქივში, რომელიც სამეცნიელოს მუზეუმშია დაცული ქ. ზუგდიდს. ამ შრომაში სისრულით ვერ არის მოცემული მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარე. აქ, ოთვორუც ჩანს, მხოლოდ სქემაა წარმოდგენილი ავტორის მიერ განხრახული იმ სქელტანიანი ნაშრომისა, სადაც ვრცლად უნდა გადაშლილიყო ჩვენი ქვეყნის XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სახოადოებრივი ცხოვრება და ამ ფონზე ასახულიყო ჯერ გარსევან ჭავჭავაძისა და შემდეგ მისი შვილის, სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის, ცხოვრება და პოეტური შემოქმედება.

სხვადასხვა გარემობის გამო იონა მეუნარგიას დასაზული მიზნისათვის ვერ მიუღწევია. იგი დაკმაყოფილებულა ალ. ჭავჭავაძის ცხრილებისა და მოღვაწეობის იორგვლივ საქართველოში არსებული ხელმისაწვდომი მასალის, უმთავრესად პოეტის თანამედროვეთა მოგონებების, გამოყენებით და შესდგომა ბიოგრაფიის წერასაც.

მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორს თავისი ნაშრომი დაბეჭდვის ღირსად არ უცვნია და შეუნახავს, ალბათ, შემდგომი დამუშავებისა და გაფართოვების მიზნით. ეს არის მიზეზი, რომ ამ ნაშრომს დღემდე მკითხველი საზოგადოება და ჩევნი ლიტერატურის ისტორიკოსები არ იცნობდნენ. იგი პირველად გამოქვეყნებულ იქნა ჩევნს მიერ 1937 წლის უზრანალ „მნათობის“ №-1-2-ში და შემდეგ ცალკე წიგნაკადაც (იხ. იონა მეუნარგია, —ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1937 წ. სამეცნიელოს მუზეუმი) სათანადო კომენტარიებითა და შენიშვნებით. წიგნს დართული აქვს აგრძელებული ავტორის უბის წიგნაკებიდან ზოგიერთი ჩანაწერიც, ორმელიც იძლევა პოეტის საბიოგრაფიო მასალას. ამ შემთხვევაში მსგავსი ჩანაწერების დართვას საჭიროდ არ ვთვლით.

აღნიშვნული ნაშრომი დაუმთავრებელია, როგორც ეტყობა, მის ბოლო ნაწილში გარჩეული უნდა ყოფილიყო ას. ჭავჭავაძის შემოქმედება. სამწუხაროდ, ი. მეუნარგიას არქივში ამ ნაშრომის ბოლო ფურცლები აღარ დარჩენილა. აღმოჩენილი ხელნაწერის უკანასკნელი გვერდის უკანასკნელი აბზაცი ასე იკითხება: „ერთი არაკია: ერთმა ხელმწიფებ დაიბარა ვარსკვლავთმრიცხველები და ბედი აკითხვინაო. ერთმა ვარსკვლავთმრიცხველთაგანმა ხელმწიფეს მოახსენა: მეფეო, თქვენ დიდად ბეღნიერი...“ აქ წყდება სტრიქონი (ეს აბზაცი ჩვენ მიეტ გამოქვეყნდულ ტექსტს სრულიად მოვაცილეთ).

მიუხედავად და უმთავრებელი საჩისა, ნაწარმოები მეტად საინტერესოა თავისი შინაარსით და ზოგიერთი ცნობით. გარდა ამისა, იგი საგულისხმოა ოპორტუნიტეტისა და ბიოგრაფიული ნაშრომისა აღ. კეთქვავაძეს შესახებ ჩვენს ლიტერატურაში. ხელნაწერი უთარილოა, მაგრამ მისი ვარიანტის ის აღილი, სადაც ნათებამია: „კოდივ ათი წელი და საუკუნეები შესრულდება მას აქეთ, რაც საქართ-

უელი შეუერთდა რუსეთს“, ააშკარავებს ბიოგრაფიის დაწერის თარიღს, ასე რომ ხელნაწერი დაწერილი უნდა იყოს 1890-იან წლებში, თუმცა, როგორც მის არქივში შემონახული ჩანაწერები მოწმობს, აღნიშნული ბიოგრაფიისათვის ავტორს მასალების შეკრება 80-იანი წლებიდანაც დაუწყია, როცა ის უკვე გიორგი ერის-თავის ბიოგრაფიას ადგენდა. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, რომელიც აგრეთვე დაუმთავრებელია, პირველი ცდაა აღ. ჭავჭავაძის „ცხოვრების აღწერისა“. ავტორს არ მოსწონებია რა ამგარად პოეტის მოღვაწეობისა და შემოქმედების აღწერა, სხვა ვარიანტისათვის მიუმართავს, ხოლო იგი, როგორც მასალა, დღემდე შემოუნახავს მის არქივს შემდეგი ტექსტით:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე დ ა ი ბ ა დ ა პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს 1786 წელს. მამამისი გარსევან, შესანიშნავი ქართველი დიპლომატი, რომელმაც დაიწყო და ბოლომდის გაიყვანა საქართველოს რუსეთიან შეერთება-დაკავშირება, იყო გაგზავნილი ელჩად პეტერბურგს მეფე ერეკლესაგან 1783 წელს. იმან ჯერ ხელი მოაწერა გეორგიევ-სკის ტრაქტატს, რომლითაც გამოცხადდა საქართველოში რუსეთის მმართველობა, და შემდეგ ამავე ტრაქტატის თანახმად მიიღო ელჩობა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის კარზე. მეფე ერეკლეს თავის კარისკაცებში ჭავჭავაძეზე უფრო სანდო და თავიანი კაცი სხვა არავინ ეგულებოდა.

მეფე გიორგი სიკვდილის სარეცელზე ეუბნებოდა ლაზარევს<sup>1</sup>: თუ ჭავჭავაძემ ჩამომისწრო, სიკვდილს არ ვინალვლებო. მართლაც, ერთ დროს ბედი და უბედობა საქართველოსი ამ კაცის ხელთ იყო.

საქართველოს დაწიოკება მტერ-მოყვარეთაგან, ხალხის სილარიბე, ბატონის შვილების ერთმანეთთან უთანხმოება, მეფის უფლების დამკირება, დარეჯან დედოფლის განუსჯელი პოლიტიკა, ლეკების შენახვა (მეფე ერეკლე 10 ათას ლეკს ქირაობდა, მეფე გიორგი 7-ს), ყიზილბაშის, თათრის, ლეკის დავინ გინდა აზიელი ხალხების შიში,—ყველა ეს ისეთი მიზეზი იყო, რომელთაც მეფე ერეკლეს და მის მინისტრს—ჭავჭავაძეს ხელი მოაწერინეს გეორგიევსკის ტრაქტატზე.

ამ ტრაქტატით საქართველო დარჩა, როგორც აღრე, ცალქი სამეფოდ თავის მეფით და კანონმდებლობით, ხოლო მის მოპასუხელ შეიიქნა რუსეთი და მისი ჯარი. საქართველო მოგებაში იყო, მაგრამ სანამ რუსეთი განახორციელებდა თავის აღთქმას, მოხდა ახალი უბედურება—ალა-მაჰმად-ხანმა საქართველო ააოხრა და ომარ-ხანმა და ბატონის შვილებმა დამშეულ წურბელებივით წამოჰყვეს თავი.

გიორგი მეფებ და მისმა ძეველმა მინისტრმა ისევ რუსეთის კალთას მიმართეს ხელი. საიდუმლოდ, ბატონის შვილებისა და დარე-

<sup>1</sup> რუსეთის მეფის გენერალი, იმ დროს საქართველოში გამოგზავნილი დავალებით.—რ.ე.დ.

ჯან დედოფლის ცოდნის გარეშე, მეფე გიორგიმ გაგზავნა პეტერ-ბურგს გარსევან ჭავჭავაძე და ორი სხვა თავადიშვილი იმ განზრახვით, რომ ეთხოვა ხელმწიფისათვის, საქართველო სრულიად შეერთებინა რუსეთისათვის და ემართა, რა კანონითაც იმას ენებებოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბაგრატიონებს დარჩენოდათ მეფის ტიტული და ქვეყნის მართვა.

რუსეთმა ეს პირობა მიიღო, მაგრამ სანამ ამ პირობას ხელს მოაწერდნენ პეტერბურგში და ობილიში, მეფე გიორგიც გარდაიცვალა. ამას იქით ჩვენს საქმეზე რუსეთის პოლიტიკაც გამოიცვალა. 1800 წელს, 18 დეკ., იმპერატორმა პავლემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც საქართველო სრულიად შეუერთდა რუსეთს.

გარსევანს იმედი გაუცრუვდა. ბაგრატიონებმა საუკუნოდ დაჰკარგეს საქართველოს ტახტი. ელჩმა მეცადინეობა გასწია გამოებრუნებინა წაგებული საქმე, მოსწერა საქართველოში თავადიშვილებს, გაეგზავნათ თხოვნა ხელმწიფის სახელზე, მაგრამ გვიანდა იყო. წარსულს საქმეს არას არკებდა „ბოლოს-ლა თითთა კბენანი“. ყველა უკმაყოფილოთ რუსეთის მთავრობისა დაერთო მეფე გიორგის პარტიაც, და ქართველებმა განიზრახეს მიეღოთ ძალით ის, რასაც არ ანებებდნენ ნებით. ქართლ-კახეთში გაიმართა რუსეთის წინააღმდეგ პროპაგანდა. მალე დაბრუნდა რუსეთიდან გარსევან ჭავჭავაძეც.

რომ შეიტყვეს იმის დაბრუნება რუსეთიდან, ყაზბეგზე მიეგებნენ იმას ალალარები 200 ცხენოსანი კაცით და ჩაძოიყვანეს ქალაქს, როგორც მთავარი ვინმე.

ხალხში ხმა გავარდა: ჭავჭავაძეს ახალი მინდობილება აქვს ხელმწიფისაგან და წიგნი წიგნზე ეცემოდა ბატონიშვილებისაგან, რომელნიც შემწეობას სთხოვდნენ.

თუმცა გარსევან მალავდა, მაგრამ მაინც ბატონიშვილების ბომბრე იყო და ბაგრატიონების ხელახლა გაბედნიერებას ლამობდა. ჭავჭავაძემ ამ საგანზე საზღვარგარეთაც გამართა მიწერ-მოწერა, როგორც მოწმობს იმ დროის მთავარი მართველი კავკასიისა კნორინგი.

მოწინააღმდეგეთა დასს არც მთავრობა უყურებდა გულხელ-დაკრეფილი.

ძველი ქართლის მემკეიღრეობა ხელთა აქვს დღეს მესამე მოდგმას. ცხოვრების ასპარეზზე გაჩნდა მესამე თაობა, შვილის-შვილის-შვილები, რომელნიც ძლიერ დაშორებიან თავიანთ... (უნდა იყოს „წინაპრებს“, გაურკვეველია. ს. ც.).

კიდევ ათი წელი და საუკუნეც შესრულდება მას აქეთ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. საუკუნე, ე. ი. სამი თა-

ობა გალავდა ამ სოფლიდან წარსული საუკუნის მოწმენი. ყოველდღე ლაგდებიან ამ საუკუნის მეკვლენიცა, რომელთაც ძველი ქართლი უნახავთ და მის სამარეში თითო მუქა მიწა მიუყრიათ, ჩაუტანებიათ. რაც უფრო ვშორდებით ჩვენ ამ დროს, უფრო და უფრო აწყდება მას ის ძაფები, რომლითაც მილანდულია იგი ძველ დროებასთან, თუ რამე არ მოუხერხდა ამას—სანამ დრო კიდევ არის, თუ არ გამოვიძიეთ, მეტადრო პირველი ნახევარი ამ ასეულისა, ეს საუკუნე, ეს გრძელი და ტვირთმძიმე საუკუნე ისეთივე მჭლე და უცნობი საუკუნე იქნება ჩვენთვის, როგორიც არის სხვა საუკუნეები „ქართლის ცხოვრებისა“, თარგამოსიდან<sup>1</sup> დაწყებული ასპინძის ომამდე.

ამის გამო მე ყოველთვის ბეღნიერად ვთვლი ჩემს თავს, როდესაც ჩემი სამწერლო ეტიუდების საგნად მომზვდება ისეთი პირი, როგორიც არის ალექსანდრე ჭავჭავაძე.

საქართველოს სამეცოში ეშყაბაშად ნამყოფი, რუსეთის იმპერიის გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ყველა ამ საუკუნის მწერლებზე უფრო საუკუნეთა შემართებელი მწერალი და პოლიტიკური მოქმედია. მისი ცხოვრების აღწერა თვითონ დაგანახებთ, რაი უფრო საინტერესო ჭავჭავაძეში, მწერალი თუ უბრალო, კერძო პირი, თუ საზოგადოდ მომქმედი, მეინახე<sup>2</sup>.

\* \*

არსებობს ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის რუსული ვარიანტიც, უფრო დასრულებული სახით, წინამდებარე გამოცემის მასალაზე დამყარებული, მაგრამ მოკლედ, შეკუმშულად, განხეთის ფელეტონად დაზუსტებული. იგი ამჟამად მგოსან ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს არქივში ინახება პატივცემულმა პოეტმა და მკვლევარმა პირადად გამაცნო დასახელებული რუსული ვარიანტი, რომელიც ერთხელ კიდევ ხასს უსვამს იონა მეუნარგიას ინტერესს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისადმი.

ბიოგრაფიის ტექსტში რაც შეიძლება ვიცავთ ავტორის სტილსა და მართლწერას, რამდენადაც ვიცნობთ მისი წერის მანერასა და წინადაღებათა აგების წესს. ამ მხრით მისი სხვა შრომებისაგან წინამდებარე ეტიუდი საგრძნობლად განირჩევა, რადგან იგი შავად დაწერილია, ხოლო იონა მეუნარგიას მუშაობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ერთხელ დაწერილის საფუძვლიანი შესწორება და ხელახლა გადაწერა, გადათეთრება, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

<sup>1</sup> მთიური პირი—ქართლოსის, ჰაოსისა და სხვათა წინაპარი.

<sup>2</sup> ეს ვარიანტი აქ წყდება, რომლის გაგრძელების ნაშთები დასახელებულ არქივში ჯერჯერობით არა ჩანს. ს. ც.

## Ց Հ Ո Ց Ռ Ա Ռ Ո Ւ Ա Բ Ո Ւ Ա Բ

„Աթոռական և լավագույն տ. ցանքական առաջնահանձնական մասնակիցների մասին“ օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Աթոռական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Աթոռական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

Հայոց ազգական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

<sup>1</sup> Օսմանական մասնակիցների մասին օրենսդրությունը պահպանվելու ամսաթիվը՝ 1904 թվականի մայիսի 2-ին է:

<sup>2</sup> Ակտեր, Խ. Ե., էջ. 291—341.

რომ ის 1804 წ. დაბადებული ყოფილიყო, 12 წლის ბავშვს არავინ მიიღებდა სამსახურში და კერძ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლასა და ვერც არტი-ლერიის სკოლის დამთავრებას, მოასწრებდა, ისიც დაგვიანებით შესული, როგორც თვითონ აცხადებს ერთერთ „მუსაცეში“.

მეორე, — აღსანიშნავია ზუგდიდის სამხარეთმცოდნერ მუზეუმში დაცული იონა მეუნარგიას არქივში მდებარე 1866 წ. გრ. ორბელიანის ხელითვე შევსებული ვრცელი შრომის სია (ფირმულერიაშ ცისიკ), სადაც პოეტი გარემოზოთ წერს, რომ ის დაიბადა 1800 წელს. ვთიქიობდ, არცა გვაძეს უფლება არ დავუჯეროთ ამ შემთხვევაში პოეტს, იმოდენა კაცს თავისი წლოვანება უთულ ეცოდინებოდა.

წინამდებარე შრომა იბეჭდება 1905 წ. გამოცემულის, ე. ი. ავტორის მიერ უკანასკნელად რედაქტირებულის მიხედვით, სულ 21 თავი, თუმცა ზემოაღნიშნული გამოცემა მე-20 თავით მთავრდება, რაც გამოწვეულია შეცილით მე-18 თავის ორჯერ გამოირჩით. ეს და სხვა მსგავსი ტექნიკური ხასიათის შეცომები და შოგიერთი არასწორი გამოთქმა ამ შემთხვევაში გასწორებულია.

რუსული საბუთების ტექსტის თარგმანები, — მხოლეანი მოღვაწის ზედ თ სახოვიას და პოეტი ი. გრიშაშვილის ცნობით, შესრულებულია ქართული მწერლობის ჩემი და უანგარო მუშავის, ზაშინ „მოამბის“ რედაქციის თანამშრომლის შაქრო ბილანიშვილის მიხედვით. ჩევნ ეს თარგმანები ხელუხლებლად დაგტოვეთ, როგორც უურნალ „მოამბის“ სტატია.

## 6. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

1893 წლის „ივერიის“ № 85-ში დაიწყო იონა მეუნარგიამ ბეჭდვა სტატიისა „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

ეს ის წელი იყო, როცა ნ. ბარათაშვილის ძევირთავი ნეშტი განჯილან თბილის გადმოასვენა ქართველმა საზოგადოებამ. ე. ი. პოეტის გარდაცვალებიდან 47 წლის შემდეგ, საბირგრაფიო მასალების ძრება კი 1882 წლიდან არის დაწყებული. ამას შემობას ავტორის მიერ გრ. ორბელიანისა, დიმ. ყილიანისა და სამეგრელოს დელოფალ ეკატერინესაგან ჩაწერილი მასალები.

ნ. ბარათაშვილის თანამედროვეთა და ნაცესავთა ზორაის ჩატარებული ძევბის მოუხედავად, პოეტის ცხოვრებიდან ბევრი რამ დარჩა საიდუმლო და ბურუსიანი. ჩევნში გამტკიცებული საერთო ჩვეულების ძალით, თანამედროვებმა კერუსრუნველჲყვეს შესანიშნავი პრეტრის „ცხოვრების აღწერის“ სისავსე და სრულყოფილობა. კრტე ყილიანის ფილმოცემით, თვით „პოეტის დებმა არც ერთი ლუსი ჟაჭიანთი ძმისა არ სცოდნენ და როდესაც იმათთო ჩევნ ვაჭებდით და ვალიდურით ჩევნს პოეტს, ისინი როგორილაც უნდობლად ღილმებრდნენ.“.

ჩმ „ცნობლობამ“ და შეუტასებულობამ დარღვენს გასტანა ნ. ბარათაშვილის გარეშემო, წილურ ატისკრის „ნომრებში არ გამოჩინდა მისი ლექსუბი და კორეფი ჟრისტავის შესანიშნავი ლიტოცეული ლექსი „ნ. ნიკოლოზ მელიტონის ძმა სარაზოვის გარდაცვალებაზე“, რომელშიაც პოეტშა ღრმა განცდებითა და რწმენით წამოიქმნა:

„ცხურებს, ტატო რომელ გარსეცულავად გამობრწყინდების“.

ამ სიტყვების თქმილან კიდევ ორმოცი წელი დასკირდა მთული გაბატუშლობით ამ სავარსკვლავის „გამოკირებას ქართული პოეზიის ცაზე.“

პოეტი რეაბილიტირებული იყო და მისი „ცხოვრების აღწერის“ ბეჭდვაც დაიწყო პოეტის ნეშტის გადმოსვენების დღისადმი (25 აპრილი) მიძღვნილ „ივერიის“ ნომრიდან (№ 85) და გრძელდებოდა. № 86, 87, 88, 93, 95, 98 და 103-ში. № 88-ში მოთავსებულ ფელეტონის ბოლოს შეცთომით „დასასრული“ აწერია (ნაცვლად გაგრძელებისა), რაც გამოწვეული ყოფილა იმით, რომ აღნიშნული ფელეტონი სრულდება 6. ბარათაშვილის გარდაცვალებით და განჯაში დასაფლავებით. ამ შეცთომას რედაქტირებს რა შემდეგ ნომერში, აკადებს; გამოკვლევის ბეჭდვა გაგრძელდება „თანახმად ბატონ მეუნარგიას სურვილისაო“.

მაგრამ შრომა მაიც ვერ დამთავრდა მაშინ „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“ და როდესაც 6. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში განუზრახავთ მისი დართვა და ეს „მეუნარგიასათვის უცნობებიათ, უკანასკნელი ამ გამოცემის რედაქტორს ერთს საპასუხო წერილში სწერს: „იბეჭდება თუ არა ბარათაშვილი? თუ იბეჭდება, რატომ არ გამომიგზავნე, რაც გთხოვე: ჩემი „ცხოვრების აღწერის“ (იგულისხმება 6. ბარათაშვილის ბიოგრაფია—ს. ც.) ბოლო ფურცლები, რომლებიც გადასაწერად და გასაკეთებლად იყო დანიშნული.“ კერ ციცერონი ჰმოძღვრიდა მწერალს—თავი და ბოლო კარგად უნდა იყოს დაწერილი და აქ ბოლო სულაც არ არის დაწერილი. გთხოვ, ნუ აყოვნებ, გამომიგზავნე რასაც გთხოვ და შემოთვალე, დააწყებინე თუ არა ბეჭდვა“<sup>1</sup>.

ეს ბოლოც დამთავრებულ იქნა 1919 წლისათვის და აღნიშნულ აკადემიურ გამოცემას დაერთო, რომლიც ფაქტურად 1922 წ. გამოვიდა.

წინამდებარე გამოცემაში კი მხოლოდ ორი ცვლილება შევიტანეთ:

1. 6. ბარათაშვილის დაბადების თარიღად, რომლის დადგენას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, მეუნარგიას აღნიშნული ჰქონდა ტრადიციული—1816 წლის 22 ნოემბერი (4/XII), მაგრამ რაკი ამჟამად აღმოჩნდა პოეტის დაბადების თარიღის დამაზუსტებელი საბუთი<sup>2</sup>; ჩვენც ამის მიხედვით შევასწორეთ იგი.

2. პოეტის გარდაცვალების თარიღად მიღებული 1845 წლ. 2 (14) ოქტომბერიც ახლადაღმოჩენილი დოკუმენტების<sup>3</sup> მიხედვით შესწორდა—9 (21) ოქტომბრად 1845 წლისა.

## სოლ. ცაიზვილი

<sup>1</sup> იხ. „ლიტ. მუსეუმის ხელნაწ. ფონდი“, № 474/2.

<sup>2</sup> იხ. გრუნ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ., № 4, გვ. 53.

<sup>3</sup> „ლიტ. მემკვიდრეობა“, წ. I, გვ. 634, ი. ბალახაშვილი:— „5. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“.

ს ა ხ ჩ ვ ი

1	წინასიტყვა ს ი ლ. ც ა ი შ ვ ი ლ ი ს ა . . . . .	5 83
2	ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ა ვ ა ძ ე . . . . .	13
3	გ რ ი გ ლ ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი . . . . .	31
	ნ ი კ ო ლ ი ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი . . . . .	165
	შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . .	203

რ ე დ ა ქ ტ ი რ ი შ. ტ. თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი

ხ ე ლ მ ი წ ე რ ი ლ ი ა დ ა ს ა ბ ე ჭ დ ა დ 29/III—41 წ. უ 6405. ტ ი რ ა უ ი 4.000.  
ა ნ ა წ ყ ი ბ ი ს ზ ო მ ა 6×10=39.040. ს ა ს ტ ა მ ბ ი ღ ი რ მ ა თ ა რ ა მ დ ე ნ ი ბ ა .  
13,25. ს ა ვ ტ ი რ ი 12,93. შ ე კ ვ ე თ ი ს № 2685

გ ა მ ი მ ც - ბ ა „ ტ ე ქ ნ ი კ ა დ ა შ რ ი მ ა “ - ს ს ტ ა მ ბ ა ფ უ რ ც ე ლ ა ძ ი ს ჭ უ ჩ ა 5.

894.63-09  
2601

9260 10 256.

894.63.09  
2 601

ИОНА МЕУНАРГИЯ  
**ГРУЗИНСКИЕ ПИСАТЕЛИ**

Детюониздат ЦК ЛКСМ Грузии

Тбилиси 1941 г.

(На грузинском языке)